



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) at New York University.

- Creator: Chilashvili, L. / ქილაშვილი, ლ. /
- Title: The ancient Georgian Inscriptions of Nekresi and questions of the history of Georgian writing / ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები
- Publication Date: 2004
- Publisher: Georgian National Museum, Georgian Academy Of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscce\_5fad77dbc5

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

## Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/dscce/takedown-notice>.



ლევან ჭილაშვილი

ნეკრესის  
უძველესი  
ქართული  
წარწერები  
და

ქართული  
დამწერლობის  
ისტორიის  
საკითხები





THE UNIVERSITY OF CHICAGO  
LIBRARY



GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES  
S. JANASHIA STATE MUSEUM OF GEORGIA

---

LEVAN CHILASHVILI

THE ANCIENT GEORGIAN  
INSCRIPTIONS OF NEKRESI  
AND  
QUESTIONS OF THE HISTORY OF  
GEORGIAN WRITING

Tbilisi  
2004



ლევან ჭილაშვილი

ნეკრესის  
უძველესი ქართული წარწერები  
და  
ქართული დამწერლობის  
ისტორიის საკითხები

თბილისი  
2004





ნიგნი წარმოადგენს ნეკრესის ნაქალაქარზე (ყვარლის რ-ნი) 1986-2003 წწ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნიგნის ავტორის ხელმძღვანელობით აღმოჩენილი უძველესი ქართული წარწერების პუბლიკაციას. განხილულია ასევე ქართული დამწერლობის წარმოშობის და ისტორიის ზოგი საკითხი. ჩანართის სახით ქვეყნდება რუსთავის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ქართული წარწერებიც. წარწერების თარიღია ძვ.წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებიდან ახ.წ. IV საუკუნეებამდე.

რეცენზენტები:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
პროფესორი **ო. ჯაფარიძე**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორექსპონდენტი  
პროფესორი **ზ. ალექსიძე**

რედაქტორი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ნ. ბახტაძე**

© ლევან ჭილაშვილი, 2004

© ყვარლის რაიონის არქეოლოგიური ფონდი, 2004

ISBN 99940-0-220-1

ნიგნი იბეჭდება ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის  
ფინანსური მხარდაჭერით



საქართველოს პარლამენტის  
პროვესული გიგლიორთიკა



# სარჩევი

შესავალი	6
მარნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნარნარები	13
ნარნარა ქვევრის პირზე	29
შემთხვევით აღმოჩენილი ნარნარები	36
ნეკრესის ბაზილიკაში აღმოჩენილი ნარნარა	47
<i>ჩანართი</i>	
რუსთავის წინაქრისტიანული ხანის ნარნარები	51
ნეკრესის ნარნარების კალეოგრაფიისათვის	58
თარიღი	67
<i>დასკვნები:</i>	
შენიშვნები ქართული ანბანის შექმნის საკითხებზე	88
ზოგიერთი მოსაზრება ქართული დამწერლობის	
ნარმოშობის შესახებ	89
ქართული ანბანის შემოღების შესახებ	
თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში	93
ქართული დამწერლობის ნარმოშობის ისტორიული ფონი	
და „მნიშვნელობა ქართულის“ დაფუძნების შესახებ	106
ტოლერანტობა თუ სისასტიკე	115
„ქრისტიანული“ დამწერლობის შესახებ	118
ბოლოთქმა	124
<b>AFTERWORD</b>	128
ილუსტრაციების აღწერილობა	132
ილუსტრაციები	137

## შესავალი

„პალიმფსესტები და დედამიწის წიაღში ჩამარხული  
წარწერები ბევრს ახალსა და საინტერესოს გვიქადაიან“  
*ივანე ჯავახიშვილი*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნეკრესის ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა და ის კარგა ხანია ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.<sup>1</sup> აღნიშნული მიღწევებიდან ერთი რომელიმე საკითხის გამოყოფა და მისი განსაკუთრებულობის შესახებ მსჯელობა ვერ ხერხდება — ყველა ისინი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული — ესაა უამრავი პრობლემების მომცველი, ერთი დიდი ისტორიული თემა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ისტორიის ბევრი კარდინალური საკითხი ახალი თვალთახედვით გადასინჯვას მოითხოვს. აქ შეიძლება დავინახოთ ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო მიღწევა.

საველე სამუშაოები ნეკრესის ნაქალაქარზე, მართალია ხარვეზიანად და უსახსრობის გამო არც თუ სათანადო ინტენსივობით მიმდინარეობს, მაგრამ ის რაც სადღეისოდ გაგვაჩნია, ნამდვილად იმსახურებს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას. დღეს გვაქვს შესაძლებლობა ვისაუბროთ წარმართული კულტების შესახებ ძვ.წ. XIV საუკუნიდან მოყოლებული; თვალი შეიძლება გავადევნოთ კულტების მონაცვლეობას და მათ კავშირებს ახლო აღმოსავლეთის სათანადო მონაცემებთან; ნეკრესში გამოვლინდა ყველაზე გამოკვეთილად, წარმართობასა და ქრისტიანობას შორის არსებული მძაფრი ბრძოლის შედეგები, რომელსაც თან ახლდა სისასტიკე და დაუნდობლობა; საველე სამუშაოებმა დაგვიდასტურეს და თვალნათლივ გვიჩვენეს როგორ იქცა ნეკრესი ქრისტიანობის მძლავრ კერად, როგორ

---

<sup>1</sup> ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა, წიგნის ავტორის ხელმძღვანელობით, ნეკრესის ნაქალაქარზე (ყვარლის რაიონი) არქეოლოგიური კვლევა წამოიწყო 1984 წელს და ეს სამუშაოები დღემდე გრძელდება. ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიციაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: თ. ბერიძე, ვ. ცისკარიშვილი, ნ. ბახტაძე, კ. გოცაძე, თ. კერესელიძე, გ. კიკნაძე, ნ. აფხაზავა, ა. ქარუმაშვილი, ა. გოგიჩაიშვილი, მ. ჩემია, მ. ქაფიანიძე, გ. ბახტურიძე, ი. ოქრუაშვილი, გ. კვანტიძე, ე. ცაგარეიშვილი, გ. ქილაშვილი, მ. ბუჯიაშვილი, ვ. კველიშვილი.



ჩაისახა აქ ქრისტიანული არქიტექტურა და რა წინამავალ საფეხურებს ეყრდნობოდა ის; არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ყურადღება გაგვამახვილებინა გეოგრაფიულ გარემოზე, რამაც აღმოაცენა აქ უძველესი დასახლება და როგორი იყო ცენტრთან მიმართებაში ქართლის ამ მონაპირე ზონის როლი ისტორიული განვითარების ქრილში. ეს ურთიერთობა, განსაკუთრებით IV-V საუკუნეებში, ქრისტიანობის დამკვიდრების უამს, შიგნით გაჩენილი ბზარის შედეგად ახალ სურათს წარმოგვიდგენს ქართლისა და ჰერეთის (აღბანეთის) დაპირისპირების გზაზე, რამაც ხარვეზული მონაკვეთი გააჩინა საკმაოდ დიდი ხნით, დაახლოებით IX-X საუკუნეებამდე.

ასეთია მოკლე ჩამონათვალი საკითხებისა, ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიციის სახელთან რომ არის დაკავშირებული. კიდევ ერთი შედეგი, რომელიც განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ ნეკრესის აღმოჩენებმა საქართველოს ისტორიას დაუბრუნა წინაქრისტიანული ხანის ვრცელი მონაკვეთის დიდი კულტურა, რომლის შესახებაც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა შექმნილი, იგნორირებულიც კი იყო, რამეთუ ქართული კულტურის სანყისი დაკავშირებული იყო ახალი რელიგიური მიმდინარეობის დანერგვასთან და მისი კულტურულ-იდეოლოგიურ მსოფლმხედველობის ტოტალურ გავრცელებასთან, როდესაც მან მართლაც და მიაღწია უდიდეს შედეგებს.

ნეკრესის არქეოლოგიური გათხრების შედეგების შესახებ, ჩვენ საზოგადოებას მხოლოდ მცირე ნაწილზე აქვს წარმოდგენა შექმნილი რამდენიმე ნაშრომის და მოკლე ინფორმაციების გზით სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან, რაც ცხადია, არ არის საკმარისი. ჩვენი მხრივ, რამდენადმე ვრცელი სურათის წარმოდგენა, ბოლო დრომდე მიზანშეწონილი არც იყო, რამდენადაც ყოველ წელს ახალ-ახალი საბუთიანობა გვიჩნდებოდა, ეს კი თავშეკავებისკენ გვიბიძგებდა.

წინამდებარე ნაშრომი ერთ კონკრეტულ მიზანს ისახავს. ქალაქის სოციალურ-კულტურული და ისტორიული განვითარების ფონზე, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი სახით წარმოგვიდგება — გამოქვეყნდეს ყველა ის ქართული წარწერა ნეკრესის ნაქალაქარზე რომ არის დადასტურებული.

ნეკრესის შესახებ ძალზე მცირე ცნობები მოგვეპოვება წერილობითი წყაროებიდან. ლეონტი მროველის ძველი ქალაქების ნუსხაში, ისევე როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ნეკრესის ხსენება არ არის. ერთადერთი ეჭვი შეიძლება გავვიჩინდეს ლეონტი მროველის ჩამონათვალში „კახეთის ქალაქების“ მიხედვით. ეს ეჭვი ძლიერდება, თუ იმავე ავტორის სიტყვებს დავუჯერებთ, სადაც ფარნაჯომ მეფის ღონისძიებებზეა საუბარი, კერძოდ კი ციხე-ქალაქების შენებაზე. აქვეა შენიშნული „და იწყობდა

კახეთს ქალაქსა ნელქარისა, რომელ არს ნეკრესი".<sup>1</sup> მაშასადამე, ნეკრესის შესახებ, უფრო სწორად, მისი როგორც ქალაქის აღმშენებლობის საწყის ეტაპზე შეიძლება ლაპარაკი ძვ.წ. II საუკუნიდან, მეფე ფარნაჯომის დროიდან. მისი ეს საქმიანობა სხვებსაც გაუგრძელებიათ — ამავე საუკუნის ბოლოს მეფე არშაკს მიეწერება მისი „გამშვენიერება“. ეს შეტად ძვირფასი ცნობაა, რაც მიგვანიშნებს უკვე ქალაქის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ სახეზე. ეს ცნობები სხვა მხრივაც იქცევა ყურადღებას. ნეკრესი ფარნაჯომის მიერ აშენებული ციხე-ქალაქების რიგში კი არაა მოხსენიებული, არამედ ცალკე, როგორც ქალაქი, რაც დამტკიცებულად მეორე ცნობაშია განმარტებული: „განაშუენა ნელქარი, ქალაქი კახეთისაო“. ეს უფლებას გვაძლევს ნეკრესის მიხედვით წარმოვიდგინოთ არა სტრატეგიული ცენტრი, გამაგრების სისტემით გამორჩეული ადგილი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით დანიშნურებული დასახლებული პუნქტი. ცხადია, ეს არ გამორიცხავს მის თავდაცვის უნარიანობას: ახ.წ. IV ს-ის დასაწყისის ამბების თხრობისას ხაზგასმით არის აღნიშნული — მირვანოზმაო „უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესის ქალაქისანი“.<sup>1</sup>

ქალაქის დაარსება აქ, გარკვეულ მეურნეობრივ და სხვა ფაქტორებს გვაგულისხმებინებს, რაც უყურადღებოდ არ დარჩენილა და ეს უპირატესობა ქალაქის დაარსებაში გამოხატულა. ნეკრესი ტერიტორიულად მთისწინეთია და ალაზანგალმა მხარეში სხვა ანალოგიურ ადგილებთან ერთად ქმნიდა მთისა და ბარის რეგიონების შემაკავშირებელ რგოლს, რამაც დიდი როლი შეასრულა მხარის ისტორიული განვითარების საქმეში. ნეკრესის ნაქალაქარზე დადასტურებული ადრეებრინჯაოს ხანის კერამიკის ნიმუშები ცხადად მიუთითებს ამ ადგილების ათვისებაზე ბრინჯაოს ხანში.

ქართული წარწერების გაცნობა მოწყვეტილად, თუ არ იქნება გათვალისწინებული ქალაქის კულტურულ-ისტორიული დონე, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა, სულიერი კულტურის ნაირსახეობა, ვერ იქნება შედეგიანი. აღნიშნული საკითხების შესახებ მსჯელობა იქნება შემდგომ მონოგრაფიულ გამოკვლევაში, აქ კი, ძალიან მოკლედ, დავასახელებ ქალაქის ძირითად უბნებს, მათი გათხრების შედეგებს და ვეცდები დავარწმუნო მკითხველი, რომ დამწერლობის ძეგლები იქმნებოდა არა განყენებულად, ცხოვრებისაგან მოწყვეტილად, არამედ ის იყო შედეგი ისტორიული განვითარებისა, გარკვეული სულიერი კულტურის რელიგიურ მიმართულებაში გარდასახვის შედეგად. ასეთი მიდგომის შედეგად, შესაძლებლად მიმაჩნია პირველ რიგში წარმოვადგინო წინაქრისტიანული ხანის

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 29.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 65.



ნეკრესის მცხოვრებთა რელიგიური მრწამსი, სადაც ერთი რომელიმე მიმართულება კი ფიქსირდება, მაგრამ არა მუდმივი ბატონობის უზრუნველყოფით. ცვალებადობა ნამდვილად შესამჩნევია, თუმცა კი ქრისტიანობის დამკვიდრებამდე ციურ მნათობთა უპირატესობა თვალშისაცემია.

პირველი ძეგლი, რომელიც ნეკრესის ნაქალაქარის დასავლეთით გათხარა, თავის წრიული განლაგებით, ერთი შეხედვით უცნაური დამხრობით და შენაწირი ნივთებით აშკარად, ციური ტრიადის სახელზე ჩანს მონყობილი. მისი ხნოვანება ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებით არის განსაზღვრული<sup>1</sup> (სურ 2).

რელიგიური დუღილი და სიმძაფრე ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აშკარად იგრძნობა და ის ქრისტიანობის დამყარებამდე გრძელდებოდა. ამ შემთხვევაში უკვე წერილობითი ცნობების ძუნწი მონაცემებიც გვეხმარება — ქალაქის შენება ხომ ძვ.წ. II საუკუნეში მეფე ფარნაჯომთან არის დაკავშირებული, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობის დანერგვის აქტიური მოქმედებით გამოირჩეოდა — იქნებ ნეკრესიც იმ მიზეზით აირჩია, რომ აქ ძლიერ იყო ფეხმოკიდებული ეს რელიგიური მიმართულება, რომელიც ინტენსიურად ითვისებდა აღმოსავლეთის რეგიონებს. სამლოცველო, რომელიც ნეკრესის დასავლეთ ნაწილში, ე.წ. „მარნის“ ტერიტორიაზე ითხრება მასთანვე დაკავშირებული კრემაციული სამარხებით და მაზდეანური სამლოცველოებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, კარგად ადასტურებს წარმართული, ასევე ცეცხლის კულტის დამკვიდრებას ქალაქში: აქ ვგულისხმობ სამლოცველოში დადასტურებულ ე.წ. ნკეპლების კონას — ბრინჯაოს მოკლე მავთულების შეკვრას, რომელიც აშკარად მიგვანიშნებს ბარსომის, იგივე ბარესმას (ქართულად ფარსმანდუკის) კონებზე, რომელიც მთავარი ატრიბუტი იყო მაზდეანური რიტუალის შესრულებისას. ტაძარში შესვლისას ხელთ ეპყრათ კეთილსურნელოვანი ტოტებით შეკრული ასეთი კონები. ზოგჯერ ტოტების ნაცვლად ლითონის ღეროებს ხმარობდნენ. ასეთი ოქროს ღეროები ცნობილია, მაგალითად, ამუ-დარიის განძიდან. თარიღდება ძვ.წ. V-IV სს.

ნეკრესის გათხრებით საკმაოდ კარგად იკვეთება ზღვარი მაზდეანურ და წარმართულ ურთიერთდაპირისპირებული რელიგიური მიმდინარეობების სამლოცველოებს შორის. კარგადაა ცნობილი, რომ წარმართულ კულტებს ებრძოდა და ანადგურებდა ყველა დიდ რელიგიური მიმდინარეობა — მაზდეანობა, ქრისტიანობა, ისლამი. ამ მხრივ აქტიურობით

<sup>1</sup> ვრცლად განხილულია ჩემ წიგნში — „ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000 წ.“ აგრეთვე: ბ. მაისურაძე, იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაორკინის ხანის სრქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993; ბ. მაისურაძე, ლ. ფანცხავა, შილდის სამლოცველო (კატალოგი), თბ., 1984.

გამოირჩეოდნენ როგორც აქემენიდი, ისე სასანელი მეფეები.

ამავე პერიოდიდან, მთლიანად ნეკრესის ტერიტორიაზე ბატონობს ჩრდილოეთ-სამხრეთზე დამხრობილი სამლოცველო, რომელიც შეუქმნიათ, სავარაუდოდ, აქ ქალაქის აშენებასთან ერთად. ეს არის ნეკრესის ვიზუალური ცენტრი, განლაგებული კავკასიონიდან გამომავალი სერის შთამბეჭდავი გარეგნობის კლდოვანი ნაწილის ციცაბო ფერდებზე, დამრეცი ასასვლელებით, რომელიც მოფენილი ყოფილა ქვებშემონყობილი ორმოებით, პილიგრომები რომ იყენებდნენ მისალოცად მთის წვერზე მდებარე მთავარი სამლოცველოს გზაზე მიმავალნი. ადგილი „ნაზრევი გორის“ სახელით არის შემორჩენილი, რაც კარგად მიაჩნებდა აქ წარმართული სამლოცველოს არსებობას. „ზორვა“, როგორც საბა ორბელიანი თვლიდა, წარმართთა საკერპო ადგილი ყოფილა (სურ. 1). აღნიშნული სამლოცველოს დამხრობა სწორედ ისეთია, ჩრდილოეთ-სამხრეთით, როგორც ახასიათებდა მსგავსი რელიგიური მიმდინარეობის სამლოცველოებს. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ, ის ქრისტიანულ ეკლესიად გადააკეთეს, შეუცვალეს რა მიმართულება აღმოსავლეთით.

ახ.წ. პირველივე საუკუნეებიდან, უფრო ორგანიზებული და მასშტაბური ჩანს ნეკრესის მაზდეანური სამლოცველოები. ექსპედიციამ ნაზრევი გორის ძირში ვაკე ადგილზე, ქალაქის ზღუდის გარეთ, გათხარა ვრცელი მაზდეანური ტაძარი (50X50მ), რომელიც თავისი გეგმარებით, მასშტაბურობით და ინტერიერის რთული არქიტექტურული გადაწყვეტით გამოირჩევა. მისი პარალელური ძეგლი ჩემთვის უცნობია. ქრისტიანობის დამკვიდრებისთანავე აღნიშნული უნიკალური ტაძარი დანგრეული იქნა და მის კედლებზე ციხე-დარბაზი იქნა მოწყობილი. ტაძარი ახ.წ. II-IV სს-ით თარიღდება (სურ. 3, 4).

ეს არის მოკლე მონაცემები ნეკრესის წინაქრისტიანული სამლოცველოების შესახებ. ქალაქის სტრუქტურაში შეუძლებელია არ დავინახოთ მძლავრი რელიგიური ცენტრი, რომელიც საზრდოობდა იმუამად აღმოსავლეთში გავრცელებული, სახელმწიფო სტატუსით აღჭურვილი კანონიკით.

ნეკრესი ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი ძეგლია, სადაც ვიზუალურად აღიქმება ორი დიდი მსოფლიო რელიგიის შეჯახება, სასტიკი ბრძოლა არსებობისათვის. საკმარისია გავეცნოთ ნგრევის მასშტაბებს, რაც დადასტურებული გვაქვს წარმართულ და მაზდეანურ სამლოცველოებზე, რომ ეს დასკვნა უყოყმანოდ იყოს მიღებული. სამლოცველოები საფუძვლიანად იყო მოთხრილი, დანგრეული იყო სამარხები, დამტვრეული და გადაყრილი საფლავის წარწერიანი ქვები. შედეგი? შედეგიც ასევე შთამბეჭდავია — მთავარი მაზდეანური ტაძარი შეცვალა ასევე მასშტაბურმა ქრისტიანულმა ტაძარმა, რომლის აგებაც თრდატ მეფეს მიენერება 370-380 წლებში. ქრისტიანებს არ შეეძლოთ ამ ჭიდილში გამარჯვების



შემდეგ ნაკლები სივრცის ტაძარი აეშენებინათ (სურ. 6). ის მეფის სახელთან იყო დაკავშირებული — თრდატ მეფემ „აღიშენა განსრულებითო“, ასეა წყაროში. ასე დასრულდა დიდი ბრძოლა პირველობისათვის, რომელიც კარგა ხანს გრძელდებოდა. ამ ბრძოლამ აბიბოს ნეკრესელი წარმოშვა აქ, თავისი მონამებრივი დასასრულით.

ქრისტიანობის გამარჯვება ნეკრესში აღინიშნა არა მხოლოდ ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლების შექმნით. ის, როგორც სამეფო ქალაქი, სხვა მხრივაც იქნა ყურადღების ცენტრში მოხვედრილი. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მასშტაბური არქიტექტურული ძეგლი, მარანი, ვრცელი ინტერიერით და კარგად მოწყობილი თაღედიანი შესასვლელით. უშუალოდ მარანს 400 კვ.მ. ეკავა, კედლების გასწვრივ ხუთი ვრცელი სანაახელი იყო მოწყობილი, სადაც ერთი და იმავე დროს რამდენიმე ტონა ყურძნის დანურვა იქნებოდა შესაძლებელი (სურ. 5). როგორც IV საუკუნეში აგებული ბაზილიკური ტიპის ეკლესია (სურ. 6), ისე ეს მარანიც, სამეფო საკუთრებაში უნდა ვიგულისხმოთ. ასეთი მარნების შექმნა საქართველოში (მხედველობაში მაქვს ურბნისის, მცხეთის და სხვ. მარნები), უშუალოდ ქრისტიანობის ნაყოფი იყო. გავიხსენოთ მაცხოვრის სიტყვები — „მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი“ (იოანე 15,5). ამის გამო იყო, რომ ქრისტეს იკონოგრაფიის ყველაზე ძველი სახე ვაზის რტოებში ყურძნის მტევნებთან ერთად იყო გამოსახული, მოციქულებთან ერთად. აქედან მოდის მისი ერთ-ერთი საიდუმლო, ღვინისა და პურის ქრისტეს სისხლთან და ხორცთან გაიგივება.

ექსპედიციის სხვა მონაპოვართა შორის, აღსანიშნავია მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილი ლითონის და მინის ნივთებით, კერამიკით და სხვ. აღნიშნული არქეოლოგიური მონაპოვარი დიდად გვეხმარება ისტორიულ-კულტურული დონის შესასწავლად გვიანელინისტური ხანიდან მოყოლებული ვიდრე ახ.წ. მეხუთე საუკუნემდე.

ასევე ძვირფასია მონაცემები თვით ქალაქის განლაგების შესახებაც. ის ზღუდით გამაგრებული ყოფილა, და როგორც ჩანს, ქალაქს დამცველი კედლები გვიანელინისტური ხანიდანვე ჰქონია შემორტყმული. სამხრეთის მონაკვეთის ტრასა „სამარხების სერიდან“ ნაზვრევ გორამდე კარგადაა დაფიქსირებული და დაახლოებით 160 მეტრის გაყოლებაზე გათხრილიც. ზღუდე რომლის სიგანეა 1.8 მ., მშრალი წყობით არის ნაშენი, ადგილზევე მოჭრილი მსხვილი ქვის ბლოკებით.

ეს არის უმოკლესი ნუსხა ნეკრესის არქეოლოგიური ექსპედიციის 20 წლის განმავლობაში გამოვლენილი ძეგლებისა, რომლის შესახებაც საზოგადოებას მხოლოდ მცირე ნაწილზე მიუწვდებოდა ხელი, ფრაგმენტ-

ტულად გამოქვეყნებული ნაშრომების მიხედვით.<sup>1</sup> ვრცელი, მონოგრაფიული გამოკვლევის გამოქვეყნება ახლო მომავალში გვაქვს დაგეგმილი, თუმცა კი უნდა განვმარტო, რომ გაზრდილი საზოგადოებრივი სურვილი აქამდე ვერ დავაკმაყოფილე იმ მიზეზით, რომ ყოველ ახალ საველე სეზონს ახალ-ახალი შედეგები ახლავდა თან. თუ პირველი ცნობის გამოქვეყნების დროს ძველი ქართული წარწერების შესახებ, ხელთ მქონდა მხოლოდ სამი წარწერა და ერთიც გაუშიფრავი ეპიტაფია, დღეს უკვე სხვადასხვა ეპოქის 10 წარწერაა ექსპედიციის საცავში, რამაც უფრო მეტი საბუთიანობა შესძინა ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს ქართული დამწერლობის განვითარების შესახებ.

---

<sup>1</sup> ნეკრესის არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ ლ. ჭილაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულია — „ნეკრესის არქეოლოგიური დასაწყისი“, კრ. დ. აღმაშენებელი, თბ., 1990; „ნეკრესი ალაპარაკდა“, გაზ. ლიტერატურული საქართველო, ივნისი, 1991; ნეკრესის სამლოცველო, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში (სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს ა. აფაქიძისადმი), 1992; „ნეკრესის წარმართული სამლოცველოები“ თბ., 2000; „წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან“, უფრნ. „ქართველოლოგი“, 2000, № 7; „წარწერა ქვევრის პირზე ნეკრესიდან“, უ. „ქართველოლოგი“, 2001, № 8.



## მარნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნარნერები

2003 წლის მონაცემებით, ნეკრესის ნაქალაქარზე ათი ქართული ნარნერაა აღმოჩენილი. მათგან ორი, შემთხვევითი მონაპოვარია. ნარნერებში არ ვგულისხმობ ქართული ასოების დადასტურების ცალკეულ შემთხვევებს, ძირითადად კრამიტების ზედაპირზე. განსახილველი ნარნერებიდან ქვაზე შესრულებული ექვსი ნარნერა აღმოჩენილია ნაქალაქარის დასავლეთ ნაწილში, ე.წ. „ნაგებებში“, ადგილზე, რომელსაც არქეოლოგიური ფიქსაციის მიხედვით დაუმკვიდრდა სახელი „მარანი“, მრავალფენოვანი არქიტექტურული ძეგლის ზედა ფენაში მარნის დადასტურების გამო, რომელიც იქცა პირველ ორიენტირად საველე სამუშაოების დაწყების პირველი დღეებიდანვე. გარდა ეპიტაფებისა, მარნის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ქვევრის პირის ორი ნატეხი ზედ ამოკანრული ქართული ნარნერით. როგორც ითქვა, ორი ნარნერა შემთხვევით იქნა აღმოჩენილი — ერთი ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, ადგილ ჭაბუკაურში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ექსპედიცია სწავლობს IV საუკუნეში აგებულ ბაზილიკას. მეორე ნარნერიანი ქვა აღმოჩნდა მანამდე, სანამ ექსპედიცია შეუდგებოდა საველე სამუშაოებს, 1973 წელს. რიგით მეათე, ფიქლის ნაჭერზე ამოკანრული რვასტრიქონიანი ნარნერა აღმოჩნდა ბაზილიკის თხრის დროს, ერთ-ერთი სვეტის ქვების ნყობაში.

აი, სრული ნუსხა, დღესდღეობით ნეკრესის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ქართული ნარნერებისა, რომელთა განხილვასაც შევუდგებით თანმიმდევრობით, „ნაგებებში“ აღმოჩენილი ნარნერებით. გარდა ქართული ნარნერებისა, ნეკრესის ნაქალაქარზე დადასტურებულია ნარნერის ფრაგმენტები სხვა ენებზედაც — ქვის ფილაზე შემორჩენილი ებრაული ასოების ფრაგმენტი, ბერძნულ-ლათინური ასოები მარმარილოს თეფშის ძირზე, ბერძნული (?) ასოები წითელკეციანი ჯამის ნატეხზე და სხვ. მათ წინამდებარე ნაშრომში არ შევხები.

„ნაგებები“ ნაქალაქარის დასავლეთ ნაწილის სახელია, შერქმეული აქ დადასტურებული სქელი კედლის ფრაგმენტების მიხედვით, რომლებითაც საკმაოდ ვრცელი სივრცე იყო მოკავებული. პირველივე დაზვერვა, აქ რალაც მასშტაბური ნაგებობების აღმოჩენას გვპირდებოდა, რაც სულ მალევე, 1986 წლის საველე სამუშაოების დაწყებისას დაგვიდასტურდა. გამოიკვეთა მოზრდილი ნასახლარი, რომლის კედლების პერიმეტრზე, გარდა სამხრეთის კედლისა, ხუთი ქვით ნაშენი საწნახელი იყო მოწყობილი.

მარანს 400 კვ. მეტრი ჰქონდა დაკავებული (20მX20მ).

დარბაზი, სადაც მარანია მოწყობილი სანახელებითურთ, ერთ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს, თუმცა კი ორი სამშენებლო ფენაა გამოსაყოფი — ძირითადი და მიშენებული სანახელები. შესამჩნევია გადაკეთებების კვალიც. აქ ვგულისხმობ დასავლეთის მხრიდან თალოვანი პორტიკის მიშენებას და სხვა სივრცობრივ ცვლილებებს. მარანში არაზუსტი გამოთვლით, რამდენიმე ათეული ქვევრი ყოფილა ჩადგმული. სიზუსტის დაცვა შეუძლებელია, რამდენადაც მტრის შემოსევისას მარანი ძლიერ დაზიანებულა, ქვევრები ჩაულენიათ და რაც გადარჩენილა, შემდგომ მოსახლეობას წაუღია. ეს პროცესი ბოლო უამამდე გრძელდებოდა. ასე, რომ ექსპედიციამ მარანში მხოლოდ ოცამდე დამტვრეულ ქვევრსა და ნაქვევრალს მიაგნო მხოლოდ. ერთ ქვევრში რკინის ნაჯახი ეგდო — ეტყობა ქვევრების მტვრევისას ჩაუვარდათ. სხვა ადგილზე ქვევრისთვის მიწა შემოუთხრიათ, ქვევრიც დაუძრავთ ადგილიდან, მაგრამ გასტეხიათ და მიუტოვებიათ. ასეთი, მრავალრიცხოვანი ნაქვევრალების გამო, მიწის ფენა, დაახლოებით 1,5-2 მ. სიღრმეზე გადატრიალებულია, კულტურული ფენიდან ნივთიერი მასალები ამოყრილია, არეულია და ამიტომ სტრატეგრაფიულ ფენებზე ლაპარაკი შეუძლებელია. ერთადერთი, რაც გვაძლევს სულ მცირე იმედს ფენის გამოსაყოფად, არის რამდენიმე ადგილზე, ნაქვევრალებს შორის მცირე კუნძულების მიგნება, დაახლ. 1.0—1.2 მ. სიღრმეზე, სადაც დაფიქსირებულია ნითელკეციანი, გაპრიალებულზედაპირიანი კერამიკის ნატეხები. ამის შესახებ ქვევით იქნება საუბარი თარიღის განხილვისას, აქაც ვიტყვი — ეს ადგილებია სამაროვნის გადარჩენილი ფრაგმენტები, რომელთა თარიღიც გვიანი ელინისტური ხანით შეიძლება წარმოვიდგინოთ, იმ პარალელური მასალების მიხედვით, რომელიც ცნობილია სამთავროს სამაროვანზე ქვევრსამარხების მასალებში.

საველე სამუშაოების დაწყებისთანავე, მარნის მთელ ტერიტორიაზე გვხვდებოდა კედლების ნგრევის შედეგად გადმოცვენილი ქვები და კერამიკული ნატეხები. ეს ფენა ქალაქთან ერთად განადგურებული ჩანს ახ.წ. V საუკუნის ბოლოს სპარსელების მიერ, ვახტანგ გორგასლის მიერ განეული გმირული წინააღმდეგობების მიუხედავად. მარანი სასტიკად აუოხრებიათ, ნაგებობის მრგვალი სვეტებისა და სქელი კედლებიდან მხოლოდ ქვების გროვებილა დარჩენილა.

წერილობითი წყაროებიდან ვგებულობთ, რომ მტერი შემოსულა ჰერეთის მხრიდან, აუღია და დაუნგრევია ხორანთა, ხორნაბუჯი და ჭერემ-ველისციხით უჯარმას მოსდგომია. ველისციხემდე ის ზურგში არ მოიტოვებდა ნეკრესს და ისიც მისი მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ქალაქის დანგრევის თარიღი კარგად დგინდება მაზდეანური ტაძრის გათხრების მასალების რადიო-კარბონული მეთოდით დამუშავების შედეგად. ეს არის



მეხუთე საუკუნის ბოლო.

სპარსელების ამ თავდასხმის შემდეგ ნეკრესი კარგა ხანს ვერ წამომდგარა. მარნის ტერიტორიაზე სიცარიელე დაბუდებულა. განახლება ჩანს მარნის ჩრდილოეთით, მასზევე მიჯრით მიშენებულ ვრცელ სამოსახლოზე, რომელიც IX ს-დან ივარაუდება. ცხოვრება წყდება XIV-XV ს-ში.

დღეისათვის დაგვიგროვდა ბევრი ხელშესახები მასალა, რაც საშუალებას გვაძლევს შედარებითი მეთოდის გამოყენებით, თამამად ვილაპარაკოთ არქეოლოგიურად შესწავლილ ცალკეულ ძეგლთა ქრონოლოგიური საკითხების ირგვლივ. ჩვენს ხელთაა II-IV სს-ით დათარიღებული ნაგებობების მასალები მაზდეანური ტაძრიდან; IV-V სს-ის მასალები ციხე-დარბაზიდან; IV ს-ის უხვად დაგროვილი მასალები ბაზილიკიდან და გვიანელინისტური ხანიდან ახ.წ. IV ს-დე მასალები მარნის ტერიტორიიდან. ნაგებობებში გამოყენებული მასალებისა და მშენებლობის ტექნიკის შედარებითი მეთოდით შესწავლა მოგვცემს საშუალებას თითქმის ზედმინევით დავათარილოთ ძეგლები. ძლიერ დაგვეხმარება ასევე ტექნიკური მეთოდებით დათარიღების შედეგებიც.

წარწერიანი ქვები პირველივე სეზონისას გამოჩნდა, როცა ექსპედიციამ „საკირებიდან“ — ასე უწოდებენ ამ ადგილს, სადაც მაზდეანური ტაძარი მდგარა, გადმოინაცვლა „ნაგებებზე“. ექსპედიციას უკვე ჰქონდა წარმოდგენა II-V საუკუნეებით დათარიღებულ ადგილზე, სადაც ორი სამშენებლო ფენა იყო გარკვეული — ზედა ფენა, IV-V საუკუნეებისა, დანგრეული V ს-ის ბოლოს, მიეკუთვნებოდა ციხე-სასახლეს და ქვედა ფენა, II-IV საუკუნეებისა, დანგრეული ზედა ნაგებობის შექმნის მიზნით IV ს-ის დასაწყისში, რომლის ფუნქციაც და ნგრევის მიზეზიც გარკვეულია: ის მაზდეანურ ტაძარს წარმოადგენდა და დანგრეულ იქნა ქრისტიანების მიერ რელიგიური დაპირისპირების შედეგად.

ექსპედიციას „ნაგებებზე“ სამუშაოების დაწყებისას, ადგილის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, თავიდანვე გაუჩნდა ეჭვი ამ ორი ძეგლის არასინქრონულობის თაობაზე. „ნაგებებზე“ არც ერთ ფენაში აგური არ ყოფილა გამოყენებული, რაც კარგად იყო დადასტურებული IV-V სს-ის ციხე-სასახლის კედლებში. მაზდეანური ტაძრის სწორად განლაგებული, თარაზული კედლების საპირისპიროდ, „ნაგებებში“ ვერტიკალურად გახლეჩილი დიდრონი ქვების კედლის მწკრივები ჩანდა, რაც თავიდანვე, სანამ თხრას შევუდგებოდით, განსხვავებულ ქრონოლოგიურ ძეგლებზე მიგვანიშნებდა. ასეც იყო.

„ნაგებებზე“, მარნის ტერიტორიაზე, დადასტურებულია ქვაზე ამოკანრული ექვსი და ქვევრის პირზე შესრულებული ერთი წარწერა, რომლებსაც ქვევით განვიხილავთ.

ნარნერა № 1 აღმოჩნდა 1986 წლის 16 აგვისტოს, მარნის ჩრდილოეთ კედელში (სურ. 7). ნარნერიანი ქვა იატაკიდან 0,4 მ-ზე მდებარეობდა. ქვა ჩატანებული იყო კედელში, მეორადი გამოყენებით, როგორც სამშენებლო მასალა, ჰორიზონტულად, ნარნერიანი პირით მარნისაკენ. ქვის სიგრძეა 46 სმ; სიგანე 17,5 სმ; სისქე 7 სმ. ქვას ერთი მხარე მოტეხილი აქვს. ნარნერა შესრულებულია ქვის სწორ ზედაპირზე<sup>1</sup> (სურ. 8, 9).

ასოები ოთხ რიგად არის განაწილებული. პირველსა და მეორეში ორ-ორი ასოა, მესამეში სამი და მეოთხეში ერთი. ასოთა მოხაზულობა მერყეობს 2-4 სმ-ს შორის. ასოები გამოყვანილია ამოკვეთით.<sup>2</sup>

1. Ⴀ Ⴁ აბ
2. Ⴂ Ⴃ ზა
3. Ⴄ Ⴅ გივ
4. Ⴆ Ⴇ ჩ

ნარნერების ყველა ასო კარგად იკითხება, კვეთა დაბალია, მაგრამ მკვეთრი. გამოყენებულია ქართული ანბანის შვიდი ასო თითოჯერ (ა, ბ, გ, ვ, ზ, ი, ჩ) (სურ. 8). პირველი ორი სტრიქონის წაკითხვა — „აბზა“ ალბათ არ უნდა ინვედეს კამათს და ის მამაკაცის საკუთარ სახელს უნდა გამოსცემდეს. აბაზა საკმაოდ გავრცელებული სახელია ადრეული შუასაუკუნეებიდან, რაც კარგად დასტურდება ბოლნისის „ლამაზ-გორის“ V-VI საუკუნეებით დათარიღებული ორი ნარნერის მიხედვით. ანალოგიური სახელია დაფიქსირებული დმანისის ახლოს, დამბლუტის წყლის ხეობაში აღმოჩენილ V-VI სს-ის ნარნერებში.<sup>3</sup> უფრო ძველი, ახ.წ. I ს-ის ანალოგებიდან შეიძლება მოვიხსენიოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, მეფეთა ნუსხაში, ორმეფობის დროს აღნიშნული მეფეთა წყვილი „იმიერ ფარსმან ქველი და ამიერ ფარსმან ავაზ“.<sup>4</sup> „ავაზ“ და „აბაზ“ იდენტური სახელები უნდა იყოს. აბაზა შემდგომშიც კარგად არის ცნობილი. საკმარისია გავიხსენოთ ქართლის ერისთავი ივანე აბაზას-ძე. აბაზაძე გავრცელებული გვარია საქართველოში. მსგავსივე სახელები მცირეოდენი ფონეტიკური სხვაობით,

<sup>1</sup> ყველა ნარნერა შესრულებულია ქვიშაქვაზე. განსაზღვრულია გეოლოგ მერაბ თვალჭრელიძის მიერ.

<sup>2</sup> ნეკრესში აღმოჩენილი ყველა ნარნერიანი ქვა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუასაუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ნეკრესის ფონდში.

<sup>3</sup> ქართული ნარნერების კორპუსი (შეადგინა და გამოსცა ნ. შოშიაშვილმა), თბ., 1980, გვ. 85, 86, 92

<sup>4</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (შემდეგში ძქალძ), I, თბ., 1979, გვ. 82.



შემონახულია ტოპონიმების სახითაც. სხვათა შორის, ნეკრესის სიახლოვესვე, ნაქალაქარიდან დაახლოებით 15 კმ-ზე, სოფელ შაქრიანის განაპირას, ალაზნის მარცხენა მხარეს შემორჩენილია ადრექრისტიანული ხანის შესანიშნავი ნასასახლარი, რომლის სახელიცაა აბაზას გორა. დურუჯის ხეობაშია დადასტურებული შუასაუკუნეების შესანიშნავი ციხე-სიმაგრე აბაშის ციხე. ვფიქრობ, აბაზა-აბაშის იდენტიფიკაცია შეუძლებელი არ უნდა იყოს.

მესამე სტრიქონის სამივე ასო კარგად იკითხება — „გივ“, თუმცა განმარტებისათვის ეს არასაკმარისია. კავშირი არ იბმის არც წინა სტრიქონებთან — „აბზავივ“, არც მომდევნოსთან — „გივჩ“. არ გამოვრიცხავ მასში რიცხვითი მნიშვნელობის არსებობას.

უფრო მეტ ინფორმაციას ვხედავ მეოთხე სტრიქონის ერთადერთ ასოში „ჩ“, რომელიც ცენტრში გამოსახვით, კეტავს წარწერას, აძლევს მას დასრულებულ აზრს და გამორიცხავს წარწერის სხვა ნაწილის არსებობის შესაძლებლობას.

წარწერის გაშიფვრასთან დაკავშირებით, მომიხდა გადამემონებინა არაერთი არქეოლოგიური ძეგლის მონაცემები, რამაც განსაცვიფრებელ შედეგამდე მიმიყვანა. აღმოჩნდა, რომ მსგავსივე ასო ნიშანი (ჩ) ამოკანრულია ვანის ნაქალაქარის სამლოცველოსთან, ნაშალ ფენაში დადასტურებულ ნითელკეციან ჭურჭელზე, რომელიც ძვ.წ. I საუკუნით არის დათარიღებული<sup>1</sup> (სურ. 10). იდენტური ასოა ამოკანრული არეშის ნაქალაქარზე აღმოჩენილ და ჩემ მიერვე გამოქვეყნებულ დერგის ძირზე (სურ. 11) და ბოლოს, ანალოგიური ასოა ამოკანრული რუსთავში, 1951 წ. აღმოჩენილ წარწერაზე საფლავის ქვაზე. (იხ. დამატება). იქ ის გამოსახულია წარწერის ბოლოს, განცალკევებით (სურ. 35). მაშასადამე, ლაპარაკია არა ერთ შემთხვევაზე, არამედ წესად ქცეულ ზოგად მოვლენაზე, რომლითაც გამოისახებოდა რალაც მთავარი და ღირსშესანიშნავი, იქნებ სხვათაგან გამოსარჩევიც, ამასთანავე წარწერის შემკვრელი და განმარტების მიმცემი. ორ შემთხვევაში, ნეკრესის 10 წარწერაში და რუსთავის 2 წარწერის ბოლოს ვხვდებით ანალოგიურ ნიშანს კონსტრუქციაში „ჩი“, თანაც ერთ შემთხვევაში დაქარაგმებულია, მეორეში ქარაგმის გარეშე.

ვანის ნაქალაქარზე, როგორც ცნობილია, მიკვლეულია არა ერთი სამლოცველო, სატაძრო არქიტექტურული ნაგებობანი და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დიდად მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული. ამათგან, ჩვენ პრობლემასთან დაკავშირებით აუცილებელია ღვთაებათა

<sup>1</sup> ცნობა და ნივთის ფოტო მომანოდა ნანა მათიაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.



ტრიალის მოხსენიება, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ძველი ვანელები. ესენია: მზე, მთვარე და მინა.<sup>1</sup>

ასევე, საყურადღებო შედეგები ჰქონდა არეშის არქეოლოგიურ გათხრებსაც (ყვარლის რაიონი, სოფ. მთისძირი). აღნიშნულ ნაქალაქარზე მრავალწლიანი, თუმცა კი არასრული შესწავლის შედეგად 16 ადრექრისტიანული ძეგლია გამომზეურებული.<sup>2</sup> დადგენილია რელიგიურ ნიადაგზე გაჩენილი ტერიტორიული გამიჯვნა ქრისტიანულ, განსხვავებული მიმდინარეობის თემებს შორის. აღსანიშნავია და განსაკუთრებული ყურადღების მისაქცევი იმ გარემოებაზე, რომ დერგის ძირი „ჩ“-ს გამოსახულებით, ძლიერ დაზიანებულ ქვის კედლებით ნაშენ აკლდამაშია აღმოჩენილი. აკლდამა ადრექრისტიანული ხანის ეკლესიის (რომელსაც საყდრის ყურის ეკლესიას ეძახიან) მახლობლად, დაახლოებით 80 მეტრზე იყო დადასტურებული. ის ისე ძლიერ იყო დაზიანებული, რომ მის შესახებ გარკვეული აზრის გამოტანა ჭირდა. ერთადერთი ხელშესახები, გარდა აღნიშნული დერგის ძირისა, იყო ნითელკეციანი და ნითლად შეღებილი ჯამის ნატეხების დადასტურება, საიდანაც რესტავრირებულ იქნა პირვანდელი ფორმის ჭურჭელი, ტექნოლოგიურად მსგავსი ვანის ხსენებული ჯამისა. ანალოგიური ნითელპრიალა ჯამები დადასტურდა ნეკრესის მარნის ქვედა ფენის გათხრის დროსაც, რომლების თარიღიცაა ძვ.წ. I ს.

რაც შეეხება რუსთავში აღმოჩენილ საფლავის ქვაზე „ჩ“-ს დადასტურებას, აქ წარმართული ფენის შესახებ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება, პირველ რიგში იმ წარწერიანი საფლავის ქვებით, რომლებიც წინ უსწრებდა აქ ქრისტიანული ეპოქის ფენებს. რაც შეეხება უშუალოდ ნეკრესს, აქ ციური მნათობთა ღვთაებების კულტი, ძვ.წ. II ათასწლეულიდან ჩანს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ექსპედიციამ ნეკრესის ტერიტორიაზე გათხარა მასშტაბური გარეგნობის, რთული არქიტექტურული ძეგლი — მაზდეანური ტაძარი, ასევე ძველი წარმართული და მასზე დაშენებული მაზდეანური სამლოცველოები იმავე მარნის ქვეშ, სადაც № 1 წარწერა იყო დადასტურებული.

მაშასადამე, ყველა ძეგლი, სადაც დადასტურებულია ქართული ასო „ჩ“, მიგვანიშნებს ძველ, წინაქრისტიანულ პანთეონზე, სახელდობრ რომელზე, ეს ნეკრესის საფლავის ქვაზეა აღნიშნული.

„ჩ“ ქართული ანბანის ოცდამერვე ადგილზეა, რიცხვითი მნიშვნელობით აღნიშნავს ათასს. 28 არის მთვარის სიმბოლური რიცხვი. საერთოდ, ძველი რელიგიური აზროვნებით, ყველა შვიდივე პლანეტას ცალ-ცალკე თავისი მინიერი ინკარნაცია ჰქონდა, თავისი დღე კვირაში, თავისი ფერი, თავისი

<sup>1</sup> ო. ლორთქიფანიძე, ქართველთა ქვეყანა, ისტორია და კულტურა, თბ., 1998, გვ. 68.

<sup>2</sup> ლ. ჭილაშვილი, არეში, თბ., 1990.



დღე... ცნობილი იყო მთვარის კალენდარიც. როგორც ფიქრობენ, უძველესი ქართული წელიწადი უნდა ყოფილიყო მთვარის წელიწადი. ქართული მოდგმის ტომები, წელიწადს მთვარის მიმოქცევაზე აგებდნენ.<sup>1</sup> ყოველი თვის ოცდამეორე დღე მთვარისა იყო და ის საგანგებოდ აღინიშნებოდა დღეობებით. ეს რიტუალი 27 რიცხვში ღამით იწყებოდა და გრძელდებოდა 28-ში. თვიური რიტუალი სამ ნაწილად იყო წარმოდგენილი, როგორც მთვარის სტადიები — დაბადება, ზრდა-აღორძინება და სიკვდილი. თითოეული მათგანი 9 დღიან სტადიას მოიცავდა, ყოველი თვის 9-10-ში, 18-19-ში და 27-28-ში. რიტუალის დასაწყისია 9—18—27, ღამით, დასასრული — 10, 19, 28. სამივე ციფრი წმინდაა და ითვლება მთვარის სიმბოლურ რიცხვებად. დამაგვირგვინებელია 28. იგივე დღეებია გამოყენებული ქრისტიანული კალენდრითაც, მაგ.: 28 აგვისტო ღვთისმშობლობაა, 19 აგვისტო ფერისცვალება. რაც მთავარია, ეს დღეები მუდმივია...

აი, ეს 28, რომელიც ქართული ასოთი არის აღნიშნული ნეკრესის წარწერაზე, გამოსახავს სწორედ მთვარის სიმბოლურ დღეს, და მიძღვნილია მთვარის ღვთაებისადმი. ძველ რომში, კარგად არის ცნობილი, საგანგებო მოხელეს ევალეობდა ყოველი თვის დამდეგს ახალი მთვარის გამოძახება. წარმართულ კალენდარში თვეთა რიცხვებით აღნიშნული იყო ღმერთების დღესასწაული.<sup>2</sup> ბოლო რიცხვი მთვარისა იყო. საქართველოში, შეიძლება ითქვას, მთვარის კულტთან დაკავშირებით, არაჩვეულებრივად კარგი მონაცემებია დადასტურებული. ჩვენში 9 ყველაზე პოპულარული რიცხვია — ცხრა ძმა, ცხრა წყარო, ცხრა მთა, ცხრაკარა... 28 აგვისტო ყველაზე პოპულარული და დიდი დღეობაა, რომელიც თეთრი გიორგისადმია მიძღვნილი (სოფ. აწყურში, თელავის რ-ნი; სოფ. დილომი) რიტუალი იწყება 27-ში ღამით და სრულდება 28-ში. რიტუალში შემორჩენილია წარმართული ჩვეულებები — რკინის ჯაჭვით გვემა, ქადაგი და სხვ. თეთრი გიორგი სწორედ მთვარეა (თეთრი მთვარის ფერია), დღეობაც მთვარისადმია მიძღვნილი.<sup>3</sup>

სხვათა შორის, მთვარის ფაზების და ციკლების ასახვა ქართულ ანბანშიც ჩანს. მთვარის კალენდრის თვიური ციკლი 28-ით სრულდებოდა. ეს ხომ იყო მთვარის დღეს. ამავე დროს, ეს იყო მთვარის სამი ციკლის ჯამი. სწორედ მას ემყარებოდა ასოებით რიცხვების გამოხატვის წესი: ქართული ანბანის პირველი ცხრა ასოთი გამოიხატებოდა ერთეულები, მეორე ცხრა ასო გამოხატავდა ათეულებს, მესამე 9 კი ასეულებს. 28-ის (ე.ი. მთვარის

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი, ეტიუდები, I, თბ., 1961, გვ. 61.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი, ეტიუდები, V, თბ. 1969, გვ. 243.

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 88.

დღის) შემდეგ 9 ასო გამოხატავდა ათასეულებს და ამით სრულდებოდა მთვარის 4 ციკლი. ბოლო „ოჰ“ აღნიშნავდა „ბევრს“ — ათიათასს. ყურადღებაა მისაქცევი, რომ მთვარის დღის 28-ის შემდეგ მოქცეულია ის ასოები რომლებიც ქართული სპეციფიკური ბგერების გადმოსაცემად იქნა დამატებული. გარკვეულ ხანს, ალბათ 28 ასო გამოხატავდა ქართული ანბანის სრულ შემადგენლობას.

დავუბრუნდეთ კვლავ წარწერას. მეოთხე სტრიქონში გამოსახული „ჩ“ — მთვარის სიმბოლური რიცხვია, რომელიც ქართული ანბანის სწორედ ოცდამეორვე ადგილზეა აღნიშნული. ის ჰკრავს წარწერას და განსაზღვრავს დაკრძალულის კონფესიურ კუთვნილებას. ქვა, რაზედაც ქართული წარწერაა მოცემული, საფლავისთვის იყო განკუთვნილი. პირველი ორი სტრიქონით (აბაზა) დაკრძალულის სახელია მოცემული, მესამე სტრიქონით შეიძლება გარდაცვალების წელი იყოს აღნიშნული, მეოთხე სტრიქონის „ჩ“ გვამცნობს, რომ ის მთვარის ღვთაების მალიარებელია, შესაძლებელია კულტის მსახურიც—ქურუმი.

რაც შეეხება წარწერის თარიღს, ვრცლად მის შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი, აქ კი მოკლედ შევნიშნავთ, რომ როგორც ადრე ითქვა, წარწერიანი ქვა, მეორადი გამოყენებით, როგორც სამშენებლო ქვა, ჩატანებული იყო კედელში. კედელი ეკუთვნოდა IV საუკუნეში აგებულ მარანს, მაშასადამე წარწერიანი ქვა თარიღის მხრივ წინ უსწრებს ქრისტიანულ ხანას. მარნის აგება ხდება იმ დროს, როდესაც დაანგრეის მაზდეანური ტაძარი, IV ს-ის დასაწყისში. მარნის აგებამდე აქ არსებობდა წარმართული სამლოცველო, რომლის დანგრევის შემდეგაც, ზედვე, მაზდეანური სამლოცველო მოაწყვეს. ეს უკანასკნელი დანგრეულია IV ს-ის დასაწყისში და მის ადგილზე მარნისათვის ვრცელი ნაგებობაა შექმნილი. ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით.

წარწერა № 2 აღმოჩნდა 1986 წელს იმავე უბანზე, მარანში, № 1 საწნახელის წმენდისას (სურ. 12). ასოები ამოკვეთილია ქვიშაქვის ოთხკუთხა სვეტზე, რომელსაც თავი და ბოლო მოტეხილი აქვს. ქვის სიგრძეა—68 სმ; სიგანე—12-14 სმ; სისქე—9,5 სმ. წარწერა გაშლილია 10,7 სმ-ზე ერთ სტრიქონად. შედგება 6 ასოსაგან. ასოები კუთხოვნებით ხასიათდება, სიგრძე მერყეობს 2-3 სმ. შორის (სურ. 13).

ზ ო ო ო ო — ლევაკი

წარწერიან ქვას სტელის ფორმა აქვს და ალბათ გამიზნული იქნებოდა საფლავზე აღსამართავად. წარწერაში ქართული ანბანის ექვსი ასოა გამოყენებული: ა, ე, ვ, ი, კ, ლ (სურ. 14).

სახელი „ლევაკი“ ქართული ონომასტიკური მასალებით არ არის



ცნობილი. შესაძლოა ეს იყოს კნინობითი ან მოფერებითი ფორმა, ნანარ-  
მოები „ლევინი“, რომელსაც ვიცნობთ „ბიბლიის“ ტექსტებიდან:

„ძენი ლიასნი: პირმშოი რუბენ, სვიმონ, ლევი, იუდა, იზაქარ, ზაბულონ“  
(„დაბადება“, 35, 23).

„და მერმე მიუდგა და შვა ძე და თქუა: ამიერითგან ჩემდამი იყოს ქმარი  
ჩემი, რამეთუ უშვენ მას ძე და უნოდა სახელი მისი ლევი“ („დაბადება“, 29,  
34).

ეს სახელი ძველ ქართულ წყაროებში ერთგან არის მოხსენიებული, ისიც  
არც თუ მაინდამაინც გაზიარებული ზოგ მკვლევართა მიერ. „მოქცევაჲ  
ქართლისაჲს“ მიხედვით, სადაც წარმართ მეფეთა ნუსხაა მოცემული,  
ოცდამეექვსე მეფედ მოხსენიებულია „ლევ, მამაჲ მირიანისი“. <sup>1</sup> „ქართლის  
ცხოვრების“ მიხედვით კი მირიანი ძეა სასანიანი მეფის ქასრე არდამირისა  
— „ვითარცა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა, და შეჰრთო  
ძესა მისსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა და მისცა ქართველთა  
მეფედ ძე მისი და დასუა მცხეთას“. <sup>2</sup> აქ, როგორც სამართლიანად ვარა-  
უდობდა გ. მელიქიშვილი, ადგილი აქვს მირიანისთვის დიდებული სპარსელი  
წინაპრების სახელის მიკუთვნებას. იქნებ „მოქცევის“ ცნობა სანდრო იყოს,  
რომლის მიხედვითაც მირიანის მამად ლევია გამოცხადებული, თუმცა იმავე  
გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ თავდაპირველ ტექსტში ლევის მაგიერ რევი  
უნდა ყოფილიყო. <sup>3</sup>

ასეა თუ ისე, იქნებ ამგვარი ორჭოფული ვითარებისას „მოქცევის“  
ცნობა არ უარვყოთ, მით უმეტეს, რომ მირიანის თაობაზე ასეთი ზღაპრული  
ვერსიაა შემოთავაზებული ლეონტი მროველის მიერ და ლევი სახელის  
არსებობა უძველეს ნუსხებში რეალური სურათის გადმოცემად მივიჩნიოთ.  
ერთი კია, სახელი ლევი იმდენად უცხოდ გამოიყურება სპარსული სა-  
ხელების მოჯარებაში, რომ მის შესახებ ეჭვის გაჩენა სრულიად ბუნებრივი  
ჩანს.

რაც შეეხება წარწერის თარიღს, ის განხილული იქნება სხვა წარ-  
წერებთან ერთად ცალკე, რამდენადაც ისინი აღმოჩენილია ერთად და  
დამათარილებელი დასკვნები ყველას ერთად მიუდგება.

წარწერა № 3 აღმოჩნდა 1987 წლის 10 აგვისტოს, „ნაგებების“ მარნის  
ტერიტორიაზე, №1 საწნახელის დასავლეთ კედელში, სამხრეთის კედლიდან  
95 სმ. დაცილებით. წარწერა ამოკანრულია ქვიშაქვისაგან გამოთლილ  
მოგრძო სტელაზე, რომელიც გამოყენებული ყოფილა საწნახელის მშენებ-

<sup>1</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 83.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 64.

<sup>3</sup> Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1965. გვ. 61, 62.

ლობისას, არაპირდაპირი დანიშნულებით, მანამდე ის საფლავზე იდგმებოდა. სტელა სწორკუთხა ფორმისაა, სიგრძე 65 სმ; შუაში სიგანე 22 სმ; სისქე 10 სმ. ქვას ზედა ნაწილი მოტეხილი აქვს. აღმოჩნდა იქ სადაც წარწერიანი ქვა 2.

წარწერა მოთავსებულია სტელის ზედა კიდეში, ორ სტრიქონში. ასოების სიგრძე მერყეობს 2-3 სმ. შორის. პირველ სტრიქონში ექვსი ასოა სრულად წარმოდგენილი და ერთი ასოს ქვედა რკალური ნაწილი, რომლის აღდგენა შეიძლება როგორც Ⴀ (ა), მეორე სტრიქონშია ხუთი ასო:

პირველი სტრიქონი: ԹԸԳ ԸԳԶԸ[ს]

მეორე სტრიქონი: ԼԸԶԻ

პირველი სტრიქონის ბოლო ასო „ა“ შეივსო (Ⴀ) და მოტეხილ ნაწილში აღვადგინე „ს“ (ს). წარწერა იკითხება: თობულა[ს] სამნი (სურ. 15, 16).

ამ ორი სიტყვისაგან წარწერაში პირველია საკუთარი სახელი „თობულა“, მეორე კი რაოდენობის აღმნიშვნელი „სამნი“. წარწერის და სტელის ფორმა გვაპარაუდებინებს, რომ საქმე უნდა გვექონდეს საფლავზე აღმართულ სტელასთან, სადაც მოხსენიებულია ვინმე თობულას სამი მიცვალებული.

წარწერის ასოების გამოსახვა ტიპიური მრგვლოვანია და განსხვავდება № 2 წარწერის კუთხოვანი ასოებისაგან.

წარწერაში გამოყენებულია 10 ქართული ასო: ა, ბ, თ, ი, ლ, მ, ნ, ო, ვ.

წარწერის გაშიფვრისას გაჩნდა ეჭვი, ხომ არ შეიძლება „სამნის“ ნაცვლად წავიკითხოთ „სამანი“ და საქმე გვექონდეს მიჯნის აღმნიშვნელ წარწერასთან. ასეთი აზრის მიღება გაუმართლებელია — აშკარად არის აღნიშნული სამნი, რაც სამ ადამიანზე მიგვანიშნებს. ასევე სავარაუდოა, რომ ნაგულისხმევი უნდა იყოს სამი ჩვილი ბავშვი, რომელთაც სახელებიც კი არ ჰქონიათ შერქმეული.

მეტად საინტერესოა წარწერაში აღნიშნული საკუთარი სახელი „თობულა“. ის წარმომავლობით შეიძლება ბიბლიურ „თობალს“ დავუკავშიროთ, ყოველ შემთხვევაში სახელთა მსგავსების დონეზე მაინც. ორი მაგალითი:

„ძენი იაფეთისნი: გამერ, მოგოგ, მადაი, ოვიგან, ელისან, თობელ, მოსოქ, და თირას (ნეშტთა, I, 1, 5).

„...თობალ და იყო კუერით ხუროჲ, მჭედელი რვალისა და რკინისა...“ (დაბადება, I, 22).

ს. ჯანაშიას ასურული წყაროების თაბალოს და ბიბლიურ თუბალსა თუ თობელს აკავშირებდა მცირე აზიის შიდა ოლქების სატომო სახელებთან და მათში ერთი და იმავე ხალხს გულისხმობდა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, „შრომები“, III, თბ., 1959, გვ. 63, 69.



ზემოთ აღნიშნული ბიბლიური სახელი „თობელი“ ძველი დროიდანვე იქცა განსჯის საგნად და მისი ახსნაც არის ცნობილი, კერძოდ, იგი გაიგივებულია იბერებთან. იოსებ ფლავიოსი I საუკუნის ავტორი, აღნიშნავდა: „თობელმა დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ“.<sup>1</sup> უფრო მოგვიანებით, თეოდორიტე კვირელი, V ს-ის ავტორი, განმარტავდა: უწოდებენ „მოსოხ-კაბადოკიელებს და თობელ-იბერებს“.<sup>2</sup> ტექსტის მთარგმნელის და კომენტატორის ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით: „თობელ უდრის „იბერებს““.<sup>3</sup>

ამგვარად, თუკი შესაძლებელია წარწერის თობულას წარმომავლობით ბიბლიურ თობელ-თუბალთან დაკავშირება, ბიბლიურ სახელსა და იბერებს შორის იგივეობის გატარება, ნეკრესის წარწერის თობულა რეალური დასაბუთება იქნება, ამ სახელის მატარებელი პირების იბერებთან დასაკავშირებლად. ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევა ქართულ გარემოში უძველესი ქართული სახელის დაფიქსირებისა. ასე განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშვნა იმ აზრით დავაპირე, რომ ჩვენი წყაროების მონაცემებით, არც ერთი სახელი ძველი ისტორიიდან ქართული ლექსიკით არ იხსნება, სამაგალითოდ შეიძლება „მოქცევის“ წარმართ ქართველ მეფეთა სახელებს გადავავლოთ თვალი, ოცდარვა სახელიდან თითქმის ყველა სპარსული წარმოშობისაა. ზოგი მითრას კულტთან არის დაკავშირებული (მირვან, მირიან, მირდატ...), ზოგი ცეცხლის კულტთან (ფარსმან, ამ სახელით ოთხი მეფეა ცნობილი), ზოგი აპურა-მაზდასთან (ფარნავაზი) და სხვ. წარმართობის შემდგომაც არ ჩანს ცვლილება და ასეთ ვითარებაში ისეთი სახელის გამოჩენა, რომელიც ქართულ ფენომენტთან, კერძოდ, იბერებთან იქნება დაკავშირებული, ვფიქრობ ღირსია განსაკუთრებული აღნიშვნისა.

წარწერა № 4 აღმოჩნდა 1987 წლის 12 აგვისტოს, ნამარნალში, №2 სანნახელის გვერდით, ქვების გროვაში. ის სავარაუდოდ, სანნახელის კედელში იქნებოდა ჩაშენებული მეორადი გამოყენებით. წარწერა ქვიშაქვის სწორკუთხა ფილაზე ყოფილა ამოჭრილი. ბოლო მოტეხილი აქვს. შემორჩენილი ნაწილის სიგრძეა 35 სმ; სიგანე 19 სმ; სისქე 8 სმ. ქვის ზედაპირი შიგადაშიგ აქერცლილია, წარწერის ძირითადი ნაწილი გადაშლილია, მეტად მკრთალად ჩანს ორი სტრიქონი (სურ. 17, 18).

პირველ სტრიქონში რამდენიმე ასოს გარჩევა ხერხდება მხოლოდ, დასაწყისში იკითხება ს7-სი და სტრიქონის გაგრძელებაზე კიდევ ორი ასო

<sup>1</sup> იოსებ ფლავიოსი, თობელები, მესხები, „გეორგია“, I, 1961, გვ. 271.

<sup>2</sup> თეოდორიტე კვირელი, მოსოხი, თობელი, „გეორგია“, I, გვ. 221, 222.

<sup>3</sup> იქვე.

გაირჩევა 7Q-ეო. აზრის გამოტანა ვერ ხერხდება.

მეორე სტრიქონიც დაზიანებულია თუმცა წაკითხვა მოხერხდა:

ⲁⲘⲟⲩⲟⲣⲓⲛⲓ — იოთორისი

როგორც ჩანს, აღნიშნული ფილა, როგორც სხვა წარწერიანი ქვები, ზევით რომ განვიხილეთ, საფლავზე დებულა, ზედ დაკრძალულის სახელი ყოფილა ამოჭრილი — „იოთორი“. ასოები მრგვლოვანია, ისეთი გარეგნობისა, როგორიცაა 3 წარწერის ასოები.

წარწერაში გამოყენებულია ქართული ანბანის შვიდი ასო: თ, ე, ი, ა, ო, რ, ს.

საკუთარი სახელი „იოთორი“ ქართულ წყაროებში არ არის ნახსენები. ის მხოლოდ ბიბლიის მიხედვით არის ცნობილი. ამ სახელს ატარებდა ბიბლიური მოსეს სიმამრი:

„წარმოვიდა მოსე და მიიქცა იოთორისა სიმამრისა თვისისათა“ (გამოსვლათა, 4, 18).

„და მოსე მწყსიდა ცხოვართა იოთორ სიმამრისა თვისისათა“ (გამოსვლათა, 3, 1).

ის ამბავი, რომ ანალოგიური სახელი ქართულ სინამდვილეში არ გვხვდება და ის ნაცნობია ჩვენთვის ბიბლიის ტექსტების მიხედვით, გვავარაუდებინებს სახელის შემოსვლას გარე სამყაროდან, უშუალო კონტაქტებით ებრაულ სამყაროსთან ან ლტოლვილ ებრაელთა გავლენით. „ბიბლიის“ გზით შემოსვლა გამოსარიცხია, რამდენადაც ასეთი ადრეული პერიოდისათვის მისი ქართული თარგმანი არ არსებობდა. ერთი კი ჩანს ლეონტი მროველის ცნობებზე დაყრდნობით: საქართველოში საკმაოდ კარგად ყოფილან ინფორმირებული მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პერიპეტეების შესახებ და საკუთარი პოზიციაც 3ქონიათ ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ამის გამო იყო, რომ ნაბუქოდონოსორისაგან დევნილ ებრაელთა ტალღისათვის ქართველობას ზურგი არ უქცევია და თავის კერაზე დასახლების უფლება მიუციათ. უფრო ადრეულ ამბებთან დაკავშირებით, ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „...მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე განვლო ზღვა ისრაელთა, და იზრდებიან იგინი უდაბნოს მანანათა“.<sup>1</sup> ასე თანდათან, ჯერ შორიდან ინფორმაციით და შემდეგ კი უშუალოდ შეხვედრით, მზადდებოდა ნიადაგი საქართველოში ებრაელთა დასახლებების აღმოცენებისათვის. მათი ნამოსახლარების — ურიათუბნების და ნაურლების სიმრავლე საქართველოს სხვადასხვა ნაწილში უფლებას გვაძლევს აღნიშნული სახელის გაჩენა ჩვენში, მოულოდნელობის სფეროს არ მივაკუთვნოთ.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 14.





ბრტყელი ზედაპირის ნახევარზე მეტი. ზედა ნაწილი 22 X 17 სმ. თავისუფალია, არ არის გამოყენებული. წარწერა ასომთავრულით არის შესრულებული, ასოები მკაფიოდ არის გამოყვანილი ქრით:

1. ႠႠႠႠႠႠ
2. ႠႠႠႠႠႠ
3. ႠႠႠႠႠႠ
4. ႠႠႠႠႠႠ
5. ႠႠႠႠႠႠ (ႠႠ)
6. ႠႠႠႠႠႠ

მეექვსე სტრიქონის „ბ“-სა და „ი“-ს ქვევით, ჰორიზონტული ხაზია. არის რომელიმე ასოს ნაწილი თუ დამოუკიდებელი ნაკანრი ვერ ირკვევა. მეექვსე სტრიქონის ბოლოს კარგად ჩანს „ჩ“ (ჩ) და ჰორიზონტული მოკლე ხაზი, რომელიც ვფიქრობ, შეიძლება აღდგეს როგორც „წ“ (ი). სრულად იქნება ჩწ (ჩი) (სურ. 22).

ტექსტი იკითხება დაუბრკოლებლივ, სირთულეა მხოლოდ მესამე სტრიქონის სახელის ნაკითხვაში. ტექსტში ორი პირია მოხსენიებული. მესამე სტრიქონშია „ნოში“ მამაკაცის სახელი და მეოთხეში კი ქალის სახელი. სახელის ამოკითხვაც გაძნელებულია მესამე ასო-ნიშნის გაურკვევლობის გამო. თუ ის უნდა ნავიკითხოთ როგორც „წ“, მაშინ სახელი გამოდის „ბაია“. თუ ნავიკითხავთ როგორც „წ“, მაშინ იქნება „ბავა“. არც ერთი ვარიანტის სასარგებლოდ არ შეიძლება საკითხის გადაწყვეტა, რადგანაც ამავე წარწერაში „წ“ ექვსჯერაა გამოყენებული ჩვეულებრივ მისთვის დამახასიათებელი ფორმით, ისევე როგორც „წ“ არის ორგან გამოყენებული. ისე რომ, არც ერთი ვარიანტი არ შეიძლება მივიღოთ. დამწერმა შესანიშნავად იცის რასაც წერდა — ის ქართული ანბანისათვის უცნობი გრაფიკული გამოსახულებაა, რომელსაც სხვა ბგერითი შესატყვისი გააჩნდა. მსგავსი გამოსახულების ასო ჩემთვის ცნობილია რუსთავიდან, კერძოდ, ეს არის წიგნის დანართის №1 წარწერის ბოლო სტრიქონის ოთხი ასოდან პირველი და მესამე გრაფემა, რომელიც ვერ იკითხება. პროფ. ზაზა ალექსიძესთან კონსულტაციით გაირკვა, რომ ეს არის ალბანური დამწერლობის „ვიე“ — კ. აქედან გამომდინარე სახელი შეიძლება ნავიკითხოთ „ბაკასი“ მთლიანად ტექსტი კი ასეთნაირ სახეს მიიღებს: „ესე საფლავი ნოშისი და ბაკასი ნუმცავის ხელე(წი)ფების ჩი“.

ტექტის ასოები ამოკვეთილია თითქმის თანაბარ სიმაღლეზე 3,5-4,5 სმ. შორის, კვეთის სიმაღლეა 1 მმ. წარწერის მიხედვით, ქვა საფლავზე აღსამართავად ყოფილა გამიზნული, სადაც ორი მიცვალებული ჩანს



დაკრძალული, აღნიშნულია მათი სახელები: ნოში და ბავა, ორივე უცნობი სახელია და რამდენადაც წყვილადი სამარხები, როგორც არქეოლოგიური გათხრებიდან არის ცნობილი ქალისა და კაცის, მეუღლეების განსასვენებელს წარმოადგენს ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე. არის თუ არა ტექსტი ნაკლული, ვერ ირკვევა. ბოლოში „ჩი“, ანალოგების მიხედვით ტექსტის ჩამკეცია, ასრულებს აზრს, დასტურს იძლევა. ამ მნიშვნელობით არის ბოლო ორი ნიშნით შედგენილი კონსტრუქცია, სადაც პირველი „ჩი“, მსგავსად №1 წარწერისა, დაკრძალულთა რელიგიურ კონფესიას აღნიშნავს (მთვარის კულტის მალიარებელი) მეორე „ი“ კი დასტურია — „იყავნ“. ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ წარწერის გაშიფვრა და ბოლოს კი დასტური, უცილობლად გვაძლევს უფლებას წარწერა დასრულებულად ჩავთვალოთ, ტექსტის ბოლო სიტყვა „ხელენიფების“ თითქოს მოითხოვს განვრცობას, ალბათ ასე: „ნუმცავის ხელენიფების“ — არავის აქვს უფლებაო, მაგრამ რის უფლებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? იქნება ანალოგიურია ნეკრესის № 8 წარწერისა, სადაც აღნიშნულია „ნუმცავინ ხრევს“-ო, არავინ აურიოს, არავინ ნაბილნოს საფლავიო. არ გამოვრიცხავ ასეთ შესაძლებლობას, თუმცა არც ისაა უარსაყოფი, რომ ტექსტი მაინც სრულყოფილად შეიძლება მივიჩნიოთ — ამ საფლავზე, რომელიც ნოშის და ბავას ეკუთვნის, არავის ხელენიფებაო, არავის არ აქვს უფლება ამ საფლავზეო. სხვათა შორის, მეტად საინტერესოა და ძველიც, გამოთქმა „ხელენიფების“. სახარების ქართულ თარგმანშია — „ვერვის ხელ-ენიფების ორთა უფალთა მონებად“... (მათე 6, 24). „ვერვის ხელ-ენიფების“ (არ შეუძლია, არ შეიძლება, ქართული ოთხთავის სიმფონის ლექსიკონი).

წარწერა მეტად მნიშვნელოვანია და ბევრი სიახლე ახლავს თან. პალეოგრაფიულად რამდენიმე მომენტი იქცევს ყურადღებას. „ო“ ორჯერ გვხვდება და ორივეჯერ ბოლოგახსნილია, თანაც ისე, რომ ბოლოები აქვს მოკაუჭებული, სრულიად აშკარად ბერძნული ომეგას სახე აქვს მიცემული. ეს განსაკუთრებული გრაფიკული მონახაზი აშკარად მიუთითებს ბერძნულ პროტოტიპზე. ასევე „ღ“ თავგახსნილია და რაც მთავარია კუთხოვნობით გამოირჩევა. „ჟ“-ის გამოსახვაში ვერტიკალური ხაზების შემაერთებელი ჰორიზონტული მონაკვეთი არ არის. ის ერთადერთია ნეკრესის წარწერებში. ორგან, მესამე და მეხუთე სტრიქონში „ც“-ს და „ხ“-ს ჰორიზონტული ნაწილი გადაკვეთილია მოკლე ხაზით.

„ა“ ექვსჯერ გვხვდება წარწერაში, „ლ“ ორჯერ, დამატებითი შტრიხი მხოლოდ თითო მათგანს აქვს, რამაც დამაეჭვა, შესაძლებელი ხომ არ არის ბგერების წარმოთქმის რომელიღაც ვარიანტი დავუშვათ — მოკლე ან

გრძელი წარმოთქმით. ასეთი ეჭვი გამიჩნდა იმავე წარწერაში „ო“-ს შესახებაც. მეორე სტრიქონის „ო“-ს წრე ქვევით განყვეტილია და მხოლოდ მარჯვენა ნაწილია მოკაუჭებული. მეოთხე სტრიქონის „ო“-ს ორივე ნაწილი აქვს კაუჭებით. იქნებ აქაც პირდაპირი ასახვაა ბერძნული მოკლე და გრძელი ბგერისა (!).

წარწერა წინარე ქრისტიანული ხანისაა, რაც შეიძლება დამტკიცდეს სხვადასხვა მონაცემებით. ის IV ს-ით დათარიღებული საწნახელის მშენებლობაში ყოფილა გამოყენებული, არა აქვს ქრისტიანული ხანის წარწერებისათვის დამახასიათებელი ნიშნები — ამ პერიოდში არც ერთი წარწერა არ შემქნილა, რომელიც ქრისტეს ხსენებით არ იწყებოდეს (ქ), ან არ იყოს მიმართვა „ქრისტე“, „უფალო“, „ღმერთო“. წარწერას ეს არ ახლავს თან. წარწერის ქრისტიანული ხანისადმი მიკუთვნება შეუძლებელია დაკრძალვის რიტუალის მიხედვითაც: ქრისტიანული დაკრძალვის წესმა არ იცის წყვილადი დასაფლავების შემთხვევა, ეს გამორიცხული იყო, რადგანაც ამ დროს, იმ იშვიათი გამონაკლისის გარდა, როდესაც მეუღლეები ერთდროულად იხოცებოდნენ, ყოველთვის იგულისხმებოდა გარდაცვლილი ქმრის გვერდით ცოლის ძალდატანებითი სიკვდილი. ეს კი ქრისტიანობის წესით გამორიცხული იყო. წარწერიანი საფლავის ქვა საწნახელის კედელში მოხვდა (მას ემჩნევა კირ-დულაბის კვალი) მას შემდეგ, რაც ხელყოფილი იქნა საფლავი, ეპიტაფია კი დამტვრეული და ჩაშენებული კედელში.



## წარწერა ქვევრის პირზე

წარწერა № 6. ნეკრესის „ნაგებების“ უბანზე 1986-87 წლებში ჩატარებული საველე სამუშაოების დროს მარნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვაზე შესრულებული ექვსი წარწერის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. იქვე, ნაშალ ფენაში დადასტურებული იყო ქვევრის პირის ნატეხი, ზედ შემორჩენილი ქართული ასოებით. დიდი ხარვეზის შემდეგ, მარნის ტერიტორიაზე 1996 წელს კვლავ განახლდა სამუშაო, უშუალოდ ნაქვევრალი ადგილების შესამოწმებლად, სადაც აღმოჩნდა ქვევრის პირის კიდევ ერთი ნატეხი, რომელიც შეუერთდა ადრე აღმოჩენილს და წარწერის შესახებ მეტი ინფორმაცია გაგვაჩნია, თუმცა არა სრული (სურ. 23). აღმოჩენების ქრონოლოგიური ფენის განსაზღვრა, მათი სხვადასხვა ადგილზე დაფიქსირების გამო ვერ მოხერხდა.

ქვევრის კედლები მონითალო-მოყავისფრო ყოფილა, უხეში ნამუშევარი და ვერც კარგი გამოწვით გამოირჩევა. შიდა ნაწილი ჩამომტვრეულია, კეცის სისქე არ იზომება, პირის სიგანეა 9 სმ. ასოები ამოკანრულია სველ თიხაზე, გამოწვამდე. ასოების სიმაღლე მერყეობს 1,5-2,0 სმ. შორის, განლაგებულია ორ რიგად.

პირველი რიგი: **ჰჲ ႦႧ ႩႪ ႫႬ** მბ ესე ჭ(უ)ური მე

მეორე რიგი: **ႮႱႲႳ** დავრგე

წაკითხვა: ესე ჭური მე... დავრგე (სურ. 24).

წარწერა იწყება ორი დაქარაგმებული ასოთი (ჰჲ). „მე“-ს შემდეგ კიდევ არის ერთი ასონიშნის ქვედა რკალი, დანარჩენი მოტეხილია. „მე“-ს შემდეგ შეიძლება ვიგულისხმოთ დამწერის სახელი — „ესე ჭური მე...“ მეორე რიგის „დავრგე“ მოქმედებას გამოხატავს. წარწერა, ალბათ, აქ არ უნდა შეწყვეტილიყო, იქნებოდა აღნიშნული რა მიზნით „დაირგო“ ჭური.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, ორიგინალურსა თუ თარგმნილში, ჭური, როგორც საღვინე ჭურჭელი არ ფიგურირებს. „შუშანიკის წამებაში“, ასევე „ბიბლიის“ თარგმანებში „ჭურჭელი“ და „ჭურჭერია“. გვხვდება კი „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში“, „ნინოს ცხოვრების“ ტექსტში და „სახარების“ ქართულ თარგმანში (საქმე, 9, 15).

ნეკრესის წარწერაში ნახსენები „ჭური“, როგორც საღვინე ჭურჭელი, შესაძლოა უძველესი იყოს ამ სახის ტერმინთა შორის, რომლიდანაც ჩანს განვითარებული „ჭურჭელი“ და „ჭურჭერი“.

საყურადღებოა, რომ ნეკრესის რეგიონში და საერთოდ კახეთში, მინაში ჩაფლული ღვინის ჭურჭლის სახელად „ჭური“ დღეს არ იხმარება, ყველგან „ქვევრია“ გავრცელებული. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ წარწერიანი ქვევრის პირი დადასტურებული გვაქვს ურბნისის ნაქალაქარის გათხრებისას IV-V სს. მარნის ფენაში, რომელზედაც ლიგატურით სამი ქართული ასოა უქარაგმოდ გამოსახული — „ქქე“.<sup>1</sup> სავარაუდო წაკითხვაა „ქრისტეს ჭური ესე“.

მეტად საინტერესოა წარწერაში მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა „დავრგე“. ეს სიტყვა იმავე რეგიონში ასეთ კონტექსტში არ იხმარება. თანამედროვე მეტყველებისათვის ბუნებრივი არ არის ჭურის „დარგვა“. ჩვეულებრივ ამბობენ — „ქვევრი ჩავდგი“, „ქვევრი ჩავაგდე“. „დარგვა“ მხოლოდ მცენარეებზე ითქმის. როგორც ჩანს, „ჭურის დარგვა“ ადრინდელი მეტყველების ნორმებს შეესაბამება.

დიდად სამწუხაროა, რომ მხოლოდ წარწერის ფრაგმენტიღა შემოგვრჩა და სრული ინფორმაციის მიღებას მისგან ვერ შევძლებთ. საველე სამუშაოების განხორციელებისას, კარგად არის დაფიქსირებული ამ უბნის ტრაგიკული ბოლო, როგორი სისასტიკით იყო მარანი განადგურებული — ქვევრები საგულდაგულოდ იყო ჩალენილი, შიგ ეყარა დიდრონი ქვები. აი, ამ ნამტვრევებში იყო დადასტურებული წარწერიანი ქვევრის პირის მეორე ნატეხი.

მიუხედავად წარწერის ფრაგმენტულობისა, მისი მნიშვნელობა ძალზე დიდია და ეს ითქმის არა მხოლოდ იქ აღნიშნული ტერმინების გამო — მასში დიდი ინფორმაციაა ჩადებული ქართული დამწერლობის განვითარების ერთი უძველესი ეტაპის გამოსაჩენად და წინაქრისტიანული რელიგიური მრწამსის დასადგენად. ყოველივე ეს დაკავშირებულია წარწერის დასაწყისში ორი დაქარაგმებული ქართული ასოს შ (შ) და ჳ (ზ) ქარაგმის გახსნაზე და გაშიფვრაზე. აქ არის გასაღები მთლიანად წარწერის განმარტებისათვის.

ქრისტიანობის გავრცელებისთანავე წარწერებისათვის შემუშავებული იყო აუცილებელი და დაკანონებული ტრაფარეტი, რომლის გარეშეც არ შექმნილა არც ერთი ტექსტი. ადრე გვქონდა საუბარი ამის შესახებ და აქაც შევჩერდებით, რამდენადაც წარწერის გახსნა სხვანაირად შეუძლებელია. ყველა წარწერა იწყებოდა ქრისტეს სახელის პირველი ასოთი (ქ), ამასთანავე, აუცილებელი იყო ტექსტის დაწყება ვედრებით — „უფალო“, „ღმერთო“, „ქრისტე“ და ა.შ. ამ დადგენილ-დაკანონებული ფორმულის გარეშე არც ერთი წარწერა არ არის ცნობილი. ეს რაც შეეხება წარწერებს, თორემ ცხოვრებისეული ყველა მოქმედება ხომ ქრისტეს სახელით იწყებოდა.

<sup>1</sup> ლ. ქილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 115, ტაბ. XLIII, 3.



განსახილველი წარწერის ქარაგმა აღნიშნული სტანდარტებით ვერ აიხსნება. ის ვერ თავსდება ქრისტიანული ხანისათვის დამახასიათებელი ტექსტობრივი განყოფილების კანონიკურ ფარგლებში. მთელი რიგი არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემების მიხედვით, მისი განმარტება საჭიროა ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრებამდე არსებულ რელიგიურ სივრცეში არსებული წესით.

რა მონაცემებს შეიძლება დავეყრდნობთ?

თუ თვალს გადავაავლებთ მაზდეანური რელიგიის აღმსარებლობისას დაფუძნებულ კრიტერიუმებს, ვნახავთ, რომ მსგავსად ქრისტიანული ცხოვრებით დაკანონებული წესებისა, იქაც საკმაოდ ძლიერი შტამში იგრძნობა რელიგიურ-იდეოლოგიური კანონიკისა. წარწერების შექმნისას ჩამოყალიბებულია გარკვეული წესი, რომლის დაცვაც სავალდებულო ყოფილა. ასეთი წესი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ირანის აქემენიანი მეფეების დროს დამკვიდრებულა.

ცნობილია, რომ პირველი აქემენიანი მეფეები ტოლერანტობას იჩენდნენ სხვა რელიგიების მიმართ და უზარმაზარი იმპერიის ტერიტორიაზე, მათი მიმდევრები ამ მხრივ უშფოთველად გრძნობდნენ თავს. სურათი მკვეთრად იცვლება ქსერქსეს დროს (486-465). პერსეპოლის წარწერის პირველივე სტრიქონით, ის იმპერატიული ფორმით აცხადებს: „ბაგა ვაზრაკა აჰურამაზდა“—აჰურამაზდა უზენაესი ღმერთიაო.<sup>1</sup> აი ასე იწყება მაზდეანური ფორმულა, რომელმაც თითქმის დაკანონებული სახე მიიღო განსაკუთრებით სასანიანთა მმართველობის დროს.

ნახში-რუსტამის რელიეფის არდაშირ I-ის (227-240) წარწერა: „ეს არის გამოსახულება მაზდას თაყვანისმცემელი უფლისა არდაშირისა, მეფეთა-მეფისა, წარმოშობილი ღმერთებისაგან, მეფე პაპაკის ვაჟისა“...<sup>2</sup>

ნახში რაჯაბის რელიეფზე შაპურ I-ის (240-272) წარწერა: „ეს არის გამოსახულება მაზდას თაყვანისმცემელი შაპურისა, ირანისა და არაირანის მეფეთა-მეფისა, წარმოშობილი ღმერთებისაგან, ვაჟი მაზდას თაყვანისმცემელი, უფალი არდაშირისა, ირანის და არაირანის მეფეთა-მეფისა“...<sup>3</sup>

ნერსეს (293-302) წარწერა რელიეფზე ბიშაპურში: „ეს არის გამოსახულება მაზდას თაყვანისმცემელი უფალ ნერსესი, ირანის და არაირანის მეფეთა-მეფისა, წარმოშობილი ღმერთებისაგან, ვაჟი აჰურა-მაზდას თაყვანისმცემელი შაპურისა“...<sup>4</sup>

ნერსეს პაიკულის წარწერა: „მე მაზდას თაყვანისმცემელი უფალი

<sup>1</sup> A. Shapur Shahbazi, Persepolis Illustrated, Tehran, 1976, გვ. 48.

<sup>2</sup> L. Vanden Berghe, Archaeologie de l'Iran ancien, Leiden, 1959, გვ. 28.

<sup>3</sup> R.Ghirshman, Parthes et Sassanides, Paris, 1962, გვ.113, fig. 168.

<sup>4</sup> R.Ghirshman, Parthes et Sassanides, Paris, 1962, გვ. 166, fig. 211.

ნერსე... ვაჟი მაზდას თაყვანისმცემელი შაპურისა“...<sup>1</sup>

ანალოგიური ფორმულებია მოცემული სასანიანი მეფეების სახელით მოჭრილ მონეტებზეც.<sup>2</sup>

დასკვნა ერთადერთი შეიძლება გაკეთდეს: მსგავსად ქრისტიანობის ხანის წარწერებისა, მაზდეანობის დროსაც ჩამოყალიბებულა მიმართვის ფორმულა, რომლის აღნიშვნაც სავალდებულოა.

დავუბრუნდეთ ჩვენ წარწერას. ქარაგმის ქვეშ მოთავსებული ორი ასო (მ-ბ) ორი სიტყვის შემოკლება უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ წინა-ქრისტიანული ხანის ნეკრესის ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტის აღმსარებლობას, წარწერის ადრესატად შეიძლება ვაღიაროთ მითრა, აჰურამაზდას პოპულარული იაზატი (უახლოესი დამხმარე), რომელიც ასევე გავლენიანი ჩანს საქართველოში და კერძოდ ნეკრესში.<sup>3</sup> ქარაგმის პირველი ასო (მ) შეიძლება აღნიშნავდეს მაზდას, მითრას, ასევე მზეს. მითრას და მზის ღვთაებრივი იგივეობა კარგადაა ცნობილი. საბა ორბელიანმაც იცის, რომ მითრა „ძველი სპარსულის ენით მზეა“. რაც შეეხება მეორე ნაწილს (ბ), ის უნდა აღნიშნავდეს ძველ სპარსულ ბაგა-ს (ღმერთი), მიმართვაში „უფალო“.<sup>4</sup> მაშასადამე, დაქარაგმებული მ-ბ უნდა ნავიკითხოთ: „მითრა ბაგა“, ან „მაზდაბაგა“, ქართულად „მზეო უფალო“. წარწერა უნდა გაიშიფროს: „მითრა ბაგა (მზეო უფალო) ესე ჭური მე (სახელი) დავრგე“... დაკარგულ ნაწილში იქნებოდა, რა მიზნით დაირგო ჭური, ეს უდავოდ მიძღვნილი ხასიათის წარწერაა, რომელიც სადღესასწაულო რიტუალთან დაკავშირებით. შესაძლოა ქვევრში ზედაშის ღვინო ინახებოდა.

ძველსპარსული სირტყვა „ბაგა“ (ღმერთი) ქართულ წყაროებში არ ჩანს. გვხვდება და საკმაოდ ხშირადაც, „ბაგინი“, რომლის პირველადი ფორმაა ბაგ.<sup>5</sup> „ბაგინი“ განმარტებულია, როგორც „კერპთა ტაძარი“, „ბომონი“, „სამსხვერპლო“. ვარაუდობენ, რომ ძველირანული ტერმინი მიდიურიდან ყოფილა ნასესხები.<sup>6</sup> „ბაგინი“ გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში და

<sup>1</sup> В. Луконин, древний и ранне-средневековый Иран, 1987, გვ. 163-170.

<sup>2</sup> В. Луконин, Культура Сасанидского Ирана, М., 1969, გვ. 163-185.

<sup>3</sup> მითრას კულტის შესახებ საქართველოში, იხ. ს. მაკალათია, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, სს მუზეუმის მოამბე, III, 1927; კ. კეკელიძე, ქრისტიანიზმი და მითრაიზმი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945. ნეკრესში მითრას კულტთან დაკავშირებით იხ. ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000.

<sup>4</sup> „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი“, ფალაურიდან თარგმნა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თეო ჩხეიძემ, თბ., 1975, გვ. 82.

<sup>5</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, თბ., გვ. 28.

<sup>6</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, თბ., გვ. 225.



დადასტურებულია ტოპონიმიკაშიც. გავიხსენოთ, მაგალითად, მცხეთის ბაგინეთი. „ბაგინი“ არის ადგილის სახელი ნეკრესთან ახლოსვე, მდინარე ჩელთის ზემო წელში, აქ, შენობის ნანგრევები და ზღუდის ნაწილიც არის დაფიქსირებული.<sup>1</sup>

თუ ზემოთ შემოთავაზებული ვარაუდი მისაღებია, საქმე გვექნება წინაქრისტიანული ხანის რელიგიური ფორმულის აღდგენასთან და თვით წარწერის მიკუთვნება წინაქრისტიანული ხანისადმი საკამათო არ შეიძლება იყოს.

ნეკრესის წარწერიანი ქვევრის პირის დაკავშირება მითრასთან არ შეიძლება მოულოდნელ ფაქტად ჩავთვალოთ, მითრა დაკავშირებული ჩანს ღვინოსთან და ყურძნის კულტთან. ცნობილია ერთი გამოსახულება, რომელიც მითრას დაბადებისადმი მიძღვნილი — მითრა ამოდის კლდიდან და მარჯვენა ხელში უჭირავს ყურძნის მტევანი.<sup>2</sup> ერთ-ერთ კამეაზე მოცემული გამოსახულების მიხედვით კი, რომელზედაც მითრას კლდიდან დაბადებაა გამოსახული, სხვადასხვა სიმბოლოებთან ერთად გამოსახულია თასი და პური.<sup>3</sup> ეს შესაძლებელია ჩაითვალოს წყაროდ პურისა და ღვინის ქრისტესმიერი ზიარების დასაფუძნებლად.

ამავე კონტექსტში უაღრესად საინტერესოა გავიხსენოთ მევენახეობასთან დაკავშირებული კულტი აგუნა, რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოშია შემორჩენილი, განსაკუთრებით კი გურიაში. ყურძნისა და ღვინის ღესასნაული გამორჩევით პოპულარული იყო საქართველოში უძველესი დროიდან და აგუნაც სწორედ ასეთი დატვირთვით გამოირჩევა. ის, როგორც მიაჩნიათ, ყურძნის ღვთაების საახალწლო რიტუალია, რომლის ერთი ნაწილი მარანში მიმდინარეობს. ქვევრთან მიაქვთ მოხარშული ღორის თავი, რომელსაც ურტყამენ და რაღაც ტექსტს ეუბნებიან (არ არის დაფიქსირებული).

რიტუალი საშობაოდ, ე.ი. 25 დეკემბრისთვის იყო განკუთვნილი, რომელიც მითრას დაბადების დღე იყო და სწორედ ამ დროს იწყებოდა ღორების დაკვლა მთელ საქართველოში. ღორების შეწირვა შობის დღეს (იგივე მითრას დღეს) ყველაზე კარგად ნეკრესობას არის შემორჩენილი. დღეობა, როგორც ჩანს, მითრას კულტთან ერთად არის შემოსული და საქართველოში ყველაზე პოპულარულ ყურძნისა და ღვინის დღეობასთან არის შერწყმული აგუნას სახელით. სხვათა შორის, აგუნას მეორე სახელია ანგურა, რაც სპარსულად ყურძენს ნიშნავს.

ვფიქრობ, აღნიშნული კარგად ეხმაურება მითრასადმი მიძღვნილს ქვევრის წარწერას, მაიცადამაინც ნეკრესში დაფიქსირებულს, რომელიც

<sup>1</sup> ლ. ქილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968, თბ., გვ. 64.

<sup>2</sup> Fr.Cumon, The mysteries of Mithra, London, 1903, გვ. 131.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 124.

მითრას საკულტო ღმერთმსახურებით არის გამორჩეული.

მზის, და შესაბამისად, მითრას კულტის წინ წამოწევა ნეკრესის პირობებში კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ნეკრესის მიდამოები უძველესი დროიდანვე გამოირჩევა კულტების სიმრავლით — აქ დადასტურებულია ციური მნათობებისადმი მიძღვნილი სამლოცველო, ასევე მითრეუმი, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიად არის გადაკეთებული და მასშტაბური არქიტექტურული ძეგლი, მაზდეანური ტაძარი.<sup>1</sup> ასეთი ძეგლების გარემოცვით ამკარად იგრძნობა ძველი ქართული ქალაქის მოსახლეობაში წარმართული რწმენის მოქარბება, რაც გამხდარა რწმენის თაობაზე მძაფრი დაპირისპირების მიზეზი. „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება“ ამის შესანიშნავი დადასტურებაა. მატერიალური დასაბუთების ღირებულება გააჩნია ასევე ნეკრესში აღმოჩენილ წარწერებს, მათ შორის აქ განხილულ ქვევრის პირზე ფრაგმენტულად შემორჩენილ წარწერას — რელიგიური შუღლის უშუალო მსხვერპლს.<sup>2</sup>

ზევით, ერთგან მოვიხსენე ურბნისში აღმოჩენილი ქვევრის პირი ქართული ასოებით, რომელიც ქრისტიანობის დამკვიდრების ადრეულ პერიოდს განეკუთვნება (ქჭე). წარწერის „ქ“, უდავოა, ქრისტეს აღნიშნავს, ისევე როგორც სხვა ქვევრებზე აღნიშნული ჯვარი ეკლესიის საკუთრებაზე მიუთითებდა. სხვათა შორის, ეს ყველაფერი დადასტურებულია ურბნისის იმ მარანში, რომლის ქვედა ფენა ანტიკური, წინაქრისტიანული ხანისაა და ისიც საკულტო — ერთ ქვევრის პირზე არამეული სიტყვაცაა ამოჭრილი. ამკარად ჩანს რელიგიური მემკვიდრეობითობის ნაშთი იმ ადგილზე და იმ ჭურზე, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა რელიგიური მრწამსის გამტკიცებისათვის. აკი მესია შენიშნავდა:

„მოვედ შენ, რამეთუ მე ჭური რჩეული მიპოვნიეს, რაითაზე აქუნდეს სახელი ჩემი წინაში ყოველთა წარმართთა და მეფეთა და მთავართა, ძეთა ისრაელისათა“ (საქმე, 9, 15).

<sup>1</sup> ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, გვ. 44, 60.

<sup>2</sup> საგანგებოდ უნდა შევნიშნო, რომ დაქარაგმება, საერთოდ, ცალკეულ სიტყვებს შეეხებოდა, მაგრამ არის შემთხვევები, მსგავსად ქვევრის პირზე გამოსახული „მითრა ბაგასი“, როდესაც ქარაგმდება ერთი ქარაგმით ერთი ცნების გამომსახველი სიტყვები. ზოგ შემთხვევაში აბრევიატურას არ ახლავს ქარაგმა, ამის ნიშნია ურბნისში აღმოჩენილი ქვევრზე შემორჩენილი „ქჭე“. როგორც ცნობილია ქარაგმის ნიშანი სემიტურიდანაა შესული ბერძნულში და აქედან ქართულშიც. არაბულში არის ოთხსიტყვიანი წინადადება დაქარაგმებული ერთი ნიშნით: ეს იყო ფორმულა, რომელიც იხმარება მუჰამადის სახელის ხსენების შემდეგ (აღლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება მათ). წინამდებარე წარწერებშიც ვხვდებით ერთი და იმავე აბრევიატურის რამდენიმე შემთხვევას, როგორც დაქარაგმებელს, ისე ქარაგმის გარეშე.



ჭურზე ქრისტეს სახელის მოხსენიება უდიდესი ძალისმიერი მუხტია „ყოველთა წარმართთა“ და სხვათა მიმართ. ასეთივე მუხტი ჩანს ჩადებული ქრისტიანობის წინა ხანაშიც, რომლის ასახვა შესაძლებელია დავინახოთ ნეკრესის ქვევრის პირზე მოთავსებულ წარწერაში.

## უპოვით ადგილი წარწერები

წარწერა № 7. წარწერიანი ქვა ნაპოვნია 1999 წელს, ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, რომელსაც ჭაბუკაურს ეძახიან. ქვა იპოვნა ექსპედიციის მუშამ ბეჟან ხახუტაშვილმა, რომელსაც ექსპედიციისაგან ჰქონდა დავალებული ნაქალაქარის ტერიტორიაზე, მინისზედა ძეგლების შემონება-დაზვერვა. წარწერიანი ქვა ნაპოვნია იმ ადგილის მახლობლად, სადაც ექსპედიცია თხრის IV საუკუნის ეკლესიას. აღმოჩენის ადგილი ეკლესიიდან დაცილებულია დაახლოებით 150 მეტრზე, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ქვა ეგდო მინის ზედაპირზე, და როგორც ჩანს, წყლის დინების გამო იყო გამოჩენილი საურმე გზაზე. ექსპედიციამ ადგილზე ჩაატარა დაზვერვები, გაკეთდა რამდენიმე თხრილი, მაგრამ უშედეგოდ, ქვა წყლის მიერაა გამოჩენილი და ადგილგადაცვლებული. აღმოჩენის ადგილიდან, აღმოსავლეთით, ორასიოდე მეტრში სამაროვნის ნაწილი იქნა მიკვლეული, რომლის გათხრასაც ვარაუდობს ექსპედიცია მომავალში.

წარწერიანი ქვის სიგძეა 41,5 სმ; სიგანე 10-10,5 სმ; სისქე 5,5 სმ. თავი და ბოლო მოტეხილი აქვს. განსაკუთრებით დასანანია ზედა ნაწილის დაზიანება, რამდენადაც დაიკარგა წარწერის დასაწყისი ნაწილი. ასოების სიმაღლე მერყეობს 1,8-2,5 სმ. შორის, სიგანე 1,0-2,0 სმ. შორის. შემორჩენილია ორი დაზიანებული და ექვსი სრული სტრიქონი, წარწერები შესრულებულია ამოკანვრით<sup>1</sup> (სურ. 25).

პირველ სტრიქონში შემორჩენილია მხოლოდ სამი ასოს ბოლო ნაწილები. შიძლება აღდგეს: **ΦΧΣ** ფრს.

მეორე სტრიქონში შემორჩენილია პირველი ორი ასოს ბოლოები და ორი ასო: **ΧΗ** (ან). აღდგენის შემდეგ: **(ΓΦ)ΧΗ** (ემ) ან

მესამე სტრიქონი: **ΣΒΣΡ** აზატ

მეოთხე სტრიქონი: **ΣΓΧΣ** სი არს

მეხუთე სტრიქონი: **ΗΩΔΖ** ნუმ

მეექვსე სტრიქონი: **ΖΣΥΗ** ცა ვინ

მეშვიდე სტრიქონი: **ΕΚΥΥ** ხრევ

<sup>1</sup> წარწერა გამოქვეყნებულია: ლ. ჭილაშვილი, წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან, უ. ქართველოლოგი, 7, 2000. წერილში აღდგენილი ადგილები არ არის გამოქვეყნებული..



მერვე სტრიქონი: ს ს

წაკითხვა: "[ფრს] [ემ]ან აზატსი არს ნუმცა ვინ ხრევს". დასაწყისი არ ახლავს, მოტეხილია.

აღდგენილი (ფრს) ნაწილის წინ საკმაო ადგილია, ისე რომ, სავარაუდოდ აღდგენა, მით უმეტეს, რომ ანალოგიური წარწერა (№10) ამის საფუძველს გვაძლევს, შესაძლებელია ასე: „ესე საფლავი ფარსემან აზატსი არს ნუმცა ვინ ხრევს.“ საერთოდ, ყველა აღდგენა პირობითია და რაც შეიძლება მეტი საბუთიანიობის მოძიებაა საჭირო, მით უმეტეს, რომ თვით ტექსტია ნაკლები. ამ შემთხვევაში, პირველი სტრიქონის „ფრს“-ს აღდგენის შემდეგ, მეორე სტრიქონის ბოლო ორმა ასო-ნიშანმა — „ან“ დამაეჭვა, რომ ის აუცილებლად სახელის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ამის გამო მომიხდა სხვადასხვა „ან“-ზე დაბოლოებული სიტყვების ჩასმა, რომლებსაც ვიცნობთ უძველესი წარწერების მიხედვით: „არტაბან“, „არდავან“, „ბრატმან“, „მიჰრან“, „მირიან“, „აბრაჰამ“, „ბეჟან“, „ვარდან“, „ახსართან“, „ფარსემან“... „ფრს“-ს აღდგენის შემდეგ, ყველაზე მისაღები ვარიანტი იქნა შერჩეული „ფარსემან“, მით უმეტეს, რომ ეს სახელი მეტად პოპულარული იყო ძველ საქართველოში.

წარწერა ასომთავრულია, გამოყენებულია ქართული ანბანის თხუთმეტი ასო, 31 ასონიშანი: ა (4), ე (2), ვ (2), ზ (1), ი (2), მ (2), ნ (2), რ (2), ს (4), ტ (1), ჰ (1), ფ (1), ც (1), ხ (1). ზოგი ასო კუთხოვნობით ხასიათდება (ჩ, ზ, ღ) (სურ. 26).

მაშასადამე, საფლავის ქვა გვამცნობს: „[ესე საფლავი] ფარსმან აზატსი არს ნუმცა ვინ ხრევს“. ამ მცირე წარწერაში ბევრი რამ არის საყურადღებო, რასაც ქვევით გავეცნობით. ჩემ მიერ აღდგენილი საკუთარი სახელი — ფარსმანი, მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებით არ არის მიღებული. თუ პირველი სტრიქონის ასოთა შემორჩენილი ნაწილების ამდაგვარი აღდგენა (ფრს) შეიძლება ინვევდეს ეჭვს, მეორე სტრიქონის შემორჩენილი ნაწილები უდავოდ გვიბიძგებდა ასეთი აღდგენისათვის. სტრიქონის ბოლო სამი ასო „მან“ მაიცდამაინც საკუთარ სახელზე მიგვა-ნიშნებდა და, ვფიქრობ, საბოლოოდ სწორი აღდგენა გამოგვივიდა. ფარსმანი, ქართული წყაროების მიხედვით კარგად ნაცნობი საკუთარი სახელია, ვიცნობთ წარმართ მეფეთა რიგში გაორებული ცნებითაც — ფარსმან ქველი, ფარსმან ავაზა. ნეკრესის შემთხვევაში ცნობილი ხდება ფარსმან აზატიც. სახელი სპარსული წარმოშობისაა და მისი გაჩენა საქართველოს პირობებში დაკავშირებული უნდა იყოს მაზდეანობის გავრცელებასთან. ეს სურათი მეტნაკლებად კარგად ჩანს ფარნავაზ მეფის შემდეგ ქართველ მეფეთა სახელებში. ჩემ მიერ აღდგენილ ტექსტში — „ფარსემან“, თითქოსდა განსხვავდება ქართულ ტექსტებში დადასტურებული ფორმიდან

(ფარსმან), მაგრამ ასეთი ფორმა ნაცნობია ბერძნული გახმოვანებით და წარმომავლობითაც ასეთი ფორმა ჩანს მიღებული ყვავილის სახელიდან — „ფარესმან“. მსგავსი ფორმით — ბარესმან დაფიქსირებული აქვს ფრ. კიუმონსაც. ეტიმოლოგიური ახსნა ფარსმანს არ გააჩნია, თითქოსდა ის უნდა ორნაწილიანი შედგენილი სახელი იყოს და სპარსული სულის ადამიანს აღნიშნავდეს.<sup>1</sup> ვფიქრობ, რომ სახელის განმარტებისას მისი მთავარი არსი არ არის გააზრებული. როგორც ზევით ითქვა, ფარსმანი ქართული მონაცემებით დამოუკიდებლადაც აღინიშნებოდა და კონსტრუქციითაც (ქველი, ავაზა, აზატი). პირველად ასეთი სახელით მოხსენიებულია მეცამეტე მეფე ფარსმანი, შემდეგ მეთექვსმეტე ფარსმან ქველი და ფარსმან აზატი.

ფარსმანი ქართულში შემოსული ჩანს იმ ყვავილოვანი მცენარის სახელის მიხედვით, რომელიც მითრასტული რიტუალის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს შეადგენდა. ტაძარში შესვლისას ხელში ეჭირათ „ნკეპლების კონა“, რომელიც საამო სუნს სტოვებდა ტაძარში. არის შესანიშნავი გამოსახულება ოქროს ფირფიტაზე, რომელიც „ამუ-დარიის“ განძშია დაფიქსირებული, და რომელიც კარგად მიგვანიშნებს „ნკეპლების კონის“ შესახებაც — გამოსახულია მამაკაცი პართულ სამოსში, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს კონა, მარჯვენა გვერდზე სატევარი ჰკიდია. განძი დათარიღებულია ძვ.წ. V-IV საუკუნეებით. სახელი იმ მცენარისა, რომლის ტოტებითაც არის შეკრული კონა სხვადასხვანაირად არის გადმოცემული: ბარსომი, ბარესმა, ბარსემი. ეს ყვავილოვანი მცენარე საქართველოშიც კარგად ხარობს და ასევე შესანიშნავად არის ცნობილი. მისი სახელია ფარსმანდუკი. მაშასადამე, ადამიანის სახელი უნდა მომდინარეობდეს მცენარის სახელიდან და ის უნდა იყოს დაკავშირებული რიტუალის ნაწილთან. ცხადია, აღნიშნული სახელის პირველი მატარებლები აჰურა-მაზდას კულტთან იქნებოდნენ დაკავშირებული, შემდგომად კი ის მხოლოდ ტრადიციითლა აღინიშნებოდა.

ფარსმანდუკი, ატავისტურად, ქრისტიანულ რიტუალშიც შემორჩენილა, სახელდობრ, ფერისცვალების დღეობისას ფარსმანდუკის წითელ ბურთულას შუბლზე უსვამდნენ დღეობებზე მისულ ბავშვებს და ჯვარს გამოუსახავდნენ. ეს ერთგვარი, გამძლე რიტუალი სრულდებოდა 19 აგვისტოს (ფერისცვალების დღეს), მთვარის დღესასწაულის მეორე ცხრა-დღიანი ციკლის ბოლოს, რომლის მესამე ციკლს 27-28 აგვისტოს აგვირგვინებდა მთვარის დღეობა.

მაშასადამე, ასე თუ ისე, გარკვეული გვაქვს „ფარსმანის“ წარმომავლობის ისტორია, მისი რელიგიური დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ნეკრესის წარწერაშია მოხსენიებული.

წარწერის მიხედვით ჩანს, რომ სამარხი ფარსმან აზატისა ყოფილა და ის

<sup>1</sup> მ. ანდრონიკაშვილი, წარკვევები... გვ. 505.



შეიცავს თხოვნას თუ მოწოდებას: ნურავინ შეეხება მას, ნურავინ არევეს („ნუმცავინ ხრევს“). აზატის აღნიშვნა ძირითადად მინიშნებაა, რომ დაკრძალულია არა უბრალო ადამიანი, არამედ აზატი, რომელიც საზოგადოების წარჩინებული პირი ყოფილა და ამიტომაც ითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვას მისი ქირისუფალი.

წარწერას მრავალი სიახლე ახლავს, რომელთა შესახებაც თანმიმდევრულად მექნება საუბარი. ერთ-ერთი მთავარი სიახლე ტექსტის ხანმეტობაა („ხრევს“). საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა და ძველი ქართული ენისათვის ამ დამახასიათებელი მოვლენის განსაზღვრა, ქართული ენის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ეტაპია, რასაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს მისმა პირველადმომჩენებმა და მათმა მოწაფეებმა.<sup>1</sup> ხანმეტობა V-VII საუკუნეების ქართული ენის დამახასიათებელ ნიშნად არის აღიარებული, თუმცა მისი ქვედა თარიღი — მეხუთე საუკუნე, მიღებულია აღმოჩენისას არსებული ქრისტიანული დამწერლობის ძეგლების მიხედვით. აღნიშნული წარწერის თარიღის მიღების შემდეგ კი, ცხადია, ხანმეტობის ისტორია შესაბამისად დაძველდება.

წარწერის შექმნას ორი მთავარი მომენტი ახლდა, ერთი რომ ემცნოთ დაკრძალულის მაღალი სოციალური მდგომარეობა, ცხადია ყურადღების მისაქცევად, და რომ საფლავი არ აერიათ, არ გაეძარცვათ. ეს გარემოება ცხადლივ გვიჩვენებს, რომ საფლავების „არევა“ მაიცადადამინც იშვიათი მოვლენა არ ყოფილა, პირიქით, და რადგანაც „არევის“ მიზანი კარგადაა ცნობილი — ძარცვა, გასაძარცვი საფლავში ნამდვილად იქნებოდა. თუ ეს მისაღებია, მაშინ სამარხის ხნოვანება უნდა განისაზღვროს იმ დროით, როდესაც მიცვალებულს იმქვეყნიური არსებობისათვის საგზალსა და ნივთებს ატანდნენ თან. ეს მოვლენა ვერ ჯდება ქრისტიანული მორალის ფარგლებში და მის წინა პერიოდზე მიგვანიშნებს. ქრისტიანული წესი კრძალავდა საფლავებში ნივთების ჩატანებას: „ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქვეყანათა ზედა, სადა მლილმან და მჭამელმან გარყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან“ (მათე, 6, 19).

სამთავროს ველზე ჩატარებული გათხრების შედეგად, ნაპოვნია ბერძნულწარწერიანი საფლავის ქვა, რომელზედაც აღნიშნული იყო — არავინ გაბედოს და ჩემს საფლავში არავინ დაასაფლაოთო... „თუ ვინმე მოინდომებს ჩვენთან ერთად (დასაფლავებას) ან (ჩვენი) ტომისა ან სხვა უცხოელი, პასუხი აგოს თავის აღდგომისას“-ო. წარწერა IV საუკუნისაა, მიჩნეულია

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1922-1923, ტ. 2; ა.შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1922-1933, ტ. 2.

ქრისტიანობის ხანისად, როდესაც კოლექტიური და საოჯახო სამარხების მონყობის წესი ინერგებოდა. ასეთი წარწერა მოგვიანო ხანისაც არის ცნობილი, კერძოდ IX –X სს. ეპიტაფია იოვანე ბოლნელისა: „ესე საფლავნი იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისნი და ვინ სხუაჲ დაეფლას ამასცა ნუ ეგების“.<sup>1</sup>

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ჭირისუფალს საფლავის გაძარცვის შიში არ გააჩნია, ქრისტიანული წესით საფლავში არაფერს ატანდნენ. შემფოთებას იწვევდა სამარხში უცხო პირის დასაფლავება, რისი დარდიც ნეკრესის ჭირისუფლებს არ შეიძლება ჰქონოდათ, მას გაძარცვის შიში ანუხებდა — „ნურავინ ხრევს“-ო. კიდევ გავიმეორებ, ეს მომენტი უცილობლივ უჭერს მხარს სამარხის წინაქრისტიანული ხანით დათარიღებას, თუმცა არა მარტო ეს.

წარწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა სოციალური ტერმინის „აზატის“ მოხსენიება. ეს ტერმინი არცერთმა ქართულმა ძველმა წყარომ არ იცის, არც ლაპიდარულ წარწერებში მოიხსენიება. ერთადერთი საბა ორბელიანი განმარტავს აზატი თავისუფალს ნიშნავსო. თავისუფალს ნიშნავს ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით „აზნაურიც“.<sup>2</sup> ამორი სოციალური ტერმინის ურთიერთობის და მონაცვლეობის განმარტების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა გახდეს „აზატის“ შემოსვლის და მისი „აზნაურით“ შეცვლის ქრონოლოგიის დადგენა, რაც ჩვენს მიზანს შეადგენს ამჯერად.

ის ამბავი, რომ არც ერთმა ქართულმა წყარომ არ იცის „აზატი“, გამორიცხავს მისი, როგორც საკუთარი სახელის ხმარებას, თუმცა კი მსგავსი რამ შეიძლება არსებობდეს სომხურ ან სპარსულ სინამდვილეში. მსგავსი საკუთარი სახელი ჩნდება ჩვენში, არც თუ მასიურად გვიან შუა საუკუნეებში და მეტად თავისებური ფორმით „აზატა“. ისე რომ ნეკრესის წარწერებში „აზატის“ საკუთარ სახელად ცნობა გამორიცხებულია.

ილია აბულაძემ დაადგინა, რომ IX-X საუკუნეების ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის მიხედვით, სომხური „აზატი“ ქართულში „აზნაურით“ ყოფილა გადმოცემული, ისევე როგორც ქართული „აზნაური“ სომხურში „აზატი“ არის გადატანილი. სომხურში „აზატი“ მას ფალაურიდან ჰგონია შესული (āzāt სპ. āzād), ხოლო ქართულში სპარსულიდან.<sup>3</sup> რას ეყრდნობა ეს უკანასკნელი, არ არის ცნობილი, ქართულში ხომ „აზატი“

<sup>1</sup> ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 153.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 199. დ. ბაქრაძის აზრით ქართული „აზნაური“ და სომხური „აზნი“ ნიშნავს კეთილ-შობილს და ძველი სომხური მწერლობის აზატი არის „თავისუფალი“. იხ. დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889, გვ. 82.

<sup>3</sup> ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი IX-X სს-ში, თბ., 1944, გვ. 91



საერთოდ არც არის ცნობილი, საშუალო ქართულში კი თარგმანების მიხედვით არის შემოსული. ერთი ცხადია, და ყველა უჭერს მხარს, რომ „აზატიც“ და „აზნაურიც“ ორივე ტერმინით თავისუფალი აღინიშნებოდა. გ. მელიქიშვილი საგანგებოდ განმარტავდა „აზნაური“ ირანულ-სომხური „აზატის“ მსგავსად თავისუფალის ცნებას გადმოსცემსო.<sup>1</sup>

აზატები მძლავრი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან ირანში და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას შეადგენენ ქვეყნის ზედა სოციალური იერარქიის საფეხურზე. ჰაჯი-აბადის პართულ და ფეჰლევეურ ბილინგვაში შაბურ პირველის (240-272) მიერ წარდგენილ სამეფო კარის მოხელეებში, უფლისწულების შემდეგ არიან მოხსენებული ვაზურგები (დიდებულები) და აზატები (თავისუფლები). ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეფის კურთხევაში, ხშირად ჩაბმულნი იყვნენ ხოლმე კარის ინტრიგებში და არც თუ იშვიათად ტახტიდან აგდებდნენ კიდევაც მეფეებს და სიკვდილითაც სჯიდნენ.<sup>2</sup>

აზატებს ვრცელი ასპარეზი ჰქონდათ ძველ სომხეთში. ისინი თავისუფლების იურიდიული სტატუსით სარგებლობდნენ, მძიმედ შეიარაღებული მხედრების კასტას შეადგენდნენ და გავლენიან ძალას წარმოადგენდნენ ქვეყანაში. მათ შესანახად საგანგებო სამსახურიც ყოფილა ჩამოყალიბებული, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა აზატი მხედრებისათვის გასამრჯელოს გადახდა ფულით ან ნატურით (როჭიკი).<sup>3</sup>

როგორც ჩანს, აზატების ფენა ასპარეზზე გამოდის პართელების დროს და მაშინვე აღწევს პოლიტიკურ წარმატებებს, პირველ რიგში თავისუფლების ინსტიტუტის პირობებში. მათი პრივილეგიები ძირითადად სამხედრო საქმიანობაში გამოიხატებოდა და ამ როლს ისინი სასანიანთა მმართველობის დროსაც არ უშვებენ ხელიდან. აზატების ცხენოსანი ჯარი სასანიანთა ლაშქრის მშვენიერებას წარმოადგენდა.<sup>4</sup>

ყოველივე ამის შემდეგ, ცოტა არ იყოს გაუგებარია ქართული ძველი წყაროების დუმილი მის მიმართ, მით უფრო, რომ ის ჩნდება მაშინ, როდესაც ფაქტიურად მას ატავისტური სახელა ჰქონდა შემორჩენილი, მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალის აღსანიშნავად. ასეთ კონტექსტში ხმარობს მას შოთა რუსთაველიც („ტყვე მქმენ ანუ მააზატე (251, 3), ან „მათ მაშინვე ააზატეს (1069, 9). „აზატის“ აღდგენა მაინც, როგორც ჩანს IX-X სს-ის შემდეგ ხდება ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის შედეგად. ალბათ ამიტომაც იყო, რომ საბა ორბელიანი აღნიშნავდა „აზატი

<sup>1</sup> Г. Меликишвили, К истории древней Грузии. გვ. 474.

<sup>2</sup> Cl. Huart, Ancient Persia and Iranian civilization, London and Herley. გვ. 139-140.

<sup>3</sup> С.Т. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, 1958, №1, გვ. 22.

<sup>4</sup> М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, М., 1961. გვ. 291.

სომხურია თავისუფალს ჰქვიათ“.

ასეთ ვითარებაში, ნეკრესის წარწერის „აზატის“ დატვირთვა საგანგებოდ ვრცელია და დიდად მნიშვნელოვანი. ყველა ავტორი, ვინც კი შეხებია აღნიშნულ საკითხს, უყოყმანოდ აღიარებს, რომ „აზნაური“ „აზატისაგან“ არის განვითარებული. ამავე დროს, აზნაური მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელია სამეფო კარის შემდეგ. მეხუთე საუკუნეში, „შუშანიკის წამების“ მიხედვით, დაფიქსირებულია დიდ-დიდ აზნაურთა ჯგუფი, რომელიც აზნაურთა არცთუ მცირერიცხოვან კასტას გამოჰყოფია. ვინ არიან იმ მაღალი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც პირველი საუკუნეების ზედა ფენაში ჩანან — პიტიახშები, მცირე პიტიახშები, ეზოსმოდღრები და სხვ., იყვნენ ისინი აზნაურთა ფენის ნევრები თუ აზატები. პასუხის გაცემა დღეს შეუძლებელია, თუმცა კი მიმაჩნია, რომ ყველა ესენი, უცხო, სპარსელი სამოხელეო აპარატის წარმომადგენლები არიან, სპარსული ტიტულატურის მატარებელნი. აზატები და აზნაურები კი სტრაბონისეული მესამე ფენის წარმომადგენლები უნდა იყვნენ.

ის გარემოება, რომ აზატის ინსტიტუტი ირანში ჩნდება პართულ ხანაში (ძვ.წ. 246-ახ.წ. 224) და აგრძელებს არსებობას სასანიანთა მეფობის დროსაც, არანაირი წინააღმდეგობა არ შეიძლება შეხვდეს „აზატის“-თავისუფალი წოდების შემოღებას საქართველოშიც ადრეული ხანებიდანვე. აქ არ შეიძლება იმ ფაქტის იგნორირება, რომ აზატი ძლიერ გავრცელებული სოციალური ინსტიტუტია ალბანეთშიც და ძველი ნეკრესიც ხომ ჰერეთის პროვინციაში, იგივე ალბანეთში მდებარეობდა. საკითხის გარკვევას ართულებს აზნაურის წოდების დამკვიდრებისა და განვითარების პრობლემა, ძირითადად კი არცოდნა დროისა, როდესაც „აზატის“ შეცვლა იგულისხმება „აზნაურით“.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა დიონ კასიოსის ერთ ცნობაზე, რომელიც ქართველთა მეფის ფარსმანის სტუმრობას ეხება რომის კეისართან. კეისარს რომის ჰიპოდრომზე ფარსმანის, მისი შვილის და „სხვა პირველ პირთა“ ჯირითი და იარაღით ვარჯიში უნახავს. ბერძნულ ტექსტში „პირველიპირი“ აღნიშნულია ბერძნული ტერმინით „პროტოი“. <sup>1</sup> ნ. ლომოური თავის გამოკვლევაში, აღნიშნულ ბერძნულ ტერმინს თარგმნის, როგორც „წარჩინებულს.“ <sup>2</sup> როგორც ირკვევა ბერძნული ტერმინის შესატყვისი პირობითი სიტყვები „პირველი პირები“ და „წარჩინებულები“ არ იძლეოდა ზუსტ იდენტიფიკაციას, რაც დასტურდება სახარების ქართული თარგმანის ერთი ადგილის მიხედვით. ქართულად მთარგმნელმა, იგივე ბერძნული ტერმინი, რომელიც დადასტურებულია სახარების მარკოზის თავში,

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 170.

<sup>2</sup> ნ. ლომოური, დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 83.



გადმოიტანა როგორც აზნაური (6, 21).

აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად კითხულობს: „დიონ კასიოსის ზემომოყვანილ ცნობაშიც იბერიის პირველთა შესახებ ხომ აზნაური არ იგულისხმებიანო“.<sup>1</sup> გ. წერეთელი არმაზის ბილინგვის ტექსტის კომენტირებისას, როდესაც იხილავს სოციალურ ტერმინებს, ივ. ჯავახიშვილის შენიშვნას დადებითად პასუხობს და ასკვნის: ახ.წ. მეორე საუკუნისათვის, როგორც ჩანს, აზნაური უკვე დამკვიდრებული სოციალური ფენის წარმომადგენლის აღმნიშვნელიაო.<sup>2</sup>

ყოველივე ზემოთ თქმული გვაძლევს უფლებას, ახ.წ. მეორე საუკუნეში, იბერიის მაღალ სოციალურ სფეროში ვიგულისხმოთ აზნაურთა ახალი წარმომადგენლობის გაჩენა, რომლებიც აზატების შემცვლელებად გვევლინებიან. ლაპარაკია იმ ფენაზე, რომლის გაჩენაც აუცილებლობით იგულისხმება სახელმწიფო აპარატის დამკვიდრებასთან ერთად. როდესაც ლაპარაკია ფარნავაზის მიერ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ მოწყობაზე და კერძოდ კი ერისთავების დანიშვნაზე, აქ ცხადია ერისთავების რანგში მოგვევლინებიან ადგილობრივ დიდებულთა წრის წევრები, არ არის გამორიცხული, ტომთა ბელადთა ნაშიერები, რომლებიც შემდგომად აზნაურთა ფენაში ხვდებიან. სიმბოლურია, რომ ადმინისტრაციული ღონისძიებების ჩამოთვლისას, ლეონტი მროველს საგანგებოდ აქვს აღნიშნული, რომ პირველ-მეორე საუკუნეებში ერისთავებად ინიშნებოდნენ სწორედ აზნაურთა წარმომადგენლები: „და იყო ოძრხეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა, არმაზელისი, აზნაურთაგანი“... „და იყო კლარჯეთს ერისთავი აზორკ მეფისა აზნაურთაგანივე“.<sup>3</sup>

კვლავ გავიმეორებ, რის შესახებაც საგანგებოდ იყო აღნიშნული ივ. ჯავახიშვილის და შემდეგ გ. წერეთლის მიერ, რომ „აზატიც“ და „აზნაურიც“ ორივე თავისუფალს აღნიშნავდა. აზნაურთა ფენა დამკვიდრებულია პირველივე საუკუნეებიდან და ტერმინი „აზატი“ უკვე აღარ გვხვდება. აქედან გამომდინარე, ნეკრესის წარწერა, რომელიც ფარსმან აზატის სამარხზე ყოფილა ამართული, უნდა დათარიღდეს ახ.წ. პირველი საუკუნეებით.

წარწერა № 8 აღმოჩნდა 1973 წელს ნეკრესის ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს. ეს ღონისძიება ტარდებოდა სატყეო მეურნეობის ხაზით, ახალი ნერგების გასაშენებლად. წინასწარი სამუშაოები ითვალისწინებდა ღრმა გუთნით ხვნას, რასაც

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 174.

<sup>2</sup> Г. В. Церетели, Армазская билингва. Тб., 1941. გვ. 65

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 47.

მოჰყვა ნაქალაქარის დიდი ნაწილის დაზიანება — აირია ფენები, დაიკარგა მეტად საინტერესო მასალები. სამწუხაროდ, რეაქციას სათანადო დანესებულების მხრიდან პასუხი არ მოჰყოლია. დღესაც, ნაქალაქარზე საველე სამუშაოების განხორციელებისას, არც თუ იშვიათად, ვაწყდებით ამ ყოველად უგუნური ქმედების უარყოფით შედეგებს.

ნარწერიანი ქვა სწორედ ასეთი სამუშაოების დროს აღმოჩნდა და ბედნიერი გამონაკლისით მან ბინა მუზეუმში დაიდო. მას შემდეგ, რაც ნაქალაქარზე დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები, ნარწერის გასაშიფვრად უფრო მეტი შესაძლებლობები გაჩნდა, პირველ რიგში იმ ნარწერების გვერდით რომლებზედაც უკვე გვქონდა საუბარი. სამწუხაროდ, აღმოჩენის ადგილის დათვალიერებისას, ხელმოსაკიდი ვერაფერი ვერ დავაფიქსირეთ, ღრმა ხნულში მხოლოდ ქვევრის ნამსხვრევები და ლეგაფრად გამომწვარი კერამიკის ნამტვრევები ეყარა, ამკარად კი ჩანდა რომელიღაც დაზიანებული ალიზის ნაგებობის ნაშთები.

ნარწერა შესრულებულია ქვიშაქვის ბტყელ ფილაზე, რომელსაც თავის დროზე სტილის ფორმა ექნებოდა. (ზომები: სიგრძე 28 სმ; სიგანე 18 სმ; სისქე 5 სმ). ზედა და ქვედა ნაწილი მოტეხილი აქვს. თუ ქვედა მონატეხი ცარიელ ადგილზე მოდის, ზედას საკმაოდ დაუზიანებია ნარწერა და მისი სრული გაშიფვრა შეუძლებელია. შემორჩენილია არასწორი მიმართულების და არათანაბარი ასოებით განლაგებული ოთხი სტრიქონი (სურ. 27).

პირველ სტრიქონში, საწყისი ორი ასო ႦႧ (ვი) კარგად ჩანს, შემდეგ ლიგატურაა ხუთი ნიშნით, იკითხება ბოლო ორი: ႦႨ (ეა). შემდეგ სამი ასოა ႦႨႨ (ვან). მაშასადამე ასეთი სურათი ჩანს: "ვი... ე ავან".

მეორე სტრიქონში ყველა ასო იშიფრება: ისი და ნუმ

მესამე სტრიქონი: ცავინნა... ე

მეოთხე სტრიქონი: რთვის

მესამე სტრიქონის მერვე, მეცხრე და მეათე ნიშნები გადმოცემულია წრეხაზებით, ამასთანავე, მერვეს ცენტრში წერტილი ზის. აღნიშნული ნიშნების გაშიფვრა ვერ ხერხდება. მთლიანად ტექსტი, ცხადია ნაკლულად, ასე გამოიყურება: ვი...ე ავანისი და ნუმცავინ ნა...ერთვის. მართალია ბოლო სიტყვა ნაკლულია, აზრი თითქოს უნდა ჩანდეს: ლაპარაკია ვილაცის წართმევაზე, წინ კი ვარაუდით, რალაცის საკუთრებაზე შეიძლება იყოს საუბარი, რომელიც ავანისი ყოფილა (სურ. 28).

როგორც ჩანს, ნარწერას იურიდიული დოკუმენტის დანიშნულება უნდა ჰქონოდა და რალაცის აკრძალვას და დაცვას ისახავდა მიზნად. ტექსტში მოხსენიებული „ავანი“ მეტად საინტერესოს ხდის მის შინაარსს. ავანი ანტიკურ ხანაში გაჩენილი ტერმინია, გავრცელებული ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, განსაკუთრებით სომხეთში და ის იქ ქალაქისპირის დასახლებებს



ერქვა. აქედანაა ჩვენში გავრცელებული „ვანი“, „უბანი“... ტერმინი ჩნდება ანტიკური ხანის ქალაქების წარმოშობის კვალდაკვალ. ყველა ქალაქს ჰქონდა თავისი ქალაქისპირის დასახლებები — ავანები, ისევე როგორც საქართველოში დაბნები. ეს კარგად დგინდება ქართული წყაროების მიხედვით. სამწუხაროდ, ტექსტის დაზიანების გამო, ძვირფასი ინფორმაცია დაგვეკარგა დასახლების ტიპის და იურიდიული დიკუმენტის შესახებ. ასეთი ხასიათის წყარო ძველ ქართულ ძეგლებზე არ გვხვდება.

საქართველოში ასეთი ტერმინი — ავანი ცნობილი არ არის ჩემთვის. ნეკრესთან ახლოსვე, მისგან აღმოსავლეთით არის მდინარე ავანისწყალი, რომელზედაც XIX საუკუნეში დასახლებული სოფელი მდებარეობს (თანამედროვე ახალსოფელი). მდინარის მარჯვენა მხარეს არის არქეოლოგიური ძეგლი, რომლის სახელიცაა ნაბაზრალი, უდავოდ ძველი დასახლების მისანიშნებელი ადგილი. არქეოლოგიური გათხრები, რომელიც აქ ჩატარდა გასული საუკუნის 70-იან წლებში, გვაძლევს უფლებას მის ნაადგილარზე ისტორიული ავანის წარმოსადგენად. არ არის გამოსარიცხი, რომ ანტიკურ ხანაში სწორედ ის ყოფილიყოს ქალაქ ნეკრესის ავანი — ქალაქის სატელიტი დასახლება.<sup>1</sup>

წარწერის პალეოგეოგრაფიული მხარე მეტად უცნაურია, დასკვნის გაკეთება ჭირს. ან ისეთი ადამიანის წარწერია, რომელსაც ვერ გამოჰყავს ასოები, ან იმდენად არქაული ტექსტია, რომ ასონიშანთა ფორმები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის. აქ ფიგურირებს წრიული ფორმის ასო ცენტრში წერტილით, რომლის მსგავსი ძველმა ქართულმა დამწერლობამ არ იცის. ასევე საყურადღებოა „ა“-ს გამოსახვა. წარწერაში ის ხუთჯერაა გამოყენებული. ერთხელ ნაცნობი ფორმით, სამჯერ მარცხნივ გამოწეული რკალით და ერთხელ მოკლე ოდნავ მორკალული ხაზით. აღნიშნული ფორმები ეჭვებს იწვევს ქართული ანბანის პირველი ასოს უადრესი ნიმუშის თაობაზე. ის, დასაშვებად მიგვაჩნია, განვითარებული იყოს ვერტიკალური ხაზიდან, რომელიც ერთის რიცხვითი მნიშვნელობით იხმარებოდა და ქართულ ანბანშიც ასეთივე ფორმით და რიცხვითი მნიშვნელობით დამკვიდრდა.

სხვა პალეოგეოგრაფიული ნიშნებიდან აღსანიშნავია თავგახსნილი „დონი“ და „თანი“, ასევე „ვინის“ მომრგვალებული ზედა ნაწილები.

საინტერესოა წარწერის კიდევ ერთი დეტალი: სიტყვა „ნუმცავინ“ ისეთივე ფორმით არის წარმოდგენილი, როგორც № 8 წარწერაში. აქაა არასრული წაკითხვით „ნუმცავინ წაერთვის“, მერვე წარწერაში „ნუმცავინ ხრევს“. № 10 წარწერაშია „ნუმცავის ხელენიფების“. გვაძლევს თუ არა ასეთი იგივეობა, წარწერების შექმნის თვალსაზრისით, ერთი ეპოქის

<sup>1</sup> ლ. ჭილაშვილი, ძველი გავაზი, თბ., 1975, გვ. 36.

შემოქმედების ნაყოფად რომ ვაღიაროთ, დამატებითი მასალების მოძიების გარეშე, ალბათ შეუძლებელია.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს რთულ ტექსტთან, როგორც პალეოგრაფიული, ისე აზრობრივი გაგებით. ეს არის უმაგალითო იურიდიული დოკუმენტი, სადაც ფიგურირებს ადამიანის თავისუფლების აღკვეთის (წართმევის) აკრძალვა. ის თავის ხასიათით ვერ ჯდება არსებული ძველი ქართული წარწერების რიგში ვერც შინაარსობრივად და ვერც პალეოგრაფიულად. მისი რამდენადმე ზუსტი დათარიღება დამატებითი მონაცემების მოპოვების შემდეგ იქნება შესაძლებელი, თუმცა, ზოგადად წინაქრისტიანული ხანით დათარიღებაც ერთგვარ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს ჩემში. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ საქმე გვაქვს არა საფლავის საკმაოდ გავრცელებულ, ხშირად ტრაფარეტულ ტექსტთან, არამედ სამეფო თუ მუნიციპალურ საჯარო განკარგულებასთან.



## ნეკრესის ბაზილიკაში აღმოჩენილი წარწერა

წარწერა № 9 განსხვავებულია ნეკრესში ადრე აღმოჩენილი ყველა წარწერისაგან. შესრულებულია ფიქლის ნაჭერზე, გაკრული ხელით. აღმოჩნდა 2002 წლის სექტემბერში, ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, ადგილ ქაბუკაურში, ბაზილიკის გათხრების დროს. არქეოლოგიური სამუშაოები აქ დაიწყო 1998 წელს და ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, თუმცა მასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები გარკვეულია. ეს არის უნიკალური არქიტექტურული ნაგებობა, რომელმაც შემოგვინახა IV საუკუნის ქრისტიანული ტაძრის გეგმარება და იერსახე. მეოთხე საუკუნეში საქართველოში არაერთი ეკლესია აგებულა, მაგრამ პირვანდელი ფორმით არც ერთი არ შემორჩენილა, ყველა მათგანი გადაკეთებულ-შეცვლილია, ნეკრესის ეკლესია კი, რომელიც მიწისძვრით არის დანგრეული, პირვანდელი, მეოთხე საუკუნის სახით არის შემორჩენილი.

ეკლესია ბაზილიკური ტიპისაა, ორ რიგად განლაგებული ხუთ-ხუთი სვეტით სამი ნავია შექმნილი, დასავლეთიდან მიშენებული აქვს პორტიკი. საკურთხევლი სწორკუთხაა, ორსავე მხარეს მომცრო სათავსებია — სამკვეთლო და სადიაკვნე. ბაზილიკის ნანგრევებიც კი მეტად შთამბეჭდავია, სიგრძით 40 მეტრამდეა, სიგანე 15 მ. აქ არის სამ ადგილზე თეთრი საღებავით გამოყვანილი ჯვარი — ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სიმბოლოს გამოსახულება — როგორც ტოლმკლავა ისე მოგრძო ქვედა მკლავით. აქვე, სვეტის ქვაზე ამოკანრულია სწორკუთხა არეში ჩასმული ხუთჯვრიანი გამოსახულება.

ბაზილიკა მიწისძვრით არის დანგრეული მეხუთე საუკუნის ბოლომდე. ამ მონაკვეთს ვიღებთ საორიენტიროდ, რადგანაც V ს-ის ბოლოს ქალაქი სპარსელებმა დაანგრიეს, ბაზილიკას კი ძალადობის კვალი—ნახანძრალი და ნგრევა არ ემჩნევა. კედლები გადანვენილია ჩრდილო-აღმოსავლეთით ჰორიზონტული მიწისძვრის ბიძგის გამო. ბაზილიკის მშენებლობა ლეონტი მროველის და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით მიეწერება თრდატ მეფეს. მისი ზეობის წლების მიხედვით ეს უნდა მომხდარიყოს IV ს-ის 70-80-იან წლებში. დაახლოებით ასი წელი მდგარა და მოქმედებდა ბაზილიკა.

ნეკრესის ბაზილიკის გათხრებმა საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიური მასალები მოგვცა. აქ არის კერამიკული ნიმუშები, რომლებიც მკვეთრად განსაზღვრავს ძეგლის ფუნქციონირებას მეოთხე საუკუნეში: მეტად

ორიგინალური ბრინჯაოს ლამპები, მინის ჭურჭელი და სხვ.

განსაკუთრებული აღმოჩენის რიგში უნდა მოვიხსენიოთ ფიქლის ნაჭერი, რომელზედაც ქართული ასომთავრული წარწერა იყო შემორჩენილი. ის დადასტურებულია სვეტების სამხრეთის რიგის დასავლეთიდან პირველ სვეტში, დაახლოებით 1,5 სიმაღლეზე. ჩადებული იყო სვეტში, ქვებს შორის, ზედ კირხსნარის ნაშთები ჰქონდა შემორჩენილი. ის, აღმოჩენის ვითარების გათვალისწინებით, წარწერის გამოჩენის და ნაკითხვის მიზნით არ ყოფილა ჩადებული სვეტში, პირიქით, მალულად ჩანს მოთავსებული და შემდეგ დაფარული ნალესობით, რომლითაც იყო დაფარული ბაზილიკის კედლები და სვეტები. აღმოჩენის ასეთი ვითარების გამო წარწერას საიდუმლო, ჯადოქრული ხასიათი უნდა ჰქონოდა.

ფიქლის ზომებია: სიგრძე 24 სმ; სიგანე 12 სმ (სურ. 29).

წარწერა შესრულებულია ამოკანვრით, რალაც ბასრწვერიანი იარაღით. სულ შვიდი სტრიქონია შევსებული. ასოები ოდნავ მარჯვნივაა გადაწვენილი. სამწუხაროდ, წარწერა ცუდად არის შემონახული — ასოები გადაშლილია, ანდა მკრთალი, რაც აძნელებს ნაკითხვას. ორი ხელი გაირჩევა — პირველი ოთხი სტრიქონი შედარებით უკეთ ჩანს, თუმცა ისიც ბოლომდე ვერ იშიფრება, დანარჩენ სტრიქონებში გაირჩევა ცალკეული ასოები, სიტყვები კი ვერ იკვრება. ასეთია დღეისათვის წარწერის შესწავლის ვითარება, რომელსაც ვანარმოებდი პროფ. ზაზა ალექსიძესთან ერთად.

ნაკითხვა: 1. როი სატანანი ქრისტეფორე და სალალრიმ  
2. დო სალოსტმარიანებო... ასმე რ  
3. კოზმა კვირიაკოზ ეზეკიელ...  
4. მოხატა ფა იმის

წარწერის ნაშთია შემორჩენილი ფიქლის მეორე მხარეზეც, ოთხ სტრიქონად, შესრულებული განსხვავებული ხელით. სამწუხაროდ, ვერ იშიფრება.

წარწერაში სასვენი ნიშნები და ქარაგმები არ ჩანს, მხოლოდ ვერტიკალური ხაზებია ჩამოსმული გარკვეული ინტერვალის შემდეგ. ასონიშნების გრაფიკულ სახეში თითქმის არ ჩანს სიახლე, თუ არ ჩავთვლით „ო“-ს მეტად თავისებურ გამოსახულებას, რომელიც არავითარ მსგავსებას არ ამჟღავნებს არც ადრეულ და არც შემდგომი პერიოდის ანალოგიურ ნიშანთან.

წარწერის აღმოჩენის ვითარება — სვეტის ქვებში მოთავსება, საიდუმლო იერს აძლევს წარწერის შინაარსსაც და თვით ქმედებასაც. ის არ ყოფილა განკუთვნილი სხვათათვის წასაკითხავად, პირიქით, მას რალაც წყველის თუ ჯადოს დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ამაზევე მიუთითებს ქრისტიანული წმინდანების სატანებად მოხსენიება (სურ. 30).

წარწერის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ის საკმაოდ განაფული ხელით არის შესრულებული. მისი ავტორი წერის ხელოვნების დამწყები არ ჩანს,



პირიქით, საკმაოდ გრძელი ჩანს გზა, რომელიც გაუვლიათ, სანამ ასეთ-ნაირად აითვისებდნენ წერის კულტურას. ამიტომ, წარწერის თარიღი მხოლოდ ამ კონკრეტულ ძეგლზე გავრცელდება.

წარწერები, ცხადია, შექმნილია ეკლესიის მშენებლობის პერიოდში, რომელიც განისაზღვრება თრდატ მეფის ზეობის წლებით — IV ს-ის მეორე ნახევრით. ბოლო მონაცემებით თრდატს უმეფნია 369-383 წლებში,<sup>1</sup> რითაც შეიძლება განისაზღვროს წარწერის თარიღიც.

ეკლესიების შენება ქართლში გაქრისტიანებისთანავე იწყება. პირველი ეკლესიების რიგშია მოსახსენიებელი ერუშეთის, მანგლისის, მცხეთის ზემოური (სამთავროს), სამოთხის (სვეტიცხოვლის), გარეთუბნის, ასევე წილკნის ეკლესიები, რომელთა აშენებასაც 20-30 წელი სჭირდებოდა. ნეკრესის ბაზილიკაც როგორც მისი რთული სამშენებლო მასშტაბები გვკარნახობს, ალბათ ასეთ სამშენებლო ვადაში უნდა ჩატეულიყო. რადგანაც თრდატი მოსწრებია ეკლესიის დასრულებას, წარწერის სვეტში ჩატანება კი მშენებლობის საწყის ეტაპზე უნდა მომხდარიყო, წარწერა შეიძლება დავათარილოთ თრდატის გამეფების პირველი პერიოდით, ე.ი. მეოთხე საუკუნის 70-80-იანი წლებით.

წარწერის ავტორი თუ ავტორები, ყველა ნიშნის მიხედვით წარმართები ჩანან, მათ კარგად იციან ქრისტიან წმინდანთა სახელები, კარგად არიან დაუფლებული ქართული წერის საქმეს. ყოველივე ეს გვკარნახობს მათი სახით წარმართი ქურუმები წარმოვიდგინოთ, შესაძლებელია ქრისტიანების მიერ დანგრეული მაზდეანური ტაძრის მსახურნი.<sup>2</sup>

მათი კონფესიული უარყოფითი ხელი ეტყობა თვით ეკლესიის მშენებლობასაც. არსებული წესის საპირისპიროდ, ეკლესია დამხრობილია არა აღმოსავლეთ-დასავლეთით, სამლოცველოთი აღმოსავლეთის მიმართულებით, არამედ გადახრით სამხრეთისაკენ 45 გრადუსით. მცირეოდენი გადახრა ეკლესიების მშენებლობისას ცნობილია, მაგრამ ასეთი თვალშისაცემი ცვლილება უკვე განსაკუთრებულ ცოდვად უნდა ჩაითვალოს. სხვათა შორის, ასეთი ცდუნების ავტორებად იგივე წარმართი ქურუმები უნდა ვიგულისხმოთ, რომელთაც რაღაც გზებით მოუხერხებიათ ქრისტიანული ეკლესიის დამხრობა ან უკვე დანგრეული მაზდეანური ტაძრის მიმართულებით.

<sup>1</sup> ვახტანგ გვილაძე, ფარნავაზთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990, ჩანართი—ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა გენეალოგია და ქრონოლოგია.

<sup>2</sup> საიდუმლო ნივთების — ჯადოების შექმნა და ასევე საიდუმლო ვითარებაში ადრესატის ადგილებში ჩადება, მაზდეანობის დროს გავრცელებული იყო. ამ საქმეში დახელოვნებულები იყვნენ მაგები და მკითხავები, ქურუმთა დასის წევრები. ისინი შესანიშნავად იცნობდნენ ქრისტიან წმინდანებს და მათ მოღვაწეობას (Vesta Sarkhosh Curtis, გვ. 21).

კიდევ ერთი დეტალი და ვარაუდი.

წარწერა იწყება სიტყვით „როი“. არის თუ არა ის დაქარაგმებული, არ ჩანს. ქართული ლექსიკით ეს სიტყვა ვერ იხსნება, შესაძლებელია ის არის სამი სიტყვის აბრევიატურა, რომელიც იყო მიღებული თხრობის დასაწყებად. მკითხველი პირდაპირ არ შედის ტექსტის აღქმაში, არამედ მას წინასწარ განაწყობენ: „იყო და არა იყო რა“ დღემდე შემორჩენილი, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში — ასე იწყებოდა ამბის მოყოლა, ეს იყო თხრობის კულტურის მთავარი თემა. ასევეა, სხვათა შორის, სხვა ენებშიაც. ნეკრესის წარწერის „როი“ ვარაუდით შეიძლება გაიხსნას: „რამეთუ ოდენ იყო“. ასეთი წინასწარი მომზადების შემდეგ იწყება თხრობა. სხვათა შორის, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში შეიმჩნევა ამდაგვარი წესის ატავისტური ნაშთები, რაც ძველ, წარმართულ ტრადიციების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. ორი მაგალითი: ხანგრძლივი დროის განმავლობაში დადგენილად ითვლება „შუშანიკის წამების“ შესავალი: „იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარქსენ პიტიახში, ძე არშუშაესი.“ აქ ამკარად ჩანს „იყო ... კარად სამეფოდ წარემართა“ არ არის გამართული ფრაზა, „იყო“ უადგილოდაა ჩართული. „იყო“-ს გამოყოფა ორი წერტილით უკვე ხსნის ამ გრამატიკულ უხერხულობას. „იყო“ ტრადიციული ძველი შესავლის ნაწილია, რომლის აღდგენამაც სულ სხვა იერი მისცა წინადადებას, „იყო: მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა“... „იყო“-ს შემდეგ უკვე მოდის გამართული თხრობა.<sup>1</sup>

უფრო გამოკვეთილად არის ეს მომენტი აღნიშნული „ჰაბოს წამებაში“. აქ კარგად ჩანს დაცული ძველი, ტრადიციული წესი, თუმცა ოდნავად სახეშეცვლილი. ნეკრესის წარწერაშია ჩემი აღდგენით „რამეთუ ოდენ იყო“, აქ კი, „რამეთუ იყო უამი“. თუ ამ ფრაზას მოვაცილებთ შემდეგ წინადადებას, თხრობის არც შინაარსი და არც გრამატიკული სახე არ იცვლება.

ეს ორი მაგალითი იმედია დაგვიდასტურებს, რომ ნეკრესის წარწერის აბრევიატურის ჩემეული გაშიფვრა მისაღები უნდა იყოს.

<sup>1</sup> ასეა „ქართული მწერლობის“ პირველ წიგნში შესული „შუშანიკის წამების“ ტექსტში, თბ., 1987, გვ. 224.



## რუსთავის წინაქრისტიანული ხანის წარწერები

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც რუსთავის ნაქალაქარზე ჩატარებული გათხრების შედეგად სამი წარწერიანი ქვა იყო აღმოჩენილი, რომლებიც ორჯერ იყო გამოქვეყნებული, პირველად ექსპედიციის ხელმძღვანელის გიორგი ლომთათიძის მიერ,<sup>1</sup> მეორედ კი მე მომიხდა მისი გამოქვეყნება მონოგრაფიაში, რომელიც რუსთავის ისტორიისადმი იყო მიძღვნილი.<sup>2</sup> ორთავე გამოცემაში აღნიშნული თარიღი, პირველ შემთხვევაში XI-XIII, მეორეგან კი X-XI საუკუნეები, დღევანდელი თვალსაზრისით არ არის მისაღები და დიდადაა დაცილებული რეალურ ვითარებას. სამწუხაროდ, აღნიშნული წარწერები, სპეციალისტ-პალეოგრაფებს ყურადღების მიღმა დარჩათ, თუმცა კი ნეკრესის წარწერების აღმოჩენამდე და გაშიფვრამდე, იქნებ დიდი შედეგიანობითაც არ იქნებოდა გამორჩეული.

წარწერიანი ქვები რუსთავის ნაქალაქარზე აღმოჩნდა საველე კვლევა-ძიების დროს 1950 და 1951 წლებში სამივე წარწერიანი ქვა აღმოჩენისთანავე განსაზღვრული იქნა როგორც საფლავის ქვები. სხვაგვარი ინტერპრეტაცია არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც სამივეზე იყო აღნიშნული — ორზე „საფლავი“ და ერთზე „სამარხოე“. ქვები სხვადასხვა ადგილებზე იყო აღმოჩენილი — ერთი ნაეკლესიართან, ერთი სამაროვანზე და ერთიც ნაგებობის ქვეშ. 1982 წელს რუსთავის ციხეზე აღმოჩნდა მეოთხე წარწერიანი ქვაც, რომელიც ასევე საფლავის ქვას წარმოადგენს.

წარწერა № 1. ნაპოვნია რუსთავის ეკლესიის მახლობლად 1950 წელს.<sup>3</sup> ქვა დადასტურებული იყო კედლის წყობაში მეორადი გამოყენებით, როგორც სამშენებლო მასალა. ქვას ქვედა ნაწილი მოტეხილი აქვს. ზომები: 40 სმX14სმX12სმ; ასოების სიმაღლეა 3-4 სმ; წარწერიან ქვას ზედა ნაწილი აკლია, თუმცა არ ჩანს, იყო თუ არა ნაკლულ ნაწილში ტექსტის ასოები. შემორჩენილია წარწერის ხუთი სტრიქონი (სურ. 31, 32).

<sup>1</sup> გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I. თბ., 1957.

<sup>2</sup> ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 148, 149.

<sup>3</sup> რუსთავის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ოთხივე წარწერიანი ქვა დაცულია რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

1. სს სა
2. შს მარ
3. შს ხოე
4. შს ვივი
5. შს იი

წარწერის მეოთხე სტრიქონს წაკითხვა პირობითია, რამდენადაც შ-ს ფორმა უცნაურია და ანალოგიური ნეკრესის № 10 წარწერის მესამე სტრიქონის მეხუთე ნიშნისა. ასევე სიახლე ახლავს მესამე სტრიქონის „ო“-ს. ასეთი გრაფიკა ქართული წარწერებისათვის უცნობია.

წარწერა № 2 აღმოჩნდა 1951 წელს, ქვის სამარხებს შორის. ქვა დაზიანებულია. აკლია ზედა მარცხენა კუთხე და ქვედა ნაწილი (ზომები: 44სმ X 28სმ X 7,5სმ). შემორჩენილია სრულად ორი სტრიქონი და მესამის ორი ასო. ასოების სიმაღლეა 3-8 სმ (სურ. 33, 34).

1. შს სსფ ესე საფ
2. შს შს ლავი ვ
3. შს ჩი

წარწერა № 3 აღმოჩნდა რიყის ქვის ნაგებობის ქვეშ, ქვის სამარხებს შორის 1950 წლის ნოემბერში. ქვა დაზიანებულია, ზედაპირი ატკეჩილი. მარჯვენა ზედა კუთხე ატკეჩილია, მარცხენა მხარე ჩამოტეხილი. სიგრძე 77 სმ; სიგანე ზედა ნაწილში 28 სმ; სისქე 8 სმ. წარწერა ორსტრიქონიანია. ასოების ზომები: 3-8 სმ (სურ. 35).

1. სს (ფ) სა (ფ)
2. შს შს ლავი

წარწერის ქვეშ, მისგან მოცილებით შედარებით დაბალი ნაკანრით და უფრო მცირე ზომით გამოსახულია ხ ჩ.

წარწერა № 4 აღმოჩნდა 1982 წელს, რუსთავის ციხის ტერიტორიაზე, შემთხვევით. ის ძლიერ არის დაზიანებული, თუმცა კი აშკარად ჩანს, რომ წარწერა საფლავის ქვაზე იყო მოთავსებული. ქვა თიქმის ტრაპეციის ფორმისაა, მოტეხილი აქვს თავიც და ბოლოც. აკლია მარცხენა მხარე. წარწერა ოთხსტრიქონიანი ყოფილა, ქვედა სტრიქონი სრულად ვერ იკითხება, ნაწილი მოტეხილი აქვს (სურ. 36, 37).

1. შს ს ესე ს
2. სსფ აფლ



3. ႵႵႵ ავი

4. — ႵႵႵ თვის

ოთხივე წარწერა, როგორც აღნიშნული იყო, საფლავის ქვებზეა შესრულებული. პირველი ქვის ასოები შედარებით დაბალი ნაკანრითაა შესრულებული, მეორე და მესამე წარწერების ასოები განიერი ჭრით არის მიღებული. გაუგებარია, რა დანიშნულებით კეთდებოდა წარწერა, მხოლოდ დასახელებაა — ესე საფლავი, სამარხოჲ, განა საკმარისია? არსად ვინაობა არ არის აღნიშნული. არა და ადგილიც არ არის დატოვებული უფრო ზუსტი ინფორმაციისათვის. მაგალითად, პირველი წარწერა, ისევე როგორც მეორე და მესამე დასრულებულ შთაბეჭდილებას სტოვებს: პირველი მთავრდება ႵႵ „იი,“ აღნიშნავს „იყავნ, იყავნ“, მერე წარწერა სრულდება ႵႵ „ჩი“, სადაც პირველი ასოა რელიგიური სიმბოლური ასო ნიშანი, მეორე „იყავნ“. მესამეზეა Ⴕ (ჩ), იგივეა რაც წინა წარწერაში, რელიგიური სიმბოლური ნიშანია, რის შესახებაც ვრცლად მქონდა აღნიშნული ნეკრესის წარწერების გარჩევის დროს და აქ არაფერს ვიტყვით. მეოთხე წარწერის ბოლო სტრიქონი ვერ იპიფრება.

წარწერების პალეოგეოგრაფიული მხარე მეტად საინტერესოდ გამოიყურება. პირველი წარწერის მეორე სტრიქონის „რ“ გრაფიკულად განსხვავებულ ფორმას გვაძლევს და თითქოს მიემსგავსება ალბანური დამწერლობის შესაბამის ასოს.

ასეთივე მსგავსებაა მეოთხე სტრიქონის „ზ“ და ალბანურ ვ-ს შორის.<sup>1</sup> მესამე სტრიქონის „ო“ სრულიად ახალ გრაფიკულ სახეს გვაძლევს, რომელიც არ მიემსგავსება არც ნეკრესის და არც ადრექრისტიანული წარწერების შესაბამის გრაფემებს. საერთო გრაფიკული გამოსახვიდან არის ამოვარდნილი პირველი წარწერის „ე“.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გრაფიკული სიახლენი, ასევე ალბანური გრაფემების გამოყენება, აშკარად განასხვავებს რუსთავის წარწერებს ადრექრისტიანული ხანის წარწერებისაგან.

აღნიშნული წარწერების განხილვისას მთავარი და მნიშვნელოვანი არის მათი დათარიღება. რუსთავის ნაქალაქარის გათხრების შედეგების გამოქვეყნებისას, ყოველთვის ხაზგასმული იყო, რომ მიუხედავად წერილობით წყაროებში რუსთავის უძველეს ქართულ ქალაქთა რიგში მოხსენიებისა, რაშიც ანტიკური ხანა იგულისხმებოდა, ეს ფენა რუსთავში სავლეს სამუშაოების წარმოებისას არ გამოვლენილა. არადა, ქალაქის მიდამოებში არის

<sup>1</sup> ალბანური ასოების თაობაზე დახმარება გაგვინია პროფ. ზაზა ალექსიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

დადასტურებული ანტიკური პერიოდის უშუალო წინამავალი ხანის ძეგლები. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ სავლეს სამუშაოები ვერ უწყობდა ფეხს ქალაქმშენებლობის ტემპების ყოველდღიურ ზრდას, ექსპედიციის თვალწინ ნადგურდებოდა ძველი ქალაქის ნანაშენები ახალ-ახალი საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების აგებით და კომუნიკაციების მოწყობით.

მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, X-XIII სს-ის საცხოვრებელი ნაგებობების ქვეშ, გათხრისას, არცთუ იშვიათად თავს იჩენდა ხოლმე სრულიად განსხვავებული არქეოლოგიური მასალები, რომელთა მიკუთვნებაც ადრეული ფენებისადმი, პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. სამაგალითოდ მოვიტანთ ერთი ნაგებობის გათხრის ანგარიშიდან რამდენიმე ფრაგმენტს: „აქვე, სულ ქვედა ნაგებობამდელ ფენაში წარმოდგენილია ისეთი კულტურაც, რომელიც რუსთავის ქალაქობამდელ მოსახლეობას უნდა ჰკუთვნებოდა... ნაგებობის ქვედა ფენის ქვების პირველი წყობა მინის ზედაპირიდან 3 მ. მდებარეობს, მის ქვევით კი უფრო ადრეული კულტურული ფენაა. საერთოდ, კულტურული ფენა პირველ ნაგებობაში მინის ზედაპირიდან 4.05 მ-ზე იწყება. ნაგებობამდელი კულტურული ფენის სიმძლავრე 1.05 მ-ია.“<sup>1</sup> კულტურულ ფენაში წარმოდგენილი მასალებში შეიძლება გაირჩეს გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელი შავპრიალა კერამიკა, ასევე ანტიკური ხანის თხელკედლიანი პრიალა ზედაპირიანი კერამიკის ფრაგმენტები.<sup>2</sup>

კულტურულ ფენაში, 3,8 მ. სიღრმეზე დადასტურებულია კერამიკული ნიმუშები, რომელთა დათარიღებაც შეიძლება III-IV საუკუნეებით. სამაგალითოდ შეიძლება მოვიტანოთ ყელწიბოიანი, ორყურა ჭურჭლის ზედა ნაწილი, ღია აგურისფერი კეციით. ასეთი ფორმის ჭურჭლელი ძლიერაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში და გვხვდება ახ.წ. III და IV საუკუნეების ფენებში. მისი გამოცნობა არ არის ძნელი. დამახასიათებელია კეცის ღია ფერი, წიბო, ყურები და ბრტყელი ძირი. მსგავსი წიბო დამახასიათებელია I და II საუკუნეების მომცრო ზომის კერამიკისათვისაც. ყოველივე ამის აღნიშვნა აუცილებელია წარწერიანი ქვების დათარიღებისათვის, რაც ჩვენი ნაშრომის მთავარ ამოცანას შეადგენს.

სხვა მაგალითის მოტანაც შეიძლება. მესამე წარწერა, როგორც ითქვა, აღმოჩნდა № 3 ნაგებობის ქვეშ. „ნაგებობა მთლიანად ერთ ქრონოლოგიურ ფენას მიეკუთვნება. აქ კედლის წყობის მხოლოდ ერთი ფენაა დადასტურებული, ისეთივე ტექნიკითაა ნაგები, როგორც პირველი და მეორე ნაგებობები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შენობის ქვევით დადასტურებულია

<sup>1</sup> ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 63.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 64.



უფრო ადრეული, ნათალი ქვებით ნაგები კედლების ფრაგმენტები, რომლებიც ქვების წყობითა და თვით ქვების დამუშავებით (გათლილი დიდი ზომის ქვები) აშკარად განსხვავდება ძირითადი ნაგებობის კედლების წყობისაგან".<sup>1</sup> ეს არის გამოქვეყნებული ინფორმაციის ნაწილი, რომლითაც ვგებულობთ აქ ანტიკური სამშენებლო ფენის სავარაუდო არსებობის შესახებ. ექსპედიციის წევრების დღიურების მიხედვით და ზეპირი გადმოცემით, ეს იყო ერთადერთი ადგილი, რომელიც ნაქალაქარზე ანტიკური ფენის არსებობაზე მიუთითებდა. მესამე წარწერა სწორედ ამ თლილი ქვების ფენაში იყო დადასტურებული.

ასეთი, თუნდაც ფრაგმენტული მონაცემების განხილვის შემდეგ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ახალი თვალთახედვით შევხედოთ რუსთავის წარწერების დათარიღების საკითხებს, რისთვისაც პირველ რიგში, შევეხები არქეოლოგიური თხრით გამოვლენილ ნაეკლესიარს, მისი აშენების და დანგრევის საკითხს.

რუსთავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1951 წელს ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ახლოს რუსთავის ციხესთან გათხარა ძლიერ დაზიანებული ნაგებობის ნაშთი, რომელიც მაშინვე ნაეკლესიარად იყო აღიარებული. შემორჩენილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე ერთ რიგში, ქვის წყობით შედგენილი ორი სვეტის ძირი, ქვის ფილებით მოგებული იატაკი და აღმოსავლეთის ნაწილში კი საკურთხევლის ნალისებრი რკალი. შესამჩნევი იყო მეორე რიგის ნასვეტარი ადგილებიც. ამ მცირე მონაცემებით, თითქოსდა იკითხებოდა სამნავიანი ბაზილიკის ტიპი (დღეს შეიძლება დავუმატოთ: „ადრეული ტიპი“). სამწუხაროდ, სხვა მატერიალური დასაბუთება ძეგლს არ ახლდა. ამდენად, მისი განხილვა შესაძლებელი გახდა იმ დროისათვის არსებული ქართულ არქიტექტურულ ძეგლთა შესახებ შემუშავებული თეორიის მიხედვით და დათარიღდა V-VI საუკუნეებით.

მას შემდეგ, რაც გაითხარა ნეკრესის ბაზილიკა, რომელიც წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემებით მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და მისი მშენებლობა დაუკავშირდა თრდატ მეფეს, რუსთავის ნაეკლესიარის თარიღიც გადასასინჯი შეიქნა, მით უმეტეს, რომ მისი მშენებლობაც იმავე თრდატ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. თუ ნეკრესის ბაზილიკის შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ცალსახად მეფე თრდატს მიიჩნევს აღმშენებლად „...ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით“-ო, რუსთავის ეკლესიის მიმართ მის როლს მხოლოდ ეკლესიის საფუძვლის დადებით განსაზღვრავს: „მეფემან რუესთვისა რუე გამოილო და ეკლესიისა საფუძველი დადვაო“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 76.

<sup>2</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 91

მიუხედავად იმისა, რომ IV საუკუნის ქართველ ქრისტიან მეფეთა ზეობის წლების საბოლოოდ არ არის დადგენილი, IV საუკუნის მეორე ნახევრით თრდატ მეფობის ხანის განსაზღვრა სავსებით შესაძლებელია, რაც გვაძლევს უფლებას ორივე ნეკრესის და რუსთავის ეკლესიების მშენებლობა დავათარილოთ IV ს-ის მეორე ნახევრით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პირველი ქრისტიანული ეკლესიები უპირატესად იგებოდა იმ ადგილებში, სადაც ძლიერი იყო წარმართობა, უშუალოდ წარმართული სამლოცველოების ადგილზე ან მის სიახლოვეს. ნეკრესის გათხრებმა შესანიშნავად დაგვანახა ეს მომენტი, რაც დაკავშირებული იყო მძაფრ რელიგიურ დაპირისპირებასთან და რასაც თან სდევდა წარმართულ სამლოცველოთა წგრევა და მოსპობა ყოველივესი, რაც იმ რელიგიური მიმართულებასთან იყო დაკავშირებული — ნადგურდებოდა წარწერიანი ქვები და სამარხები, რელიგიური წიგნები და სხვ.

რუსთავის წარწერიანი ქვებიც დამტვრეულია, ადგილგადანაცვლებული და სახედაკარგული. ერთი მათგანი მშენებლობაში იყო გამოყენებული.

პირველი წარწერა, იმის მიხედვით, რომ ბოლო სტრიქონი დასტურით „ი“ „ი“ (იყავნ, იყავნ) ბოლოვდება, წარწერის დასრულებაზე მიუთითებს, თუმცა როგორი იყო დასაწყისი, არ ჩანს. ზედა ნაწილი მოტეხილია. „სამარხოე“ გარდა იმისა, რომ სამარხებზე მიგვანიშნებს, რამდენადმე სრული სურათის აღდგენის საშუალებას არ გვაძლევს.

ასევე უცნაურია მეორე წარწერაც — „ესე საფლავი“ განა საკმარისია წარწერის გასაშიფრად? აქაც წარწერის დასრულების ნიშანია 17, დაქარაგმებული ორი ასო, რომლის ანალოგიც გვაქვს ნეკრესის № 10 წარწერაზე, ქარაგმის გარეშე. პირველი ასოა ღვთაებრივი ასონიშანი, მეორე „იყავნ.“ წარწერის საკმაო თავისუფალი ადგილი აქვს თავში, სადაც შეიძლება წარწერის შევსება და აზრის გამოკვეთა, რაც სამწუხაროდ, არ ჩანს.

ასევე გაუშიფრავი რჩება მესამე წარწერა, რომელსაც თავში დიდი ნაწილი აკლია.

მეოთხე წარწერის ბოლო სტრიქონი ვერ იშიფრება და ამდენად მისი ნაკითხვა იდენტურია სხვებთან ერთად.

არც ერთ წარწერას არ გააჩნია ქრისტიანული ხანის წარწერებისათვის მიღებული ტრაფარეტული დასაწყისი „ქ“ ქრისტე, ან მიმართვა — „ღმერთო“, „უფალო“ და სხვ. ამის მიხედვით და არა მხოლოდ ამის, ყველა რუსთავის წარწერა, წინაქრისტიანული ხანით შეიძლება დავათარილოთ. ისინი რუსთავის ნაქალაქარის იმ ფენას შეიძლება დავუკავშიროთ, გათლილი დიდრონი ქვები რომ იყო დადასტურებული და ანტიკური ხანისად რომ იყო მიჩნეული. მე ზევით ტრაფარეტული დასაწყისი ვახსენე, შეიძლება უფრო ზუსტია „ტექნიკური ნიშანი“, როგორც ხმარობენ აკადემიურ



გამოცემაში.<sup>1</sup> არც ნეკრესის, არც რუსთავის წარწერებში ის არ გვხვდება, ამიტომ ისინი მოკლებული არიან ქრისტიანულ იდეოლოგიურ დატვირთვას. სამაგიეროდ, ზოგს გააჩნიათ წინაქრისტიანული იდეოლოგიური ნიშანი ზღაპრულად ან კომპოზიციამდე 7-თან. ის საქართველოში ყველაზე გავრცელებული მთავრის ღვთაების სიმბოლურ ასო-ნიშანს წარმოადგენდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, რამდენადაც ეს არქეოლოგიური ფენა რუსთავის ნაქალაქარზე მხოლოდ ფრაგმენტებით შეიძლება წარმოვიდგინოთ, არსებობს ზოგი მონაცემი, რომლითაც შეიძლება უფრო თამამად საუბარი. ერთ-ერთი ამათგანია რუსთავის ნაქალაქარზე ძაღლების სასაფლაოს დადასტურება. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოს არქეოლოგიაში და სამწუხაროდ, მასზე ყურადღება არ გამახვილებულა. ზოგ სამარხს ირგვლივ ქვები ჰქონია შემონწყობილი და ნივთებიც ჰქონია ჩატანებული.<sup>2</sup> ჩემი ღრმა რწმენით, ძაღლების სასაფლაოს მოწყობა მაზდეანურ წესზე მიგვანიშნებს, უპირველესად კი იმ გარემოებაზე, რომ ძაღლი მეტად პატივდებულ ცხოველად ითვლებოდა. ის მითრას — როგორც ტავროქტონის, იკონოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა — რომელიც ხარის სისხლს ლოკავს.<sup>3</sup> ის „ზეციური ძაღლის“ ფუნქციას ასრულებდა, რადგანაც დარაჯობდა მსხვერპლშემწირველთა ჯოგებს.<sup>4</sup> „ავესტას“ მიხედვით ძაღლის ცემა, მით უფრო მოკვლა, არ შეიძლებოდა და ამისათვის უფრო სასტიკი სასჯელი იყო დანესებული, ვიდრე კაცის მოკვლისათვის.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს მაზდეანური ფენის არსებობას რუსთავის ნაქალაქარზე, რომელიც უსწრებდა აქ ქრისტიანული ბაზილიკის აშენებას და ქრისტიანობის გავრცელებას. წარწერები, რომლებიც განვიხილეთ, სწორედ ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს, უფრო ზუსტად II-IV საუკუნეებით.

<sup>1</sup> ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 22.

<sup>2</sup> გ. ლომთათიძის აზრით, აქ მსხვერპლად შეწირული ძაღლები იყვნენ დაკრძალული. ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 34.

<sup>3</sup> F. Cumon, *The Mysterries of Mithra*, London, 1903, გვ. 18.

<sup>4</sup> *Sacred Book of the East*, Vol. L. გვ. 380.

## ნაკრების წარწერების პალეოგრაფიისათვის.

ათივე წარწერაში, თუ არ ჩავთვლით № 9 წარწერის წაუკითხავ ნაწილს, გამოუყენებელია ქართული ანბანის 28 ასო, სულ 216 ასონიშანი. ასოები, რომლებიც არ გვხვდება წარწერებში არის ლ, ყ, ძ, ჯ, ჰ. ყველაზე მეტად გამოყენებულია ხმოვნები: ა-31; ი-28; ე-19; ო-18; შემდეგ: ს-17; რ-15; ვ-13; ნ-12; მ-11; ლ-7; ბ-6; კ-5; დ-4; ზ-4; ტ-4; უ-4; თ-3; ც-3; ჩ-2; ქ, შ, წ, ჭ, ხ, ჰ — თითოჯერ.

პალეოგეოგრაფიული სურათიდან ამოვარდნილია № 8 წარწერა, რომლის შესახებაც თავის ადგილზე შენიშნული მქონდა, რომ მისი წაკითხვა სრულად ვერ მოხერხდა პირველი სტრიქონის ლიგატურის გამო, რომელშიც სამი უცნობი მოხაზულობის ასოა ჩასმული. უცოდინარი შემსრულებლის მიზეზით თუა რომ „დონი“ თავგახსნილია და ზედა პორიზონტული ხაზი არ გააჩნია. უფრო დასაფიქრებელია მესამე სტრიქონის მერვე გრაფემა — წრეხაზი ცენტრში წერტილით. ასეთი მოყვანილობის ასო-ნიშანი ქართულმა დამწერლობამ არ იცის. მხოლოდ ერთი შემთხვევაა ჩემთვის ცნობილი, ისიც ნეკრესიდან, IV ს-ის ბაზილიკის ერთი კრამიტის ნატეხზეა შემორჩენილი.

მეცხრე, ფიქალზე არსებული წარწერა ასომთავრული გაკრული ხელით არის შესრულებული. ის ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელია, ახ.წ. IV საუკუნის 70-იანი ან 80-იანი წლებით არის დასათარიღებელი და საერთო იერით განსხვავებულია სხვა წარწერებისაგან, თუმცა პალეოგრაფიული განხილვისას მასაც შევხებით.

სხვა დანარჩენი რვა წარწერა მცირეოდენი განსხვავების გარდა, ერთი საერთო იერისაა. № 2 წარწერა (ლევაკი) აშკარად კუთხოვრობით გამოირჩევა. მისი ცალკეული ასოები, გარდა „ანისა“, კუთხოვებით არის შექმნილი — ზ, ო, უ, ხ, რასაც სხვა წარწერებში ვერ ვხვდებით. ისე, რომ აღნიშნული წარწერა შეიძლება ერთადერთი იყოს ნეკრესის მასალებში ასომთავრული—კუთხოვანი იერის მიხედვით.

კუთხოვანი ელემენტები ყველა სხვა—შვიდთავე წარწერებში შეიმჩნევა მეტ-ნაკლებად. ამის მიხედვით გამოსარჩევია ო, უ, ნ და სხვ.

ქვევით შევეცდები ყველა ასოს თავისებურებების განმარტებას ათივე წარწერის მიხედვით.

რუსთავის წარწერების შესახებ სათანადო ადგილზე იყო აღნიშნული და აქ არ შევხებით.



ტ — „ანი“ გვხვდება ოცდაერთჯერ. ძირითადად მისი გამოსახულება იდენტურია V საუკუნის წარწერებისა. განსხვავებას იძლევა № 8 წარწერა, და ვფიქრობ, ეს გვაძლევს საშუალებას ქართული ანბანის პირველი ასონიშნის განვითარების გზის დასადგენად. აღნიშნულ წარწერაში ის გვხვდება ხუთჯერ. ერთ შემთხვევაში, თითქმის ვერტიკალური ხაზია ოდნავ მარცხნივ მოღუნული, სამგან მარცხნივ მიმართული რკალით, ისე, რომ ზედა ჰორიზონტული ხაზი არ გააჩნია. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, პირველ სტრიქონში გვხვდება კლასიკური ფორმით, ოღონდ ზედა ჰორიზონტული ხაზი უფრო ლიგატურის შემკვრელია, ვიდრე ასოს ნაწილი. აი, ასეთი სურათი გვაქვს ამ ხუთ შემთხვევაში: 11222 -ს ასეთი ცვალებადი ფორმების გამო, ალბათ შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი პირვანდელი სახე, რომელიც მესახება როგორც ვერტიკალური ხაზი, რომელიც მიიღება ხელის მოძრაობით ქვევიდან ზევით, ერთ მეოთხედზე, მცირე ყულფის მიღებით და შემდეგ ქვემოთ ეს ის ფორმაა, რომელიც დღესაცაა მიღებული „ერთი“ რიცხვითი ნიშნის აღსანიშნად. თანდათანობით ნიშანს უკეთდება რკალი მარცხნივ და ვიღებთ ქართული ანბანის პირველ ასოს ტ. თავდაპირველად ის იყო რიცხვითი ნიშანი ერთის აღსანიშნავად და შემდეგ მას მეორე, ანბანის პირველი ასოს მნიშვნელობაც მიეცა. ეს არის არაბული დამწერლობის პირველი ასოს – ალეფის იდენტური ასონიშანი, თუმცა არ ვიცი არის ის ორიგინალური წარმოშობის თუ ნასესხებია, ყოველ შემთხვევაში, რადგან არაბული ანბანი გვიანაა წარმოშობილი ვიდრე ქართული, არაბულთან ნასესხობას ვერ ვივარაუდებთ.

ივ. ჯავახიშვილი ქართული „ანის“ წარმოშობასთან დაკავშირებით შესადარებელ მასალად იყენებდა ბერძნულ-ატიკურსა და მოაბურ დამწერლობაში ხმარებულ ასოებს, მაგრამ დამთხვევებს მაინცადამაინც ვერ პოულობს და მიაჩნია, რომ VI-XII საუკუნეებისათვის, უფრო უწინარეს ხანაშიც, „ანის“ მოხაზულობა „უკვე მთლად ჩამონაკვთული ყოფილა და ცვლილება არსებითად აღარავითარი არ გამოუვლია. ამის გამო მისი პირვანდელი სახის აღდგენა ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზით შეიძლება“-ო.<sup>1</sup>

თ. გამყრელიძეს შესაძლებლად მიაჩნია ქართული ტ „ან“ ნიშნის გრაფიკულ პროტოტიპად არქაული ბერძნული ალფას გამოცხადება. ნეკრესის მაგალითების მიხედვით უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია ვარიანტი, რომელიც ზევით მქონდა აღნიშნული.

„ბანი“ ექვსჯერ გვხვდება წარწერებში, მათ შორის ორჯერ № 10 წარ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტ. IX. გვ. 217, 218.

წერაში და ერთხელ ფიქალზე. ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილის დაკვირვების შედეგად, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ მეხუთე (ნანილობრივ) და VI საუკუნის წარწერებზე, მიღებული იყო, რომ „ბანის“ არქაული ფორმა მისი თავშეკრულობიდან ივარაუდება, შემდგომ ხანებში ასო „ბ“ ყოველთვის თავგახსნილი ყოფილა. ნეკრესის ორ წარწერაში (№1 და №3) „ბ“ თავშეკრულია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ორივე მათგანი ერთი ხელით იყოს შესრულებული. ისინი აშკარად მრგვლოვანი გრაფემებია. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ის თავგახსნილია. ასეა ქვევრის პირზე წარწერაში, ფიქალზე და № 10 წარწერაში, რომელსაც განსაკუთრებით უნდა შევეხო. ეს წარწერა შედარებით ღრმა კვეთით გამოირჩევა, ასოებიც ასომთავრული მრგვლოვანია, ერთადერთი „ბანი“ ჩანს წარწერის გრაფიკული სისტემიდან ამოვარდნილი. წარწერის ორივე „ბანი“ თავგახსნილია და აშკარა კუთხურობით არის გამოსარჩევი. აღნიშნული გარემოების გამო „ბანის“ თავშეკრულობა — თავგახსნილობით მათი სიძველის ახსნას ალბათ გადამონმება დასჭირდება, რასაც მომავალი აღმოჩენები თუ გაარკვევს. კვლავაც დავუბრუნდები აღნიშნულს — ბოლნისის წარწერების თავშეკრული „ბანი“ აუცილებლად გასათვალისწინებელია, მაგრამ უყურადღებოდ არ არის დასატოვებელი ნეკრესის № 9 წარწერა, რომლის თარიღიც 370-380-იან წლებს არ გადასცილდება. აქ სწორედ თავგახსნილი „ბანია“ დადასტურებული.<sup>1</sup>

ნეკრესის წარწერებში Ⴀ „განი“ ორგან გვხვდება (№1, №7). საერთოდ, აღნიშნული ასოს წარმომავლობის განხილვისას ცდილობენ მის დაკავშირებას არა ერთ ნიმუშთან — არქაულ ბერძნულთან, ფინიკიურთან, ებრაულთან, არამეულთან, თვით ფალაურთანაც კი.<sup>2</sup> აღნიშნულია, რომ ასოს მოხაზულობა რთულია და ამის გამო შესაძარებელ მასალებთან მისი დაკავშირების მრავალმხრივი შესაძლებლობა არსებობს. ნეკრესის ასოებს რაც შეეხება, პირველ წარწერაში ის მეტად მარტივად გამოიყურება, და აგებულია უშუალოდ ქართული „ანის“ სანყის გრაფიკულ გამოსახულებაზე ვერტიკალური ხაზის ბოლოს მარჯვნივ გაზიდვით. მეორე წარწერაში (ქვევრის პირზე), ეს გაგრძელებული ხაზი უფრო გრძელია და ქვევით დაშვებული. მე ვფიქრობ, ქართული ასოების ერთი ჯგუფი Ⴀ, Ⴁ, Ⴂ, Ⴃ, Ⴄ, Ⴅ...

<sup>1</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით, კ. კეკელიძე ჯვრის წარწერების მაგალითზე აღნიშნავდა: „ბ“-ანი ერთსადაიმავე დროს ხან თავშეკრული იწერებოდა, ხან თავლია, ამიტომ მისი თავშეკრულობა—გახსნილობით რისიმე დათარიღება... „შეუძლებელია და მიუღებელი“. ქართული კულტურის ორი დღესასწაული, მნათობი, 1929, 5-6, გვ. 156.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 202; თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.



ვერტიკალურ ხაზზე, რომელიც „ანი“-დან იღებს საწყის ფორმას, მანი-პულირების გზით არის მიღებული და ყველა მათგანი ორიგინალური წარმოშობისაა. მათი ცალცალკე განხილვა და დაპირისპირება სხვა დამწერლობის ნიმუშებთან სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. საჭიროა მათი გამორჩევა ქართული ანბანიდან და შიდა პროცესებით მათი განმარტება.

⊖ — „დონის“ გამოსახვა ძირითადად ხდება ცნობილი ფორმის მიხედვით. ეს არის წრე და ზევიდან ჰორიზონტული ხაზი. განსხვავებულ სურათს იძლევა მეცხრე წარწერის „დონი“. წრე ზევით ნაწილში გახსნილია, არ არის შეერთებული და ორივე ნაწილი გაგრძელებულია თითქმის პარალელურად.

⊗ — „ენი“ ყველა წარწერაში ერთი, დაკანონებული ფორმისაა და მისი დამახასიათებელი ნიშანია სწორკუთხიანი ზედა ნაწილი.

⊘ — „ვინი“ აშკარად, „ენისგან“ ჩანს განვითარებული მარჯვნივ კუთხოვანი ნაწილის მიერთებით. ის სულ ცამეტჯერ გვხვდება.

⊙ — „ზენი“ ოთხგან არის ნახმარი და უცვლელი გრაფიკული გაფორმებით არის აღნიშნული.

⊚ — „თანი“ ივ. ჯავახიშვილის კვალიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილი იყო, ორად გაჭრილი წრის მარცხენა ნახევრით, რომელსაც მარჯვნივ შუაში პატარა ნაზიდული ხაზი ჰქონდა. ასეა აღნიშნული ნეკრესის წარწერებში მოხსენიებულ სახელებში „თობულასა“ და „მოთორში“, განსხვავებული გამოსახვა აქვს № 9 წარწერაში, სადაც ის თავგახსნილია.

⊛ — „ი“ წარწერებში უცვლელი ფორმით გვხვდება, დამახასიათებელი კუთხის ფორმის შენარჩუნებით. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია კუთხე გამრუდებული (№8). რამდენიმე წარწერაში „ი“ გვხვდება დაწყვილებული, ერთ შემთხვევაში გაორებული 11 (რუსთავის №1 წარწერა), ორგან კი „ჩ“-სთან ერთად — 17. პირველ შემთხვევაში იკითხება როგორც „იყავნ, იყავნ.“ ასეთი ნყვილი დადასტურებულია ბოლნისის წარწერაში, ამოკითხულია კ. კეკელიძის მიერ.<sup>1</sup> მეორე ვარიანტი 17 გვხვდება ნეკრესის № 10 წარწერაში და რუსთავის № 2 წარწერაში. რუსთავის წარწერაში ის დაქარაგმებულია. „ჩ“ ისე როგორც სხვა შემთხვევაში ღვთაების სიმბოლური ასონიშანია, „1“ კი დასტურია წარწერის მიმართ.

⊜ — „კან“ წარწერებში ხუთჯერ გვხვდება, აქედან ოთხჯერ ფიქალზე მოთავსებულ წარწერაში, სადაც მაინცადამაინც კარგად ვერ იკითხება და ამდენად დაწვრილებით ვერ განვიხილეთ.

⊝ — „ლასი“ ერთგვაროვანი ცნობილი გაფორმებით გვხვდება შვიდ

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960, გვ. 420.

შემთხვევაში და მხოლოდ ერთხელ, მის ჰორიზონტულ ნაწილს კვეთს პატარა ხაზი. ამისდა მიუხედავად ის ვერ ჩაითვლება „ლასის“ მუდმივ ელემენტად და მხოლოდ ამ შემთხვევაში გვაქვს ასეთი სიახლე. ნარწერაში (№10) ორჯერაა ეს ასო გამოყენებული და მხოლოდ ერთხელ არის დაფიქსირებული ცვლილება.

ჰ — „მან“ ასო თერთმეტჯერ გვხვდება ნარწერებში და დამახასიათებელ მომენტად გვეჩვენება ვეტრიკალური ნაწილის გადამკვეთი ხაზის შედარებით უზომოდ გაგრძელება. ეს არის დამახასიათებელი ნეკრესის ნარწერებისათვის.

ასევე ჩამოყალიბებული გრაფიკული გაფორმება ახასიათებს ნ ნ „ნარს“. გადახვევას ვხვდებით № 8 ნარწერის მიხედვით, სადაც ის სამგან არის გამოყენებული, ერთ შემთხვევაში მეტად სქემატურადაა — გადმოცემულია ორი ურთიერთ მიერთებული რკალის მეშვეობით.

ჯ — „ე“ ერთხელ გვხვდება № 4 ნარწერაში. ის საკუთარი სახელის ფოთორის პირველი ასოა. განსხვავებული ნიშანი V ს. ნარწერებისაგან არ გააჩნია.

ღ — „ონი“ საკმაოდ ხშირადაა გამოყენებული ნეკრესის ნარწერებში (18-ჯერ). მას ხუთნაირი გრაფიკული სახე აქვს მიცემული: ხუთ შემთხვევაში მას, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, პატარა კუდიც აქვს მარჯვენა გვერდით წარზიდული და ცოტა ზევითკენ ახრილი ო; მეორე გრაფიკული სახე წრეხაზით არის წარმოდგენილი ო; შეიძლება აქ განვიხილოთ რუსთავის № 1 ნარწერის ასო-ნიშანი, რომელიც სრულიად განსხვავებულია ყველა სხვა გრაფიკული გამოსახულებისაგან და წარმოადგენს ორ-ორი პარალელური ხაზისაგან შედგენილ ფიგურას, სადაც ერთი წყვილი მარჯვნივ არის გადახრილი. ასეთი ნიშანი სხვაგან არსად გვხვდება. ასევე უცნობი გრაფემით არის ის აღნიშნული ნეკრესის ფიქალზე მოთავსებულ ნარწერაში, რომელიც ვერ ჯდება „ონის“ ვერავითარ სავარაუდო წარმოსახვაში. მეხუთე ვარიანტი დადასტურებულია ნეკრესის №10 ნარწერაში. აქ ის ორჯერ გვხვდება, პირველად სიტყვაში „ნღჟღს“. ასოს ქვედა რკალი გახსნილია და მარჯვენა ბოლო მოხრილია. მეორეგან ვხვდებით სიტყვაში „ნღჟღსღს“. აქ არა თუ გახსნილია ქვედა რკალი, ორივე ბოლო მოკაუჭებულია, რითაც ძლიერ მიემსგავსება ბერძნულ ომეგას, Ω. „ო“-ს ასეთი ორგვარი გამოსახვა მავარაუდებინებს, რომ განსხვავება იქნებ ასონიშნის ფონეტიკურ ვარიანტებს გულისხმობდეს ერთ შემთხვევაში, ბერძნულის გავლენით შეიძლება გვაქვს ო-მოკლე (ო მიკრონი) და მეორე შემთხვევაში კი ო-გრძელი (ო მეგა).

„ონის“ პირველი ტიპის შესახებ გ. ნერეთელი პალესტინაში აღმოჩენილი



ქართული წარწერების მიხედვით ოთხ ვარიანტს გამოყოფს და მათი გრაფიკული სხვაობის აღნიშვნით — კუდის სიგრძისა და ახრილობის გათვალისწინებით, განსხვავებულ თარიღებს გვთავაზობს და მათგან ერთს V საუკუნეზე ადრეული ხანისად მიიჩნევს.<sup>1</sup> აღნიშნული ვარიანტი თ. გამყრელიძეს მიაჩნია მოდიფიცირებულად ბერძნულ პროტოტიპთან შედარებით. მოდიფიცირება ეხება წრეხაზისათვის მარჯვნივ მოკლე კუდის დართვას.<sup>2</sup>

ნეკრესის № 10 წარწერის მიხედვით აშკარად ჩანს „ონის“ წარმომავლობა ბერძნული პროტოტიპისაგან და ეს ფაქტი იქნებ გამოდგეს მისი როგორც უძველესი ფორმის დასადგენად.

ფიქალზე მოთავსებული წარწერის „ონი“ მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად განსხვავებული ფორმისაა, მაინც ემჩნევა წრეხაზისა და კუდის ატავისტური ნაწილი, თუმცა კი ამოვარდნილია საერთო სურათიდან — ᄀ.

რაც შეეხება რუსთავის წარწერის „ო“-ს, მართალია პარალელური ხაზებით რაღაც სივრცეა მიღებული, მაგრამ განა შეიძლება ის მივიჩნიოთ წრეხაზის გრაფიკულ გამოსახულებად? ძნელი დასაჯერებელია.

ერთი რამ შეიძლება დავასკვნათ: „ო“-ს გამოსახვის ასეთი გრაფიკა უნდა მიუთითებდეს რაღაცნაირად მათ ქრონოლოგიურ სხვაობას, თუნდაც მცირე ინტერვალებით. ყოველ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ წრეგახსნილი „ო“ ქრონოლოგიურად უფრო ძველ ნიმუშებს ახლავს, ვიდრე შეკრული წრე. ეს გასათვალისწინებელია დათარიღებაზე მსჯელობის დროს.

ჟ — „რაე“ თითქმის ერთ ფორმას ინარჩუნებს ყველა წარწერაში. დამახასიათებელია მარჯვენა კუთხოვანი ფიგურის სიმოკლე — ვერტიკალური ხაზი არ ჩამოდის ბოლომდე, რითაც მის არქაულობას უსვამენ ხაზს.<sup>3</sup>

ასევე უცვლელია ს — „სანი“, რომელიც გვხვდება ხუთ წარწერაში 17-ჯერ, და „ტარი“, გვხვდება ორ წარწერაში 4-ჯერ.

ასომთავრულ კ-ს ორჯერ ვხვდებით იდენტური გრაფიკული გაფორმებით. ასევე ითქმის „ფარის“, „ჟ“ შესახებაც.

† — „ქან“ მხოლოდ №9 წარწერაში გვხვდება სიტყვაში „ქრისტეფორე“. მისი გრაფიკული სახე შეიძლება ბერძნულს დავუკავშიროთ, მაგრამ არ არის უგულვებელსაყოფი ამ ფორმის გავრცელების წყარო უშუალოდ ვეძიოთ ნეკრესში. ძვ.წ. I საუკუნით დათარიღებული ჯამების ძირებზე — გამოსახულია დაბალი რელიეფით წრეებში ჩასმული ტოლმკლავი ჯვარი,

<sup>1</sup> გ. ნერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 49, 50.

<sup>2</sup> თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

<sup>3</sup> თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

რაც ციური სხეულების, კერძოდ კი მზის სხივების გამომსახველი უნდა იყოს.

ქართული ანბანის ე.წ. „დანართი“ ნაწილიდან ყურადღებას იმსახურებს „ცან“-ის სამჯერ გამოყენება მეშვიდე, მერვე და მეათე წარწერებში, თანაც თითქმის იდენტურ სიტყვებში „ნუმცავინ“ ორჯერ და „ნუმცავის“ ერთხელ. C გამოსახულია, ერთიდაიმავე მოხაზულობით ორჯერ, ერთხელ კი ბოლო უზომოდ გაგრძელებული აქვს მეშვიდე წარწერაში. სრულიად სამართლიანია მის პროტოტიპად ლათინური C ვივარაუდოთ.<sup>1</sup>

„წ“ — „ვარ“-ის გამოსახულება, რომელიც მეათე წარწერაში გვხვდება, თითქოსდა დაუმთავრებელი გრაფემის შთაბეჭდილებას ახდენს — ჰორიზონტული ხაზი, რომელიც ხარის რქებს აერთებს, არ არის გამოსახული. ეს, ცხადია, არ შეგვიშლის ხელს გრაფემის მიხედვით ხარის თავის ფორმა რომ წარმოვიდგინოთ.

პირველი შთაბეჭდილება ნეკრესის წარწერების შესწავლისას, რაც თვალში ხვდება მკვლევარს, არის მათი გამოსახვის ტექნიკური ხერხი. ყველა მათგანი ამოკანვრით არის მიღებული. ზოგი უბრალოდ ნაკანრია ქვის ზედაპირზე, ზოგი კი უფრო ღრმა ნაკანრით არის მიღებული. პირველს მიეკუთვნება № 2, 3, 4, 5 წარწერები — „ლევაკი“, „თობულა“, „მოთორი“ და წარწერის ნაშთი; № 1 „აბაზა“, „ნოში“ უფრო ღრმა ჭრილითაა გამოსახული, დაბალი ნაკანრია № 8 წარწერა. №10 ღრმა კვეთით არის შესრულებული და ამიტომ ყველაზე უკეთ ჩანს. ქვევრის პირზე მოთავსებული ასოები, რომლებიც ჭურჭლის გამონვამდეა მიღებული, ასევე ამოკანვრის წესით არის შესრულებული. იმის გამო, რომ თიხა არ არის კარგად დამუშავებული და გამომწვარი, ქვევრის პირზე ასოები არათანაბარი სიღრმით აღიბეჭდა. ამის შედეგია, რომ ქიმიური დამუშავების შემდეგ მეორე სტრიქონის ორი ასო ოც თითქმის აღარ ჩანს.

აღნიშნული წარწერებიდან ცალკე დგას ფიქალზე შესრულებული წარწერა. ასოები აქ გამოყვანილია ბასრწვერიანი ნივთით, საკმაოდ კარგად, თუმცა კედელში ჩადგმისას კირ-დულაბის ხსნარში ზოგი ასო გადაიშალა და ზოგიც ნაიშალა მთლიანად ან ნაწილობრივ. წარწერას, ეტყობა, ორი შემსრულებელი ჰყოლია, პირველი სამი სტრიქონი და მეოთხის დასაწყისი, შედარებით მკვეთრად არის ნაწერი, ხელიც განსხვავებულია. სხვა სტრიქონები არ იკითხება, თუმცა ზოგი ასო კარგად ჩანს, ასევე ითქმის მეორე გვერდზე მოთავსებული ასოების შესახებაც. ეს არის ფიქალზე შესრულებული ხელნაწერი, ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის ყველაზე ძველი, რომელიც მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის დამწერლობის

<sup>1</sup> თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.



ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

წარწერების წყობა სხვადასხვაგვარია. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია სტელაზე ერთი სიტყვით მამაკაცის სახელი ამოკანრული „ლევაკი“. სახელებია ამოჭრილი ყველა ეპიტაფიაზე — „აბაზა“ (აბზა), „თობულა“, „აოთორი“, „ნოში“, „ბაია“ (?), „ფარსმან აზატი“. „ლევაკის“ გარდა, სხვა წარწერები არის ორ სტრიქონად, ოთხ სტრიქონად. მეათე წარწერაში ექვსი სტრიქონია, არასრული რვა სტრიქონია მერვეში და არასრული ცხრა მეცხრეში.

წარწერის დასრულებისას, მერვე წარწერაში მეშვიდე სტრიქონის სიტყვის ერთი ასო ჩამოტანილია ქვევით, სიტყვის ქვეშ, შუაში, რითაც ის წარწერის დასრულების მაჩვენებელია. პირველი წარწერის მეოთხე სტრიქონის „ჩ“ ჩ-ს შესახებ უკვე გვქონდა საუბარი წარწერის განხილვისას და ის მიმაჩნია მთვარის სიმბოლურ ასო-ნიშნად. ასეთი ნიშნები დადასტურებული გვაქვს ნეკრესში, ვანში, არეშში, რუსთავის ორ წარწერაში. ნეკრესის ახლად აღმოჩენილ წარწერაში მეექვსე სტრიქონი ბოლოვდება ორი ასოთი, პირველია „ჩ“-ჩ და მეორე, აღდგენით უნდა იყოს „წ“-ი. „ჩ“ ანალოგიური აზრითაა, როგორც პირველში. მეორე უნდა იყოს „იყავნ“. ეს აღნიშვნა ტექსტის ბოლოს დასტურის მაჩვენებელია. ასეთივე აღნიშვნაა რუსთავის ერთ-ერთ წარწერაზე, ოღონდ დაქარაგმებით. მაშასადამე, ბოლნისის 494 წ. დავით ეპისკოპოსის წარწერაზე აღნიშნული „წწ“ „იყავნ“ „იყავნ“ წარმართული დასტურის მისანიშნებელი გრაფემის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. ერთ შემთხვევაში, № 10 წარწერის მიხედვით, გრაფიკული შემკობის ხერხის გამოყენებასაც ვხვდებით. მესამე სტრიქონის ო „ა“-ს ქვედა რკალზე გადამკვეთი ხაზი აქვს. ასეთივენაირად არის გადაკვეთილი მეხუთე სტრიქონის „ლ“-ს. არ გამოვრიცხავ, რომ აქ საქმე გვქონდეს ნაკითხვისას, ბგერის გადმოცემის ვარიაციებთან. შესაძლებელია, აქაც ანალოგიურ მოვლენასთან გვქონდეს საქმე, როგორც „ო“-ს შემთხვევაში. ზევითაც მქონდა აღნიშნული, ერთგან გვაქვს ო-მოკლე (მიკრონი) და მეორე შემთხვევაში ო-გრძელი (მეგა). მესამე სტრიქონის „ი“-სა და „ა“-ს შორის მრუდის არსებობა რამდენად არის შემკობის ხერხის გამოყენება, გაურკვეველია.

წარწერები, როგორც ითქვა, ამოკანვრით არის შესრულებული, რითაც ისინი განირჩევიან მეხუთე საუკუნის რელიეფური წარწერებისაგან. მართალია, ზოგი წარწერა შედარებით ღრმა კვეთით არის მიღებული, მაგრამ ამას არ შეიძლება რაიმე განსხვავებული აზრი ჰქონდეს თარიღთან დაკავშირებით. ასეთი სახის ნაკანრი წარწერები უძველესად უნდა იყოს მიჩნეული რელიეფურ წარწერებთან შედარებით. ეს უკანასკნელი ჰქონდა მხედველობაში ივ. ჯავახიშვილს, რის შესახებაც ამბობდა „...გარეგნულად

სრულებით ჩამონაკვთილი და იმდენად დამთავრებულია, რომ მათი დასაწყისი დიდი ხნით უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ".<sup>1</sup>

ნეკრესის წარწერებში, გარდა ერთი შემთხვევისა, ქარაგმა არ არის დადასტურებული. იძლევა ეს ეჭვის საბაბს, რომ ის საერთოდ არ იყო შემოღებული, ძნელია ვამტკიცოთ. ქარაგმა ქვევრის პირზე შესრულებულ წარწერაზეა დადასტურებული, რომელიც ნეკრესის წარწერების ზედა ფენას შეიძლება მივაკუთვნოთ (II-III სს).

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ქართულ მეტყველებაში არსებული ერთნაირი წარმოშობის სიტყვები, რომლებიც ორი მოქმედების (კანვრა და წერა) იდენტურ საწყისზე მიგვანიშნებს. „კანვრა“-„ამოკანვრა“, როგორც ჩანს წერასაც ნიშნავდა. ნეკრესის წარწერების გრაფიკულ გამოსახულებათა ეს წესი (კანვრა) უდავოდ მათ არქაულობაზე უნდა მიუთითებდეს.

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 196. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც — ქართული ასომთავრული „სავსებით ჩამოყალიბებული და „ჩამონაკვთილი“ ხასიათი V საუკუნის წარწერებში არ გულისხმობს აუცილებლობით ამ კონკრეტული წერიტი სისტემის ხანგრძლივ წინარე ისტორიას“ (თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 197). აღნიშნული თვალსაზრისის გაზიარება არ შემიძლია, ნეკრესის წარწერების შემდეგ განსაკუთრებით.



## თარიღი

წარწერების განხილვისას, გაკვრით თარიღებზედაც მქონდა საუბარი. აქ ვეცდები შევაჯამო უკვე თქმული და შემდეგ მიმოვიხილო ქართული დამწერლობის შექმნის ისტორიული ფონი და ზოგი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით.

წინასწარ ვიტყვი, რომ ნეკრესის ნაქალაქარზე დადასტურებული ათივე წარწერა თავსდება საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ძვ.წ. ბოლო საუკუნეებიდან მოყოლებული ახ.წ. IV ს-დე. საერთო დასკვნით, საქმე გვაქვს წინაქრისტიანული ხანის დამწერლობის ნიმუშებთან, რომელთა დათარიღებაშიც არქეოლოგიური მონაცემებია გადამწყვეტი — მხედველობაში გვაქვს სტრატიგრაფიული ფენები და არქეოლოგიური მასალები.

რატომ ვფიქრობ, რომ აღნიშნული წარწერები წინაქრისტიანული ხანისაა და რით შემიძლია მისი დასაბუთება. ეს შესაძლებელია არქეოლოგიური მონაცემების გარეშეც და მეტად მარტივადაც. ქრისტიანული ხანის წარწერებისათვის, და არა მხოლოდ წარწერებისათვის, აქ იგულისხმება ყველა წერილობითი საბუთიც, დაკანონებული იყო წარწერის დასაწყისისათვის შემუშავებული ფორმის დაცვა. წარწერა იხსნებოდა ქრისტეს სახელით — სახელის პირველი ასოთი „ქ“, ანდა მიმართვით „უფალო“, „ღმერთო“, „წმინდაო“, ანდა სინმინდეების აღნიშვნით „სახელითა წმინდისა...“ „შენევნითა...“ და ა.შ. ასეთი ფორმულა არის აღნიშნული ჩვენთვის ნაცნობ ყველა, ქრისტიანული ხანის წარწერაზე დაწყებული დღეისათვის ყველაზე ადრეულად მიჩნეული წარწერებიდან (პალესტინის წარწერები, ურბნისი, ბოლნისი...). პალესტინის წარწერები: „შენევნითა ქრისტესითა“...; „წმინდაო თეოდორე“...; ურბნისის წარწერა: „უფალო იესუ ქრისტე“...; ბოლნისის დავით ეპისკოპოსის წარწერა: „შენევნითა წმიდისა სამებისა“...; ბოლნისის ამშენებლისა და ხელოსნების: „ქრისტე“...; ხელოსნების მოსახსენებელი: „შენევნითა ქრისტესითა“... ნეკრესის წარწერები მოკლებულია ასეთი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ტექნიკური ნიშნების ხმარებას. რომ არაფერი ითქვას არქეოლოგიურ მონაცემებზე, ეს მომენტიც იკმარებოდა შემოთავაზებული დათარიღების სამტკიცებლად. მაგრამ ასეთი დათარიღება დღევანდელ ეტაპზე, როდესაც საკმაოდ ტერიტორიაა შესწავლილი ნაქალაქარზე და ბევრი ხელსშესახები მასალაც მოპოვებული, არ შეიძლება გვაკმაყოფილებდეს და საჭიროა ყველა სათანადო მასალის მოზიდვა და განხილვა.

ნაქალაქარზე დადასტურებული ათი წარწერიდან რვა მოპოვებულია არქეოლოგიური თხრის შედეგად, ორი შემთხვევითი აღმოჩენაა. რვა წარწერიდან 7 აღმოჩნდა მარნის ტერიტორიაზე, ერთი ეკლესიის თხრისას. მარნში დადასტურებული შვიდი წარწერიდან ექვსი საფლავის ქვაა, ერთი ქვევრის პირი ქართული წარწერის ნაშთით. ჩვენი ძირითადი მსჯელობა ეპიტაფიების თაობაზე იქნება, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ წარწერების ძირითად მასას და ისინი კი თავისებურ გარემოს უქმნიან ადამიანთა შორის დამკვიდრებულ საყოფაცხოვრებო ჩვევებს.

სამწუხაროა, რომ წარწერებზე მსჯელობა გვიხდება ისეთ პირობებში, როდესაც შესაძარებელი, პარალელური სინქრონული ძეგლები არ გაგვაჩნია. დღესდღეობით, ქართული არქეოლოგიის განკარგულებაშია არა ერთი ადრექრისტიანული ხანის ძეგლი, ცხადია ვგულისხმობ ქრისტიანობის შემოსვლის დროინდელ — IV-V სს-ის სამარხეულ მასალებს, სადაც ქართული ეპიტაფიის არცერთი ნიმუში არ გაგვაჩნია. ასეთი რამ არ არის დადასტურებული სამთავროსა და არმაზისხევის სამაროვნებზე მცხეთაში, ურბნისში, მოდინახეს სამაროვანზე და სხვ. მე არ მქონია არც ერთი შემთხვევა ქართული ეპიტაფიის დადასტურებისა უამრავ ძეგლზე, რომელიც კი შემისწავლია. დავასახელებ გავაზის V-VI სს-ის ტაძართან გათხრილ სამაროვანს, არემის ნაქალაქარზე — „ბაზილიკის“, „საყდრის ყურის“, „მდინარის პირის“, „ტყის პირის“, „ტყის უბნის“ IV-V სს-ის ეკლესიებთან არსებულ სამაროვნებზე. ასეთივე სურათია ივრის ხეობის სამაროვნებზე, ქვემო ალევის, ბეთანიის და სხვ. ძეგლებზე. ნიშნავს ყოველივე ეს, რომ IV-V სს-ის საქართველოში არ არსებობდა წერის კულტურა ან ეპიტაფიების შექმნის ტრადიციები არ იყო?

ყოველივე ეს, დაკავშირებულია დამარხვის წესის და რიტუალის თავისებურებებზე, რაც იცვლებოდა რელიგიური დოგმების ცვლასთან ერთად. ქრისტიანობის შემოსვლა—დამკვიდრებამდე ადამიანთა აზროვნებაში იმქვეყნიური ცხოვრების, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული წესი არსებობდა. ადამიანი სიკვდილის შემდეგ გადადიოდა იმქვეყნიურ ცხოვრებაში, სადაც მათი წარმოდგენით ისეთივე ყოფა ელოდა, როგორც ამ ქვეყანაზე. აქედან გამომდინარე, თან ატანდნენ საყოფაცხოვრებო ნივთებს — სამკაულებს, ჭურჭელს და ზოგჯერ ცოლებსაც კი, ე.ი. ყოველივეს, რაც იყო საჭირო მეორე ცხოვრებისათვის. ქრისტიანობის გამარჯვებისას ასეთი წარმოდგენა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე უგულებელყოფილი იყო. ახალმა რელიგიურმა დოქტრინამ ადამიანს ახალი წესი დაუდგინა — ზრუნვა არა იმქვეყნიური სიმდიდრისა და განცხრომისაკენ, არამედ ზეციური მადლისაკენ, სულის სინმინდისაკენ. ადამიანის სული სიკვდილის — გარდაცვალების შემდეგ ზეცას მიდიოდა უფალთან და ჭირისუფალი ამჟამად უკვე ფიქრობდა არა საფლავის მონყოფაზე და იქ საიმქვეყნიო ცხოვრების მონ-



ყოფილებაზე, ან ეპიტაფიების შექმნაზე, არამედ უფლისადმი თხოვნის აღვლენაზე გარდაცვლილის სულის საოხად და ცხოვნებისათვის: „ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მლილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. ხოლო აქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა“... (მათე, 6, 19).

ეს წესი ურყევად შესასრულებელი იყო და მას ყველა ქრისტიანი ასრულებდა. ამასთანავე, ქრისტიანული დაკრძალვის წესმა შემოიტანა ახალი სამარხი მოწყობილობანი — ქვის ფილებით შედგენილი საფლავები, რომელთაც იყენებდნენ მრავალჯერადი დაკრძალვისათვის. ადრე დასაფლავებულის ძვლებს მიხვეტდნენ გვერდზე და ადგილს უთმობდნენ ახალ მიცვალებულს. ასეთი წესით დაკრძალულთა, ერთმანეთში არეული ჩონჩხებით, ზოგჯერ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ივსებოდა სამარხები. ასეთი წესი გამორიცხავდა ეპიტაფიების შექმნის აუცილებლობას. სულის მეოხების და ცხოვნების სათხოვნელი ტექსტებისათვის ეკლესიების კედლები იყო გამოყენებული, და საგანგებოდ აღმართული ქვა-ჯვრები და სტილები.

აი, ეს მომენტი იყო განმსაზღვრელი საფლავების მოწყობისას. ადრე-ქრისტიანულ პერიოდში სულ ორი შემთხვევა ვიცით სამარხებზე წარწერების გაკეთებისა და ორივეგან ლაპარაკია — ერთგან სულის მოხსენიებაზე (ბალიჭი V-VI სს.) და მეორეგან სამარხში სხვა ვინმეს ჩასვენებაზე (იოანე ბოლნელის საფლავის წარწერა IX-X სს.).<sup>1</sup> ადრე ნახსენები ბერძნული წარწერებიც ასეთი ხასიათისაა.

ექვსივე ეპიტაფია მარანში იყო დადასტურებული კედლების წყობაში. პირველი წარწერიანი ქვა (№1) აღმოჩნდა მარნის ჩრდილოეთ კედელში. გამოყენებული იყო მშენებლობაში, როგორც საშენი მასალა. № 2 და № 3 საფლავის ქვები №1 სანნახელის კედლებში იყო ჩატანებული, № 4 და № 5, №2 სანნახელის ნანგრევების ქვების გროვაში ეყარა, № 10 ქვა კი გამოყენებული ყოფილა №3 სანნახელის მშენებლობისას. მაშასადამე, ზევით ჩამოთვლილი ყველა წარწერიანი ქვა გამოყენებული ყოფილა მარნის და სანნახელების მშენებლობაში — მეორადი ფუნქცია მიუღიათ.

რაც შეეხება მარანს, არქეოლოგიური მასალებით — კერამიკით, მისი მშენებლობა IV ს-ით უნდა დათარიღდეს. ზედა თარიღი — დანგრევის დრო, კარგად ირკვევა და ის უკავშირდება სპარსელთა ლაშქრობას აღმოსავლეთ საქართველოში V ს-ის ბოლოს. ეს თარიღი განმტკიცებულია ნახშირბადის იზოტოპების ლაბორატორიული დასკვნით, რომელიც ჩაუტარდა მაზდეანური ტაძრის ზედა ფენაში არსებულ ციხე-სასახლეში მოპოვებულ ნიმუშებს.

<sup>1</sup> ლაპიდარული წარწერები, გვ. 149, 153.

ეს თარიღი საერთოა მთლიანად ნაქალაქარისათვის, მათ შორის მარნი-სათვისაც. მარანში ნგრევის კვალი კარგად არის დაფიქსირებული დანგრეული კედლების, სანახელების და ჩალენილი ქვევრების სახით. მაშასადამე, მარნის დანგრევის თარიღად უნდა მივიღოთ მეხუთე საუკუნის ბოლო. რაც შეეხება მარნის აგებას, ის მეოთხე საუკუნეში უნდა იყოს აგებული, რაზედაც მიუთითებს მეოთხე საუკუნისათვის დამახასიათებელი კერამიკული ფრაგმენტების დადასტურება. ეს არის წითლად გამომწვარი, პრიალაზედაპირიანი თიხის ნაწარმი, ძირითადად პატარ-პატარა ჭურჭლეულის ბრტყელი ძირებით წარმოდგენილი, მსგავსი ურბნისის ნაქალაქარზე დადასტურებული მასალისა. ხსენებული კერამიკისათვის დამახასიათებელია თავისებური ფორმები და ტექნოლოგია, რითაც ის მჭიდროდ უკავშირდება განსაკუთრებით ახ.წ. III საუკუნის მასალებს. აი ასეთი არქეოლოგიური მონაცემებით მარნის მშენებლობის თარიღის განსაზღვრა მეოთხე საუკუნით ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს (სურ. 38).

რაც შეეხება უშუალოდ მარნის ფუნქციონირების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ მარნები მევენახეობის მდიდარი ტრადიციების მქონე საქართველოსათვის ძველი დროიდანვეა ცნობილი, მაგრამ ქრისტიანობის გავრცელებამ ჩვენში ამ დარგის განვითარებას განსაკუთრებული სტიმული მისცა, რაც დაკავშირებული იყო უშუალოდ ქრისტეს ცხოვრებასთან. მაცხოვრის ფრაზა: „მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი“... (იოანე 15, 5), არაჩვეულებრივი მუხტის შემცველი აღმოჩნდა, რამაც საფუძველი დაუდო იკონოგრაფიაში ქრისტეს გამოსახვის წამყვან თემას ვაზის რტოებში ყურძნის მტევნებთან ერთად, მოციქულების გარემოცვაში. ღვინო ქრისტეს სისხლის სინონიმად იქცა და პურთან ერთად შეადგინა ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოს არსი — ღვინო და პური სისხლი და ხორცი მაცხოვრისა, რომლის შესრულება აუცილებელი იყო აღაპების დროს.<sup>1</sup> ღვინის აღიარებით ქრისტიანული საიდუმლოების რიტუალში, ის იქცა წამყვან დარგად, ისედაც მეღვინეობით და მევენახეობით განთქმულ ქვეყანაში. შემთხვევით არ არის, რომ წმინდა ნინო სწორედ ვაზის ნასხლევიდან შეკრული ჯვრით ახერხებს წარმართების მოქცევას და ჯვარზე დაფიცებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ ღვინის და პურის სარიტუალო საიდუმლო ქრისტემდეც იყო მიღებული მითრისტების მიერ. გადმოცემით მითრა კლდიდან იშვა ყურძნის მტევნით ხელში. ასეთი გამოსახულება არის შემორჩენილი. სხვა შემთხვევაში ცნობილია სცენა, სადაც მითრამ ნაჩვენები პურითა და ღვინით.<sup>2</sup> თუ გავითვალისწინებთ, რომ ნეკრესში საკმაოდ

<sup>1</sup> The new Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land, Vol., I, 1993, Printed in Israel, Early Churches.

<sup>2</sup> Franz Cumont, The Mysterries of Mithra, London, 1903, გვ. 124, 131.



ძლიერი იყო მითრას კვალი, არ შეიძლება გაგვიკვირდეს ღვინის ფენომენის წამოწევა, განსაკუთრებით ახ.წ. პირველ საუკუნეებში, როდესაც მითრანიზმი საკმაოდ ფესვებგადგმული ყოფილა ჩვენში. სხვათა შორის, ამაზე მინიშნება იმ წარწერიანი ქვევრის პირითაც შეიძლება, რომელიც მარანში იყო დადასტურებული (წარწერა № 7). ნეკრესის ბაზილიკაში, რომელიც IV ს-ით თარიღდება, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ქვევრი იყო დადასტურებული. აღნიშნული ბაზილიკა ერთ-ერთი უძველესი ტაძარია საქართველოში და შესაძლებელია ეჭვიც გამოითქვას აღნიშნული ქვევრის თაობაზე, რომ ის გამიზნული იქნებოდა ახლადმოქცეულთა საკურთხებლად.

აქვე არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ნეკრესის მარნის დიდი მასშტაბები. 400 კვ.მ. ფართობზე ხუთი სანახელი იყო მოწყობილი და რამდენიმე ათეული ქვევრი ჩადგმული (სურ. 5, 39). ასეთი რაოდენობის ღვინის წარმოება, არამც და არამც ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ ყოფილა გამიზნული. ნეკრესის როგორც ქალაქის წარმოშობა აქ, ალაზნის ველისა და მთიანი კავკასიონის შესაყარზე, მნიშვნელოვანწილად გაპირობებული იყო მისი შუალედური როლით ბარისა და მთის მოსახლეობას შორის. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ძლიერდება IV საუკუნიდან ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, როცა ნეკრესი ამავე დროს ახალი რელიგიის გამავრცელებელია მთის მოსახლეობაში. მას ასევე ევალებოდა მთის უზრუნველყოფა ღვინითაც, ქრისტიანობასთან დაკავშირებული აუცილებელი პროდუქტით.

მაშასადამე, ზემოთ განხილული მასალები უფლებას იძლევა მარნის აგება ვივარაუდოთ მეოთხე საუკუნეში. ცხადია მარნის კედელში და სანახელში ჩატანებული წარწერიანი ქვები უფრო ძველია და თარიღიც შეიძლება განისაზღვროს მეოთხე საუკუნის წინა პერიოდით. ასეთი თარიღი ცხადია ვერ დაგვაკმაყოფილებს, რადგანაც მეოთხე საუკუნის წინა პერიოდი განუზომლად ვრცელია და ძნელად განსასაზღვრელიც. მის შესახებ მსჯელობა შესაძლებელი გახდა მთლიანი ტერიტორიის გათხრის შემდეგ და ცალკეული სტრატოგრაფიული ფენების გამოყოფის კვალდაკვალ.

საველე სამუშაოების დროსვე დადგინდა, რომ აღნიშნული წარწერიანი ქვები ეპიტაფიებია და რომ ისინი აქვე მახლობლად არსებულ სამაროვანზე უნდა ყოფილიყო აღმართული. რადგანაც წარწერები პალეოგრაფიულად დათარიღების საშუალებას ვერ იძლეოდა, ჩვენ წინაში დაისვა საკითხი დაგვეწყოს საველე კვლევა-ძიება აქვე სამარხების მიგნების მიზნით და არქეოლოგიური მასალებით სამარხების დათარიღების კვალდაკვალ მოგვეხდინა წარწერების იდენტიფიკაცია სამარხულ მასალებთან.

ამ მიზნით, პირველ რიგში მთლიანად გაითხარა მარნის შიდა ტერიტორია და აღმოსავლეთის მხრიდან მიმდგომი ვიწრო ზოლი.

მარნის ტერიტორია ერთთავად დაკავებული ჰქონდა ქვევრებს. საწნახელები მარნის კედლებზე იყო მიშენებული. ექსპედიციამ მარანში დაგვიდასტურა ორ ათეულამდე ქვევრის არსებობა, თუმცა ეს რაოდენობა სრულიადაც არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. ქალაქის დანგრევის დროს, როდესაც მარანიც ძლიერ დაზარალებულა ქვევრები ჩაუმტვრევიათ, საწნახელები მწყობრიდან გამოსულა. ბევრგან მხოლოდ ქვევრების ძირები-ლა იყო დარჩენილი. ერთ ქვევრში რკინის ცული ეგდო — ალბათ ქვევრების მტვრევისას ტარი გაძვრა და იქვე დატოვეს. როგორც ირკვევა, ქვევრების გარკვეული რაოდენობა მოსახლეობას ნაუღია. ერთ ადგილზე ქვევრი გვერდით იყო გადაწვენილი — ჩანს ამოღებისას გატეხილა და მიუტოვებიათ.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დაემართებოდა კულტურულ ფენებს ორი და მეტი მეტრის სიღრმის ორმოების ამოღების შედეგად. ფენები ამოტრიალებული იყო, დაძრული ადგილიდან და დამსხვრეული. მარნის შიდა ტერიტორიის თხრის დროს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იყო დადგენილი. რამდენიმე ადგილზე 1.0-1.2 მ. სიღრმეზე უძრავი ადგილები იყო დაფიქსირებული, საიდანაც მეტად თავისებური კერამიკაა ამოღებული. განმსაზღვრელია წითლად და ჩალისფრად გამომწვარი კეცი, ოდნავ შიგნით გადაწეული პირით და ქუსლამოღარული ძირი, ასეთი ნატეხები ჩნდებოდა მთელ ფართობზე. კულტურული ფენის მთელ სივრცეში აღმოჩენილი მასალები, რაზედაც შემდეგაც გვექნება საუბარი, ძვ. წელთაღრიცხვის ბოლოს განეკუთვნება. ეს ფენა გრძელდებოდა მარნის გარეთაც, უპირატესად ჩრდილოეთის მხარეს, სადაც უფრო გამოკვეთილად გამოჩნდა მარნის ქვეშ არსებული ფენები (სურ. 40, 41).

დღეს უკვე გადაწყვეტით შეიძლება აღინიშნოს, რომ მარნის აშენებამდე ეს ადგილები საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფილა ათვისებული წინაქრისტიანული ხანის სამლოცველოებით, თანაც, რაც განსაკუთრებით არის აღსანიშნავი, სხვადასხვა რწმენის და რიტუალების მრევლით.

სულ ქვედა ფენა — წარმოდგენილია დამწვარ-დანახშირებული მოედნით, რომელიც მოფენილი იყო დამწვარი ძვლებით (სურ. 42). მას უკავია მარნის ჩრდილოეთის მინაშენის ქვედა ნაწილი, ნაწილობრივ შედის მარნის ქვეშაც. ნაგებობა არ გააჩნია, თავისუფალი ადგილია, ყოველ შემთხვევაში ასე მოაღწია ჩვენ დრომდე. საქმე გვაქვს წარმართული ხანის ღია სამლოცველოსთან, საკერპო ადგილთან, სადაც სრულდებოდა მსხვერპლშენიერვა, სათანადო რიტუალების თანხლებით. დადასტურებულია რამდენიმე ორმო, რომელთა პირის დიამეტრი დაახლოებით 25-30 სმ-ია, სიღრმე — 40-70 სმ (სურ. 43). ორმოებში, სავარაუდოა შენირული მსხვერპლის სისხლი გროვდებოდა. ეს წესი კარგადაა ცნობილი მითრას სამლოცველოებშიც. დადასტურებულია არაერთი კლდეში ამოღებული ორმო სისხლის ჩასახმელად. მითრეუმებში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ლო-



ცვა, რასაც თან ახლდა მსხვერპლშენიშვნა. სისხლი გროვდებოდა ორმოებში ან აძლევდნენ დასალევად. ეს წესი როგორც ზანს უფრო ძველი დროიდან მომდინარეობს.<sup>1</sup>

სამსხვერპლო მოედანს აღმოსავლეთის მხრიდან ეკვრის კრემაციული სამარხების შემცველი მოედანი, სადაც დაფიქსირებულია 13 ქვებშემონ-ყობილი ბუდე, დაახლოებით 30-40 სმ. სიგანისა და სიმაღლის. შიგ ნაცარი ეყარა, ძვალი მხოლოდ ერთ სამარხში იყო დადასტურებული. ზემოდან კრემაციულ ბუდეებს ფიქლის ნაჭრები ეწყო (სურ. 44, 45). სამლოცველო და კრემაციული მოედანი ერთი ფენის ძეგლებია, ერთი კომპლექსია. გარკვევა იმისა, თუ რომელი რელიგიური მიმდინარეობის საკულტო ადგილს წარმოადგენდა ის, შეუძლებელია. ამ სამლოცველოს შემქმნელი საზოგადოების რელიგიური მრწამსი მხოლოდ ზოგადი ტერმინით—წარმართობით შეიძლება აღვნიშნოთ, თუმცა ეს სახელი ქართულ ისტორიოგრაფიაში მომცველია არა ერთი რომელიმე კულტისა, არამედ ზოგადად წინაქრისტიანულ ხანას აღნიშნავს.

სამსხვერპლო-სამლოცველო მწყობრიდან არის გამოსული ძალადობის შედეგად — ადგილი გადამწვარია და დანგრეული. მიწა ალაგ-ალაგ განითლებულია ძლიერი ცეცხლისაგან. ნივთიერი მასალა არ არის აღმოჩენილი, მხოლოდ დამწვარი ძვლის ნატეხები იყო მიმოფანტული, რომელთა შორისაც გაირჩევა თხა, ცხვარი, ირემი (განსაზღვრულია აბ. ვეკუას მიერ). სამლოცველო იატაკზე დადასტურებული გვაქვს მხოლოდ რამდენიმე ლეგაპრიალა კერამიკის ნატეხი, მათ შორის გადაშლილპირიანი ლანგრის პირის პროფილირებული ფრაგმენტებია (სურ. 46). ასეთი მწირი მონაცემებით, ძეგლის სავარაუდო თარიღი შეიძლება განისაზღვროს ძვ.წ. IV-II საუკუნეებით. დანგრეული უნდა იყოს ძვ.წ. II ს-ში.

ეს არის სულ ქვედა, პირველი ფენა.

ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, აღვადგინოთ აღნიშნული საკერპო მოედნის რიტუალური დატვირთვა, სათანადო მონაცემების არარსებობის გამო, მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სტრაბონისეული აღწერის ნაწილი, რომელიც იბერიის მომიჯნავე ალბანეთის მხარეს შეეხება. ნეკრესიცი ხომ ჰერეთის ნაწილია და მისი პარალელად გამოყენება ალბათ არ უნდა იყოს დასაგმობი. სტრაბონის მიხედვით ამ ადგილებში ღმერთებად აღიარებდნენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით კი მთვარეს. მისი მთავარი სალოცავი სწორედ იბერიის მახლობლად ყოფილა. რიტუალის ერთი ნაწილი გულისხმობდა ტყეში მოხეტიალე შთაგონებული ადამიანის მსხვერპლშენიშვნას, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ქურუმს ჰყავს

<sup>1</sup> Franz Cumont, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

წმინდა ჯაჭვით შეკრული და საგანგებოდ გამოკვეთილი.<sup>1</sup> აი ამ ადამიანს, სხვა სამსხვერპლო ცხოველებთან ერთად სამსხვერპლოსთან სწირავენ ღმერთქალს. მსხვერპლად შეწირული ადამიანის გვამთან ხდებოდა მისნობა. არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამ საკერპო თუ სამისნო ადგილზე ხდებოდა მსგავსი რიტუალი და იქნებ კრემირებული სამარხებიც ასეთი რიტუალის შემდეგ ჩნდებოდა ხოლმე.

სამლოცველო, როგორც ჩანს, შინაური რელიგიური დაპირისპირების შედეგად უნდა იყოს განადგურებული. მას ზედ ადევს თითქმის სტერილური ფენის გარეშე, ასევე სამლოცველო, ოღონდ უკვე სათანადო ნაგებობით (სურ. 47, 49). კედლები, რომელთა სისქეა 1.15 მ. ამოყვანილი ყოფილა თიხის ხსნარზე, მთლიანად არ მოიცავს წინა ფენის სამლოცველოს ფარგლებს. ამ უკანასკნელის დამწვარი იატაკის ფენა გადის კედლების გარეთაც. სამლოცველოსთვის განკუთვნილი შენობის ნაწილი მოქცეულია მარნის ქვეშ და შედის ჩრდილოეთის მხრიდან. აქ, №3 საწნახელის მშენებლობისას სამლოცველოს ეს ნაწილი დაუნგრევიათ. მისი აღდგენა პირობითად შესაძლებელია, რაც ასახულია ნახაზებზე (სურ. 39, 48). სამლოცველოს კედლების ზომებია: აღმოსავლეთ კედელი სავარაუდოდ – 10 მ; ჩრდილოეთ კედელი – 8 მ; დასავლეთ კედელი – 10 მ. მთლიანი ფართობია 80 მ<sup>2</sup>.

პირველივე თვალში საცემი გარემოება, რომელიც დაგვიხვედა იატაკის გათხრისას, იყო ნაცრის გროვა ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ და ცეცხლისგან დანითლებული კედლის ქვები. ეს აღმოჩენა აშკარად მიგვანიშნებს სამლოცველოს ხასიათზე, სადაც კარგად იკვეთება სამსხვერპლო ადგილი სქელი ნაცრის ფენით. პარალელები ეძებნება მესოპოტამიის ძეგლებთან. შუასაუკუნეების არაბულ წყაროებზე დაყრდნობით, კარგად იშიფრება შემორჩენილი რელიგიური დღეობა, რომელსაც არაბები „ში-მალს“ ეძახდნენ. სიტყვა არაბულია და ნიშნავს ჩრდილოეთს. სახელი შეერქვა იმის გამო, რომ რიტუალი მიმდინარეობდა ჩრდილოეთის კედელთან, სათანადო მსხვერპლშენივით და მსხვერპლის დანვით, თუმცა აზრი რიტუალისა — რატომ მიმდინარეობდა ის მაინცადამაინც ჩრდილოეთის კედელთან — მათ არ ესმოდათ. ჩრდილოეთის მიმართ პატივისცემის გამოხატვა ხდებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ ძველ მესოპოტამიაში ჩრდილოეთი იყო ასოცირებული სინათლესთან, ბედნიერებასთან, სამხრეთი კი ბნელეთს, ბოროტების ადგილს წარმოადგენდა. შუმერების და აქადების წარმოდგენით ღმერთები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთში და სამხრეთი დემონების და ავი სულების ადგილი იყო.<sup>2</sup> ზოროასტრელები ტრადიციულად ლოცვისას სამხრეთისკენ იყვნენ მიმართული, დარწმუნებული იყვნენ, რომ

<sup>1</sup> თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 134.

<sup>2</sup> Tamara M. Green, *The City of the Moon God*, 1992, Leiden, New York, Köln, გვ. 193, 194.



ბოროტი სულები მოდიოდნენ ჩრდილოეთიდან.<sup>1</sup> ასეა თუ ისე, ჩრდილოეთით ორიენტირების მიმართ ასეთი ყურადღება, თუმცა ურთიერთგამომრიცხავი, გვაფიქრებინებს მის განსაკუთრებულ ადგილზე საუკუნეების განმავლობაში, რაც ჩემის აზრით მაინც უხსოვარი დროიდან უნდა მომდინარეობდეს და დაკავშირებული ჩანს ციურ მნათობთა თაყვანისცემასთან. შუმერებსაც და შემდგომ კი ცეცხლთაყვანისმცემლებსაც რიტუალის იდეა სინათლისა და ბნელეთის, სიკეთისა და ბოროტების დუალისტურ იდეასთან ჰქონდათ გაცნობიერებული. მხარეთა აღრევა დაკავშირებულია სინათლის წყაროს მიმართულების შეცვლაში, რასაც ადგილი ჰქონდა საუკუნეთა მიღმა. სულ პირველი და ყველაზე უადრესი სინათლის მომნიჭებელი კულტის, მზის ხანგრძლივი ნათების პერიოდი, რომელიც მზის ბუნიობისას ხდებოდა, მოდიოდა 21 ივნისს, როცა მზე ამოდიოდა დღევანდელი ორიენტირის დაცვით, ჩრდილოეთიდან. ეს დაახლოებით, ძვ.წ. მეშვიდე-მეექვსე ათასწლეულზე უნდა მოსულიყო. ძვ.წ. II ათასწლეულში მზის მაქსიმალური ნათების დროს, იმავე დღეს, მზე უკვე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ამოდის და ყოველივე ეს არის დაკავშირებული დედამიწის ბრუნვის ცენტრის გადაადგილებასთან. ეს მეორე პერიოდი კარგად არის დაფიქსირებული სტონჰენჯის (ინგლისი), ჩვენში კი ნეკრესის უძველესი სამლოცველოების მიხედვით.<sup>2</sup> აი ეს გარემოება იქცა სინათლის წყაროს მიმართულების შეცვლის საბაბად, რაზედაც ზევით იყო აღნიშნული. ფაქტიურად საქმე გვაქვს კვლავ და კვლავ მზის კულტთან, რომელიც მაზდეანობის გავრცელებისას დუალიზმის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო სიკეთის და ბედნიერების აღსანიშნავად.

სამლოცველოს გათხრისას პირველ რიგში ცხადია ნაცროვანი ფენა და განითლებული კედლები იქცევდა ყურადღებას, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობისაა აქ ორი სხვა აღმოჩენაც, რაც ცხადად მიუთითებს აქ მაზდეანური სამლოცველოს არსებობას. ერთი მათგანია ბრინჯაოს „ნკეპლების კონა“ და მეორე — ბრინჯაოსვე „ნკეპლების კონის“ ორი ნკეპლა (სურ. 50). ეს აღმოჩენა შეიძლება თამამად ითქვას უნიკალურია და განსაზღვრავს თვით სამლოცველოს მაზდეანურ ხასიათს. ე.წ. ნკეპლების კონა შედგენილია ბრინჯაოს დახვეული თხელი ფირფიტისაგან მავთულის მსგავსად, რომლებიც მცენარის ტოტის იმიტაციებს წარმოადგენს. სულ 9 მოკლე ნკეპლაა, სიგრძით 9 სმ. კონა შეკრულია ბრინჯაოსვე დაბრტყელებული ღეროთი. ეს არის იმიტაცია მცენარეთა ტოტებისაგან შეკრული კონისა, რომელიც ხელში ეჭირათ რიტუალის მონაწილეებს, როდესაც სამლოცველოში შედიოდნენ. მაზდეანური წესით ტაძარში პილიგ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 195; Vesta Sarkchosh Curtis Persian Myths, the British Museum Press, გვ. 21.

<sup>2</sup> ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, გვ. 11-28.

რიმები მიდიოდნენ ცეცხლთან, რომელსაც სპარსულად ჰქვიან ათარ და სნირავდნენ მსხვერპლს. მცენარე, რომლის ტოტებსაც ჰკრავდნენ კონებად, ცნობილია ბარსომის<sup>1</sup> ან ბარესმის სახელით. ზოგი მას ბარსემანს ეძახის. სახელის ეს ფორმა ახლოსაა ანალოგიური მცენარის ქართულ სახელთან, რომელიც დღესაც გვხვდება ფარსმანდუკის სახელით. ესაა *Achillea millefolium* L. ძლიერ გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში თავისებური კუთხური დასახელებებით — მელიკუდა, თავყვი-თელა, წყლულის ბალახი, ყვავისკუდა და სხვ.<sup>2</sup> მლოცველები წმინდა ტოტებით შედიოდნენ სამლოცველოში, ასრულებდნენ მსხვერპლშენივას ცხოველებით ან ფრინველებით, რიტუალური ლოცვის დეკლამაციით და ჰაომის სმით.<sup>3</sup> მცენარის სახელის ერთ-ერთი სპარსული სინონიმიდან, რომლებიც ზევით ვახსენეთ „ბარსემან“ (Fr. Cumont), ნაწარმოები უნდა იყოს საკუთარი სახელი ფარსმანი, ძლიერ გავრცელებული ძველ საქართველოში. ეჭვი არ არის მისი შემოსვლა და გავრცელება რაღაცნაირ კავშირში უნდა იყოს თვით მაზდეანობის კულტის შემოსვლასთან.

ზემოთ აღნიშნული წკეპლების კონები ძირითადად მცენარის ტოტე-ბისგან იყო შეკრული, მაგრამ, როგორც ჩანს, მცენარე არცთუ იშვიათად ლითონის წკეპლებით იცვლებოდა. ცნობილია მაგალითად ოქროს წკეპ-ლები, რომელიც ამუ-დარიის განძში იყო დაცული. ეს განძი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ გარდა ოქროს ტოტებისა, მასში დადასტურებული იყო ოქროს ფირფიტები მამაკაცის გამოსახულებით, რომელსაც მარჯვენა ხელით უჭირავს წკეპლების კონა. აქვეა დაცული ვერცხლის მამაკაცის სტატუეტი (მეფის?) ხელში წკეპლების კონით.<sup>4</sup> განძი დათარიღებულია ძვ.წ. V-IV სს-ბით.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, ნეკრესის სამლოცველოში წკეპლების კონის გარდა აღმოჩენილი იყო ბრინჯაოს ორი ლერო, რომლებიც ასევე წკეპლების კონის ნაწილი უნდა იყოს. ეჭვი არ შეიძლება შეგვეპაროს, რომ ამ ორი აღმოჩენით, ცხადია ნაცრის ფენებით და ცეცხლისგან განით-ლებული ქვებით, საქმე გვაქვს მაზდეანურ სამლოცველოსთან.

მაზდეანური სამლოცველოები რთულ ფუნქციურ ორგანიზმებს წარ-მოადგენენ. ცხადია, პირველი რიგის დანიშნულება რიტუალების ჩატარება იყო, თანაც მთელი რიგი მისტერიების (საიდუმლოებების) დაცვით. აქვე

<sup>1</sup> Franz Cumont, დასახ. ნაშრომი, გვ. 6; Vesta Sarkhosh Curtis, *Persian Myths*, the British Museum Press, გვ. 17.

<sup>2</sup> ა. მაყაშვილი, *ბოტანიკური ლექსიკონი*, თბ., 1991.

<sup>3</sup> Franz Cumont, იქვე, ჰაომის შესახებ იხ. ჩემი ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, გვ. 75.

<sup>4</sup> John Curtis, *Ancient Persia*, the British Museum Press, გვ. 64.



მიმდინარეობდა ალბათ მიცვალებულთა დაკრძალვის ცერემონიაც, რაზე-  
დაც მიუთითებს მასზე მიჯრითვე სამაროვნის არსებობა. აჰურა-მაზდას  
მიმდევრები, ისევე როგორც მითრათები, გაერთიანებულები იყვნენ  
ტაძრების ირგვლივ, მაგრამ მხოლოდ ძმობის პრინციპით არ ცხოვრობდნენ,  
ჰქონდათ იურიდიული კანონები, საკუთრების ფორმები, ჰყავდათ არჩევითი  
უფროსი, ჰქონდათ სატაძრო ნევრების სიები და სხვ.<sup>1</sup> ტაძრებში ხდებოდა  
დაკვირვება ციურ მნათობებზე, წინასწარმეტყველება, მკითხაობა, წყევლა-  
ჯადოქრობა, ასტროლოგიური სამუშაოები. ეს უკანასკნელი განსაკუთრე-  
ბით უნდა აღინიშნოს, რადგანაც ნეკრესის მაზდეანური სამლოცველოს  
ფენასთან არის დაკავშირებული ორი ბრტყელი ქვის აღმოჩენა, რომლებიც  
სწორედ ამ მიზნით იქნებოდა გამოყენებული. ერთზეა გამოსახული წრის  
სეგმენტი და რამდენიმე რკალი, მეორეზე ზიგზაგები, რომლებითაც სხვა-  
დასხვა ამოღარული წერტილებია შეერთებული, იქნებ ვარსკვლავთა გადა-  
ადგილების სქემა იყოს მოცემული.

ჩემი დაკვირვებით, სამლოცველოთა მონაცვლეობა მშვიდობიანი გზით  
არ მომხდარა, არამედ ადგილი ჰქონია შინაურ რელიგიურ ნიადაგზე და-  
პირისპირებას. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წარმართული კულ-  
ტების — კერპების წინააღმდეგ ყველა დიდი მონოთეისტური რელიგია იყო  
განწყობილი. მას ებრძოდნენ აჰურა-მაზდას მიმდევრები, ქრისტიანები,  
ისლამი. ქართული წყაროები ხატოვნად გადმოგვცემენ როგორ ანგრევდა  
წმ. ნინო კერპებს. ქსერქსე (486-465) პერსეპოლის ერთ-ერთ წარწერაში  
აღნიშნავდა, რომ აჰურა-მაზდას შემწეობით დავანგრიე სამლოცველოები,  
სადაც ცრუ ღმერთებზე ლოცულობდნენო. „მე ვაცხადებ: დემონებზე  
ლოცვა აღარ იქნება იქ სადაც ლოცულობდნენ, იქ მე ვილოცებ აჰურა-  
მაზდაზეო“.<sup>2</sup> ცნობილია როგორი სისასტიკით გაანადგურა პირველმა სასა-  
ნიდმა მეფემ არდაშირმა (224-240) სამსხვერპლოები, განსაკუთრებით  
სომხეთში.<sup>3</sup> კერპების წინააღმდეგ მონოდებას ვხვდებით „ყურანში“, „სახა-  
რებაში“. ნეკრესის მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს რელიგიურ ნია-  
დაგზე გაჩენილ სისასტიკეს, რომლის შედეგადაც მაზდეანები ეუფლებიან  
მათ მიერ მოსპობილ სამლოცველო-სამსხვერპლოს და ავრცელებენ ცეცხ-  
ლის კულტს.

მეორე ფენა, რომელზედაც გვაქვს საუბარი, უფრო ვრცელია და ბევრის  
მომცველი, ვიდრე მის ქვეშ არსებული პირველი ფენა. პირველ ფენაში, რო-  
გორც აღნიშნული იყო, წარმოდგენილია სამსხვერპლო-სამლოცველო და

<sup>1</sup> Fr. Cumont, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

<sup>2</sup> A. Shapur Shahbazi, Persepolis Illustrated, 1976, გვ. 71, 72. ეს დევნა ძლიერი იყო  
სასანიდების დროსაც.

<sup>3</sup> P. Фрай, Наследие Ирана, გვ. 302.

კრემაციული სამარხები. მეორე ფენაც შემადგენლობით პირველის მსგავსია: სამლოცველოსთან, მისგან სამხრეთით და აღმოსავლეთით სამაროვანი ყოფილა მოწყობილი. ფენა ადევს ზევიდან სამლოცველოს, ისე რომ მარანი ფარავს სამლოცველოს სამხრეთ ნაწილს დაახლოებით ოთხი მეტრის ფართობზე. აქ №3 სანახელი იყო მოწყობილი. მისგან სამხრეთის ტერიტორია, დაახლოებით 20 მეტრზე, დაკავებული ჰქონდა სამაროვანს. სამაროვნის ნაწილი ვრცელდებოდა სამლოცველოს აღმოსავლეთითაც ვინრო ზოლში. სამხრეთის ნაწილში მდებარე სამარხები, როგორც ადრე აღვნიშნე, ქვევრების ჩადგმისას და მარნის მოწყობისას დანგრეულა, ადგილზე მხოლოდ დარღვეული ფენებიდან კერამიკული ფრაგმენტებია წარმოდგენილი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს კერამიკული ნაშთი ერთი სახისაა, რაც სამაროვნის არც თუ ვრცელ ქრონოლოგიურ დიაპაზონზე მიუთითებს. კერამიკა მონითალოდ ან ჩალისფრად არის გამომწვარი, თიხა კარგადაა დამუშავებული, ძირითადად საშუალო ზომის ჯამის ნაწილებია, გვერდები თანაბრად გადადის ოდნავ შიგნით გადაწეულ პირში. ძირი ქუსლამოლარულია. ზედაპირი წითლადაა შეღებილი და გაპრიალებული. ასეთივე კერამიკაა დადასტურებული სამლოცველოს აღმოსავლეთის მხარეს დადასტურებულ კულტურულ ფენაში და დარღვეულ სამარხებში. აქ შედარებით მეტი ინფორმაციაა გვაქვს, თუმცა ნაკლები იმ მხრივ, რომ სამარხეული სხვა ნაშთი არ გვხვდება — ერთი რამ ცხადად იკვეთება, რომ საქმე უნდა გვექონდეს ურნებში დაკრძალვასთან, სრულად აღდგენილია ერთი ურნა, დადასტურებულია სხვა ანალოგიური ურნების ფრაგმენტები.

დაკრძალვის მაზდეანური წესის პირობებში ურნაში დაკრძალვა მისაღებია — მიცვალებულის ჩონჩხის ნაწილები ურნის მეშვეობით იზოლირებულია წმინდა მიწისაგან და აქ ისეთივე გამოსავალია მიღწეული, როგორც ქვის სარკოფაგების მოწყობისას იყო, მაგალითად, არმაზისხევის ნეკროპოლში და კასპის გამოქვაბულ-აკლდამებში.<sup>1</sup>

ურნების ფრაგმენტების აღმოჩენით ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს სამარხთა მოწყობის არცთუ ძლიერ გავრცელებულ სახესთან — ურნებში დაკრძალვასთან. ითქვა და ეს კარგად მიაჩნებებს მაზდეანურ დაკრძალვის წესს. ფრაგმენტების შესწავლით და შედარებით აღდგენილ ურნასთან, ერთი სახის ჭურჭლის წარმოდგენა შეიძლება. ეს არის განიერპირიანი, მუცელგამოებრილი ჭურჭელი, სიმაღლით 38 სმ. სადაც ძვლების ჩალაგება შესაძლებელი იყო. პირველი პროცედურა გულისხმობდა მიცვალებულის გარეთ გატანას, სადაც ფრინველებს და ცხოველებს შეეძლოთ ჩონჩხისთვის ხორცის მოცილება. ამის შემდეგ ძვლებს აწყობდნენ ურნაში და დებდნენ

<sup>1</sup> ნ. ბახტაძე, შიდა ქართლის ახლად მიკვლეული კლდის ძეგლები, ძეგლის მეგობარი 92, თბ., 1996, გვ. 32-35.



ორმოში. ჩასატანებელ ინვენტარს ურნას უწყობდნენ გვერდით.

ყველაზე, რა თქმა უნდა შედარებით, მეტი ინფორმაცია მივიღეთ ორი სამარხის ნაშთის გათხრის შედეგად. ერთი მათგანი (სამარხი № 1) გაითხარა მაზდეანური სამლოცველოს აღმოსავლეთის კედლის გვერდითვე. სამარხი საგანგებოდ იყო ხელყოფილი, ჩალენილი იყო სამარხეული კერამიკა და ქვებით ამოვსებული. ორმოში ძნელად ირჩეოდა კერამიკის ფრაგმენტები (სურ. 51, 52). ერთადერთი, რამაც განსაზღვრა სამარხის ფარგლები, ორმოს ძირში შემორჩენილი სამარხი ორმოს კედლები იყო დადასტურებული. სამარხეული მასალა დადგინდა მხოლოდ ლაბორატორიული დამუშავებისას, როცა აღდგა ხუთი ჯამი მთლიანად, ორი ნაწილობრივ და ლეგაფრად გამომწვარი ურნა (სურ. 53) მას ორ მოპირდაპირე მხარეს მორჩები აქვს გადმოკეცილი პირის ქვეშ. ძვლები არ დადასტურებულა. ჯამები ტექნოლოგიური ხერხებით ისეთივეა, როგორც სამხრეთის უბნის ფენაში დადასტურებული კერამიკა. როგორც აღნიშნული იყო, დამახასიათებელია შიგნით გადანული პირი და ქუსლამოღარული ძირი (სურ. 54, 55). ძირზე ზოგს დაბალრელიეფური წრეები შემოუყვება, ცენტრში ჯვრის გამოსახულებით (სურ. 56). ასეთი ციური მნათობის გამოსახულება საკმაოდ ბევრია დადასტურებული. ფორმით და შესრულებით აღსანიშნავია დიდი ჯამი პრიალა ზედაპირით. დაბრტყელებულ პირზე შემოუყვება ტალღური ორნამენტი (სურ. 57).

ძირზე ჯვრის გამოსახულებიანი ჭურჭლების ფრაგმენტები დადასტურებულია მეორე დარღვეულ სამარხშიც, რომელიც პირველიდან სამი მეტრით იყო დაცილებული სამარხების კულტურულ ფენაში. აღნიშნული დარღვეული სამარხი წარმოდგენილი იყო ერთ ადგილზე მოქუჩებული ძვლებით და ძირზე ჯვრიანი ჯამების ნატეხებით (სურ. 56). ჯამების ძირებზე ჯვრების გამოსახვას ვხვდებით გვიანელინისტურ ხანაში (II-I სს). ერთ შემთხვევაში ასეთი გამოსახულება მიღებულია წნევით (უფლისციხე).<sup>1</sup> არის ნეკრესის ანალოგიურიც სამადლოში (ძვ.წ. III-II სს).<sup>2</sup>

ამ ადგილზე გათხრილია ქვის ფილებით შედგენილი სამარხი, სადაც სამი ჩვილი ბავშვის ჩონჩხების ნაშთი იყო დადასტურებული. მის მახლობლად, ასეთივე პატარა ბავშვის ჩონჩხიანი სამარხი იყო დაზიანებული. სამაროვნის საერთო სურათიდან ქვის ფილებით შეკრული სამარხი თითქოსდა ამოვარდნილი ჩანს, მაგრამ მეორე მხრივ ანგარიშგასაწევია, რომ სამჩონჩხიანი სამარხი დადასტურებული იყო 1.2 მ-ით დაბლა, იმ ფენიდან, სადაც წითელპრიალა კერამიკის ნატეხები იყო აღმოჩენილი. კერამიკის ფრაგმენტები ზუსტად სამარხის ზევით იყო.

<sup>1</sup> დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, II, თბ. 1970, ტაბ. XXXVIII.

<sup>2</sup> И. Гагошидзе, Самадло, II, Тб., 1981, გვ. 10.

ადრეც იყო აღნიშნული როგორც დარღვეულ სამარხში, ისე მარნის სამხრეთ ნაწილის ქვედა ფენაში წარმოდგენილი იყო ძირითადად წითელპრიალა კერამიკა, რაც ამ ორი ადგილის კულტურული ფენის ერთიანობაზე მიგვანიშნებს. აღნიშნული კერამიკული მასალა ამჟღავნებს სიახლოვეს ე.წ. ქვევრსამარხების კერამიკასთან. ამ მხრივ გენეტიკური კავშირი შეიძლება დავინახოთ სამთავროს შესაბამის მასალებთან. აქ რამდენიმე ასეულ ქვევრსამარხში ორი ქრონოლოგიური ფენა გაირჩევა ძვ.წ. III-II და II-I საუკუნეები. ნეკრესული კერამიკის პროტოტიპები მეორე ფენაში (II-I სს) თავსდება, რაც მისაღები უნდა იყოს ნეკრესული ნაწარმისათვის.<sup>1</sup> ასეთივე ნიმუშებია დადასტურებული კავთისხევში საყარაულოს ქვევრსამარხებში, სადაც თარიღი მონეტებით მკვეთრად არის განსაზღვრული ძვ.წ. I საუკუნით.<sup>2</sup> ნეკრესის კერამიკის თარიღი სამთავროს და კავთისხევის ქრონოლოგიურ ჯგუფში უნდა მოვითავსოთ და ძვ.წ. II-I სს. განვსაზღვროთ. აღნიშნულ თარიღს მხარს უჭერს ურნების თარიღიც (ურბნისი).<sup>3</sup>

მაშასადამე, მეორე ფენა შეიძლება განისაზღვროს მაზდეანური სამლოცველოთი, რომელსაც ნაწილობრივ ადევს მარანი—მკვიდრი არქიტექტურული ნაგებობა, და დარღვეული სამარხები. ფენაშია წარმოდგენილი დარღვეული სამარხებიდან მომდინარე წითელპრიალა კერამიკა. ეს ფენა თავსდება IV-V საუკუნეების მარანსა და ძვ.წ. IV-II სს-ბით დათარიღებულ ფენებს შორის. უფრო ზუსტად, ეს არის დროის მონაკვეთი ძვ.წ. მეორე საუკუნიდან, ვიდრე ახ.წ. III-IV სს-დე. ასე მკვეთრად ამ ფენის განსაზღვრა მიხდება იმასთან დაკავშირებით, რომ ფენაში, როგორც ადრე ითქვა, მხოლოდ ერთი გარკვეული დროის კერამიკა გვხვდება, რომელიც შეიძლება ვიგულისხმოთ ძვ.წ. II-I სს-დან, არც თუ ხანგრძლივი დიაპაზონით. ყურადღებაა მისაქცევი იმ გარემოებაზეც, რომ აქ განლაგებული მომცრო სამაროვანი, არც თუ მიჯრით განლაგებული სამარხებისგან შედგება. ისე რომ, სავარაუდოდ ახ.წ. III ს-ში სამლოცველო შესაძლებელია წყვეტს არსებობას. ქალაქის მომიჯნავე უბანში ჩვ. წ. II-IV საუკუნეებში დიდებული, მასშტაბური მაზდეანური ტაძარი ფუნქციონირებს და არ გამოვრიცხავ ამ მცირე სამლოცველოს შეერთებას მთავარ ტაძართან.

კიდევ ერთი რამ იქცევს ყურადღებას — ფენის დასაწყისი (ძვ.წ. II ს.) ემთხვევა ქართული წყაროების ცნობას ნეკრეს-ქალაქის დაფუძნებასთან

<sup>1</sup> ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, III, თბ., 1963, გვ. 152, 153, ტაბ. V.

<sup>2</sup> კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, გ. ჯინჯიხაშვილი, ძვ. წ. I და ახ.წ. I სს. ქვევრსამარხები, თბ., 1980, გვ. 56.

<sup>3</sup> Г. Нариманашвили. Керамика Картли, V-I вв. до н.э. Тб. 1991, გვ. 199; ლ. ქილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 44.



დაკავშირებით. არ გამოვრიცხავ წარმართული სამლოცველოს მოსპობას და ცეცხლთაყვანისმცემლების სამლოცველოს დაარსებას სწორედ ამ დროისათვის ჰქონდა ადგილი. ქალაქის დამაარსებელი მეფე ფარნაჯომი ხომ გამორჩევით ცეცხლის კულტის გააქტიურებას უჭერდა მხარს.

სამლოცველოს ირგვლივ, სამარხებთან ერთად, სავარაუდოა სარიტუალო მიზნებისათვის მარნის თუ არა, ყოველ შემთხვევაში ზედაშის ქვევრების არსებობა მაინც. ღვინო მაზდეანთა, უფრო კი მითრას კულტის მიმდევართათვის საიდუმლოს შესრულების ერთ-ერთი კომპონენტი იყო პურთან ერთად. სრულიად მისაღებად მიმაჩნია ქვევრის პირი ქართული ტექსტის ნაწყვეტით (წარწერა № 7) მაზდეანური სამლოცველოს ზედაშის ქვევრის ნატეხს წარმოადგენდა. თარიღიც II-III საუკუნეებით უნდა განისაზღვროს. ეს ის პერიოდი, განსაკუთრებით III ს. როდესაც მითრაიზმი თავის აღმავლობის აპოგეას აღწევს.<sup>1</sup>

დასასრულს, მოკლედ შევაჯამებ უკვე აღნიშნულს მარნის ტერიტორიაზე გამოვლენილ და დადგენილ სტრატიგრაფიულ სურათს და წარწერიანი ქვების დადასტურების მდგომარეობას.

ყველაზე ქვედა ფენა, წარმოდგენილი 30-40 სმ. სიმძლავრის ფენით შეიცავს წარმართულ საკერპო მოედანს სამლოცველოთი. აქ არის დაფიქსირებული დამწვარ-დანახშირებული იატაკი, ცეცხლისგან განითლებული ადგილები და ორმოები მსხვერპლშენირულთა სისხლის ჩასასხმელად. მასვე უკავშირდება კრემაციული მოედანი 13 ქვებზემონყობილი ბუდით, სადაც დამწვარი ადამიანების, არ გამოვრიცხავ მსხვერპლად შეწირულების, ნაშთი-ნაცარი იყო. სამლოცველო — საკერპოს იატაკზე დადასტურებული იყო მსხვერპლშენირული ცხოველების ძვლები, ასევე ლეგაკეციანი და პრიალა კერამიკის ნატეხები, რომლებიც მთლიანად საკერპოს ძვ.წ. IV-II სს-ით ათარიღებს.

ქვემოდან მეორე ფენა წარმოდგენილია მაზდეანური სამლოცველოთი, რომელიც ზედ ადევს და ფარავს საკერპო—სამსხვერპლოს. აქ შეიძლება დავინახოთ მაზდეანთა დაპირისპირება კერპმსახურებთან, რომლებიც მათი განდევნის შემდეგ ეუფლებიან მთლიანად სამლოცველოს. აღნიშნულ ფენას განეკუთვნება სამლოცველოს სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე სამაროვანი, ურნებში დაკრძალულთა სამარხები. სამარხების ნაშთებმა ჩვენამდე მოაღწია უშუალოდ ურნების ნამტვრევებით, რომელთაგან ერთი მთლიანად აღდგა და ნითელპრიალა კერამიკით, მეტად თავისებური ტექნოლოგიითა და ფორმებით. ამ ფენას მიეკუთვნება ყველა ის წარწერიანი ქვა, რომლებიც დადასტურებულია მარნის გათხრებისას. აღმოჩენილი მასალების მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ რიცხვმრავალი სამარხები იქნებოდა

<sup>1</sup> Fr.Cumont, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

განლაგებული სამლოცველოს ირგვლივ, თუმცა კი, შეიძლება მისი ფუნქციონირება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ვივარაუდოთ ძვ.წ. II-I საუკუნეებიდან ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებამდე. შეიძლება ვარაუდის დაშვებაც, სამლოცველოსთან არსებულ სამაროვანზე კულტის მსახურთა განსასვენებლის არსებობის შესახებ. დაკრძალვის რიტუალი მაზდეანურია — ურნებში, ისე რომ მიცვალებულის ძვლებს წმინდა მინა არ წაეხილნათ... ადგილი რომ მაზდეანურ სამლოცველოს შეიძლება დავუკავშიროთ კარგად დგინდება ფენაში დადასტურებული ბრინჯაოს ნკეპლების კონით და ნკეპლებით.

დათარიღებისათვის წითელპრიალა კერამიკასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ურნების აღმოჩენების ანალიზი. ნეკრესში უკვე გვაქვს ერთი აღდგენილი და მრავლად ფრაგმენტები (სურ. 53). ურნაში დაკრძალვის დამადასტურებელი მასალები ცნობილია ურბნისიდან, სადაც ის აღმოჩენილი იყო 25-ე უბანზე არსებულ სამაროვანზე და ნაქალაქარის 36-ე უბანზე. ურნების თარიღია ძვ.წ. II-I საუკუნეები.<sup>1</sup>

მესამე ფენა მარნითაა წარმოდგენილი. ის ზედ ადევს ქვედა ფენებს. მარნის მშენებლობის დროს დაზიანებულია და მწყობრიდან გამოსული მაზდეანური სამლოცველო. ნაწილი მიწით არის ამოვსებული, სადაც IV ს-ში განახლებულა ცხოვრება.

წარწერიანი ქვები აღნიშნული მეორე ფენის საკუთრებაა. ისინი აღმართული იყო მაზდეანური სამლოცველოს ირგვლივ არსებულ სამარხებზე. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ, იმ კატაკლიზმებს, რომელსაც შეენირა ნეკრესის დიდი მაზდეანური ტაძარი ვერ გადაურჩა ვერც ეს მაზდეანური სამლოცველო. დაანგრეს და მოთხარეს სამარხები, დაამტვრიეს საფლავის ქვები და ამ ადგილზე ააშენეს ნაგებობა მარნისათვის. მშენებლობის ქვეშ მოყვა სამლოცველო და მასზე მიჯრით განლაგებული სამარხები. აღნიშნულის გამო ჩვენამდე მოაღწია ეპიტაფიების მხოლოდ დაზიანებულმა ნაწილმა და მცირე სამარხულმა კერამიკამ.

მარნის ფენა, როგორც ადრეც იყო აღნიშნული, IV-V საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. უშუალოდ მარანს ეტყობა არქიტექტურული სახის შეცვლა, გადაკეთებანი, რაც არ ცვლის მისი თარიღის შესახებ შემუშავებულ აზრს.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ნეკრესის წარწერებს პარალელები ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში არ გააჩნია. აქ საქმე ეხება პრინციპულ სხვაობას ნეკრესის ანტიკური ხანის დამწერლობის ნიმუშებსა და V ს. დღემდე უძველესად ცნობილ ქართულ წარწერებს შორის, რაც მთლიანად ემყარება ქრისტიანული და წარმართული (მაზდეანური) საყოფაცხოვრებო

<sup>1</sup> ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 44.



და საკულტო განსხვავებებით შექმნილ ზღუდეებს. ამის შესახებ მქონდა თავის ადგილზე შენიშნული. იყო თუ არა ზოგადად, წესი სამარხებზე ეპიტაფიების აღმართვისა, რამაც შეიძლება თუნდაც მცირედი განმარტება მისცეს ნეკრესის აღმოჩენებს? ასეთი კითხვა სავსებით რეზონულია და საჭირო, რისთვისაც მოვიშველიებ ანტიკური ხანის შუამდინარეთის ერთი მეტად ცნობილი ქალაქის, აპამეას მასალებს. ქალაქის სამაროვანზე დადასტურებული იყო ელინისტური და გვიანი ანტიკური ხანის ქვის სტელები, რომლებზედაც ბერძნული წარწერები იყო შემორჩენილი. წარწერები მეტად მოკლეა, მრავალსიტყვიანობას ვერ ვხვდებით და თითქმის სტანდარტულიც. ზოგ ქვაზე მხოლოდ დაკრძალულის სახელია ამოჭრილი, დაბოლოებული ორი სიტყვით „ვგლოვობთ, მშვიდობით“. მაგალითად, ერთ ეპიტაფიაზეა „დემონიკოს, ვგლოვობთ, მშვიდობით“. თარიღდება ძვ.წ. II-I საუკუნეებით. უფრო უხვსიტყვიანია, ცხადია შედარებით, პირველი საუკუნეების წარწერები. აქ თარიღებიცაა მოცემული — აღნიშნულია სელევკიდური ნელთალრიცხვით, შემდეგ სახელი და შემდეგ კი ტრადიციული „ვგლოვობ, მშვიდობით“.<sup>1</sup> საფლავის წარწერების ასეთი თითქმის დაკანონებული სტილი ნეკრესის ეპიტაფიებში არ ჩანს, აქ წარწერების მიხედვით თითქოს შესაძლებელია ორი ჯგუფის გამოყოფა. პირველია № 1, № 2 და № 3 წარწერები ლევაკის, აბაზას და თობულას სახელებით. პირველისგან განსხვავებით აბაზას წარწერაში შეიძლება თარიღიც იყოს. დანარჩენ წარწერებში შემოდის ახალი ელემენტი „საფლავი“. № 4 წარწერაში ოთორის წინ შეიძლება ვიგულისხმოდ „ესე საფლავი“, აღდგენით: „ესე საფლავი ოთორისი“... თითქმის ირჩევა პირველი ასოები № 5 დაზიანებულ ეპიტაფიაში „ესე საფ“... № 7 წარწერაში შესაძლებელია აღდგეს [ესე საფლავი ფარსემან] აზატსი“... № 10 წარწერამ სრულად გაგვიხსნა წარწერის სახე: „ესე საფლავი“... მაშასადამე, ბოლო წარწერების მიხედვით, მართალია თამამი ვარაუდით, შეიძლება დადგინდეს ეპიტაფიის შედგენის წესი, სადაც უნდა ფიგურირებდეს ტრაფარეტული დასაწყისი „ესე საფლავი“. ეს კარგად გამოჩნდა რუსთავის წარწერებში.

რუსთავის № 2 წარწერის მეორე სტრიქონის ბოლოს, განცალკევებით გამოსახული „ვ“ იქნებ, აპამეას პარალელების მსგავსად, შემოკლებით აღნიშნავდა „ვგლოვობთ“ (?).

წარწერების თარიღებთან დაკავშირებით, არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობისას მთავარი ამოცანა იყო სამარხების მიგნება და იდენტიფიკაციის მოხდენა. ეს მეთოდი გამართლებული იყო, რამდენადაც ნებისმიერ შემთხვევაში სამარხების მიგნებისას, სულ მცირე, არქეოლოგიური

<sup>1</sup> Jean Ch. Balty, Guide D' Apamee, Bruxelles, 1981, გვ. 192-196.

ინვერტარიც კი საკმარისი იყო, თუნდაც მიახლოებული თარიღის განსაზღვრისთვის. ეს სამუშაო ექსპედიციამ შეასრულა. ჩვენ ხელთაა შვიდი ეპიტაფია (ერთი შემთხვევითი აღმოჩენა) და მეორე მხრივ კი დაფიქსირებულია რამდენიმე დარღვეული სამარხი ერთგვაროვანი კერამიკით და უინვენტარო ორი თოთო ბავშვის სამარხი, ერთში სამი ბავშვის ჩონჩხით. დათარიღებისათვის გვეხმარება დიდი რაოდენობის კერამიკა მაზდეანური სამლოცველოს ირგვლივ მდებარე დარღვეული სამარხებიდან, რომ არის ამოღებული. მთლიანად ეს არქეოლოგიური მასალა ჯდება მეორე ფენაში, რომლის ხნოვანებაც განისაზღვრება ძვ.წ. II-I საუკუნეებიდან ახ.წ. IV საუკუნამდე. ზედა ფენის თარიღი, არ გამოვრიცხავ ახ.წ. III საუკუნით შემოიფარგლოს, რაც შეიძლება სამლოცველოს გაერთიანებასთან იყოს დაკავშირებული ქალაქის დიდ ტაძართან.

არქეოლოგიური მონაცემების შესწავლის დღევანდელ ეტაპზე, გამორიცხულად მიმაჩნია ეპიტაფიების, გარდა ერთისა, დაკავშირება ქვედა ფენასთან, რომლის თარიღიცაა ძვ.წ. IV-II სს. საკითხის დაზუსტებას მომავალი საველე სამუშაოები უზრუნველყოფს. ეჭვი შეიძლება გამოითქვას „ლევაკის“ კუთხოვანი ასოების მიმართ.

ასეთ შემთხვევაში ეპიტაფიების იდენტიფიცირება დარღვეულ სამარხებთან შეუძლებელია, გარდა ერთი შემთხვევისა და იძულებული გავხდებით დავეყრდნოთ წარწერების პალეოგრაფიულ მხარეს, თანაც პარალელური მასალების გარეშე.

ნეკრესის წარწერებიდან ყველაზე ადრეულ ქრონოლოგიურ ჯგუფს (ძვ.წ. II-I სს.) შეიძლება მივაკუთვნოთ წარწერა № 2, რომელზედაც ამოკანრულია მამაკაცის სახელი „ლევაკი“. მისი ყველა ასო, გარდა „წ“-სი მკვეთრად კუთხური ნაკანრით გამოირჩევა. აქაც და სხვა შემთხვევებშიც კუთხურობა, ქვაზე შესრულებულ წარწერებში არქაულობის მკვეთრი დასაბუთების ძირითადი ნიშანი ჩანს. მრგვლოვანი ასოების ამოკანვრა-ამოჭრა ქვაზე შედარებით რთულია დამწერლობის განვითარების პირველი ნაბიჯების გადადგმისას. ასეთად მიმაჩნია ეს წარწერა თავისი შესრულების მანერით და საფლავის ქვაზე სახელის მარტივი ფიქსაციის გამო.

ასევე კუთხოვნებით გამოირჩევა, თუმცა ჭრა საკმაოდ ღრმაა, წარწერა №1. აქაა პირველად მოცემული სავარაუდოდ ღვთაების ასო-ნიშანი „ჩ“, რომლის შესაძლო მნიშვნელობის შესახებ ზემოთ, ამ წარწერის ანალიზის დროს გვქონდა საუბარი.

სამი წარწერა — № 3 - (თობულა), № 4 - ფოთორი, № 5 - დაზიანებული, პალეოგრაფიული სიახლოვით გამოირჩევიან. მკვეთრად ჩამოყალიბებული მრგვალოვანი ასომთავრული ორხაზს შორის წარმოდგენილი ასოებით ისინი გამოირჩევიან სხვა წარწერებისაგან. მათი დათარიღება შესაძ-



ლებელია ახ.წ. I-II საუკუნეებით. № 3 ნარწერა ერთადერთია, რომელიც იძლევა მისი იდენტიფიკაციის საშუალებას ერთ-ერთ სამარხთან. ნარწერა ასე იკითხება: „თობულას სამნი“. აღმოჩენისთანავე ეჭვი გაგვიჩნდა, რომ აქ უნდა იყოს აღნიშნული სამი მიცვალებული და თანაც მათი მოხსენიება სახელების გარეშე ეჭვს ბადებდა, რომ საქმე უნდა გვექონდეს პატარა ბავშვებთან, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სახელები შერქმეული. მაზდეანური სამლოცველოს აღმოსავლეთით დარღვეული სამარხების გვერდით გაითხარა ბრტყელი ქვებით შეკრული სამარხი, სადაც სამი თოთო ბავშვის ჩონჩხები იყო შემორჩენილი. მაშინვე გაგვიჩნდა ეჭვი, რომ „თობულას“ ეპიტაფია სწორედ ამ ბავშვების საფლავზე უნდა ყოფილიყო აღმართული. შეიძლება ამ შემთხვევაში ვივარაუდოთ მსხვერპლადშენი-რული ბავშვები, რომლებიც აქ მიღებული დასაკრძალავი ურნების ნაცვ-ლად, ქვის სამარხებში, განსხვავებულ ვითარებაში მიაბარეს მიწას. ასეთი პატარა ბავშვის სამარხი მსგავსი დაკრძალვით, სხვაც არის დადასტუ-რებული. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ბავშვების მსხვერპლად შეწირვა ძლიერ გავრცელებული ყოფილა ქართლში: „კერპთა მიმართ შეწირვიდეს მსხვერპლად ყრმათაო“, ლეონტი მროველი გვატყობინებს. მეფე რევ მართალი (II ს), ასეთი ეპითეტით შეამკო ხალხმა იმ მადლიერების აღსანიშნავად, რაც მან მოიმოქმედა ბავშვების მსხვერპლ-შეწირვის აღსაკვეთად: „ვიდრე იგი იყო მეფედ, არღარა-ვინ კვლიდა ყრმათა კერპთათვის“, „ამისთვისაცა ეწოდა მას რევ მართალი“.<sup>1</sup>

პირველი-მეორე საუკუნეების ქრონოლოგიურ ჯგუფში შეიძლება გან-ვიხილოთ ნარწერიანი საფლავის ქვა № 8, შემთხვევით აღმოჩენილი ნაქა-ლაქარზე, რომელშიც აზატია მოხსენიებული. მას პალეოგრაფიული სიახ-ლეც ახლავს — „ო“-ს რკალი ქვევით გახსნილია, რაც სიძველის ნიშნად მიმაჩნია.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნარწერა № 10. თავის ადგილზე იყო აღნიშნული „ბ“-ს კუთხოვნება და განსა-კუთრებით კი „ო“-ს არქაული გრაფემა. ეჭვს გარეშეა, საქმე უნდა გვექონდეს არა მხოლოდ ამ გრაფემის, არამედ მთლიანად ქართული ანბანის ჩამო-ყალიბების დროსთან, ორივე შემთხვევაში „ო“-ს ქვედა ნაწილი გახსნილია, ორივე მხარე კაუჭებით ბოლოვდება, ბერძნული პროტოტიპი სახეზეა. ნარწერაში სხვაც იქცევს ყურადღების მიქცევას — პატარა გადამკვეთი შტრიხები, რომელიც აქვს „ა“-ს და „ბ“-ს. თავის ადგილზე კი აღვნიშნე და ვივარაუდე, იქნებ მხატვრული გაფორმების ნიშნები ყოფილიყო, მაგრამ აქ გამოსარიცხი არ არის ფონეტიკური უღერადობის ვარიაციები ვივა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 58.

რაუდოთ. ასევე აღნიშნული მქონდა მესამე სტრიქონის მეხუთე ასონიშნის შესახებ მსგავსება ალბანურ ასოსთან, რასაც ვერ ვხსნი და ვერ ვავითარებ მსჯელობას მის შესახებ ახალი მასალების მოლოდინში. ზემოთ აღნიშნული სიახლეების გამო, აღნიშნული წარწერა ქრონოლოგიურად უნდა მოვაქციოთ წარწერების ქვედა ფენის რიგში.

ნეკრესის წარწერებში, მიუხედავად იმისა, რომ ათი წარწერიდან შვიდი საფლავის ქვაზეა შესრულებული და რაოდენობრივად ისინი უმრავლესობაში ექცევიან, სხვა სამი წარწერის დადასტურებით უფლება გვეძლევა მთლიანად წარწერებში შინაარსობრივი სივრცე წარმოვიდგინოთ. ამასთანავე ყურადღებაა მისაქცევი, რომ ზოგი წარწერის ცალკეული ასოების პალეოგრაფია ქართული დამწერლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს გვაცნობს. ამ მხრივ ნეკრესის წარწერებში გამორჩეული ადგილი უკავია № 8 ქვის ფილას თვალშისაცემი პრიმიტიული ხელის გავლენით. წარწერის პალეოგრაფია სიახლეს იძლევა ანბანის პირველი ასოს გამოსახვის შესახებ — წარმოდგენილია მისი განვითარება თითქმის ვერტიკალური ხაზიდან ცნობილ და მიღებულ ფორმამდე. ეს განვითარება ნაჩვენებია ხუთი ნიმუშის მიხედვით და ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ „ა“-ს პირვანდელი სახით, ერთი რიცხვითი ნიშნის აღმნიშვნელი მნიშვნელობით გამოყენებაში. მეორე სიახლეა უცნობი ასონიშნის ხმარება, რომელიც გამოსახულია წრით, შუაში წერტილით. ასეთი ასონიშანი ქართულმა დამწერლობამ არ იცის. ასეთ გამოსახულებას ვხვდებით მხოლოდ ნეკრესის IV საუკუნის ეკლესიის კრამიტზე.

წარწერა აშკარად მიუთითებს წერა-კითხვის ფართო გავრცელებაზე ნეკრესის მოსახლეობაში. სამწუხაროდ, წარწერა ნაკლებია და სრული წარმოდგენა ვერ გვექმნება მის შესახებ. ერთი რამ ცხადია, ის საჯარო მიმართვას წარმოადგენს მოსახლეობისადმი, რალაც იურიდიული უფლებების დაცვის თაობაზე. როგორც ჩანს, ის სრული სახით თვალსაჩინო ადგილზე იქნებოდა აღმართული. აქ არ შეიძლება არ გავიხსენო მითრაიზმის ყველაზე გამოჩენილი მკვლევრის ფრანც კიუმონის ერთი ადგილი მისი მეტად პოპულარული ნაშრომიდან, სადაც ის ახასიათებს მითრას მიმდევრების თემს, რომელთა კავშირ-ურთიერთობა საზოგადოების შიგნით დამყარებული იყო სწორედ წერილობით დოკუმენტაციებით უზრუნველყოფაზე—ადგენდნენ წევრების სიებს და აქვეყნებდნენ, ირჩევდნენ ორგანიზაციის თავმჯდომარეს, მმართველ ჯგუფს, პერიოდულად ახდენდნენ არჩევნებს და სხვ. ყველა ეს საქმიანობა დაკავშირებული იყო წერა-კითხვის კარგ ცოდნასთან. მათი რელიგიური ნიგნიც „ავესტა“ ხომ დიდი ისტორიულ-სოციალური და შემეცნებითი ჟანრის ნაწარმოები იყო. ვფიქრობ ნეკრესის წარწერა ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.



ნეკრესის ჩვენთვის ცნობილი უძველესი წარწერებიდან ერთ-ერთი ყველაზე გვიანი შემოქმედებაა ქვევრის პირზე მოთავსებული ნაკლული წარწერა. ეს არის ერთადერთი ათი წარწერიდან, სადაც ქარაგმაა გამოყენებული. მეტად საინტერესოა თვით წარწერის ხასიათიც — ის ეჭვგარეშეა მიძღვნაა ღვთაებისადმი და თანაც იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც მისი ადრესატი — მითრა ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. ეს არის ახ.წ. III ს.

№ 9 წარწერა, რომელიც ფიქალზეა შესრულებული, მიუხედავად ნაკლულობისა, ქართული დამწერლობის ისტორიის უძვირფასესი ნყაროა. ის შექმნილია ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, თუმცა კი აშკარად ანტი-ქრისტიანული ხასიათისაა. მარტო ეს წარწერაა საკმარისი იმ მეცნიერთათვის, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ ქრისტიანობამდე ქართული დამწერლობის არსებობა. არა და, წარწერა მშვენივრად არის შესრულებული გაკრული ხელით და მისი ავტორი წერის დიდი ხნის გამოცდილების შესანიშნავი მცოდნეა. წარწერა თარიღდება 370-380-იანი წლებით, ერთ საუკუნეზე მეტი ხნით უსწრებს წინ ბოლნისის წარწერებს (494 წ.).

თარიღი	წარწერა	აღმოჩენის ადგილი
IV 370-380	წარწერა № 9 ანტიქრისტიანული	ნეკრესი IVს. ბაზილიკის სვეტში
II-IV	რუსთავში აღმოჩენილი წარწერები № 1, 2, 3, 4.	რუსთავის ნაქალაქარი, რუსთავის ნაციხარი
III	წარწერა № 10 (ნოში და ბავა)	მარანი. საწნახლის კედელში
II-III	წარწერა № 6 (ესე ჭური დავრგე)	მარანში.
I-II	წარწერა №7 (აზატი), №8 (ავანი)	შემთხვევითი აღმოჩენები
II-I	წარწერა №1 (აბაზა), №3 (თობულა), №4 (ოთორი), №5 გადაფხეკილი	მარანი. საწნახლების კედელში.
IV-II	წარწერა №2 (ლევაკი?)	მარანი. საწნახლის კედელში.

*წარწერების ქრონოლოგიური სურათი*

## შენიშვნები ქართული ანბანის შექმნის საკითხებზე

ნეკრესში უძველესი ქართული წარწერების დადასტურება არაერთგვაროვან შეფასებას იმსახურებს. პრობლემა მხოლოდ ძეგლების დათარიღებას არ შეეხება. აქ არის კულტურულ-ისტორიულ მოვლენათა მთელი ჯაჭვი, რომლითაც ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა სცილდება ქართულ სინამდვილის საზღვრებს და წილს იღებს ზოგადსაკაცობრიო, მეტად რთული და ძნელად ამოსაცნობი ფენომენის სივრცეში. კარგად მესმის, რომ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ძველ ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას დაგროვილი ურთიერთგამომრიცხავი აზრების პირობებში, ნაშრომში წარმოდგენილი მატერიალური დასაბუთების და მიუხედავად, მთელი რიგი საკითხებისა შესაძლებელია პასუხგაუცემელი დარჩეს, მაგრამ მჯერა კვლევის დღევანდელი ეტაპი, ქართული დამწერლობის წარმოშობის გარკვევაში, სრულიად დასაბუთებულად წარმოადგენს მისი აღმოცენების და განვითარების გზას, ძვ. წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებიდან ვიდრე საქართველოში ქრისტიანობის დამყარებამდე (ახ.წ. IV ს.) ეს არის ნაშრომის პირველი და მნიშვნელოვანი მიღწევა, რომლის ირგვლივაც შეიძლება მსჯელობა, თანაც უდიდესი იმედით ახალი მასალების აღმოჩენისა, სწორედ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად და პირველ რიგში სწორედ ნეკრესის ნაქალაქარიდან. ეს არის პირველი და მნიშვნელოვანი ეტაპი ქართული დამწერლობის ისტორიის შესწავლაში, უშუალოდ მატერიალური დასაბუთების პირობებში.

ნეკრესის აღმოჩენების გარჩევისას, ქართული დამწერლობის ჩასახვისა და განვითარების ძიებისას უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევის აუცილებლობის წინაშე ვდგევართ. ეს ეხება საქართველოში და მეზობელ რეგიონში ისტორიული განვითარების ფონს, საქართველოს მონაწილეობას მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ და კულტურულ-ინტელექტუალურ ორომტრიალში, რელიგიური მიმდინარეობების ცვალებადობას და მასში საქართველოს მონაწილეობას, შიდა პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს და სხვ. ცხადია, ყველა ამ საკითხის სრულყოფილი გარჩევა ავტორს არ ხელენიფების, თუმცა საკუთარი აზრი ყველა ამ საკითხზე შემუშავებული აქვს, რასაც გაეცნობით ქვევით მოკლე დასკვნების სახით.



## ზოგიერთი მოსაზრება ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ

მეცნიერული კვლევა ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ, განსაკუთრებულ ინტერესთა სფეროში ხვდება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის — „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ გამოსვლის შემდეგ, 1926 წელს<sup>1</sup> მანამდე არაერთი მოსაზრება იყო გამოთქმული, მაგრამ არცერთ მათგანს განვითარება და სრულყოფა არ მოჰყოლია, თუმცა კი აღნიშნული მოსაზრებების ავტორები საკმაოდ ცნობილი მკვლევრები იყვნენ — კლაპროტი, ბროსე, მიულერი, პეტერსი, ს. კაკაბაძე, ს. გორგაძე და სხვ. ყველა მათგანი პირველ რიგში იმ წყაროს ამოცნობას ცდილობდა, საიდანაც შეიძლებოდა ქართული ანბანის გადმოღება, ასეთებად იყო მიჩნეული ინდური, სემური, ბერძნული, არამეული, არამეული ფალაურის გზით, არამეული ავესტას საშუალებით და სხვ. კორნელი კეკელიძე სამართლიანად შენიშნავს ზოგი უცხო ავტორის შესახებ, რომ „ისინი ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს ეხებიან არა სპეციალურად, არამედ სხვათა შორის. სომხური თუ სხვა ანბანის სადა-ურობის გარკვევისას, თან მათ არც მასალები აქვთ ამისათვის საკმაო და არც ქართული პალეოგრაფიის ელემენტარული ცოდნა“.<sup>2</sup>

ქართული ანბანის შექმნის შესახებ არსებულ მოსაზრებათა შორის ცხარე დებატების თემად იქცა ქართული ანბანის წარმოშობის სომხური ვერსია, რომელიც გაჩნდა მაშინვე, როდესაც კი ეს საკითხი ქართული მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ ლეონტი მროველის ცნობა ფარნავაზის მიერ ქართული მნიგნობრობის შემოღების თაობაზე, ისევე როგორც მთლიანად მისი თხზულების სანდოობა კარგა ხანს ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული და ითვლებოდა მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულად. ასეთ ვითარებაში სომხური წყაროების ცნობას, რომელიც სომხურ, ქართულ და ალბანურ დამწერლობებს სომეხი მოღვაწის, მესროპის თუ მამთოცის მიერ გამოგონილად თვლის, თითქმის ერთადერთი წყაროს მნიშვნელობა ეძ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი გამოცემულია ცალკეც და თორმეტტომეულის IX ტომშიც.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, მნათობი, 1929 წ. 5-6, გვ. 152.

ლეოდა. თხოობა მესროპ-მამთოციის საგანმანათლებლო მოღვაწეობის თაობაზე არაერთ სომხურ წყაროშია შესული და თანაც მას განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი აქვს დათმობილი. სომეხ მეცნიერთა შორის აღნიშნული ცნობა მიღებულია, როგორც რეალური სურათის ამსახველი და ნდობის ფაქტორი აქვს მოპოვებული. მიუხედავად ყოველივესი, ეჭვები რომლებიც გამოჩნდა ქართული ანბანის შექმნის სომხური წყაროს მიმართ, სათანადო სომხური წყაროების გადამოწმებას და შესწავლას, გულდასმით გარჩევას მოითხოვდა, რაც შესანიშნავად მოახდინა ივ. ჯავახიშვილმა. ძველი სომხური წყაროების გულდასმით შესწავლის და გაანალიზების შემდეგ მან დაადგინა, რომ სომეხი ავტორის კორიუნის (V ს.) ცნობა „მერმინდელ ტენდენციურ ჩანართს წარმოადგენს. კორიუნის სახელით დაწერილ მამთოცი — მესროპის ცხოვრების თავდაპირველ რედაქციაში მესროპ-მამთოცი მხოლოდ სომხური ანბანის გამოსაგონებლად არის გამოყვანილი და არც ქართული და არც ალბანური ანბანების მისგან გამოგონებაზე იქ არაფერი წერებულა“.<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ქართული ანბანის წარმოშობა გაცილებით ადრე იყო მომხდარი, ვიდრე ამას სომხური წყაროები თვლიდნენ, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში. ქართული ანბანის წარმოშობის ადგილად ის მიიჩნევდა ქართველთა პირველსაცხოვრისს მცირე აზიაში.<sup>2</sup>

სომხური ტექსტის გაყალბების ცდა დადგენილია „ეპისტოლეთა ნიგნის“ მიხედვითაც. ზაზა ალექსიძემ სომხური ტექსტის გულდასმითი ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ ერთ-ერთ წერილში, სადაც საუბარია საქართველოსა და სომხეთში ქრისტიანობის და დამწერლობის ერთი წყაროდან მომდინარეობაზე, უკანასკნელი ფრაზა დამწერლობის ერთი წყაროს შესახებ ჩანართია. პასუხში მის შესახებ არაფერია ნათქვამი, მასზე არც უხტანესს აქვს არაფერი აღნიშნული, თუმცა კი ეს წერილი მას შეტანილი აქვს „სომეხთაგან ქართველთა განყოფის ისტორიაში“. ცხადი ხდება, რომ ცნობა მესროპ-მამთოცის მიერ ქართული ანბანის შედგენის შესახებ გვიანდელი სომხური მწერლობის ნაყალბეგია.<sup>3</sup>

სომხურ თეორიას ქართული ანბანის წარმოშობის თაობაზე არ იზიარებდა პავლე ინგოროყვაც. მას მიაჩნდა, რომ ქართული ანბანი არაა შექმნილი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ის ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ქართველური ტომები —

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თხზულებანი XII ტომად. ტომი IX, გვ. 255; ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბ. 1935.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 231

<sup>3</sup> ზ. ალექსიძე. ეპისტოლეთა ნიგნი, თბ. 1968.



ხეთას ჯგუფის ხალხები ჰიბერები (თობელები) და მესხები მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრდებოდნენ. მისი აზრით ეს მომხდარა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე. ეს ანბანი ქართველ ტომებს იბერებს და მესხებს მცირე აზიიდან მოუტანიათ თავის ახალ სამშობლოში, კავკასიაში, სადაც ყალიბდება ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებები იბერია და კოლხეთი.<sup>1</sup>

პავლე ინგოროყვა, განსხვავებით ივ. ჯავახიშვილისაგან, სანდოობით ეკიდება ლეონტი მროველის ცნობას ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შექმნის თაობაზე და მას უკავშირებს კალენდრის რეფორმას და ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვის შემოღებას ძვ.წ. 284 წელს.<sup>2</sup>

იგივე თარიღი აქვს მიღებული რამაზ პატარიძეს მნიშვნელოვანი კორექტივით — განსაზღვრული აქვს ქართული დამწერლობის შექმნის მიახლოებითი, 119 წლიანი პერიოდი „არა უადრეს ძვ.წ-ის 403 წლისა და არა უგვიანეს ძვ.წ. 284 წლისა“.<sup>3</sup>

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ კორნელი კეკელიძე სომხურ ვარიანტს უჭერდა მხარს. პირველ ყოვლისა, ივ. ჯავახიშვილის და პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმული ვარაუდი თარიღის შესახებ არ მიაჩნდა მისაღებად „ის გარემოება, რომ ქართული ანბანი ბერძნულისაგან მომდინარეობს, არ გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ ის შემოღებულია მერვე საუკუნეში ქრისტეს წინ“.<sup>4</sup> უფრო კატეგორიული იყო ქრისტიანობამდე ქართული ანბანის არსებობის თაობაზე. ამის შესახებ ყოველივე ცდა „უშედეგოდ უნდა ჩაითვალოსო“.<sup>5</sup> ის დეტალურად განიხილავდა სომხურ წყაროებში მესროპის შესახებ ცნობებს, მის გადაადგილებას, მოსვლას ქართლში და ასკვნიდა „ქართული ანბანის შემოღებას ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოებით 420-422 წლებში“.<sup>6</sup> ასე მარტივად იყო გადანყვეტილი ეს მეტად რთული, თუმცა კი წყაროებით კარგად შენიღბული და გაყალბებული პრობლემა. დასკვნა მეტად კატეგორიულია: „ჩვენ ვერ შევიწყნარებთ ვერც მათიანის ცნობას ფარნავაზ მეფის შესახებ, რომელმაც ვითომც „შექმნა მნიგნობრობა ქართული“, ვერც იმ მოსაზრებებს, რომლითაც სურთ დაამტკიცონ, რომ ქართული მწერლობა არსებობდა ჯერ

<sup>1</sup> პავლე ინგოროყვა, ქართული დამწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, 1939, 1, გვ. 166-168.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>3</sup> რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 78.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, მნათობი, 1929წ. 5-6, გვ. 158.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 161.

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, მნათობი, 1929წ. 7, გვ. 149.

კიდევ ქრისტიანობის შემოღებამდე ჩვენში“.<sup>1</sup>

მაშ ასე, 420-422 წწ. არის შემოთავაზებული ქართული ანბანის საწყის ეტაპად. ანბანი შექმნილია სომეხი მოღვაწის მესროპ-მაშტოცის მიერ. ფარნავაზის როლი ამ საქმეში უარყოფილია, უარყოფილია ასევე ქართული ანბანის შექმნის ცდა საერთოდ ქრისტიანობის შემოღებამდე.

ბუნებრივია დაისვას კითხვა, თუ როგორი ვითარება იყო უშუალოდ არსებული მასალების მიხედვით და რამდენად პასუხობდა ის დასმულ საკითხს. ქართული მეცნიერების განკარგულებაში ამ დროისათვის იყო უძველესად მიჩნეული ქართული წარწერები პალესტინიდან, ორჭოფული დათარიღებით 430-432 წწ. (ამის შესახებ ქვევით), V ს-ის შუა წლების ურბნისის წარწერა და ბოლნისის წარწერები 494 წლისა. აღნიშნულ წარწერებს ათიოდე წლით წინ უსწრებს კორნელი კეკელიძისეული გამოთვლითი თარიღი 420-422 წწ. თუ როგორია თანამედროვე მდგომარეობა ქართულ მეცნიერებაში, გავეცნობით ქვევით.

---

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, მნათობი, 5-6, გვ. 160.



## ქართული ანბანის შემოღების შესახებ თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში.

გასული საუკუნის 50-იან წლებამდე, უძველესი ქართული დამწერლობის შესახებ, მხოლოდ ბოლნისის სიონში აღმოჩენილი წარწერების მიხედვით შეიძლებოდა მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება არსებობს, ბოლნისის სიონის წარწერის შესახებ, მიმაჩნია, რომ აკაკი შანიძისეული თარიღი — 494 წ. სავსებით მისაღებია. ის უძველესად იყო ჩათვლილი გასული საუკუნის 50-იან წლებამდე, სანამ პალესტინაში, ქართველთა მონასტრის გათხრების შედეგად აღმოჩნდებოდა რამდენიმე ქართული წარწერა. ეს აღმოჩენა მოხდა იუდას უდაბნოში, იტალიელთა არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვირჯინიო კორბო (Virginio Corbo). წარწერები მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს პალესტინაში ქართველთა სამონასტრო ცხოვრების შესახებ. გ. წერეთლის ვრცელი გამოკვლევის წყალობით, ხელთ გვაქვს წარწერების შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც წარწერათა დეტალურ გარჩევასთან ერთად, მოცემულია ისტორიულ პირთა განსაზღვრის და მათი მოღვაწეობის დადგენის ცდა.<sup>1</sup> გ. წერეთელმა ოთხიდან ორი წარწერა, შედარებით ადრეულად მიიჩნია და დაასკვნა, რომ ისინი „ნახევარი საუკუნით უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულ ბოლნისის წარწერებს.“ ეს არის მეხუთე საუკუნის 30-იანი წლები. ამ დასკვნის შემდეგ ქართული დამწერლობის უძველესი ფენა 430-433 წწ. განისაზღვრა.

გ. წერეთელი პალესტინის წარწერების შესწავლასთან ერთად ბუნებრივია დაინტერესებული იყო ზოგადად ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემითაც. აღნიშნული წარწერების გრაფიკულად დადგენილი ფორმები მას აფიქრებინებდა ქართული დამწერლობის არსებობაზე V ს-ზე გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში. იგი აღნიშნავდა: „მეხუთე საუკუნეზე ადრინდელი წერილობითი ძეგლების უქონლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ დროს ქართული დამწერლობა არ არსებობდა“. და კიდევ: „ვფიქრობთ ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ უკუგდებული უნდა იქნეს. V საუკუნეზე ადრე ქართული დამწერლობის არსებობა, როგორც უკვე

<sup>1</sup> გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

აღვნიშნეთ, ამჟამად კიდევ უფრო შესაძლებელი და რეალური ჩანს".<sup>1</sup>

პალესტინის ქართული დამწერლობის ნიმუშების შესწავლის შემდეგ, სომხური ვარიანტი გამოირიცხა, მაგრამ არა მთლიანად. შეიძლებოდა თუ არა ქართული ანბანის შექმნის ათი წლისთავზე პალესტინაში შეესრულებინათ კარგად ჩამოყალიბებული ასოთა სისტემით შექმნილი ტექსტები? არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი საკითხის სრულად გადაწყვეტის უფლებას არ იძლევა მით უმეტეს, რომ პალესტინის წარწერების თარიღის ირგვლივ სხვა მოსაზრებაც არსებობს.

კორნელი კეკელიძე გ. წერეთლისგან დამოუკიდებლად (სხვათაშორის ორივე მეცნიერის ნაშრომები პალესტინის ქართული წარწერების შესახებ ერთიდაიმავე წელს 1960 წელს არის დასტამბული), პალესტინის ქართველთა მონასტრის შესახებ განსხვავებულ მსჯელობას გვთავაზობს. ჯერ ერთი, ის არ იზიარებს ვ. კობოს მოსაზრებას წარწერების V-VI საუკუნეებით დათარიღების თაობაზე იმ უბრალო მიზეზით, რომ წარწერების გაკეთება შენობის აგებამდე ვერ მოხდებოდაო და ასკვნის: „რადგანაც მონასტრის რესტავრაცია 614-620 წლებში მომხდარა, წარწერაც, რომელიც ამ რესტავრაციითაა გამოწვეული, იმავე 614-620 წლებს ეკუთვნისო“.<sup>2</sup>

ასეთი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრების გამო, გაუგებარი სიტუაცია იქმნება გ. წერეთლის მიერ უძველესად მიჩნეული პალესტინის წარწერების მიმართ. ითვლებოდა, რომ სომხურ ვარიანტს ეცლებოდა საფუძველი, რადგანაც ქართული ანბანის მიღების ათწლიანი ინტერვალი გამორიცხავდა კარგად ჩამოყალიბებული წარწერის შექმნას, კ. კეკელიძის თარიღით კი ეს მომენტი იხსნება და ინტერვალი V ს-ის 20-იანი წლებიდან 494 წლამდე (ბოლნისის წარწერის თარიღი) საკმაოა ანბანის ჩამოყალიბებისა და დასამკვიდრებლად.

სამწუხაროა, რომ ისრაელის არქეოლოგიური სამსახურის მიერ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ანგარიშებში ბირელ-კუთის ქართული წარწერების შესახებ ახალი არაფერია ნათქვამი, ქართული წარწერების და მონასტრის აგების თარიღად VI საუკუნეა გამოცხადებული.<sup>3</sup> ამდენად, საკითხი ხელახალი გარჩევის ობიექტად რჩება.

გასული საუკუნის 40-იანი და 50-იანი წლები დამწერლობის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენებით არის აღსანიშნავი. მცხეთაში, არმაზისხევის სამაროვანზე, არამეული წარწერების აღმოჩენამ ახალი

<sup>1</sup> გ. წერეთელი, იქვე, გვ. 52.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, უძველესი ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად და მისი მოზაიკური წარწერა, ეტიუდები, VI, თბ., 1960, გვ. 77.

<sup>3</sup> The New Encyclopedia of Archaeological excavations in the Holy Land, Vol. 3. 1993, Printed in Israel.



იმპულსი მისცა ზოგადად დამწერლობის ისტორიის შესწავლას, კერძოდ კი, ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების იბერიის სამეფოში დამწერლობის ახალი სისტემის გაჩენას.

გ. წერეთელმა, რომელმაც შეისწავლა საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერები, შედარებით მეთოდის გამოყენებით საერთოდ არამეულ წარწერებთან, გამოავლინა მთელი რიგი გრაფიკული სახესხვაობანი, რომელიც ახასიათებდა მცხეთაში აღმოჩენილ წარწერებს, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არმაზისხევში აღმოჩენილი წარწერების სახით საქმე უნდა გვექონდეს არამეული დამწერლობის ადგილობრივ სახესხვაობასთან, რომელსაც „არმაზული“ დამწერლობა უწოდა.<sup>1</sup>

გ. წერეთლის შემდგომი კვლევა-ძიება შეეხო „არმაზული“ და ქართული დამწერლობების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას. ის ეჭვობდა, რომ რაღაც კავშირი უნდა ყოფილიყო მათ შორის, თუმცა დასკვნა ერთობ მორიდებული ჰქონდა: „ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ ქართული დამწერლობა როგორც არმაზული დამწერლობის შემდეგი განვითარება. ის მხოლოდ მონათესავეა მისი და მასთან ერთად წარმოდგება ერთი საერთო წყაროდან-არამეულიდან“.<sup>2</sup> მაშასადამე, ქართული დამწერლობის შექმნის თეორიებს შორის გამოჩნდა ახალი მოსაზრება — ქართული არ არის არმაზულის შემდგომი განვითარება, ის არმაზულთან ერთად ერთი წყაროდან — არამეულიდან მომდინარეობს. მაშასადამე, ბერძნულ-ფინიკური წყარო იცვლება არამეულით. ეს მოსაზრება შემდგომად უფრო დაკონკრეტდა: „არამეული დამწერლობიდან ჩანს წარმოშობილი აგრეთვე ქართული და სომხური დამწერლობანი, რომლებსაც ამავე დროს ემჩნევათ ბერძნულის ძლიერი გავლენა“.<sup>3</sup> მაშასადამე, გამოჩნდა ახალი აზრი — ქართული დამწერლობა აღმოცენებულა არამეული დამწერლობიდან.

ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხების გარკვევაში დიდად მნიშვნელოვანია აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ნიგნი „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ (თბ., 1989წ.), სადაც მონოგრაფიულად შესწავლილია წერითი სისტემების ჩამოყალიბების და განვითარების გზები ძველი მსოფლიოს ხალხთა ისტორიის სათანადო მონაცემების მიხედვით. აქაა განხილული ძველი სემიტური (ძველი ფინიკიური, ქანაანური, არამეული განშტოებები) და ძველი ბერძნული (არქაული, ბერძნული სახეობები) დამწერლობები, ასევე განცალკევებით, ბერძნული დამწერლობისაგან წარმომდგარი ქრისტიანული ეპოქის დამწერლობანი,

<sup>1</sup> Г. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, ЭВ. II, 1948.

<sup>2</sup> გ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

<sup>3</sup> გ. წერეთელი, არამეული დამწერლობა, ქსე.

როგორცაა კოპტური, გუთური, ძველი სომხური, ძველი სლავური და ქართული ასომთავრული. ფაქტიურად აქაა თავმოყრილი ყველა ის წერიტი სისტემა, რომელთანაც ისტორიულად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჰქონდა კავშირი ქართული დამწერლობის ნიმუშებს სხვადასხვა ეტაპზე. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ბერძნული წერიტი სისტემისგან წარმომდგარი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დამწერლობა ქრონოლოგიურად გაერთიანებულია ერთ ქრისტიანულ ეპოქაში და მათი წარმომავლობაც უკავშირდება ქრისტიანობის გავრცელებას და განმტკიცებას, ქრისტიანული წმინდა წიგნების თარგმნას და გავრცელებას. ეს არის თ. გამყრელიძის მთავარი კონცეფცია ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების მიმართ. „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შემოღებული იქნა საქართველოში ქართლის მონათვლასა და გაქრისტიანებასთან დაკავშირებით“.<sup>1</sup> მისი დანერგვა და გავრცელება ნაგულისხმეია ახ.წ. IV ს-ში, „როდესაც ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული“.<sup>2</sup> „ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად გულისხმობდა ამავე დროს ფართო მუშაობის გაშლას ეროვნულ ენაზე საღმრთო წიგნების სათარგმნელად სპეციალურად ამ მიზნებისათვის ახლად შექმნილი ეროვნული დამწერლობის საშუალებით“.<sup>3</sup>

თ. გამყრელიძე უდავოდ სწორად შენიშნავს ქართული დამწერლობის უაღრესად დიდ როლს ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნის საქმეში. მან დიდი და მნიშვნელოვანი საქმიანობა განახორციელა საერთოდ ქართული კულტურის და შემეცნების აღმავლობასა და განმტკიცებაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე ეს მოხდა წინაქრისტიანული, ასევე მაღალი კულტურის ნანგრევებზე, რომელიც აღმოცენდა სხვა რელიგიური მიმდინარეობის პირობებში.

ნეკრესისა და რუსთავის წარწერების განხილვის შემდეგ მე ვერ გავიზიარებ ქართული დამწერლობის წარმოშობის ქრისტიანულ ვერსიას. ამის შესახებ არაერთხელ მაქვს აღნიშნული და შესაძლებლობისდა მიხედვით დასაბუთებული. იმედი მაქვს დამატებითი მატერიალური დასაბუთება კვლავ გამოჩნდება. ეს პროცესი დაიწყო ამ 20-25 წლის წინ, როდესაც ისტორიული საქართველოს რუკის თეთრ ლაქებზე გამოჩნდა ციხია-გორის, სამადლოს, დედოფლის მინდვრის და ნეკრესის ნატაძრალეები. უნდა შევახსენო მკითხველს ის წინააღმდეგობა, რომელიც შეხვდა ეთნოგრაფ სერგი მაკალათიას მის მიერ შესწავლილი ეთნოგრაფიული ყოფის მასა-

<sup>1</sup> თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989, გვ. 206.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 196.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 185.



ლებზე დაყრდნობით დაწერილ ნაშრომს „ღვთაება მითრას კულტი საქარველოში“ (საქ. მუზეუმის მოამბე IIIბ). მაგრამ ეს იყო 80 წლის წინ და მართლაც, იმ დროისთვის მითრას ფენომენი ვერ მოხვდებოდა ყურს. დღეს ჩვენი მეცნიერება, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, აღმავლობის გზაზეა და მას მოუწევს არა მარტო სიახლეებისთვის ბრძოლა, არამედ ზოგი მოძველებული იდეების გადასინჯვაც.

ზემოთ მოტანილი ამონარიდების მიხედვით თ. გამყრელიძის წიგნიდან, აშკარად ჩანს, რომ ავტორი გულმხურვალე დამცველია ქართული დამწერლობის ქრისტიანულ დამწერლობად აღიარებისა მისი ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე, ე.ი. IV ს-ის დასაწყისიდან. მაგრამ რატომ არ ვაქცევთ ყურადღებას, რომ ჩვენ, თუ არ ჩავთვლით ნეკრესის წარწერებს, მხოლოდ V ს-ის მეორე ნახევრიდან შეიძლება ვიგულისხმოთ ქართული ანბანის არსებობა. ე.ი. ქართული დამწერლობა ექცევა სომეხი განმანათლებლის მიერ შექმნილი ანბანის ქრონოლოგიურ ფარგლებში, რასაც გაყალბებული სომხური წყაროები გვანვდიან. ნუ დავივიწყებთ, რომ IV ს-ში ე.ი. ქრისტიანობის ქართლში შემოსვლისას არცერთი ქრისტიანული ძეგლი არ თარგმნილა. ეს შეუძლებელი იყო, რამდენადაც მთელი საუკუნის განმავლობაში საეკლესიო სამსახური ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, მღვდელთმთავრებიც ბერძნები იყვნენ, ვიდრე თითქმის ვახტანგ გორგასლამდე (გავიხსენოთ წარმართული ლიტერატურის გავრცელება მოზიდანის მიერ). ეს ისტორიული მოვლენაა, და თუ ნეკრესის და რუსთავის მიხედვით არ ვაღიარებთ რეალურ ვითარებას, აუცილებლად, ფაქტების გაუთვალისწინებლობის გამო, ავცდებით ისტორიული სინამდვილის ასახვას.

იმის სამტკიცებლად, რომ ქართული დამწერლობა მაიცადამაინც ქრისტიანობის ნაყოფია და ადრეული ფენები არ უნდა არსებობდეს, თ. გამყრელიძე V ს-ის ბოლნისის წარწერას იშველიებს: ძველი ქართული დამწერლობის „სავსებით ჩამოყალიბებული და „ჩამონაკვთილი“ ხასიათი V საუკუნის წარწერებში არ გულისხმობს აუცილებლობათ ამ კონკრეტული წერიტი სისტემის ხანგრძლივ წინარე ისტორიას“.<sup>1</sup> ბოლნისის წარწერების აღნიშნული, „ჩამოყალიბებული და ჩამონაკვთილი“ ხასიათი სწორედ რომ საპირისპიროზე მეტყველებს. ასეთი სახის მიღებისათვის ქართულ დამწერლობას გრძელი და შემოქმედებითი გზა ჰქონდა გავლილი, რასაც განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ივ. ჯავახიშვილი.<sup>2</sup> ნეკრესის წარწერების პალეოგრაფიული ანალიზი განა ამაზე არ ლაპარაკობს. ჩვენ განხილულ მასალებში არამც თუ არც ერთი რელიეფური წარწერა, უბრალო ნიშანიც კი არ არსებობს, მხოლოდ ნაკანრებია, ეს იმ დროს როდესაც V ს-ში ბოლნისის და

<sup>1</sup> თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა... გვ. 196.

ურბნისის წარწერები მხოლოდ რელიეფურია. ტექნიკური შესრულებით ისინი, ცხადია, უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს, ვიდრე ნაკანრი წარწერები.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და დანვრილებით არ განვიხილოთ თ. გამყრელიძის ერთი მოსაზრება, რომელიც ერთგვარად უშვებს წარმართულ ეპოქაში გარკვეული წერილობითი სისტემის არსებობას: „არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა (გამოაძევა) მანამდე არსებული, წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა“.

რომ უფრო გასაგები იყოს წამოყენებული მოსაზრება, ვცადოთ მისი გარკვევა ავტორისავე მონაცემებით. იგი წერს: „ქრისტიანობამდელ ამიერკავკასიაშიც წერის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი, როგორც ჩანს, „ალოგლოტოგრაფია“ უნდა ყოფილიყო, რითაც აიხსნება აქ არამეულ წარწერათა განსაკუთრებული გავრცელება. წარმართულ იბერიასა და სომხეთში „საშინაო მოხმარებისათვის“ ტექსტები საკუთარ, ადგილობრივ ენებზე ალბათ სწორედ არამეული ალოგლოტოგრაფიის წერით იწერებოდა, რაც გასაგებს ხდის ცნობას ქართლში მეფე ფარნავაზის დროს „ქართული მნიგნობრობის“ შემოღების შესახებ. „ქართული მნიგნობრობა“ შეიძლება, მაშასადამე, გავიგოთ როგორც „ქართული ალოგლოტოგრაფია არამეულის საფუძველზე, რომელზედაც წერამ ამ ეპოქის ამიერკავკასიაში სპეციფიკური, „არმაზულ არამეულად“ წოდებული სახეობა მიიღო. მაშასადამე, ტექსტს კარნახობდნენ ქართულად, იგი სინქრონულად ითარგმნებოდა და ჩაიწერებოდა სპეციალისტ-ჩამწერის მიერ არამეულად და ამოიკითხებოდა ქართულადვე. ეს უნდა ყოფილიყო ქართული ზეპირი ტექსტის ჩაწერის წესი არამეული ენისა და დამწერლობის შუამავლობით“.<sup>1</sup>

როგორც ამონაწერიდან ჩანს, ასეთი აზრის განვითარებისკენ ავტორს უკარნახა „არამეულ წარწერათა განსაკუთრებით გავრცელებამ“, რომელსაც მოჰყოლია „არმაზული არამეული დამწერლობის“ განვითარება.

საგანგებოდ უნდა განვაცხადო, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ათიოდე პუნქტიდან არამეული დამწერლობით შესრულებული სამ ათეულზე მეტი წარწერაა ცნობილი, ამ „ეპიგრაფიკულ ძეგლთაგან დამაკმაყოფილებლად შესწავლილია მხოლოდ დედოფლის გორის წარწერა და

<sup>1</sup> იქვე, გვ. 200. ასეთ მოსაზრებას იზიარებენ კ. წერეთელი (საქართველოს არამეული ეპიგრაფიკული ძეგლები, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს ა. აფაქიძის 85 წლისთავისადმი, 1999, გვ. 39) და ი. გაგოშიძე, მ. ნონელია, არამეულწარწერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან, გვ. 71.



არმაზის ბილინგვა“.<sup>1</sup> როგორია ძეგლთა განაწილება აღმოჩენების მიხედვით: არმაზისხევის სამაროვნიდან: არმაზის ბილინგვა (II ს.) და ე.წ. შარაგასის „გამარჯვების სტელა“ (I ს.); ბერსუმას ლანგარი (III ს.); ოქროს საავგაროზე ფირფიტები (II ს.); ოქროს ორი სამაჯური და ოქროს ბეჭედი (IV ს.); ბაგინეთიდან ორი წარწერა ქვებზე და სარკოფაგის ვერცხლის ნივთებზე (II-III ს.); ორი წარწერა ქვევრის პირებზე უფლისციხიდან (II-III ს.); წარწერა ქვევრის პირზე ურბნისიდან (II-III ს.); ზღუდერიდან 4 წარწერა ვერცხლის ნივთებზე; ძალისიდან გრაფიტები საკურთხეველზე (II-III ს.); დედოფლის გორიდან — შვიდი წარწერა სათამაშო ფირფიტებზე (I ს.); წარწერა ვანიდან ოქროს ფირფიტაზე (I ს.). აი, თითქმის სრული ნუსხა საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერებისა, რომელთა გავრცელება მოდის ძირითადად ქართლის ტერიტორიაზე, ერთია ვანიდან და ერთიც ყაზბეგიდან, 1877 წ. აღმოჩენილ ნანგრევებზე, რომლის შესწავლის შედეგები ნაკლებადაა ცნობილი, თუმცა კი თარიღი აღმოჩენისთანავე განუსაზღვრავთ ძვ.წ. V ს-ით. თარიღი აღნიშნული წარწერებისა, შეიძლება განისაზღვროს ახ.წ. I-IV სს-ით, ძირითადად კი II-III საუკუნეებით. კრიტიკულად უნდა შევხედოთ უფლისციხეში აღმოჩენილი წარწერების დათარიღებას ძვ.წ. III-II საუკუნეებით.<sup>2</sup> არც ქვევრების ფორმა, არც სტრატიგრაფიული მონაცემები ასეთ თარიღს არ უჭერს მხარს. უფლისციხის გამთხრელის მიერ შემოთავაზებული თარიღი — ახ.წ. II-III სს, ვფიქრობ მისაღები უნდა იყოს.<sup>3</sup> ისინი მიემსგავსება ურბნისში აღმოჩენილ ქვევრს არამეული წარწერით, რომელიც ასევე II-III სს. ფენას განეკუთვნება. დამატებით უნდა შევნიშნო, რომ აღნიშნულ ფენას, რომელიც წარმართულ მარნად მაქვს წარმოდგენილი, ზედ ადევს IV-V სს. ჯვრების გამოსახულებიანი ქრისტიანული მარანი.<sup>4</sup>

არამეული დამწერლობის ნიმუშებთან დაკავშირებით ორ მომენტზე მსურს შევაჩერო ყურადღება. თითქმის ყველა ძეგლი, სადაც აღნიშნული წარწერებია აღმოჩენილი ქრელი მოსახლეობით გამოირჩეოდა და ეს არც არის მოულოდნელი, რადგანაც ვახუშტი ბატონიშვილის მონაცემებითაც კარგად ჩანს, რომ ეს მომენტი უცხო მეტომეთა სახლობა დამახასიათებელი ჩანს ქართული ქალაქებისათვის. ასე იყო მცხეთაში, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ამ მხრივ, ურბნისში, სადაც ქალაქის არც თუ მცირე ადგილი ებრაელებს ჰქონდათ დაკავებული და ტოპონიმიც კი შემორჩენილა —

<sup>1</sup> ი. გავოშიძე, მ. ნონელია, არამეულწარწერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან, გვ. 71.

<sup>2</sup> კ. ნერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

<sup>3</sup> დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, II, გვ. 57, 110, ტაბ. XXXII, 1,2.

<sup>4</sup> ლ. ქილაშვილი, „ნაქალაქარი ურბნისი“, გვ. 100, ტაბ. XLIII.

ნაურიალი. ასევე იყო უფლისციხეში, ზღუდერში, ძალისაში, სადაც უცხო ელემენტი, განსაკუთრებით არქიტექტურა, თვალშია მოსახვედრი. ისე რომ, არამეულ წარწერათა მესაკუთრენი ხშირ შემთხვევაში შეიძლება უცხო-ელები ვიგულისხმოთ, რომელთაც ნამდვილად არ დასჭირდებოდათ არც სპეციალისტ-ჩამწერები და არც ქართული ტექსტის კარნახი. მეორე მომენტი, რომლის აღნიშვნაც აუცილებლად მიმაჩნია, არის დასახელებული ნივთების წარმომავლობის ატრიბუცია. მათი გარკვეული ნაწილი შემოტანილია მეზობელი ქვეყნიდან და ადგილობრივ შემოქმედებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ეს, ცხადია, მიუთითებს ქართლის სამეფოს მაღალ კულტურულ ვითარებაზე და გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობაზე მეზობლებთან და არა ქართლის არამეული თუ არმაზული დამწერლობის ცენტრად გამოცხადებაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „მნიგნობრობა ქართულის“ საფუძვლად არამეული დამწერლობის აღიარება ყოველად მიუღებელია. ძვ.წ. IV-II სს-ის არამეული დამწერლობის ნიმუშები ქართლში არ დადასტურებულა, ცხადია ვერც გავლენას მოახდენდა ქართული ანბანის დაფუძნებაზე. ერთგან უკვე ვაჩვენე და აქაც აღვნიშნავ, არამეული დამწერლობის გავრცელება ქართლში დაკავშირებული იყო სპარსელთა ბატონობასთან და ის იყო დამპყრობთა თანამგზავრი განსაკუთრებით მათი ორსაუკუნოვანი პოლიტიკური ბატონობის უამს ახ.წ. II-III სს. არამეული დამწერლობა ქართლში იყო ადგილობრივ მოსახლეობაზე თავსმოხვეული პოლიტიკური ხორცმეტი, რომელსაც ადგილობრივმა მოსახლეობამ უცხო ბატონობის გადაგდებისა და ქრისტიანობის მიღებისთანავე მიუჩინა ადგილი არმაზის-ხევის სამაროვანზე საფლავის ქვებად. ასეთი ბედი ენია უაღრესად მნიშვნელოვან ბილინგვას და „გამარჯვების სტელას“ უშუალოდ მისთვის გაუგებარი არმაზული წარწერების გამო (სამარხის მოწყობისას გამოიყენეს საფლავის კედლებად). მათი ბედი გაიზიარა ებრაულმა და ბერძნულმა წარწერებმაც.

ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დგება არამეული და საერთოდ უცხო დამწერლობით შესრულებული ძეგლების არქეოლოგიური ზუსტი კვალიფიკაციის შემუშავება, რათა ქართული დამწერლობის წარმომობის საკითხების კვლევისას გამოირიცხოს უზუსტობანი.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე მეტად თანამიმდევრული მკვლევარი აღმოჩნდა ქართული დამწერლობის ისტორიის მისეული კონცეფციის გასამყარებლად. როგორც აღნიშნული გვქონდა, იგი ქართული ანბანის შემოღებას ვარაუდობდა V ს-ის ოციანი წლებიდან და მას უკავშირებდა სომეხ განმანათლებლის მოღვაწეობას. როგორც ჩანს, ის ყურადღებით ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებს, რასაც მისი მოსაზრების საწინააღმდეგო შედეგები არ ახლდა თან. იგი



ნერდა: „მეხუთე საუკუნემდე (ახალი წელთაღრიცხვით), ქართულ ენაზე არ მოიპოვება არცერთი ლიტერატურული გინდა თუ ეპიგრაფიკული ძეგლი, ჯერ არ აღმოჩენილა არცერთი ქართული წარწერა არც დედამიწის ზედაპირზე, არც მის წიაღში. მცხეთა — არმაზის გათხრების შედეგთა მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ქართველები თავიანთ საჭიროებას იკმაყოფილებდნენ უმთავრესად არამეული და ბერძნული დამწერლობის საშუალებით“.<sup>1</sup>

პატივცემული მეცნიერი ერთის მხრივ სწორ ანალიზს აკეთებს არქეოლოგიური შედეგების მიმართ, მაგრამ არ ითვალისწინებს იმ ისტორიულ რეალობებს, რაც საქართველოში იყო დამკვიდრებული და რაზედაც ქვევით მოგვიხდება საუბარი.

მცხეთაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით, განსაკუთრებით გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, ბევრი ისეთი აღმოჩენის მოწმენი გავხდით, რამაც ახლებურად დააყენა ბევრი კარდინალური საკითხი და მეცნიერებას მისცა ბიძგი მატერიალური დასაბუთების პირობებში უფრო მკვეთრად ემსჯელა ანტიკური ხანის ქართლის სოციალ-ეკონომიკური თუ კულტურული ყოფის საკითხებზე. სამთავროს სამაროვანზე ხანგრძლივი საველე სამუშაოების შედეგად აღმოჩენილ იქნა რამდენიმე წარწერიანი საფლავის ქვა, მათ შორის ორი ებრაული და ორიც ბერძნული, არმაზისხევის გათხრებისას დადასტურებულია საქვეყნოდ გახმაურებული ბილინგვა ბერძნულ-არამეულ ენაზე შესრულებული ორენოვანი წარწერა და ე.წ. „გამარჯვების სტელა“, ესეც არამეული დამწერლობით, რომელიც აღმართული ყოფილა არმაზისხევის მიდამოებში. გარდა ამისა, ცნობილი გახდა ცალკეულ სამარხეულ ნივთებზე მოთავსებული წარწერები ბერძნულ, არამეულ, ებრაულ, ფალაურ ენებზე და არც ერთი ქართული წარწერა, არც ერთი ასო.

ამ მოვლენას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა საზოგადოებაზე და პირველ რიგში კი იმ მეცნიერებზე, რომლებიც დაკავებული იყვნენ ქართული დამწერლობის ისტორიის კვლევით და ასე თუ ისე მხარს უჭერდნენ ქართული ანბანის წარმოშობის ფარნავაზისდროინდელ თეორიას. მართლაცდა, ვითარება საკმაოზე რთული ჩანდა და თანაც მოულოდნელი. მცხეთა ხომ ქვეყნის გული იყო, სამეფო ცენტრი, მდიდარი, მრავალჭირგამოვლილი, ქრისტიანობის აკვანი. და მაინც, ქართული წარწერა ჩნდება მხოლოდ VI საუკუნის ბოლოს, უფრო კი VII ს-ის დასაწყისში ჯვრის ტაძრის მშენებლობისას.

სამწუხაროდ, ქართული ისტორიული წყაროები ვერაფერს გვატყო-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული ლიტერატურისა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 36.

ბინებს, რა ხდება ფარნავაზის შემდგომ. თითქმის უცნობია პოლიტიკური სიტუაცია, რასაც ნანილობრივ ვეცნობით უცხო წყაროებით. ოთხი საუკუნის განმავლობაში, პირველიდან მეოთხის ჩათვლით, მიუხედავად ხანმოკლე წარმატებებისა, ქვეყანაში ღრმა პოლიტიკური კრიზისია. მართალია ქართველ მეფეს რომშიც ეპატიუებიან და ბიუსტსაც უდგამენ, მაგრამ გაურკვეველია რა კონფესიის ფარგლებში სწირავს მსხვერპლს კაპიტოლიუმში. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ, პირველსა და მეოთხე საუკუნეში, სამეფო შუაზე იხლიჩება, დგინდება ორხელისუფლებიანობა. არმაზის კერძ სამეფოზე სპარსეთი პატრონობს, მუხრანის კერძს რომი განაგებს. აღრევან რელიგიური თვალსაზრისითაც. მცხეთაში წამყვანი მამადეანობა ჩანს, ეს კარგად დგინდება არმაზისხევის სამაროვნის მასალებით და იმ სოციალური სიტყრელით, რომელიც აქ არის წარმოდგენილი სამეფო ელიტაში. ვინ არიან ესენი — პიტიახში, ეზოსმოძღვარი, ან სახელდებით — სერაფიტა, ზევახი, იოდმანგანი, ხსეფარნუგი, აგრიპა. ნიშნეულია, რომ თუ არა ბერძნულ ტექსტში ნახსენები „იბერიის მეფე“, არამეული ტექსტით ვერც შევიტყობდით, რომ საქმე იბერიის სამეფო კარს ეხება და მის კარზე დამკვიდრებულ უცხო ინსტიტუტების პატრონებს. არამეული და ბერძნული ტექსტები უცილობლად მიუთითებს სახელმწიფო აპარატის და კანცელარიის სამუშაო ენებზე. ქართული არა თუ დამწერლობა, არამედ მეტყველებაც გამოდევნილია. ქართულს იყენებს ალბათ დაბალი ფენები, მასა. ჩანს, რომ მცხეთა კვლავ მრავალენოვანი ქალაქია, შეიძლება ნომინალურად, მაგრამ მაინც, ქართველი მეფის ხელში იმყოფება. ასეთ გარემოებაში ქართული დამწერლობის განვითარებას ნაკლებად ექნებოდა პირობები. დასაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს პირობებში, ტომთა აღრევის ადგილები სწორედ მცხეთის ქვეყანაში ჩანს. აქ არის დადასტურებული თითქმის ყველა, არამეული, ფალაური, ბერძნული დამწერლობის ნიმუში, რომელთა თარიღიც ძირითადად ახ.წ. I-III სს-ზე მოდის (მცხეთა, ურბნისი, უფლისციხე, დედოფლის გორა...).

მე შორს ვდგევარ იმ თვალსაზრისიდან, რომ არამეული თუ ფალაური წარწერები ნივთებზე მასიურად ადგილობრივ იქმნებოდა, პირიქით, მათი დიდი ნაწილი შემოტანილია სპარსეთიდან.

როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება უცხო კულტურული ექსპანსიისადმი, იმ მოსახლეობისა, რომელსაც წარმართობიდან გააჩნდა საკუთარი ეროვნული დამწერლობა და საკუთარი კულტურა. მხოლოდ ერთ თვალშისაცემ მაგალითზე შევჩერდები. წარმოვიდგინოთ, როგორი იყო სამთავროს ველის სამაროვანი და არმაზისხევის პიტიახშოთა განსასვენებელი II-III სს-ში. სამთავროს სამაროვანი დამშვენებული იყო ებრაული და ბერძნული ეპიტაფიებით, არმაზისხევაში კი აღმართული იყო არამეულ-ბერძნული ბილინგვა, მის ახლოს კი ე.წ.



შარაგასის „გამარჯვების სტელა“, რომლებიც ელიტარულ განსასვენებელ ადგილს გამორჩეულ სახეს აძლევდა. ეს იყო სილუეტი ქართლის სამეფოს სოციალურად და პოლიტიკურად დაკნინებული გარემოსი. მაგრამ როგორი განვითარება მიიღო ყოველივე ამან, რა სურათი გვაქვს ორი საუკუნის შემდეგ: ებრაული წარწერები აყრილია საფლავებიდან და სამარხის კედლებად არის გამოყენებული. ბერძნული წარწერა, სადაც ქალაქის მთავარი მხატვრის თუ არქიტექტორის სახელი აქოლისი იყო აღნიშნული, ისიც საფლავის ქვად გამოუყენებიათ. მეორე ბერძნულწარწერიანი ქვაც, სადაც იგივე აქოლისი იყო მოხსენიებული, ეკლესიის შესასვლელში დადეს წარწერის ნაწილით ქვევით. რაც შეეხება არამეულ წარწერებს — ბილინგვას და ე.წ. შარაგასის სტელას, ისინი მოუგლეჯიათ ადგილიდან და იმავე სამაროვანზე ქვის სამარხის კედლებად გამოუყენებიათ (არმაზისხევის სამაროვანი, სამარხი 4). მე ვთვლი, ეს იყო მცხეთელების პროტესტი ქართლის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. ეს გზა კი I-II საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო, როდესაც ქართლის საზოგადოებას ახალი სოციალური ფენომენი მოეწვინა ფეოდალ-აზნაურების სახით, რომლის ისტორიული მისიაც სხვა საკითხებთან ერთად ეროვნული თვითმყობადობის აღდგენა იყო. სწორედ ეს იყო განმსაზღვრელი, როდესაც ისინი სამეფო კართან ერთად არ ერიდებიან სისასტიკეს, სპარსული იდეოლოგიის — მაზდეანობის გასადევნად და ახალი იდეოლოგიის, ქრისტიანობის დასამკვიდრებლად.

რელიგიათა ჭიდილისას ბრძოლა სასტიკი იყო, მით უმეტეს, რომ სარწმუნოებრივ ბრძოლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა ასაზრდოებდა. როდესაც დამწერლობაში ქართულ ფენომენს ვეძებთ ეს მომენტი აუცილებლად არის გასათვალისწინებელი. ზევით ვახსენე, როგორ დაწვეს მცხეთაში V ს-ში მობიდანის ქართული წარმართული წიგნები და განა ეს ერთი მაგალითი იყო მცხეთელთა ცხოვრებაში? პოლიტიკურად უფლებააყრილმა და კულტურულ-იდეოლოგიურად დამცრობილმა ქართლის სამეფომ ვერ შეძლო კონკურენცია გაენია მსოფლიო მასშტაბების არამეულისა და ბერძნულისადმი. მცხეთამ ეს ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა II-III საუკუნეებში, წააგო. ეროვნული თვითდამკვიდრების მუხტი პერიფერიებში დამკვიდრდა. ამიტომაცაა, რომ დღეს ასე ძალუმად და ბევრისთვის გასაკვირადაც ნეკრესი და რუსთავი წამოიშარა.

ჩემი საყვედური პატივცემული მეცნიერის მიმართ ამ საკითხების გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია, არა და ხომ ნათელია, როგორი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა ქართული დამწერლობა და როგორი ზიანი მიადგა მას სარწმუნოებრივი დაპირისპირების დროს. პერიფერიები აღვნიშნე და არ შეიძლება არ მოვიხსენიო რამდენიმე ქართული დამწერლობის ფრაგმენტი, რომლებიც აღმოჩნდა ურბნისსა და ლოჭინში. ურბნისი კი იყო მცხეთის

ქვეყნის ნაწილი, მაგრამ პროვინციას წარმოადგენდა, მცხეთის მსგავსად უცხო ელემენტის სიჭარბით. აქ არქეოლოგიური გათხრებისას ერთსადა-იმავე უბანზე ორ ნივთზე აღმოჩნდა ქართული ასოები. ეს ის უბანია, სადაც ქვევრის პირია დაფიქსირებული არამეული ოთხი ასოთი. ესაა II-III სს-ის ფენა, რომელსაც ზევიდან ედო IV-V სს. მარნის ფენა, რომელსაც ქრისტიანული ტაძრის საკუთრებად ვთვლი. აქ კარგად ჩანს კონფესიული მემკვიდრეობითობის სურათი. ქვედა ფენის მესაკუთრე, სადაც ქვევრის-პირი აღმოჩნდა არამეული ასოებით, წარმართული ტაძრის საკუთრება იყო, ზედა ფენა კი ჯვრიანი ქვევრებით, ქრისტიანულ ეკლესიას ეკუთვნოდა. ამ მარანში დადასტურებული ქვევრის პირზე სამი ქართული ასო იყო გამოსახული ლიგატურით, ქარაგმის გარეშე ქქე.<sup>1</sup> მიმაჩნია, რომ აქ აღნიშნულია „ქრისტეს ჭური ესე“. ამავე მარანშია დადასტურებული ქვევრები ჯვრის გამოსახულებით.

მეორე ნიმუში წარმოადგენს თიხის ცალყურა დოქს. მას მსხლისებური ტანი აქვს და ბრტყელი ძირი.<sup>2</sup> ფორმით და თიხის დამუშავებით, ფერით და ტექნოლოგიით განსხვავებულია ურბნისში, ამავე უბანზე აღმოჩენილი დოქებისგან, რომელთათვისაც დამახასიათებელია ნითლად გაპრიალებული ზედაპირი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი. ეს ნიმუშები დათარიღებულია ახ.წ. IV საუკუნით, აქვთ III საუკუნის ტრადიციების გავლენა. ცალყურა დოქი რომელიც ჩვენი განსჯის საგანს შეადგენს, როგორც ითქვა, განსხვავებული ტექნოლოგიისაა და ფორმის. მხარზე ორი ქართული ასო აქვს ქარაგმით „სე“. შესაძლოა დოქის პატრონის სახელი იყოს ამოჭრილი.

წარწერის ორი ნიმუში გვაქვს ლოჭინის ნასოფლარიდანაც. ის ადრეული ქრისტიანული ხანის ძეგლია, სამწუხაროდ, მხოლოდ მცირე გათხრები იქნა ჩატარებული და ამდენად ვრცელი კვალიფიკაციის გაკეთება შეუძლებელია. ერთი ნატეხი ლიაფრად გამომწვარ და ტალღურ ორნამენტით შემკულ დოქს ეკუთვნის. გარეგნული იერით ის ენათესავება ურბნისში დადასტურებულ დოქებს, რომლებიც IV ს. არის დათარიღებული. ლოჭინის ფრაგმენტზე შემორჩენილია ამოკანრული „ბოლნური“ ჯვარი და ქართული ასოები, რომლებიც ვერ იკითხება. ლოჭინში აღმოჩენილი მეორე ნიმუში სრული სახითაა დაფიქსირებული. მომცრო სასმისია ნითლად გამომწვარი თიხისა, პირი ოდნავ გაშლილი აქვს, დაბალი მუცელი და ბრტყელი ძირი. ირგვლივ ტალღური ორნამენტი შემოუყვება. ყელზე ამოჭრილი აქვს ორი დაქარაგმებული ქართული ასო „ძე“. ალბათ, აქაც დოქის პატრონის

<sup>1</sup> ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 100, ტაბ. XLIII

<sup>2</sup> ლ. ჭილაშვილი, იქვე, ტაბ. XLIII



სახელია შემოკლებული.<sup>1</sup> ჭურჭელი ძლიერ მიემსგავსება IV საუკუნის კერამიკას იმავე ურბნისიდან.

ოთხივე წარწერა, მართალია მეტად ფრაგმენტულია, მაგრამ იმ სასტიკი დევნის შედეგადაა გადარჩენილი, IV ს-ის დასაწყისში რომ ბობოქრობდა. ჩანს, პერიფერიებში არ წყდება ქართული ანბანის ხმარება და თუნდაც ერთეულების დაფიქსირება IV ს-ში, აშკარად მიგვანიშნებს არა ქრისტიანობის უამს მიღებულ ასო-ნიშნებზე, არამედ უფრო ადრეულ „წარმართულ“ ნიმუშებზე, რომლებიც კვლავ იხმარებოდა. რა იყო ამის მიზეზი, ქვემოთ გვექნება საუბარი. განა ძნელი მისახვედრია, რომ ანბანის შექმნას დიდი დრო სჭირდებოდა და ის ქრისტიანობის სახელმწიფო აღიარებისთანავე სწრაფად ვერ შეიქმნებოდა. მით უმეტეს, ჩვენ ვიცით ქართულივე წყაროებით, რომ გამორიცხულია მეოთხე საუკუნეში და ნანილობრივ მეხუთეში, ქართული ანბანის შექმნა, რადგანაც ამის საჭიროება არ ჩანდა—მთელი საუკუნის განმავლობაში საეკლესიო სამსახური ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა და მღვდელთმთავრებიც ბერძნები იყვნენ. V ს-ის პირველ ნახევარში, როგორც ადრეც ითქვა, მობიდანის მღვდელთმთავრობდა წარმართული ლიტერატურით. მაგრამ რა ბედი ეწია მობიდანს და მის წიგნებს „ყოვლისა საცთურებისასა“, ცნობილია: „დანუა ყოველი წერილი მისი მიქაელ“. ქართული ანბანი არსებობდა ცხადია IV საუკუნეშიც და ამის მაგალითი ჩვენ გვაქვს ნეკრესში (წარწერა № 9), მაგრამ ის წარმართების საკუთრებაა, ქრისტიანობისგან „დანუნებული“, „მდაბალი“ და უარყოფილი. ამის შესახებ ქვევით მექნება საუბარი.

---

<sup>1</sup> ლ. ჭილაშვილი, საქართველოს IV-XVIII სს. მატერიალური კულტურა, თბ., 1990, სურ. 13.

## ქართული დამწერლობის წარმოშობის ისტორიული ფონი და „მნიშვნელობა ქართულის“ დაფუძნების შესახებ.

მეტად რთული და საინტერესო ისტორიული სურათი იხატება აღმოსავლეთის ვრცელ რეგიონში ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებიდან. ასპარეზს სტოვებენ ძველი აღმოსავლეთის ძლევამოსილი სახელმწიფოები, ადგილს უთმობენ მზარდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას აქემენიანთა დინასტიის მეთაურობით. ახალი სპარსული იმპერია თავის ფარგლებში აქცევს უზარმაზარ ტერიტორიას, ეგვიპტიდან მოკიდებული მცირე აზიის ჩათვლით. პოლიტიკური რუკის შეცვლას და ძალთა გადაწინაღობას თან სდევდა რელიგიურ ნიადაგზე ახალი მსოფლმხედველობის გაჩენა, რაც მიმართული იყო ტრადიციული წარმართული კულტების წინააღმდეგ. მათ ადგილზე პრეტენზიებს აცხადებენ ახალი მონოთეისტური მიმდინარეობანი, სადაც ღვთაებათა როლში ადამიანები გამოდიან. ასე გაჩნდა აღმოსავლეთის შორეულ რეგიონში კონფუცი და ბუდა, ახლო აღმოსავლეთში კი ზარატუშტრა. პირველ ხანებში აქემენიდი მმართველები სხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტობას იჩენენ, რაც არც თუ დიდხანს გრძელდებოდა. ქსერქსე (486-465), როგორც მისი ანტი-დემონური ბრძანებიდან ჩანს, ანადგურებს ე.წ. ცრულმერთების სამლოცველოებს, კრძალავს მათ მიმართ ლოცვას და მოუწოდებს აპურა-მაზრდას გალმერთებისაკენ.<sup>1</sup>

საქართველო, როგორც აღმოსავლეთის ამ დიდი იმპერიის მონაპირე ქვეყანა განუწყვეტლივ იმყოფებოდა სპარსელთა თავდასხმების სამიზნედ და ცვალებადი შედეგიანობით აწარმოებდა ბრძოლებს მათ წინააღმდეგ. ასეთი გაჭირვების ჟამს ქართველობა ძალების მოკრებას ცდილობდა და არ ერიდებოდა დახმარების იმედით უცხო მეტომეების დასახლებას საქართველოში. ასე გაუღეს კარი დევნილ თურქებს, რომლებიც გურგანის ზღვიდან მტკვრის დინებას ამოყოლილნი მცხეთას მოსულან: „ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქვეს შენევნა სპარსთა ზედა“.<sup>2</sup> ოცდარვა სახლი თურქებისა „ყოველთა ქალაქთა შინა“ დაუსახლებით.

ასევე დაუსახლებიათ იერუსალიმიდან ნაბუქოდონოსორის მიერ

<sup>1</sup> P. Фрай, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

<sup>2</sup> ქც-ბა, I, გვ. 15.



დევნილი ებრაელები არაგვის ხეობაში ზანავს.

თუ ლეონტი მროველს დავუჯერებთ, ქართლი ამ პოლიტიკურ ორომტრიალში საკმაოდ აქტიურად გამოიყურება — ემზადება საბრძოლველად სპარსელებთან და ამაგრებს ქვეყანას. არქეოლოგიური მონაცემებით ეს ის პერიოდია, როდესაც ინყებენ ამოქმედებას სავაჭრო გზები, არსდება ქალაქები, საკმაოდ მაღალია კულტურულ-ინტელექტუალური დონე. მჭიდრო კავშირი ჩანს აქემენიდური კულტურის ძეგლებთან. აქ არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ სპარსეთის იმპერიის პოლიტიკური ცენტრის პერსეპოლისის სასახლეების კედლებზე გამოსახულ სხვადასხვა ქვეყნების მეხარკეებს შორის არც ერთი ქართული ტომის ხსენება არ არის. იქნებ ეს გამოდგეს ქართველთა თავისებური პოლიტიკური დამოკიდებულების დამადასტურებლად აქემენიანთა ირანთან, საკმაოდ მჭიდრო კულტურული ურთიერთობის პირობებში.

დიდი პოლიტიკური სტრესი, რაც ალექსანდრე მაკედონელის თითქოსდა ქართლში ლაშქრობასთან არის დაკავშირებული და რაზედაც ქართული წყაროები მოგვითხრობენ, იმდენად ბერძნული ექსპანსიის აღწერასთან არ არის დაკავშირებული, რამდენადაც ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების ცდასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ალექსანდრე მაკედონელის ზღაპრულ ოდისეასთან არის შერწყმული, ერთი რამ ცხადია, ამ დროს იმარჯვებს იდეა ქართული სახელმწიფოს დაფუძნების შესახებ ალექსანდრე მაკედონელის მიერვე დამოძღვრილი აზონის მოთავეობით. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მას პირველ ქართველ მეფეს უწოდებს, რასაც ასწორებს XI ს-ის ქართული მონარქიზმის იდეოლოგი ლეონტი მროველი. მას მიაჩნდა, რომ პირველი ქართველი მონარქი უნდა ქართლოსიანი ყოფილიყო, დამფუძნებელი ფარნავაზიანთა დინასტიისა. ეს იქნებ ასეც იყო, რაც ისტორიის შემდგომი დინებით გამოიკვეთა ნათლად. მისი პირველივე ცდა ქართლოსიანთა უპირატესობის მოპოვებას ისახავდა მიზნად: „განამრავლა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განანესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“. ფარნავაზი ეტაპობრივად შედგომია სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას — განანესნა ერისთავები, ჩაატარა სამხედრო რეფორმა — დაადგინა სპასპეტი — ჯარის მეთაური, რომელიც მეორე პირად ითვლება მეფის შემდგომ — „განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“. ერისთავებთანვე იყვნენ სპასალარნი და ათასისთავნი. მეფის შემდეგ წამყვანია სამხედრო ორგანიზაცია. როგორც ლეონტი მროველი გვამცნობს „ესრეთ განანესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“-ო.<sup>1</sup> ასეთი განცხადება შენიშვნას იწვევს, რადგანაც სპარსთა სამეფოს სტრუქტურაში მეფის შემდეგ ყველაზე

<sup>1</sup> ქ. ც-ბა, I, გვ. 25.

ძლიერ და გავლენიან კასტას შეადგენდნენ ქურუმები, რასაც ფარნავაზთან ვერ ვხედავთ. ქურუმთა კასტაზეა (გვარზე) საუბარი მოგვიანო ხანის ავტორის სტრაბონის მიხედვითაც. ფარნავაზის ცხოვრებიდან ირკვევა, რომ მეორე კასტა ქურუმების სახით უშუალოდ მეფის მორჩილია, თვით მეფე, ამ შემთხვევაში ფარნავაზი, ქურუმთა ქურუმების ადგილსაც ითავსებს და თავის სახელზე კერპის აღმართვით თავს ღმერთადაც აცხადებს.<sup>1</sup>

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, რაც გააჩნდა ფარნავაზს სამეფოს მონყობისა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საქმეში, რაშიც დიდი ღვაწლი მისდამი კეთილი განწყობის მეზობლებსაც მიუძღვის, ის უდაოდ დიდი პრობლემის წინაშე იდგა სამეფოს ეროვნული მდგრადობის თვალსაზრისით. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“.<sup>2</sup>

ასეთ პირობებში, შეუძლებელია სახელმწიფოში მშვიდი და ერთსულოვანი ცხოვრების პირობები ყოფილიყო, მით უმეტეს თუ წარმოვიდგინთ რელიგიური თვალსაზრისითაც არსებულ მრავალსახიანობასაც. განმარტებას თვით ფარნავაზის ცხოვრების ავტორი ასეთნაირად გადმოგვცემს: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული“.<sup>3</sup>

აი თურმე რაშია საქმე: მონარქის პირველი ამოცანა სახელმწიფოს ერთიანობისათვის ფარნავაზმა გადაწყვიტა — „განავრცო ენა ქართული“. სხვა ენა ქართულის გარდა აღარ იზრახებოდა ქართლში. მანვე შექმნა „მნიგნობრობა ქართული“. სამი კომპონენტი, მშობლიური ენის სახელმწიფო ენად აღიარება, ქართული მნიგნობრობის შექმნა და მისი სავალდებულო სტატუსის დადგენა დაედო საფუძვლად ქართულ სახელმწიფოებრიობის შექმნასა და განმტკიცებას.

აი ასე მივადექით ჩვენ მთავარ თემას — მნიგნობრობის, ე.ი. ქართული დამწერლობის დაფუძნების საკითხს.

მნიგნობრობის ინსტიტუტი მახლობელ აღმოსავლეთში აღებული პერიოდისათვის ზოგად ფენომენად მოგვევლინა და ის დიდი რელიგიების თანამგზავრად იქცა. მნიგნობრობის ამოსავალი წიგნები ისტორიამ იცის:

<sup>1</sup> ლ. ქილაშვილი, „ღმერთი“ (სახელის განმარტებისათვის) მეფე ფარნავაზი — მეფე ღმერთი, სს მუზეუმის მოამბე, XLIII-ბ.

<sup>2</sup> ქ. ც-ბა, I, გვ. 16.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 26.



ნიგნი „ბიბლია“ იუდეველთათვის, ნიგნი „ავესტა“ მაზდეანთათვის, ნიგნი „სახარება“ ქრისტიანთათვის და ნიგნი „ყურანი“ ისლამისათვის. ყველა ჩამოთვლილი „ნიგნი“ გარკვეული სულიერი მიმართულების მრევლის რელიგიური, საყოფაცხოვრებო, სოციალური თუ ზნეობრივი ცხოვრების კოდექსს წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც ისინი განიკითხებოდნენ, სჯულის კანონი იყო — აქედან წარმოსდგება „რჯული“. კითხვა „რა რჯულისა ხარ“? ეთნიკურ კუთვნილებას არ გულისხმობდა, არამედ იმ ნიგნს, რომელსაც აღიარებდნენ, რომელი ნიგნითაც ცხოვრობდნენ. არაბები „ნიგნის ხალხს“ (აჰლუ ქითაბი) მუსლიმებს ეძახდნენ. ნიგნი და ღმერთი თანაბარი ცნებები იყო, იესო ამბობდა: „სცთებით, რამეთუ არა იცნით ნიგნნი, არცა ძალი ღმერთისაი“ (მათე, 22, 29).

„მნიგნობრობა ქართული“ მხოლოდ სახელმწიფო აპარატის სამართავად არ იყო შექმნილი, მას უფრო დიდი, სულიერი და საზოგადოებრივ-რელიგიური ამოცანის გადაწყვეტა ევალებოდა. ფარნავაზის წინაშე ბუნებრივია დამდგარიყო საკულტო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მარეგულირებელი ნიგნის შექმნის აუცილებლობა, რომელიც გახდებოდა მისი სახელმწიფოებრივი მდგრადობის გარანტი.

ღვთაების რანგში ასულმა მეფე ფარნავაზმა, ახალი რელიგიური მიმართულების დამფუძნებელმა, თავისი ხალხი ახალი რელიგიის ნიგნს აზიარა, და ქართული მნიგნობრობაც შეუქმნა, რომლითაც ქართულ ენაზე გააცნობდა მრევლს რიტუალს, ლოცვებს, საღვთო ჰიმნებს. მაშასადამე, ფარნავაზს სჭირდებოდა ქართული მნიგნობრობის დაფუძნება უპირატესად ახალი რელიგიური აზროვნების გასავრცელებლად და დასანერგად. ეს არის ქართული მნიგნობრობის ძირითადი არსი. აქედან გამომდინარე, ვინ შეიძლება იყოს ყოფილიყო მნიგნობარი? ყველაზე უძველეს ქართულ წყაროს თუ დავესესხებით, ეს კი სახარების ქართულად თარგმნილი ტექსტებია, უმაღლეს დავრწმუნდებით, რომ მნიგნობარი არის რელიგიური სინმინდეების და კანონების დამცველი პირი. აღნიშნულ ტექსტებში მნიგნობარი თითქმის ყოველთვის მოხსენიებულია მღვდელმთავრებთან ან ფარისევლებთან — იუდაიზმის იდეოლოგიური დამცველების გვერდით: „...საყდართა მოსესთა დასხდენ მნიგნობარნი და ფარისევლნი“ (მათე, 23, 2); „და ეძიებდეს მღვდელთ მთავარნი იგი და მნიგნობარნი იესოს“ (მარკოზი, 14, 1); „მაშინ მოუხდეს იესოს იერუსალემით ფარისევლნი და მნიგნობარნი“ (მათე, 15, 1).

ქართული მნიგნობრობის შექმნის პირველი ნაბიჯები გულისხმობდა ქართული დამწერლობითი სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ურთულესი და ხანგრძლივი მცდელობის შედეგი იყო. აღმოსავლეთის დიდი რეგიონი ამ მხრივ დიდ ცვლილებებს განიცდიდა. არამეული დამწერლობა, რომლითაც სარგებლობდნენ ბაბილონის, ასურეთის და ირანის სამეფო წრეები წამყვან ადგილს იკავებს რეგიონში და მას შემდეგ, რაც ირანი დაეპატრონა

აღნიშნულ სამეფოებს, არამეული დამწერლობა იქ გაბატონებულ ადგილს იკავებს. აქემენიდების დინასტიის დაცემის შემდეგ ლურსმული დამწერლობა საბოლოოდ იქნა განდევნილი და მის ადგილს საბოლოოდ არამეული დაეპატრონა.<sup>1</sup> ასეთნაირად, საქართველო აღმოჩნდა სპარსულ-არამეული იმპერიული დამწერლობის ვრცელი რეგიონის მეზობლად. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ აღნიშნულ პერიოდში არამეულ დამწერლობის არცერთი ნიმუში არ არის დადასტურებული საქართველოში, მისი გავლენა ქართული დამწერლობის ფორმირების ხანაში არ არის სავარაუდებელი.

ფარნავაზის დროს, კარგა ხნის დადგენილია საუკუნეთა განმავლობაში ზეპირი გადმოცემების ნიადაგზე არსებული ტექსტების შემცველი ნიგნი „ავესტა“, რომლისთვისაც საგანგებო დამწერლობაა შექმნილი. არსებობდა „ავესტის დამწერლობა“ და „ავესტის ენა“. ნიგნი საკმაოდ ვრცელი იყო და ცალკეული მონაკვეთებისაგან შედგენილი (იასნა, ვისპრედი, ვიდევდატი, იაშტა, ხორდა ავესტა). ყველაზე ძველი იაშტაა (ქება), სადაც შემონახულია ციური მნათობებისადმი მიძღვნილი 22 ჰიმნი — ლოცვა, ასევე მითოლოგიური სხვადასხვა ღვთაებების სახეები, მაგალითად მითრას და ანაჰიტას შესახებ. „ავესტას“ ამ ნაწილის მიხედვით აშკარად ჩანს უძველესი ფენა, დასაწყისი პერიოდი, როდესაც საფუძველი ეყრებოდა ამ მითოლოგიური ჟანრის ნაწარმოებს. საერთოდ, ზოროასტრელთა რიტუალები, რომლებიც უკლებლივ ყოველდღიურ შესრულებას მოითხოვდა დღის ცალკეულ მონაკვეთზე თავისებური ლოცვით, მრევლისგან მოითხოვდა ტექსტების ზედმინევნიტ ცოდნას და შესრულების თავისებურ რიტმს. „ავესტას“ ენა ორიგინალურია, თუმცა კი, როგორც ვარაუდობენ სამხრეთ-ირანული ან ძველი ირანული წარმოშობისა ყოფილა. ცხადია მისი შეთვისება ქართული მრევლისათვის თარგმანის გარეშე შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ფარნავაზის მიერ შექმნილი „მნიგნობრობა ქართული“, სწორეთ ამ მიზნით უნდა ყოფილიყო, რათა ქართველ მაზდეანს, პირველ რიგში კი ქურუმებს, ჰქონოდათ მშობლიურ ენაზე ლოცვების ათვისების საშუალება.

30-40 წლის წინ, ასეთი დასკვნის გაკეთება, როდესაც არც ნეკრესის წარწერები იყო აღმოჩენილი და არც მაზდეანური სამლოცველოები, რბილად რომ ვთქვათ, უაზრო სენსაციის ნაყოფად ჩაითვლებოდა, დღეს კი, როდესაც ისეთი მასშტაბური ტაძრები გაგვაჩნია, როგორიცაა ნეკრესის, დედოფლის მინდვრის, ციხეა-გორის და სხვათა სამლოცველოები, ასეთი დასკვნა რეზონულია და ფაქტებისაგან გამომდინარე. ამ ძეგლებს ემატება ნეკრესშივე 2003 წელს გათხრილი მაზდეანური სამლოცველო, მეტად მნიშვნელოვანი, მაზდეანური რიტუალისთვის დამახასიათებელი ნივთებით.

„ავესტას“ შესახებ მეცნიერებაში უამრავი მოსაზრება არსებობს, ის

<sup>1</sup> Ч. Лоукотка, Развитие письма, М. 1950, გვ. 104.



რომ უძველესი ხალხური შემოქმედებიდან იღებს სათავეს, ცხადია, მაგრამ შეფასებაში, თუ როდემდე გრძელდებოდა ზეპირსიტყვიერი დინება და როდიდან იგულისხმება ტექსტობრივი გაფორმება, ერთიანი აზრი არ არის მიღებული. „ავესტას“ სათავეები შეიძლება ვეძებოთ ძვ.წ. 1400-1200 წწ. შორის, ზარატუსტრა კი ცხოვრობდა 1000 წ. მახლობლად. აღნიშნული მოსაზრებების ავტორებს მიაჩნიათ, რომ თარიღის გადმოტანა ძვ.წ. VII-VI სს.-თვის არ არის დასაჯერებელი.<sup>1</sup> ძველი სპარსეთის ისტორიის ცნობილი ისტორიკოსი რიჩარდ ფრაი თვლის, რომ ავესტური იაშტი მიძღვნილი მითრასადმი, რომელიც ჩვეულებრივ თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით, შეიცავს უფრო ძველ ელემენტებს.<sup>2</sup> „ავესტას“ ტექსტის კოდიფიკაციის შესახებაც არ არის ერთიანი აზრი. ზოგი მას ათარიღებს ძვ.წ. I საუკუნით,<sup>3</sup> ზოგი ახ.წ. I ან III საუკუნით,<sup>4</sup> ზოგიც სასანიდების დროით, VI ს-ით.<sup>5</sup> „ავესტას“ დათარიღებასთან დაკავშირებით უდავოდ დიდმნიშვნელოვანია კაბადოკიაში, არებსუნში აღმოჩენილი ძველირანული წარწერა, რომელიც წარმოადგენს არამეულად დაწერილ ძველირანული ლოცვის ტექსტს. ეს არის ავესტის ტექსტის ფრაგმენტი შესრულებული იმპერიულ-არამეული ორთოგრაფიული მანერით. თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით.<sup>6</sup>

ფარნავაზის დროს, ქართული მნიგნობრობის შექმნისას, „ავესტას“ ტექსტები უკვე ცნობილია და ქართულად თარგმნის საშუალება ცხადია იქნებოდა. ისე, რომ ქართველ მაზდეანებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ლოცვები ქართულადვე ეთქვათ. სხვათა შორის, ქართულ ფოლკლორულ მასალებში შესაძლებელია ლოცვის ძალზე ფრაგმენტული ნაწილებიც კი იყოს მოპოვებული, საიდანაც ასევე ფრაგმენტები შეიძლება იყოს აღდგენილი. საერთოდ, „ავესტა“ გვიდასტურებს, რომ ჰიმნები და ლოცვები რომლებიც მასშია მოცემული, ძალზე სიტყვამრავლად არის წარმოდგენილი და მათი ზეპირი გადმოცემა დიდ სიძნელესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, თუმცა ლოცვების დეკლამირება სათანადო მუსიკის ტექსტზე მოძრაობით აუცილებელი იყო. ლოცვები მზის ამოსვლისას, შუადღისას, მზის ჩასვლისას, ღამით სრულდებოდა — მიცვალებულთა ხსენებით, ხშირი გამეორებით, ჰაომის სმით იქმნებოდა რალაც ჰიპნოზური მდგომარეობა,

<sup>1</sup> Vesta Sarkhosh Curtis, *Persian Myths*. The British Museum Press, 2000, გვ. 8.

<sup>2</sup> Р.Фрай, *Наследие Ирана*, М., 1972, გვ. 163.

<sup>3</sup> Р. Фрай, იქვე, გვ. 305.

<sup>4</sup> В.Г.Луконин, *Иран в эпоху первых сасанидов*, Ленинград, 1961, გვ. 23.

<sup>5</sup> М.М. Дьяконов, *Очерк истории Ирана*, М., 1961, გვ. 293.

<sup>6</sup> М.Н.Боголюбов, *Молитва Ахурамазде на древнеиранском языке среди арамейских надписей из Арбесуна. История иранского государства и культуры*, М., 1971. გვ. 282, 284.

რაც გამუდმებით სტრესის ქვეშ ამყოფებდა ადამიანს. მაცხოვარს კარგად აქვს შენიშნული: „და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუმრავალსა იტყვით, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი, რამეთუ ჰგონებენ, ვითარმედ მრავლის მეტყუელე-ბითა მათითა ისმინონ მათი“ (მათე, 6, 7).

ქართული დამწერლობის დაფუძნებით და რელიგიური ტექსტების თარგმნით, ფარნავაზმა ექვს ენაზე მოსაუბრე მოსახლეობას, მცხეთაში რომ ცხოვრობდნენ, ერთი რჯულის წიგნი დაუდო და ერთ რელიგიურ მიმართულებას დაუმორჩილა. ეს იყო თეოკრატი მეფის ის მთავარი ღონისძიება, რის შედეგადაც „არლარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“.

ქართული დამწერლობის ჩამოყალიბება და სისტემის დადგენა ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია, თავის ადგილზე მითითებული გვქონდა ნეკრესის წარწერების გრაფიკული სისტემის ცვალებადი ფორმები, რომლითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ გრაფემის განვითარების ეტაპები. ქართული დამწერლობის არსებობა მონოთეისტური მაზდეანური და მითრაისტული მრევლის პირობებში აუცილებელი იყო, რამდენადაც ამ რელიგიის მიმდევართა საზოგადოება კარგად ორგანიზებული ჯგუფებით იყო წარმოდგენილი, რომელთაც გააჩნდათ მტკიცე ორგანიზაციული სისტემა. მათ ჰქონდათ იურიდიულად ჩამოყალიბებული წესები და მხოლოდ ძმობის პრინციპით არ ცხოვრობდნენ. ჰქონდათ საკუთრების ფორმები, საქმეების მოსაწესრიგებლად ქურუმებთან შეთანხმებით ირჩევდნენ სათანადო პირებს. ქვეყნდებოდა ნევრების სიები, ჰყავდათ არჩეული უფროსი, რაღაც საკრებულოს მსგავსი გენერალური ასამბლეა, მინიატურული სენატი, საიდანაც პირველი 10 ნევრი სარგებლობდა პრივილეგიებით. ყოველ წელს ირჩევდნენ პრეზიდენტს, წარმომადგენლობით კურატორებს. ყოველივე ეს ხდებოდა საკუთარი დაფინანსებით.<sup>1</sup> აი ასეთი სურათი იყო ზოგადად, რომლის ანალოგიც შეიძლება საქართველოში ვიგულისხმოთ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კარგად ჩამოყალიბებული და დადგენილი დამწერლობის პირობებში შეიძლებოდა მხოლოდ განხორციელებულიყო. ამის შემდეგ მიჩნდება ეჭვი, რომ ნეკრესის წარწერა № 8, სადაც ვილაცის წართმევის აკრძალვაზეა ლაპარაკი, სწორედ მითრაისტული საზოგადოების განკარგულების ტექსტს შეიძლება წარმოადგენდეს.

მართალია, ნეკრესის ნაქალაქარის გათხრების მასშტაბები არ გვაძლევს უფლებას ვრცელი დასკვნები გავაკეთოთ, მაგრამ 2003 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად თითქოსდა იკვეთება ზემოთ ჩამოყალიბებული რელიგიური დასახლებების მიმსგავსებული სურათი. საერთოდ,

<sup>1</sup> Franz Cumon, *The Mysterries of Mittra*, London, 1903. გვ. 168.



ძველი დასახლებების ტიპიური სურათი სამი კომპონენტით არის შედგენილი — საცხოვრებელი ადგილი, სამლოცველო და სამაროვანი. ე.წ. მარნის ტერიტორიაზე კარგად არის დაფიქსირებული სამლოცველო (თანაც ორი, არასინქრონული ფენით), სამაროვანი და ბოლო წლის გათხრით კი საცხოვრისის ნაშთიც. ამავე დროს, გამოჩნდა სამხრეთის მონაკვეთში ზღუდის ნაწილი, ისე, რომ საქმე გვაქვს ქალაქის მცირე უბანთან ყველა საჭირო კომპონენტით. ამ უბანზე გარკვეული საძმო შეიძლება ყოფილიყო განლაგებული.

ქართულად არსებული მაზდეანური ტექსტების არსებობის შესახებ საინტერესო ცნობას ვხვდებით ჯუანშერთან. მეხუთე საუკუნის პირველი ნახევარია. ქართველი მეფე მირდატი შეიპყრეს სპარსელებმა და ბაღდადს გააგზავნეს, სადაც გარდაიცვალა. ქართლი სპარსელებმა დაიპყრეს „განრყუნეს ეკლესიანი“, „ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლის-მსახურთა აღაგზნეს ცეცხლი“. <sup>1</sup> სამი წლის შემდეგ სპარსელთა მოუცლელობით ისარგებლეს ქართველებმა და ტახტზე აიყვანეს თრდატის შვილი არჩილი, რომელმაც თურმე „გამოაჩინნა ჯუარნი და მოკაზმნა ეკლესიანი; მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“. <sup>2</sup> შემდეგ, როგორც ჯუანშერი გვაუწყებს: „ამანვე არჩილ დასუა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან. ესე იყო ნათესავად სპარსი, და აჩუენებდა იგი მართლ-მადიდებლობასა. ხოლო იყო ვინმე მოგვი უსჯულო და შემშლელი წესთა, და ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს მონრმუნედ“. <sup>3</sup> ჯუანშერს რატომღაც მობიდანი ეპისკოპოსის საკუთარი სახელი ჰგონია. ის იყო სასანიანთა სპარსეთში ქურუმის წოდება, მობიდან-მობედი კი უმაღლესი სასულიერო პირი ქურუმთ-ქურუმი. რით არის გამოწვეული ეს აღრევა გაუგებარია, თუმცა ეს ამ შემთხვევაში ჩვენთვის ნაკლებად არის საინტერესო, მთავარია, რომ ეს მობიდანი თურმე „ვერცა განაცხადებდა ქადაგებასა სჯულისასა მისისა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა, რომელი შემდგომად მისსა დაწუა ყოველი წერილი მისი ჭემმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ“. <sup>4</sup> ფარულად დაწერილი ეს წიგნები, რომლითაც ქურუმი ეპისკოპოსი ამარაგებდა მრევლს, ცხადია იქნებოდა მაზდეანური ტექსტების ქართული თარგმანები, რომლებიც ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს ითარგმნებოდა. კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: მიქაელ ეპისკოპოსმა „დაწუა ყოველი

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 140.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 142

<sup>4</sup> იქვე.

წერილი მისი“-ო. ეს დოკუმენტურად დადასტურებული ქართულად თარგმნილი მაზდიანური ტექსტების დანვა — განადგურების ერთი მაგალითია იმ გრძელი რიგიდან, რომელიც ქრისტიანობის დამყარების შემდეგ მოდიოდა. ამ ცნობის მიხედვით, მაზდეანური შინაარსის ქართული ტექსტების არსებობა ქართლში მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარშიც დასტურდება.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 37.



## ტოლერანტობა თუ სისასტიკე

ტექსტში არაერთხელ მაქვს აღნიშნული ნეკრესის ტრაგიკული ხვედრის შესახებ, რომელიც მას ენია მეოთხე საუკუნის დასაწყისში. შეუძლებელია გაკვირვების დაფარვა, როდესაც საქმე ეხება გრანდიოზული ნაგებობის — ტაძრის საფუძვლიანად მოშლას, სამარხების ნაბილწვას, წარწერების დამტვრევას. საკითხავია, რა ძალა აიძულებდა ახალნერგი სარწმუნოების მიმდევრებს ასეთი სისასტიკის გამოჩენისაკენ, მით უმეტეს, რომ ქრისტიანული ტოლერანტობა საყოველთაოდაა ცნობილი. ის რაც ხდებოდა რომში, ქართველებს მაგალითად ვერ გამოადგებოდათ, რადგანაც რომის ქრისტიანებს კარგად ახსოვდათ მითრასტიების სისასტიკე მათ მიმართ, ჯურღმულები და კატაკომბები, ისე, რომ შურისძიების გრძნობები მათ განსაკუთრებით ჰქონდათ გაღვივებული. საკმარისი იყო პრეფექტ გრაქხუსის მინიშნება 377 წელს, რომ დაენყოთ მითრასტიული კრიპტების დანგრევა და მოთხრა, მათი შევიწროება. სასტიკად უსწორდებოდნენ არა მარტო მრევლს, მიმდინარეობდა ქურუმების დევნა და ხოცვა-ჟლეტვა — სამლოცველოებშივე მარხავდნენ, ნანგრევებში. მაგრამ ეს იყო რომში, და მიზეზიც ვახსენე, რითაც ვერ ავხსნით ნეკრესში დატრიალებულ ტრაგედიას. მას სულ სხვა, სერიოზული საფუძველი გააჩნდა, რაზედაც ქვევით ვიტყვი.

ადრე საუბარი მქონდა იმ რთული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული ქრისტიანობის გამარჯვებამდე. სწორედ ამ დროს, პირველივე საუკუნიდან საქართველოში ჩნდება ახალი სოციალური ფენომენი აზნაურის სახელით. ვარაუდობენ, რომ მან შეცვალა პართულ-სასანური აზატი, რომლის გაჩენაც სპარსეთში და შემდეგ კი მეზობელ ქვეყნებში — სომხეთში და ალბანეთში, და ალბათ საქართველოშიც, დაკავშირებული იყო თავისუფალ მეთემეთა ინსტიტუტთან — ისინი თავისუფალთა კასტას შეადგენდნენ და ეს იურიდიული ძალა მათ ძირითადად სამხედრო სამსახურში მოღვაწეობით ჰქონდათ მოპოვებული. აზნაურობა საქართველოში მალევე მძლავრ და შეძლებულ ძალად გვევლინება. ისინი იკავებენ ერისთავების ადგილებს, სცვლიან სპარსული სამოხელეო აპარატის ადრეულ წევრებს — პიტიახშებს და მეფის ამალაში იკიდებენ ფეხს. ამის შესახებ ცალკე მქონდა მოხსენიებული დიონ კასიოსის ცნობასთან დაკავშირებით, ფარსმან მეფის ვიზიტს რომ შეეხებოდა რომში. მესამე საუკუნისათვის, მიუხედავად იმისა, რომელი ზავით იყვნენ შეკრულები

სპარსელები და რომაელები, და საქართველოს რომელ ნაწილს განაგებდნენ, სამეფო კარი და პოლიტიკურ სარბიელზე აღზევებული აზნაურობა ილტვის თავდახსნისათვის. მათი პოლიტიკური ხაზია აღზევებული ფეოდალურ ურთიერთობაზე დამყარებული თავისთავადობა, რომლის მისაღწევად მას მტრის იდეოლოგია არ გამოადგება. ეს ის პერიოდია, როდესაც ქრისტიანობა უკვე მომძლავრებულია და ყოველწლიურად აფართოებს გავლენის სფეროებს. საქართველო ქრისტიანობასთან, პირველ ყოვლისა წმინდა მიწასთან, მოციქულთა პერიოდიდანაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ ებრაელობა—მოციქულთა წრე, ებრაული დიასპორის მეშვეობით, დიდ წარმატებებს აღწევს მაცხოვრის მცნებების გავრცელებაში. ეს საქართველოსაც, პირველ რიგში მცხეთასაც მისწვდა, რასაც ქართული წყაროებიც ადასტურებს.

მესამე საუკუნისათვის საქართველოში მომზადებულია ნიადაგი ქრისტიანობის დასანერგად. ის რაც რომში ხდება, შეუძლებელია ქართლში არ იცოდნენ, ისევე, როგორც შეუძლებელია არ იცოდნენ ის ძნელად გადასალახავი ზღუდე, რომელიც ცეცხლის კულტის მესვეურებს აქვთ დაკავებული. ქართლის სამეფო კარიც და ფეოდალთა კლასიც დიდ-დიდ აზნაურთა ფენის წარმომადგენლობით კარგად ხვდებიან, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ფიქრიც კი არ შეიძლება მტრის იდეოლოგიის პირობებში. აქედან გამომდინარე, აქცენტი ქრისტიანობაზე კეთდება — სამეფო კარი მხარს უჭერს ქრისტიანობის გავრცელებას და მხარში უდგება ახალნერგი სარწმუნოების მრევლს: „და სადა პოვნე ვნებანი იგი ცეცხლისანი კერპნი, ცეცხლითა დაწუნ და ნაცარი შეასუ რომელნი მათ ესვიდენ“.<sup>1</sup> ეს არის ქართლის გამაქრისტიანებელი მეფის, მირიანის ანდერძი ბაქარისადმი.

ასეთი ბრძანების გაცემა ყოველდღიური ქცევა იყო ხალხის გაქრისტიანების გზაზე: „ხოლო ნინო უბრძანა ერისთავსა, რაჲთა წარმართოს მცირედ მახვილი მათზედა. და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მისცეს თავნი მათნი ნათლის-ლებასა, და დალენნეს კერპნი მათნი“.<sup>2</sup>

ეს, როგორც ჩანს, საყოველთაო მოვლენა იყო და საქართველოში, რამდენადაც თვით სამეფო კარი იყო ჩართული და დაინტერესებული ქრისტიანული იდეოლოგიის დამყარებაში. დაპირისპირება მეტად სასტიკი ჩანს და ამის შესანიშნავ მაგალითს ნეკრესი წარმოადგენს. სხვათა შორის, რომაელებმა პანთეონი არ დაანგრიეს, შეინახეს და გამოიყენეს ახალი ცხოვრებით, როგორც გამორჩეული ძეგლი, არც წარწერები გაუფხეკიათ ანტიკურ ე.ი. წარმართულ სამაროვნებზე, ნეკრესში კი დაანგრიეს დიდი

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 130.

<sup>2</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 89.



ტადარი და ეპიტაფიებიც დაამსხვრიეს. მიზეზი არა მხოლოდ წარმართული რწმენის დაუოკებელ სიძულვილში და ახალნერგი ქრისტიანობის პროგრესულ იდეებში უნდა ვეძებოთ — მათ ქვეყნის თავისუფლების იდეა ასაზრდოებდა, რომელსაც საკუთარი დამოუკიდებელი იდეოლოგია ესაჭიროებოდა.

## „ქრისტიანული“ დამწერლობის შესახებ

ზევით, გაკვრით მქონდა აღნიშნული ქართველ მეცნიერთა დამოკიდებულება ძველი სომხური წყაროების მიმართ, სადაც ქართული ანბანის შექმნის შესახებაა ცნობები დაცული. უმეტესობას მიაჩნია, რომ საქმე გვაქვს ნაყალბევ მონაცემებთან, რომლებზედაც დაყრდნობა არ შეიძლება და შესაბამისად, ქართული დამწერლობის ისტორიას ფარნავაზის რეფორმებს უკავშირებენ. ზოგი, ასეთი დასკვნის მიუხედავად, სომხურ წყაროებს აძლევს უპირატესობას, ზოგიც ქართული ანბანის შექმნას ქრისტიანობის შემოსვლას უკავშირებს. მიმაჩნია, რომ ის ვინც ქართული ანბანის შემოღებას საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრებით ხსნის, ნებისით თუ უნებლიეთ სომხური ვარიანტის მხარდამჭერ პოზიციაზე დგება, რადგანაც ნეკრესის წარწერების აღმოჩენამდე არსებული უადრესი ქართული წარწერების თარიღი ეთანაბრება სომხურ მონაცემებს. კერძოდ, დღეს სომხურ მეცნიერებაში სომხური ანბანის მიღების წლად აღიარებულია 405 წ.,<sup>1</sup> რომლის შემდეგაც თურმე მესროპ-მაშტოცი საქართველოში გამგზავრებულია და ქართველებისთვისაც შეუქმნია ანბანი, კ. კეკელიძის გამოთვლით 420-422 წელს. აი, ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს არსებული მონაცემების მიხედვით, ვიმეორებ, თუ არ ჩავთვლით ნეკრესის მონაცემებს.

მრავალთაგან მრავალჯერ ნათქვამისა და განხილვის მიუხედავად, ერთი სომხური წყაროს შესახებ მსურს საუბარი, უფრო სწორად, წყაროს ერთი ცნობის შესახებ. ეს არის მოვსეს ხორენაციის, V ს-ის ავტორის „სომხეთის ისტორია“. აღნიშნულ თხზულებაში ხორენაცი საკმაოდ ადგილს უთმობს მესროპის მიერ სომხური ანბანის შექმნის ისტორიას, ასევე მის მიერ ქართული, ასევე ალბანური ანბანის შექმნაზედაც აქვს საუბარი. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თხზულების თავმა, რომლის სახელიცაა „სომხურ, ქართულ და ალვანურ დამწერლობათა შესახებ“. აქ საუბარია თუ რა მოიმოქმედა მესროპმა ქ. სამოსში სომხური ანბანის შექმნასთან დაკავშირებით, როგორ ლოცულობდა და როგორ გამოისახა მის თვალწინ ასოები და როგორ შექმნა სომხური ანბანი. ვინმე რუფინუსთან ერთად ის მაშინვე შესდგომია თარგმნას და სომხურად გადმოუღია

<sup>1</sup> მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 283.



ოცდაორი ცნობილი წიგნი და სოლომონის იგავები.

ამის შემდეგ, მესროპი „წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდმო მინიჭებით მათაც შეუქმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა. (მესროპს) ხელს უწყობდნენ იმათი მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი“.<sup>1</sup> ტექსტის მიხედვით ყურადღებას იქცევს ქართველთა მხრიდან „ვინმე ჯალას“ მონაწილეობა აღნიშნულ საქმიანობაში, რომელიც თურმე განსწავლული ადამიანი ყოფილა, სხვანაირად მასთან მისვლას აზრი არ ჰქონდა. რაც მთავარია ის თურმე „ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა“. ცხადია, რომ ის ამ ენებიდან თარგმნიდა ქართულად. მაშასადამე, ცნობილი ყოფილა ქართული ანბანიც, მაშ რისთვის დაშვრა მაშთოცი, ან მოვსეს ხორენელი, ქართველებს ხომ ანბანი უკვე ჰქონიათ? ერთის მხრივ ეს ფრაზა ადვილი ასახსნელია, თუმცა კი მთავარი აზრი ამოსაცნობია.

თუ თვალს გადავაკვლავთ მონოთეისტური რელიგიების ისტორიას, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ერთ მეტად საინტერესო გარემოებას — რელიგიური მიმდინარეობის დაფუძნებისთანავე დგება საკითხი მისთვის საკუთარი დამწერლობის და ხან კი ენის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ახლო აღმოსავლეთში სამი დიდი რელიგია არის ცნობილი, რომელთაგანაც მაზდეანურმა რელიგიამ შექმნა საკუთარი ანბანი, რომელზედაც დაიწერა „ავესტა“ და ენაც, რომელიც ცნობილია ავესტური ენის სახელით. ისლამმა შექმნა საკუთარი — არაბული დამწერლობა. რაც შეეხება ქრისტიანულ დამწერლობას, დიდი მცდელობის მიუხედავად, საერთო ქრისტიანული დამწერლობა ვერ შეიქმნა, რადგანაც ცდის მონაწილენი ებრაელებიც, სირიელებიც და ბერძნებიც, საკუთარი ენის წარმოჩენას ლამობდნენ ქრისტიანულ ენად, რაც ადრეულ ხანაში წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. ამ მიმართულებით წარმატებას აღწევენ ბერძნები, რომელთაც შესძლეს და საკუთარი წერიტი სისტემა თავს მოახვიეს ქრისტიანობამიღებულ სხვადასხვა ხალხებს. მის განხორციელებას ვერ შეექმნებოდა გადაულახავი წინააღმდეგობა, რის გარანტიასაც იძლეოდა რწმენის გარდა, კარგად ჩამოყალიბებული და დადგენილი ბერძნული წერიტი სისტემა. ქართველები ამ პაექრობაში კონკურენციას ვერ გაუწევენ მათ და თავისი „წარმართული“ დამწერლობის მოიმედედ დარჩნენ. სომხები ცდილობენ საკუთარი ანბანის შექმნას.

რაც შეეხება ალბანურ დამწერლობას, ჩემი ვარაუდით ალბანელებს, იგივე ჰერებს, ქართული ანბანი ჰქონდათ. ასეთი ვარაუდი შეიძლება დავუშვათ იმ რამდენიმე ალბანური ასო-ნიშნის მიხედვით, რომლებიც გვაქვს ნეკრესის და რუსთავის წარწერებში, ასევე ნეკრესში აღმოჩენილი

<sup>1 2</sup> მოვსეს ხორენაცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223, 224.

ზოგი კრამიტის ნატეხზე. ჩემი ეჭვით, ალბანელებსაც უცდიათ და შეუქმნიათ „ქრისტიანული“ ანბანი, და ეს მომხდარა ქართველებსა და ალბანელებს შორის რელიგიური განხეთქილების შემდეგ, სავარაუდოდ, მეხუთე თუ მეექვსე საუკუნეში.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით ქართველები რჩებიან „ნარმართული“, სხვათაგან ზურგშექცეული დამწერლობის პატრონად, რომელიც სასტიკი შევიწროების სამიზნედ იქცა — დაინვა და განადგურდა წიგნები, დაიმტვრა და გადაიფხიკა ნარწერები ქვებზე. ისპობოდა ყველაფერი, რაც ნარმართობასთან იყო დაკავშირებული, რაც ნარმართობას მოაგონებდათ. ძველ ქართულ დამწერლობას გაქრობა ემუქრებოდა. იქნებ ეს ჰქონდა მხედველობაში იოანე-ზოსიმეს, როცა ამბობდა „დამარხულ არს ენა ქართული“; „და ესე ენა... მდაბალი და დანუნებული“-ო...

ქრისტიანული ენის პრიორიტეტის მოსაპოვებლად უხილავი ბრძოლა საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. აქ იგულისხმება არა მხოლოდ დამწერლობითი ენა, არამედ სალაპარაკოც. ქართველ სამღვდელოებას არაერთხელ ახსენებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებისა, რადგანაც საამისოდ დადგენილი იყო მხოლოდ ებრაული, სირიული და ბერძნული. XI საუკუნეშიც კი, გიორგი მთაწმინდელს საყვედურობდა ანტიოქიელი მღვდელთმთავარი — არ გქონდათ უფლება ავტოკეფალობის დასაკუთრებისათვისო. ეს ბრძოლა უპირატესობისათვის დასრულდა იმით, რომ ებრაელები არ იღებენ ახალ აღთქმას, ძველი აღთქმის მხოლოდ მოსეს ხუთწიგნულს ირჩევენ და შემოიზღუდეს რა თავი იუდაველთა რელიგიური დოქტრინით, ეროვნული რელიგიის პოზიციას დასჯერდნენ. ისინი ქრისტიანული რელიგიის დამწერლობაზე პრეტენზიებს აღარ აცხადებენ. არაბების მიერ პალესტინის ანექსიის შემდეგ, აღარც სირიის სამღვდელოებას შესწევს უნარი ბრძოლის გასაგრძელებლად. ასპარეზზე მხოლოდ ბერძნები რჩებიან.

ბერძნებს გაუთავებელი პრეტენზიები აქვთ ქართველებთან ქრისტიანული სინამინდეების და საეკლესიო სამსახურის თაობაზე. ყოველთვის აგონებდნენ, რომ წირვა-ლოცვისთვის მხოლოდ ბერძნული ენაა დადგენილი და არა აქვთ ქართულად ლოცვების აღვლენის უფლება. ვერ ვიტყვი, რომ ეს პრეტენზიები ვერ აღწევდა მიზანს — XVI საუკუნეშიც კი, რუსი დიპლომატების სტუმრობისას კახეთში, გრემის მთავარანგელოზთა ტაძარში წირვას ქართულ და ბერძნულ ენებზე ასრულებდნენ ქართველი მღვდლები. ასეთ პაექრობას, როგორც ჩანს, კრიტიკული ზღვარი არ გადაულახავს, თუმცა კი ქართველობა საუკუნეების განმავლობაში ყოველთვის ცდილობდა რელიგიური დამოუკიდებლობის მიღებას. ქრისტიანობის საქართველოში დანერგვის პირველ ეტაპზე, ქართველი მეფის თხოვნას კონსტანტინე დიდი სიხარულით გამოხმაურებია და მღვდლებთან ერთად



ეკლესიის მშენებლებიც გამოუგზავნია. ქართლის თავდაპირველი სამღვდელ-ლოება და განსაკუთრებით კი უმაღლესი იერარქია ბერძნული იყო და შემდეგშიაც მღვდელთმთავრები საბერძნეთიდან მოჰყავდათ.<sup>1</sup> ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, რასაც ქართველი მრევლი ენის უცოდინრობის გამო გულგრილი ხვდებოდა, ქრისტიანობის გავრცელება ფერხდებოდა. ვახტანგ გორგასლის მიერ ავტოკეფალობის ქართლში დადგენამ ქრისტიანობას ქართული სული ჩაუდგა, და ქრისტიანული დამწერლობაც თავის უფლებებში ჩადგა. X საუკუნის ავტორი გიორგი მერჩულე ამბობდა: „ქართლად ფრიად ქუეყენაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კკრიელესონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო, შეგვინყალებ“. ეს უკვე ქართული ენის გამარჯვებას მოასწავებდა, მაგრამ არა სრულად, კკრიელესონი „უფალო შეგვინყალებ“, მაინც ბერძნულად ითქმოდა. ბერძნული დიქტატი ქართულ ქრისტიანულ სინმინდეებზე ყოველთვის თვალშისაცემი იყო. სამაგალითოდ ფრესკულ მხატვრობებზე და ჯვარ-ხატებზე არსებული ბერძნული წარწერები მიგვანიშნებს.

მაშასადამე, ქრისტიანულ სამყაროში ეს ფენომენი რაზედაც ზევით მქონდა აღნიშნული, სხვაგვარად გამოჩნდა. ბერძნული წერიტი სისტემის გავლენით სპეციფიკური ქრისტიანული დამწერლობა მიიღეს სხვადასხვა ხალხებმა და შედეგად საფუძველი ჩაეყარა ზოგადად „ქრისტიანული“ დამწერლობების ჩამოყალიბებას. ჩაეყარა საფუძველი კობტური, გოთური, სლავური და სომხური წერილობითი სისტემების ტრადიციებს.<sup>2</sup>

ქრისტიანობის გავრცელებისას კობტები დემოტური დამწერლობიდან წერის ახალ, ბერძნულ ანბანზე გადადიან და ეროვნული ენის ნიადაგზე საფუძველს უყრიან ქრისტიანულ კულტურას.

საინტერესო ისტორია ჰქონდა გოთური დამწერლობის შექმნას. მათ ხელი აიღეს ძველ გოთურ რუნულ დამწერლობაზე, რომელიც წარმართულ კულტურასთან იყო დაკავშირებული და ბერძნული ანბანის მიხედვით შეიქმნეს გოთური ანბანი. აქ მთავარი მომენცია ხაზგასმული — უარყვეს ძველი ანბანი, რომელიც წარმართობისას ჰქონდათ და ახალი რელიგიური აღმსარებლობის ერა აღნიშნეს „ქრისტიანული“ დამწერლობით.<sup>3</sup>

მართალია, გვიან, მაგრამ ბერძნულის გავლენით იქმნა მიღებული

<sup>1</sup> ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 19.

<sup>2</sup> თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

<sup>3</sup> თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

სლავური წერილობითი სისტემა IX ს-ში.<sup>1</sup>

ზევით არაერთხელ გვქონდა აღნიშნული სომხური დამწერლობის შესახებ და აქაც აღვნიშნავ, სომხური დამწერლობის შემოღება V ს-ში ბერძნული წერიტი სისტემის მიხედვით მოხდა. ეს იყო ქრისტიანობის ზეგავლენით, წმინდა წიგნების სათარგმნელად და გასავრცელებლად.<sup>2</sup>

ქართული წარმართული დამწერლობის ქრისტიანულად გარდასახვა და დამკვიდრება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ჩანს, ყოველ შემთხვევაში საუკუნენახევარი მაინც უნდა ვიგულისხმოთ, IV საუკუნიდან V ს-ის ნახევრამდე. ამის გამო, არ შეიძლება არ დაბრკოლებულიყო ქრისტიანული სინამდევების ქართულად თარგმნა და მართლაც, ამ პერიოდისათვის არც ერთი ხელნაწერი დოკუმენტი არ გავვაჩნია, არც ერთი ქრისტიანული წყარო, ვიდრე წარმართული ხანის ქართული ანბანი ქრისტიანულად არ გარდაისახა.

ერთი საინტერესო ადგილია მოვსეს კალანკატუაცის „აღვანთა ქვეყნის ისტორიაში“, რომელიც VII საუკუნის ძველს წარმოადგენს (შემორჩენილს X ს-ის სომხური ხელნაწერის სახით). ერთი თავის (III თავი) სათაურია: „ხალხები, რომლებსაც მოეპოვებათ დამწერლობა“, სადაც ვკითხულობთ: „მათ შორის ვისაც დამწერლობა აქვს, არიან ებრაელები, ლათინელები, ... ბერძნები, მარები, სომხები, აღვანელები“.<sup>3</sup> გაკვირვებული ტექსტის მთარგმნელი და გამომცემელი შენიშვნას ურთავს: „რა მოსაზრებით არ ახსენებს ქართველებს, გაუგებარიაო“. მართლაც და, ალბანელთა ისტორიის დამწერმა ნუთუ არ იცოდა არაფერი ქართული დამწერლობის შესახებ. ის ან უსაზღვროდ ტენდენციური პირია, ან უვიცი. არც ერთი მას არ ეპატიება — ალბანეთი ხომ საქართველოს მოსაზღვრეა, მისი დიდი ნაწილი, თუ არა მთლიანად, ისტორიულად ქართლის მონაპირე ჰერეთის პროვინციაა. ზევით ერთგან აღვნიშნე, რომ ჩანს რაღაც საერთო ასო ნიშნები ქართული და ალბანური დამწერლობისა, რასაც მომავალში გულდასმითი შესწავლა ესაჭიროება. ყოველივე ეს მოითხოვდა ავტორისაგან, დღევანდელი მიდგომით, მეტი გულისყურის გამოჩენას და სიზუსტეს. ჩემი ვარაუდით, წიგნის ამ ნაწილში ავტორის კონფესიული მიკერძოებაა გამოვლენილი. ის ქართულ წარმართულ დამწერლობას არ თვლის ქრისტიანულად და არ მიიჩნევს მოხსენიების ღირსად. სხვა მომენტები მისთვის არავითარ როლს არ ასრულებს.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 112

<sup>2</sup> P. Фрай, Наследие Ирана, გვ. 305

<sup>3</sup> მოვსეს კალანკატუაცი, აღვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985, გვ. 24.



ნეკრესში და რუსთავში აღმოჩენილი წარწერები წარმართობისას შექმნილი ანბანითაა შესრულებული. მიუხედავად დიდი უბედურებისა და ნგრევისა, მათ ჩვენამდე მოაღწიეს. დიდი ნაწილი ქართულ ენაზე შექმნილი ძეგლებისა შეეწირა რელიგიურ დაპირისპირებას, როგორც წარმართული იდეოლოგიის ნაწილი. მის სანაცვლოდ უნდა შექმნილიყო „ქრისტიანული“ ქართული ანბანი, რაც ვერ განხორციელდა. ქართული „წარმართული“ ანბანი სრულყოფილი და ჩამოყალიბებული დამწერლობის სისტემა იყო, რომლის შეცვლას ლინგვისტური თუ ენობრივი ხარვეზების საფუძველი მას არ გააჩნდა. „მდაბალმა“ და „დანუნებულმა“ ენამ ახალი სიცოცხლე მოიპოვა ქრისტიანობის წიაღში.

მაინც რას უნდა მივანეროთ ქართული დამწერლობის ასეთი სიჯიუტე და მდგრადობა, რომ ანგარიში არ გაენია ქრისტიანობის უზომო ავტორიტეტს და კვლავ წარმართულ პოზიციაზე დარჩა. ჩემი აზრით, აქ მთავარი და გადამწყვეტი იყო ის დიდი ეროვნულ-ისტორიული მუხტი, რომელიც ქართულ ანბანში იყო ჩადებული. მისი ყველა ასო-ნიშანი დიდი ინფორმაციის შემცველია, რომლის გახსნაც დღეს, ბოლომდე არ ძალგვიძს. ის იყო ქართველთა უძველესი ღვთაების — მთვარის წელიწადის ასახვა, მასში იყო ჩადებული მათემატიკური მოდელი, რომლის დარღვევით ქრებოდა საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი და ჩამოყალიბებული თავისთავადი სისტემა. ქართული ანბანი ორიგინალური შემოქმედებაა ხანგრძლივი დროის განმავლობაში შექმნილი და ჩამოყალიბებული. ასეთი ფაქტორების გამო ძველი ქართული „წარმართული“ ანბანი ძველი ტრადიციების ერთგული დარჩა.

## ბოლოთქაა

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ის შედეგები, რაც ნეკრესის არქეოლოგიურ შესწავლას მოჰყვა. უპირველეს ყოვლისა, განუზომლად იზრდება ჩვენი წარმოდგენა ისეთი საკაცობრიო მოვლენის შესახებ, რგორიც დამწერლობაა, რომლის გარშეც ვერ წარმოიდგინება არა თუ ეროვნული ინტელექტის არსებობა, არამედ სახელმწიფოებრივი განვითარებაც კი. დიდი ხანია მეცნიერებას საშუალება მიეცა იმ დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების შემდეგ, რაც განხორციელდა მცხეთაში, სამთავროსა და არმაზისხევის სამაროვნებზე, ვანის ნაქალაქარზე და ახალგორში, თვალყური მიედევნებინა არა მხოლოდ მაღალი რანგის ხელოვნების ნიმუშებისათვის, რაშიც აშკარად იგრძნობოდა კულტურული ნაკადის სივრცე და ეტაპობრივი განვითარების შედეგები თრიალეთის ბრწყინვალე კულტურაში რომ იდებდა სათავეს, არამედ სახელმწიფოებრივი აზროვნების გამოკვეთილად წარმოდგენილი ფენომენისადმი, ცალკეული გვაროვნული თემების დაშლის და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში გაერთიანების პირობებში. ეს იყო ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანები, საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპი, როდესაც ჩნდება ახალი სოციალურ-ეკონომიკური ბირთვი ქალაქების სახით, ქვეყანა იქსელება სავაჭრო გზებით, იბმება მარშრუტები სხვადასხვა ქვეყნებში, საფუძველი ეყრება დიდ აბრეშუმის გზას. ხალხის ცნობიერება არნახულად ფართოვდება სავაჭრო, პოლიტიკური თუ ინტელექტუალური არხებით. იზრდება, კავშირ-ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან.

მეფე ფარნავაზის გამოჩენა ისტორიის ასპარეზზე ლოგიკური შედეგი იყო იმ დიდი გზის დასაწყისში, რასაც ქართული სახელმწიფოებრიობა უნდა მოჰყოლოდა თან. მან დასავლეთ-აღმოსავლეთის გაერთიანებით შექმნა ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელსაც სრულყოფისათვის ერთი მთავარი კომპონენტი აკლდა. ძველმა აღმოსავლეთმა არ იცის არც ერთი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რალაცნაირი სახის დამწერლობა რომ არ ჰქონოდა. ფარნავაზის მიერ შექმნილი „მნიგნობრობა ქართული“ ავსებდა იმ სიცარიელეს ქართულ სახელმწიფოებრიობას რომ აკლდა. ფარნავაზის მიერ ქართული მნიგნობრობის დაფუძნება შუა საუკუნეებში იქნა აღიარებული, ქრისტიანობის მწვერვალზე ყოფნის დროს, ისე რომ მის „წარმართულ ხასიათს“ არაფრით არ შეუწინებია ის დიდი შედეგიანობა, რაც ქართულ დამწერლობას ერგო საუკუნეების განმავლობაში, შუა საუკუნეებში განსაკუთრებით.

მეფე ფარნავაზს, როგორც ამავე დროს ქვეყნის ხელმძღვანელს, მნიგნობობა სჭირდებოდა რელიგიური დოგმების და რწმენის გასაძლიერებად მოსახლეობაში, ქართული ფენომენის განსამტკიცებლად, რომელსაც



მრავალენოვანი მოსახლეობის პირობებში ძნელად შეეძლო გზის გაკაფვა. აკი მან შესძლო კიდევაც ეფექტური ღონისძიების ჩატარება, რის შემდეგაც „არღარა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისაო“. თავის ადგილზე აღნიშნული იყო, რომ მნიგნობრობა რელიგიური ტექსტების შექმნას გულსხმობდა, რომელთა გამავრცელებლად და დამნერგავებად მნიგნობრები გვევლინებიან.

ჩემი ვარაუდით, ქართულ ენაზე შექმნილი „ნიგნის“ პირველივე გვერდები „ავესტას“ თარგმანებს უნდა ჰქონოდა დაკავებული. ცხადია აქ ვგულისხმობ მის ნაწილებს—ჰიმნებს, ლოცვებს, რაც აუცილებელი იყო მორწმუნე მრევლისათვის. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ „ავესტას“ ტექსტები ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნიდან არის ცნობილი, ისე, რომ ფარნავაზის დროს ის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო იმისდა მიუხედავად, რომ „ავესტას“ ხელნაწერების დიდი ნაწილი შეენირა მაკედონელების თარეშს სპარსეთის იმპერიაში. შუა საუკუნეების მემატიანეების ცნობით, ბერძნების შემდგომად, „ავესტას“ ტექსტების აღდგენა არშაკიდებს უცდიათ (ძვ.წ. 238—ახ.წ. 224) და წარმატებითაც. ზოგს მიაჩნია, რომ „ავესტას“ შესახებ ცნობები შეთხზულია და რომ მაზდეანები ლოცვებს მხოლოდ ზეპირად ასრულებდნენ. ასეთი მოსაზრება არ შეიძლება იყოს გაზიარებული, რადგანაც შემორჩნილია შესანიშნავი შორენკეცი, რომელზედაც გამოსახულია სადგამები გადაშლილი წიგნებით და მოსწავლეებით (დაცულია აზერბაიჯანის ისტორიულ მუზეუმში).

მაშასადამე, ფარნავაზის დროიდანვე, როდესაც შექმნილია ქართული ანბანი, საფუძველი ეყრება მნიგნობრობას და მისი პირვანდელი დანიშნულება შეიძლება განსაზღვრული იყოს რელიგიური ტექსტების თარგმანების გასავრცელებლად.

ქართული ანბანის წარმოშობა, მართალია დროის მიხედვით მოდის ფარნავაზის მეფობის წლებზე, მაგრამ საფიქრებელია ამ შემთხვევაში დაფუძვით ანბანის შექმნის და სრულყოფის მხოლოდ ერთი სტადია, რომელსაც საკმაოდ გრძელი წინა პერიოდი ექნებოდა. ასეთი დაშვება აუცილებელია, რამდენადაც ქართული ანბანი ორიგინლური შემოქმედების ნაყოფია და ქართული ასოების დიდი ნაწილი ერთი საერთო ძირიდან მომდინარეობს. ტექსტში აღნიშნული მქონდა, რომ ასეთი საწყისი ფორმაა ვერტიკალური ხაზი, რომელიც დაედო საფუძვლად პირველად ანბანის პირველ ასოს „ანს“ და ერთის რიცხვით მნიშვნელობას. ვერტიკალური ხაზი იქცა ქართული ანბანის არაერთი სხვა ასონიშნის გრაფიკული გამოსახვის საფუძვლად. ასეთებია: Ⴀ, Ⴁ, Ⴃ, Ⴄ, Ⴅ, Ⴆ, Ⴇ, Ⴈ, Ⴉ, Ⴊ, Ⴋ, Ⴌ, Ⴍ, Ⴎ, Ⴏ, Ⴐ, Ⴑ.

ნეკრესის წარწერების მიხედვით, უძველესი ნიმუშების გამოყოფა შესაძლებელი უნდა იყოს კუთხოვნობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია

დაკვირვება ზოგი ასო-ნიშნის მიხედვით ბგერათა ვარიაციების გადმოცემის შესახებ. გვაქვს ორნაირი „ო“, და ორივე ბერძნულ პროტოტიპებზე მიგვანიშნებს, რაც შეიძლება არ გამოირიცხავს მათი წარმოთქმის სხვადასხვა ვარიანტს — მოკლეს და გრძელს. ამასთანავე, გვაქვს „ო“-ს გრაფემის სხვა ნიშნები, რომლებიც ბერძნულიდან არ შეიძლება მომდინარეობდეს: **⊙ΠϚ**.

ნეკრესში აღმოჩენილი ათივე წარწერა, ისევე როგორც რუსთავში დადასტურებული ოთხი წარწერა, წინაქრისტიანულ ხანას უნდა მივაკუთვნოთ — ძვ.წ. ბოლო საუკუნეებიდან ახ.წ. IV საუკუნემდე. დათარიღებისათვის გამოსავალია ძირითადად არქეოლოგიური ძეგლების კულტურული ფენები და თანმხლები არქეოლოგიური მასალები. სამწუხაროდ, ამ საერთო ქრონოლოგიაში შიდა დათარიღება გაძნელებულია ორიოდ შემთხვევის გარდა.

ამასთანავე უნდა შევნიშნო, რომ ქვედა ფენის თარიღის განსაზღვრა ერთობ გართულებულია, რამდენადაც ქვედა კულტურულ ფენასთან, რომელიც ძვ.წ. IV-II სს-ით თარიღდება და სადაც კრემაციული სამარხებია დადასტურებული შავპრიალა კერამიკით, გვიჭირს წარწერიანი საფლავის ქვების დაკავშირება სათანადო დასაბუთების გარეშე, თუმცა კი ეჭვი ასეთი შესაძლებლობის არსებობის გამო მრჩება. მომავალი სამუშაოები გაარკვევს რამდენად არის ეს მისაღები.

დღეისათვის, სამწუხაროდ, საკმაოდ გაიკაფა გზა თეორიამ ქართული დამწერლობის არამეულთან დაკავშირების შესახებ. ეს აზრი უფრო მკვეთრად ისმის, მეფე ფარნავაზთან მიმართებაში. თავის ადგილზე მქონდა აღნიშნული, რომ არამეული დამწერლობის ნიმუშები არ არის ცნობილი ფარნავაზის დროს, ჩვენს განკარგულებაშია ორი ვრცელი არამეული წარწერა — ბილინგვა და „გამარჯვების სტელა“ (ჩვ. ნ. I-II ს.), ასევე ცალკეული სიტყვები ნივთებზე, რომელთა დიდი ნაწილი შემოტანილია. ასეთი მონაცემები არ შეიძლება იყოს განმსაზღვრელი ქართული ანბანის არამეულთან დასაკავშირებლად. მით უმეტეს ფარნავაზის დროისათვის, როცა როგორც იყო აღნიშნული, არამეული წარწერები არაა დადასტურებული ჩვენში. ეს წარწერები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საინტერესო მომენტებს შეიცავს პირველი საუკუნეების ქართლის პოლიტიკური თუ სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ვერ ჩაითვლება ქართული ფენომენის დამკვიდრების ხელისშემწყობ ფაქტორად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფაქტს, რომ ბილინგვა ორ, არამეულ და ბერძნულ ენებზეა შექმნილი. საკითხავია, ვისთვის იყო შექმნილი არამეული და ვისთვის ბერძნული. არამეულში არც კია აღნიშნული, რომ ფარსმანი ქართლის მეფეა, ამას მხოლოდ ბერძნული ტექსტიდან ვტყობილობთ. იყო კი



არამეული ქართველთათვის შედგენილი? სახელები? ხსეფარნუგი, იოდმან-განი, სერაფიტა, აგრიპა (!)...

ქართული საზოგადოების დამწერლობის ისტორიით დაინტერესებულთა ნაწილი შესაძლებელია, ნეკრესის აღმოჩენებს ეჭვის თვალთ შეხედავს. ვერც გაამტყუნებთ, ნეკრესი და რუსთავი ორად-ორი პუნქტი აღმოჩნდა, საიდანაც მომდინარეობს ქართული დამწერლობის საკმაოდ შეზღუდული ოდენობის ნიმუშები. სხვას რომ თავი დავანებოთ, მცხეთამ ვერ მოგვცა ვერც ერთი წარწერა. ამის შესახებ ვრცლად მქონდა საუბარი ტექსტში და გაკვრიტლა აღვნიშნავ: ქართლის დედაქალაქის ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცხოთა ხელში ყოფნამ და შემდეგ კი ქრისტიანობის შემოსვლამ, ერთდროულად მოსპო წარმართული ძეგლები და წარწერები. ამ ულმობელი რელიგიური დაპირისპირების შედეგია ე.წ. „წარმართული“ და „ქრისტიანული“ დამწერლობის გამიჯვნა, რამაც კარგა ხნით დაამუხრუჭა ქართული დამწერლობის განვითარება, სანამ „წარმართული“, „მდაბალი“ და „დანუნებული“ ენა (იოანე-ზოსიმე) თავის უფლებებში აღდგებოდა. ამ პერიოდში, რომელიც შეიძლება განისაზღვროს IV საუკუნით და V საუკუნის პირველი ნახევრით, ვახტანგ გორგასლამდე, ქართულ ანბანს მხოლოდ წარმართები იყენებენ (ნეკრესის წარწერა № 9, მობიდანის „რჯულის შემშლელი ნიგნები“). ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამ განამტკიცა ქართული ეკლესია, დაანესა ავტოკეფალია, დაადგინა ახალი საეპისკოპოსოები და თავის უფლებებში აღადგინა ქართული ანბანი.

ცხოვრებამ აჩვენა, რომ წარმართულ ქართულ დამწერლობაზე ხელის აღება არაფრით არ შეიძლებოდა და ის სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა არა წარმართობის გამო, არამედ იმ დიდი და ძლიერი კოდის გამო, რომელიც ქართულ ანბანში იყო ჩადებული.

ქართული დამწერლობა არნახულ განვითარებას აღწევს ქრისტიანობის მიღების შემდეგ, უფრო კი მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრდან. ითარგმნებოდა რელიგიური წმინდა ნიგნები, იქმნებოდა ორიგინალური ლიტერატურა. ქართულ ტექსტებს ვხვდებით ეკლესია-მონასტრების კედლებზე, საერო არქიტექტურის ძეგლებზე, ჯვარ-ხატებზე და სხვ.

ნეკრესის და რუსთავის წარწერებმა ქართული ანბანის შექმნის ისტორია შვიდი-რვა საუკუნით მაინც დააძველა და მართალია არასრულად, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლობით გვიჩვენა მისი ორიგინალური სახე, განვითარების ეტაპები. ძნელია დღეს უფრო ვრცელი დასკვნების გამოტანა, ჩვენს ხელთ ხომ მხოლოდ თოთხმეტი წარწერაა, იმედი კი დიდი გვაქვს ახალი აღმოჩენების შესახებ მომავალში.

## AFTERWORD

(In place of summary)

The findings of the archaeological study of Nekresi can hardly be overestimated. In the first place our view broadens about such a universal phenomenon as writing, without which neither the existence of national intellect is conceivable, nor even state development. After the outstanding archaeological discoveries made at Mtskheta, Samtavro and Armaziskhevi burial grounds, on the ancient Vani city site and Akhagori, scholarship has long been afforded the possibility to follow not only examples of high-ranking art, clearly reflecting the scope of the cultural stream and the results of the initial state of development – rooted in the brilliant culture of Trialeti, but also to trace the phenomenon of a clearly-defined state thinking under conditions of the disintegration of individual tribal communes and their union into state organization. This was the middle of the first millennium B.C. – a new stage of social development, with the emergence of a new socio-economic core in the shape of cities; the country is criss-crossed by trade routes, roads run to different countries, and the ground is laid for the Great Silk Road. Trade, political and intellectual channels broaden the people's perception; contacts with various countries grow.

The appearance of King Parnavaz in the arena of history was a logical outcome at the beginning of the great road, which was to be followed by Georgian statehood. By uniting the Western and Eastern parts of Georgia he set up a single state system that lacked one major component to become perfect. The Ancient East has not a single state confederation without some kind of writing. The "Georgian writing", created by Parnavaz, filled the lacuna that Georgian statehood had. The establishment of Georgian writing was acknowledged in the Middle Ages, when Christianity was at its height, so that its "pagan character" had by no means diminished the considerable benefit accruing to Georgian writing over the centuries, especially in the Middle Ages.

King Parnavaz, as the leader of the country, needed writing to strengthen the religious dogmas and faith among the population, to consolidate the



Georgian phenomenon that found it difficult to prove its way in conditions of a multilingual population. He did succeed in implementing an effective measure, as a result of which “no other language but Georgian was spoken in Kartli”. As noted elsewhere, writing implied the creation of religious texts – spread and inculcated by scholars.

I assume that the first pages of the “book” created in Georgian must have been taken up by translations of the “Avesta”, that is parts of it – hymns, prayers – indispensable for the faithful congregation. Documentary evidence is available on the existence of texts of the Avesta as far back as the fifth century, so that it must have been in use in the time of Parnavaz, although a large part of the manuscript of the Avesta was lost upon Alexander the Great’s invasion of the Persian Empire. According to medieval annalists, after the Greeks, the Arsacids (238 B.C. – 224 A.D.) attempted to restore the texts of the Avesta – and with success. Some believe that reports of the Avesta were invented and that the Mazdeans delivered the prayers only orally. This view is unacceptable, for a brilliant ceramic tile has survived, depicting supports with opened books and pupils (preserved in Azerbaijan’s Historical Museum).

Thus Georgian alphabet was created in the time of Parnavaz, paving the way for writing with the primary purpose of disseminating religious texts.

True, the origin of the Georgian alphabet falls to the years of Parnavaz’s reign but this must have been one stage in the creation and perfection of the alphabet, most likely preceded by a fairly longer preparatory period. This assumption is necessary, for the Georgian alphabet is a result of original work, a large part of the Georgian letters stemming from a common root. As I noted in the texts, the vertical line is the initial form, which served as the basis of the first letter ა (a) of the Georgian alphabet and the numerical value of “one”. The vertical line became the basis of the graphical expression of many characters of the Georgian alphabet: ႁ, ႂ, ႃ, ႄ, ႅ, ႆ, ႇ, ႈ, ႉ, ႊ, ႋ, ႌ, ႍ, ႎ, ႏ, ႐.

According to the Nekresi inscriptions, identification of the earliest specimens must be feasible by their angularity. Special mention should be made of the rendering of the sound variation according to some letter-signs. We have two kinds of ႏ (o), both pointing to Greek prototypes, which does not rule out different variants of their pronunciation: short and long. At the same time we have different characters for the grapheme ႏ (o), which cannot derive from Greek: ႏ ႏ ႏ.

The ten inscriptions discovered at Nekresi: as well as four inscriptions brought to light in Rustavi should be assigned to the pre-Christian period – from the closing centuries of the old era to the fourth century A.D. The dating

must be largely based on the cultural layers of archaeological sites and accompanying archaeological materials. Unfortunately, in this common chronology, internal dating is rendered difficult, with the exception of a couple of cases.

I should like to note also that it is highly difficult to determine the date of the lower layer, for it is hard to link without relevant argumentation the inscribed grave stone with the lower cultural layer, which is dated to the 4<sup>th</sup>-2<sup>nd</sup> centuries B.C. and where cremation burials are attested with black polished pottery. However, I retain the suspicion of such a possibility. Future work will shed light on this possibility.

To date the theory linking Georgian writing with Aramaic has, regrettably, gained ground. This idea is advanced more persistently in connection with King Parnavaz. Elsewhere I noted that those specimens of Aramaic were unknown in the time of Parnavaz. Two long Aramaic inscriptions are available: the Bilingual and "Victory Stela" (I-II centuries), as well as separate words on wares, most of which were imported. The data at hand cannot be decisive in linking the Georgian alphabet with Aramaic – the more so by the time of Parnavaz when, as already noted, Aramaic inscriptions were not evidenced in Georgia. Although these inscriptions contain many interesting points for the history of the political and social history of Kartli in the first centuries, they cannot be considered to have been a factor contributing to the establishment of the Georgian phenomenon. Special attention should be paid to the fact that the Bilingual is written in Aramaic and Greek. It is not mentioned in the Aramaic part that Parsman is a Georgian king: we learn this only from the Greek text. After all, was the Aramaic text composed for Georgians? Ksefarnug, Iodmangan, Serapita, Agrippa (!)

Some of those interested in the history of the writing of Georgian society Nekresi and Rustavi have proved to be the only sites from where specimens of single inscription come. I discuss this extensively in the text, noting that the long dominance of foreigners in the capital of Kartli, followed by the introduction of Christianity, led to the destruction of pagan sites and inscriptions. The so-called separation of "pagan" and "Christian writing" was the result of the relentless religious standoff, which blocked the development of Georgian writing for quite some time, until the so-called "pagan", "lowly" and "discarded" language (Ioane-Zosime) was restored to its rights. In this period, which may be dated to the 4<sup>th</sup> - first half of the 5<sup>th</sup> century, the Georgian alphabet was used only by the pagans (Nekresi inscription 9, Mobidans).



Vakhtang Gorgasali's church reform strengthened the Georgian church, established autocephaly, set up new bishoprics and restored the Georgian alphabet to its rights.

Life showed that pagan Georgian writing could by no means be given up and it proved viable not because of it being pagan but due to the strong code that had been put in the Georgian alphabet.

Georgian writing reached unprecedented development following the adoption of Christianity, especially from the second half of the 5<sup>th</sup> century. Religious holy books were translated and original literature was created. Georgian texts appear on the walls of churches and monasteries, on monuments of secular architecture, on crosses and icons, etc.

The inscriptions of Nekresi and Rustavi have shifted the history of the creation of the Georgian alphabet at least seven or eight centuries back and although incompletely, yet with sufficient validity, shown its original appearance and stages of development. It is hard to come to more extensive conclusions at present – after all we have only fourteen inscriptions so far, but the hope is high for making new discoveries in the future.

## ილუსტრაციების აღწერილობა:

- სურ. 1. ნეკრესის ნაქალაქარი. ნაზვრევი გორა.
- სურ. 2. ციურ ღვთაებათა სამლოცველო. გეგმა.
- სურ. 3. ცეცხლის ტაძარი. ხედი ნაზვრევი გორიდან.
- სურ. 4. ცეცხლის ტაძარი. გეგმა (ნ. ბახტაძის ანაზომი).
- სურ. 5. "ნაგებები". მარანი. ქრონოლოგიურად ზედა განათხარი ფართის გეგმა და ჭრილი (ნ. ბახტაძის ანაზომი).
- სურ. 6. "ჭაბუკაური". ბაზილიკა. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.
- სურ. 7. მარნის ჩრდილოეთის კედელი. ჩაშენებული წარწერიანი ქვა №1.
- სურ. 8. წარწერიანი ქვა №1.
- სურ. 9. წარწერიანი ქვა №1 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 10. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ჭურჭლის ძირი (ამოკანრულია ქართული ასო "ჩ").
- სურ. 11. არემის ნაქალაქარზე აღმოჩენილი დერგის ძირი (ამოკანრულია ქართული ასო "ჩ").
- სურ. 12. მარანი. სანნახელი №1 და 2. №2,3,4,5 წარწერიანი ქვების აღმოჩენის ადგილი.
- სურ. 13. წარწერიანი ქვა №2.
- სურ. 14. წარწერიანი ქვა №2 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 15. წარწერიანი ქვა №3.
- სურ. 16. წარწერიანი ქვა №3 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 17. წარწერიანი ქვა №4.
- სურ. 18. წარწერიანი ქვა №4 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 19. №5 ქვა წარწერის ნაშთით.
- სურ. 20. მარანი. №3 სანნახელი, სადაც აღმოჩნდა წარწერიანი ქვა №10.
- სურ. 21. წარწერიანი ქვა №10.
- სურ. 22. წარწერიანი ქვა №10 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 23. მარანი. წარწერა №6 ქვევრის პირზე.
- სურ. 24. წარწერა №6 ქვევრის პირზე (გრაფიკული ასლი).



- სურ. 25. წარწერიანი ქვა №7.
- სურ. 26. წარწერიანი ქვა №7 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 27. წარწერიანი ქვა №8.
- სურ. 28. წარწერიანი ქვა №8 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 29. "ჭაბუკაურის" ბაზილიკა. წარწერიანი ქვა №9.
- სურ. 30. წარწერიანი ქვა №9 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 31. რუსთავი. წარწერიანი ქვა №1.
- სურ. 32. რუსთავი. წარწერიანი ქვა №1 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 33. რუსთავი. წარწერიანი ქვა №2.
- სურ. 34. რუსთავი. წარწერიანი ქვა №2 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 35. რუსთავი. წარწერიანი ქვა №3 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 36. რუსთავი. წარწერიანი ქვა №4.
- სურ. 37. რუსთავი. წარწერიანი ქვა №4 (გრაფიკული ასლი).
- სურ. 38. ნეკრესი. მარანი. წითელპრიალა კერამიკის ფრაგმენტები. ახ. ნ. IV ს.
- სურ. 39. "ნაგებები". მარანი. განათხარი ფართის საბოლოო გეგმა უძველესი ქრონოლოგიური პლასტების ჩვენებით (ნ. ბახტაძის ანაზომი).
- სურ. 40. ნეკრესი. მარანი. წითელპრიალა კერამიკის ნატეხები ქვევრების ქვედა ფენიდან.
- სურ. 41. ნეკრესი. მარანი. წითელპრიალა კერამიკის ნატეხები ქვევრების ქვედა ფენიდან.
- სურ. 42. ნეკრესი. მარნის ქვეშ დაფიქსირებული უადრესი ქრონოლოგიური ფენა. სამსხვერპლო. დამწვარი იატაკი და ძვლები.
- სურ. 43. მარნის ქვეშ დაფიქსირებული უადრესი ქრონოლოგიური ფენა. იატაკი და სამსხვერპლო ორმოები.
- სურ. 44. მარნის ქვეშ დაფიქსირებული უადრესი ქრონოლოგიური ფენა. კრემაციული მოედანი.
- სურ. 45. მარნის ქვეშ დაფიქსირებული უადრესი ქრონოლოგიური ფენა. კრემაციული სამარხი.
- სურ. 46. მარნის ქვედა უადრესი ფენა. ლეგაპრიალა ზედაპირიანი თიხის ლანგრის ფრაგმენტები.

- სურ. 47. მარანი. კულტურულ ფენათა განაწილება: I — უადრესი სამლოცველო მოედანი; II — მაზდეანური სამლოცველოს კედლები; III — ზედა, IX ს-ის კედლები.
- სურ. 48. მარანი. კულტურულ ფენათა განაწილება ჩრდილოეთ-სამხრეთ ქრილზე ყველა განათხარი ქრონოლოგიური ფენის ჩვენებით (ნ. ბახტაძის ანაზომი).
- სურ. 49. მარანი. მაზდეანური სამლოცველოს კედლების ნაშთები, მათზე მოგვიანებით გადატარებული მარნის კედლით.
- სურ. 50. მარანი. მაზდეანური სამლოცველოს ფენა. ბრინჯაოს ნკეპლები და ნკეპლების კონა.
- სურ. 51. მარნის წინარე ქრონოლოგიური ფენის დარღვეული სამარხი №1. კერამიკული ინვენტარის ნატეხები.
- სურ. 52. მარნის წინარე ქრონოლოგიური ფენის დარღვეული სამარხი. ქვით ჩალენილი ჭურჭელი.
- სურ. 53. მარნის წინარე ქრონოლოგიური ფენის დარღვეული სამარხი. დამტვრეული ურნა ალდგენის შემდეგ.
- სურ. 54-57. მარნის წინარე ქრონოლოგიური ფენის დარღვეული სამარხები. თიხის ნითელპრიალა ჯამები.



ნიგნი აინყო და მომზადდა დასაბეჭდად საქართველოს  
სახელმწიფო მუზეუმის კომპიუტერულ ცენტრში

ტექსტის ანყობა: ნინო მაისურაშვილი  
ხელმძღვანელი: ზაზა ჭელიძე


ნიგნის მაკეტი დამზადდა გამომცემლობაში „ნეკერი“  
დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი  
ყდის დიზაინი: ირაკლი ყიფიანი

# ილუსტრაციები





სურ. 1




სურ. 2







სურ. 3



სურ. 4






სურ. 5






სურ. 6




სურ. 7





სურ. 8



სურ. 9



სურ. 10




სურ. 11






სურ. 12





სურ.13




სურ.14





სურ. 15




სურ. 16





სურ. 17










სურ. 19



სურ. 20







სურ. 21



სურ. 22



სურ. 23



სურ. 24






სურ. 25



სურ. 26



სურ. 27




სურ. 28






სურ. 29



სურ. 30




სურ. 31



სურ. 32





სურ. 33




სურ. 34

სურ. 35



სურ. 36




სურ. 37







სურ. 38



სურ. 39





სურ. 40



სურ. 41





სურ. 42



სურ. 43





სურ. 44






სურ. 45





სურ. 47





სურ. 48



სურ. 49





სურ. 50




სურ. 51






სურ. 52




სურ. 53





სურ. 54




სურ. 55





სურ. 56



სურ. 57





## ლევან ჭილაშვილი

1930 - 2004

არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, „საპატიო ნიშნის“ ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი, 1973-2004 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწი-

ფო მუზეუმის დირექტორი.

აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის კვლევის ძირითადი სფერო იყო ქართული არქეოლოგიური ძეგლები ვრცელი ქრონოლოგიური დიაპაზონით, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ახ. წ. XVII-XVIII საუკუნეებამდე. მან დიდი ღვაწლი დასდო ძველი ქართული ქალაქების შესწავლას. მისი ხელმძღვანელობით გაითხარა უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლები ურბნისის, სამშვილდის, გრემის, გავაზის, არეშის ნაქალაქარებზე. მის მიერ შემუშავებულია ძველ ქართულ ქალაქთა პერიოდიზაცია და წარმოჩენილია მათი განვითარების გზა დღიდან ქალაქური დასახლებების წარმოშობისა. ამ საკითხებს ეძღვნება ლევან ჭილაშვილის მონოგრაფიები: „ქალაქი რუსთავი“ (1958), „ნაქალაქარი ურბნისი“ (1964), „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში“ I (1968), II (1970), „ძველი გავაზი“ (1974), „კახეთის ქალაქები“ (1980), „არეში“ (1990) და სხვ., რომლებიც სამაგიდო წიგნებად იქცა ქართველ ისტორიკოსთა რამდენიმე თაობისთვის.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი დიდ დროს უთმობდა ნეკრესის ნაქალაქარის არქეოლოგიურ კვლევას. მისი ხელმძღვანელობით აქ გაითხარა უნიკალური წარმართული და ქრისტიანული საკულტო ძეგლები, ქალაქის თავდაცვითი სისტემა, სხვადასხვა ეპოქის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნაგებობანი. ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი უძველესი ქართული წარწერები, რომლებიც ღვაწლმოსილი მკვლევარის რწმენით, ძვ.წ. ბოლო საუკუნეებიდან ახ.წ. IV საუკუნემდე თარიღდება და ამით საბოლოოდ მტკიცდება ქართული დამწერლობის წინარე ქრისტიანული წარმომავლობა. სწორედ ამ საკითხის მეცნიერულ დასაბუთებას ეძღვნება ბატონ ლევან ჭილაშვილის წინამდებარე, სამწუხაროდ უკანასკნელი ნაშრომი.

ISBN 99940-0-220-1

დაიბეჭდა შპს „სეზანში“